კვირის პალიტრა

მზე

№15(148) 10/IV.-16/IV.2003. ფასი 60 თ.

1168
2003

არატრადიციული ორიენტაცია — მითი და რეალობა

რისთვის აქციეს ეს გოგონები „ლესბოსელებად“

კაგებაში „თვითმკვლელობის განყოფილება“ არსებობდა

ნინო ქათამაძე „არტ-იმედს“ აუჯანყდა — დაპირისპირების დეტალები

რატომ მუშაობდა ტაქსის მძღოლად ლევან ბაჩეჩილაძის მეუღლე

ბავშვები და გარემო — როგორ აღიქვამენ ისინი იმ მოვლენებს, რომელიც ჩვენს რეალობაში ხდება და რომლის შეფასებისთვისაც ისინი ერთი შეხედვით, პატარები არიან. ბავშვზე გულრწფელი რესპონდენტი ალბათ ბუნებაში არ არსებობს...

გვ. 21

ქვირის პალიტრა
№15 (148)
10 - 16 აპრილი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„რა მაღლიანად ანათებს“ ანუ დაგვბომბე და დაგვაყარე!.. 3
ერთი კითხვა 4
შოუბიზნესი
● „ექსკლუზიური სიმღერები“ მხოლოდ ჟურნალისტებისთვის 6
● ნინო ქათამაძე „არტ-იმედს“ აუჯანყდა 7
ბრალდება
რას ედავებიან ბერეზოვსკი-დუბოვ-პატარკაციშვილის „ტრიუმვირატს“ 8
თემა
სად იბადება ჭორები ცნობილთა სექსუალურ ორიენტაციაზე? 10
კრიმინალი
● ბიძაშვილების ჩხუბმა 16 წლის გვიანდის სიცოცხლე იმსხვერპლა 13
● მეგობარმა მეგობარი დანით შემთხვევით მოკლა 14
● ნათესავმა 12 წლის გოგონა ჯერ გააუპატიურა, შემდეგ ყელში დანა ჩაარტყა 15
ქალი საჭესთან
რატომ მუშაობდა ტაქსის მძღოლად ლევან გაჩეჩილაძის მეუღლე 16
საფრთხე
ვირუსი ქვეყანას მოედო 18
სიხარული
ცისანა სეფიაშვილი პატარა კატოს „პროფესიონალურ „იავნანას“ მიუძღვნის... 20
მოზარდები
მეექვსეკლასელებს სჯერათ პირველი სიყვარულის, არ მოსწონთ პარლამენტარები და ქვეყნის რეფორმების საკუთარი გეგმები აქვთ 21
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 24
გამოხმაურება
„რჩება სიცოცხლე უღიმღამო, თუმცა ნეტარი... მე კი მივდივარ...“ 24
სიტუაცია
მამაკაცის ღირსება ღიპით არ განისაზღვრება... 26
ადამიანი
„ჩემი თავის უფროსი მე თვითონ ვარ!..“ 28
თეთრი ლაქები
რა საიდუმლო გაიყოლეს ცეკას მდივანმა და მისმა ქვრივმა? 29
სასარგებლო აზრები
აფორიზმების ენციკლოპედია 31

რას ედავებიან ბერეზოვსკი-დუბოვ-პატარკაციშვილის „ტრიუმვირატს“

როგორც ცნობილია, რუსეთის მართლმსაჯულება მის ექსტრადიციასაც მოითხოვდა. ახალი სკანდალის ფონზე განსაკუთრებით საინტერესოა, თუ საკუთრივ რას ედავებიან ბერეზოვსკი-დუბოვ-პატარკაციშვილის „ტრიუმვირატს“. ამ კითხვაზე პასუხს რუსული პრესის ზოგიერთი პუბლიკაცია გვცემს.

8

სად იბადება ჭორები ცნობილთა სექსუალურ ორიენტაციაზე?

ბორის წიფურია: ფონია ისეთი, რომ როცა ეს განცხადება გავაკეთე და მხარდაჭერა ვითხოვე, ხალხს გაუკვირდა. ხალხი ხომ ყოველდღე უყურებს, ჩვენი მთავრობის წევრები ჯერ როგორ კოცნიან ერთმანეთს და მერე, თანამდებობიდან ხსნიან...

10

მეგობარმა მეგობარი დანით შემთხვევით მოკლა

ბრალდებული საჭესთან თავად იჯდა. უცებ, მას წინა მაშუქების შეკეთება დასჭირდა, დანა აიღო და მანქანიდან გადავიდა. იმ დროს, როცა მაშუქს აკეთებდა, უკნიდან მას ჯონი მიუახლოვდა, მოულოდნელად „ბა“-ო დაუძახა, მან კი, ინსტინქტურად, დანიანი ხელი მოიქნია.

14

ნინო ქათამაძე „არტ-იმედს“ აუჯანყდა

მე განვაცხადე, რომ ჩემი ბიჭების გარეშე არ ვიმუშავებდი. მათ ხელფასის სახით, 200-200 დოლარს უნიშნავდნენ, მე – 600 დოლარს. მინდოდა, ხელშეკრულებაში დაფიქსირებულიყო, რომ ეს იყო საწყისი თანხა და საერთოდაც, წინასწარ განგვესაზღვრა ყველაფერი.

7

განწყობის ფსიქოლოგია

ბახსენით გულის კარი ადამიანებთან საურთიერთოდ 32

ტაძარი

რა უნდა ვიცოდეთ მართლმადიდებლური ტაძრის შესახებ 34

მსოფლიო წესრიგი

- შეერთებული შტატების „სამშვიდობო ომები“ 35
- დამხობილი მმართველები 36
- რა მოელის ერაყს ომის შემდეგ? 37
- ვინ შეიძლება შეცვალოს საddام ჰუსეინი? 37

საფეხბურთო მინდვრებზე 38

ვარსკვლავი

დერილ ჰანა – ჰოლივუდში ყველაზე პოპულარული მსახიობი და ბებიაქალი... 40

რომანი

რუსუდან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42

ეფოთისთავები 46

სპორტული მოზაიკა 47

ეკრანს მიღმა

- დიასახლისების საყვარელი ექიმი როსის რეცეპტები და კლუნირებული „სოლარისი“ 48
- რუსი რეჟისორის ვაჟი ჰოლივუდის სტუდიას სასამართლოში უჩივის 49

ავტო 50

აქეთური-იქითური 52,54

ჯანმრთელობა

- „გაგაფხულის ნევროზი“ 56
- მედიცინის სიახლეები 57
- კბილები ღრმულების გარეშე 58
- მამაკაცების საყურადღებოდ 59

შეუცნობელი 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (14-20 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

ადვილად ექცევით თუ არა სხვისი გეგავლენის ქვეშ 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

რა საიდუმლო გაიყოლეს ცეკას მდივანმა და მისმა ქვრივმა?



მამამ აქ, ჩვენს სახლში, თავის სამუშაო ოთახში, სვანეთში ნაჩუქარი დანით მოიკლა თავი, უფრო ზუსტად – კედელზე მიბჯენილ დანას წამოაგო აკვნესებული გული... იმ ღამეს, ძლიერ თოვდა...

29

რატომ მუშაობდა ტაქსის მძღოლად ლევან გაჩეჩილაძის მეუღლე

4-5 დღის ნასწავლი მქონდა მართვა. მეგობართან ვიყავი და ეზოში რომ ჩამოვედით, აღმოჩნდა, რომ ჩემი „ნივის“ ორივე მხარეს მანქანები იდგა. „ნივის“ გამოყვანის პირველივე ცდა მარცხით დამთავრდა.

16

დერილ ჰანა – ჰოლივუდში ყველაზე პოპულარული მსახიობი და ბებიაქალი...

„ერთმა გოგონამ სტრიპტიზის ხელოვნებასაც მაზიარა. სავარჯიშოდ კლუბში დავდიოდი, ოღონდაც, ჩემს ვინაობას არავის ვუმხელდი. წარმოიდგინეთ, დარბაზში ძალიან ბევრ ნაცნობ მსახიობს ვხედავდი, მაგრამ ისინი ჩემი უკანალის თვალიერებით ისე იყვნენ გართულები, რომ თავად მე არავის ვუცნივარ“.

40

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

სწორედ ამ დროს, მეორე სართულიდან ჩამომავალ კიბეზე ლონდას ფეხის ხმა მოისმა. დედამ ძეწკვი და ფული სასწრაფოდ უკან ჩააბრუნა, კონვერტი დედას ლეიბქვეშ შეუცურა და თან ტუჩებზე საჩვენებელი თითი მიიდო: არაფერი თქვაო.

42

„რა მაღლიანად ანათებს" ანუ დაგვბომბე და დაგვაყარე!..



საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ამერიკის თვითაღიარებული ქვეყნის (აბა, ჩვენი ასაღიარებელი რა სჭირს?) პრეზიდენტი ქართული პოლიტიკის სკოლის აღზრდილია... აბა, სად ისწავლა ამდენი ტყუილი? მერამდენედ დაგვპირდა, აფხაზეთის საკითხს მოგიგვარებთო? მაგრამ მოგვიწევს თუ არა რიგი, ისეთი პრობლემა გამოუხტება ხოლმე, რომ გადაგვწევს და ხან ბინ ლადენს დასდევს „ტომოჰავკით" ხელში, ხანაც ჰუსეინს — „მშვილ-ისრით". ეს ძველებური იარაღები იმიტომ ვახსენე, რომ ბუშმა თურმე, ინდიელთა ნაცად ხერხს მიმართა და თანამედროვე რაკეტებისა და ბომბების „ბოეგოლოვკებს" ინდიელთა მიერ გამოგონებული შხამით — „კურარეთი" ასველებს და თუ ასეთი რაკეტა ან ბომბი მოხვდა ვინმეს, ჩემს მტერს და დამაწყევარს! — ვარიანტი არაა, რომ არ დაუჩირქდეს. ამ შხამს იყენებს ერაყშიც და იმ რაკეტებშიც ისეთ „ტვინს" ამონტაჟებს, რომ რაკეტა თვითონ პოულობს ადრესატს. იმიტომ აწერენ რაკეტებს: air-earth (ჰაერი–მიწა) ან earth-earth (მიწა–მიწა).

მოდი და ნუ გაგეცინება — რატომ აწერს გაურკვეველ მისამართს? ის ბომბიც ხან ბაზარში ეცემა და ხანაც ჟურნალისტების სასტუმროზე. დააწეროს გასაგებად: „ბუში–ჰუსეინი"! ომსაც უცებ მოიგებს და ჩვენთვისაც მალე მოიცლის.

რომ გაიძახის ის ჩვენი ცოდვით სავსე — დემოკრატიის სიმბოლო ვარო! — როგორ ვერ ხვდება, რომ საქართველოშიც იციან — ობოლსა და უპატრონოს ურიგოდ უნდა დაეხმარო? მით უმეტეს, თუ ქალი იტყვის, ორსულად ვარო, ვინ ოხერი უმოწმებს მუცლის ზომას? წუხანდელიც რომ იყოს, მაინც უთმობენ რიგსა თუ სკამს. ჰოდა, ჩვენზე უფრო ობოლი, უპატრონო და ქრონიკულად „წუხანდელი" ვინაა დუნიაზე?!

ერაყის რომ დღეს შეშურდება, ქვეყანაა იგი?! იმდენი მილიონია თურმე, გამოყოფილი მის ასაყვავებლად და იმდენი დახმარებაა გათვალისწინებული, რომ პირდაპირ „ბომბის ნერწყვი" მოგადგება კაცს. ამიტომ ჩვენც ისე უნდა მოვიქცეთ, რომ როგორმე ერაყს დავემსგავსოთ მთავრობიან-ხალხიანად. ეგებ, ბუშმა ომი გამოგვიცხადოს!

რა არის ამისათვის საჭირო? პირველი და აუცილებელი — ნავთია; ამას მოვაგვარებთ როგორმე: ჩვენი ძმა და მეგობარი, ჰეიდარ ალიევი გვასესხებს რამდენიმე კანისტრას, რომ მიწაზე მოვაპკუროთ, ნავთის სუნი დავაყენოთ და ერთი-ორი სიაფანდი ცეცხლიც გავაჩინოთ.

მეორე და მთავარი — ტირანი მმართველი და მისი არანაკლებ დესპოტური გარემოცვაა... მართალია, კაცს რომ სიკეთისა და მადლის კეთების დაუოკებელი სურვილი ჩაუჯდება გულში, ძნელია მისთვის ტირანის როლის თამაში, მაგრამ თუ ეს ქვეყანასა და ხალხს ბედნიერებას მოუტანს, ესეც უნდა იტვირთოს, ჰუსეინის მსგავსი პარიკიც მოირგოს, შავი ულვაშიც მიიწებოს და როგორმე, ხალხისათვის არასახარბიელო კანონებსაც მოაწეროს ხელი.

და მესამე ფაქტორია კიდევ საჭირო — შევიწროებული, უფლებაწართმეული, სოციალური პირობებით გატანჯული და მთავრობით უკმაყოფილო მოსახლეობა... სად ნახავ ასეთს საქართველოში?!. ეტყობა, ამაზეც მოუწევს წამუშავება ჩვენს ხელისუფლებას და თუ როგორმე შეაჩერებს ხელფასების ასეთ სწრაფ ზრდას, პენსიების დარიგებას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას და ერთ-ორ შოლტსაც გადაგვიტყლაშუნებს ცხიმმრეულ ზურგზე, მართლა დავემსგავსებით ერაყელ ხალხს...

ე, მერე ნახეთ თქვენ, თუ კიდევ ამოგვავდებს „სოჩიკის პრობკასავით" რიგიდან ბუში! ერთს იყვირებს — დავბომბოთ ეს ქვეყანა დემოკრატიის დასამკვიდრებლადო! — და წამოვა, მაგრამ რა წამოვა — თუ ბომბები თუ დახმარება...

ჩვენ ჯანდაბამდეც გზა გვქონია, თუ მოგვხვდება ის მოწამლული რაკეტა, მაგრამ მაგათ სტრატეგიას რომ ვაკვირდები, სამთავრობო რეზიდენციებსა და სახელისუფლებო ნაგებობებს ბომბავენ პირველ რიგში და რომელიმე იქ მომუშავეს რომ მოხვდეს ის ბომბი და ფეხი გაუკაწროს, რა გვეშველება მერე?! ამიტომ, ახლავე უნდა ვთხოვოთ ჩვენს თავდაცვის მინისტრს — თავის გამოდება რომ იცის და ყველა გზაბანეულ თვითმფრინავს შაშვივით რომ ჩამოაგდებს ხოლმე — აღარ მოიქცეს ასე, პირიქით: მოადგება თუ არა კოალიცია საქართველოს საზღვრებს, დაყაროს იარაღი და კაჟაია ძულავას ტრაგი-მონოლოგიც — „ვავა, ბაბაია"-თი შეეგებოს მომხდურს; აქეთ პარლამენტი მისცემს ბანს და ყვარყვარეს სიტყვებით — „არ ვარ, ბატონო, მე ის კაცი" — გადმოღვრის ნიანგის ცრემლებს; იქით კანცელარია იკისრებს კოსტაიას ფუნქციას — ო, მობრძანდი, ბატონო, უსტაბუში — კარგი ბუშიო... — და აუძღვება სტუმარს დარბაზში, სადაც „ივო სიატელსტვო სამ კნიაზი" იქნება ვითომ დაძინებული...

ხო, ხო, არ დავძაბე სიუჟეტი ვესტერნივით?!. ვუახლოვდებით კულმინაციას: რომ დაინახავს ბუში — აგერ წევს ჰუსეინა ტირანიო — დააცხრება ზემოდან; ამ დროს ჩამოუცურდება ჩვენს „კნიაზს" პარიკი, მოსცილდება ულვაშები და — „ჰა, ჰა, ჰა, ფანტომასი ვარ!.." — უჰ, შემეშალა, ბაში-აჩუკი, უნდა მეთქვა...

— გეძებდი როგორც მტერს და შეგხვდი, როგორც მოყვარეს, — ინგლისურად იტყვის ბუში, მაგრამ ჩვენი ვითომ ჰუსეინი მაინც მიხვდება: სიყვარულს ხომ ენობრივი ბარიერი არ გააჩნია... და ჩაეხუტებიან მამაშვილურად ერთმანეთს. ამ დროს ტონი ბლერი შემოვარდება კაბინეტში და ბუშს შესძახებს:

— ვის კოცნი, ჟორა? ეს ხომ ვიღაც ერაყელია!

— ვინ არის ერაყელი? — გადაირევა ბუში მამლუქურად. — ეს არის ერაყელი?! ეს ისეთივე ერაყელია, როგორიც მე — ამერიკელი.

— გიაურ! — იყვირებს ბლერი და იშიშვლებს „ლიმონკას", მაგრამ ბუში დაასწრებს...

— შესდექ, ჯორჯ! ის ხომ შენი ძმაა, — ეტყვის „ედუარდო დი კაპრიო", როგორც ფილმში — „ჟეშტისმასკიანი" კაცი".

— ტონი სადაური ჩემი ძმაა? — გაიკვირვებს ჯორჯი. — მისი გვარი ხომ ბლერია?

— დედის გვარზეა დაწერილი, — ძველ დროს გაიხსენებს ჩვენი „კნიაზი". — სინამდვილეში, ის ისეთივე ბუშია, პირდაპირი გაგებით, როგორიც შენ ხარ.

... მოკლედ, ყველაფერი კარგად დამთავრდება და სამი დიდი ბელადი თეთრ ტანკზე ამხედრებული, თოხარიკით აუყვება რუსთაველის პროსპექტს სიმღერით: „რა მადლიანად ანათებს შენი მზე, შენი მხარეო..." გახარებული ხალხი კი, თითს გაიშვერს და შესძახებს — აი, ბუში-აჩუკი! ბუში-აჩუკი მოდის!.. და ჩვენნაირი ბედნიერი ერი არ იქნება დედამიწის ზურგზე.

P.S. ფილმები მოგვაწოდა კინო-ვიდეო გაერთიანებამ — „პროვოკატორ-ფიქჩერსმა".

პროვოკატორი



„მოვითხოვ, გენპროკურორმა პრეზიდენტი ბრალდებულად გამოაცხადოს!“

— საკმაოდ გამომწვევი განცხადება გააკეთეთ — პრეზიდენტმა, უფლებამოსილების გადაჭარბების გამო, კანონის წინაშე უნდა აგოს პასუხი. ხომ არ დაგვიკონკრეტებთ, მაინც რა ბრალდებას უყენებთ სახელმწიფოს მეთაურს?

კოგა დავითაშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი:

— პრეზიდენტს ჩემი დაჭერა და ციხეში ჩასმა კი უნდოდა, მაგრამ ახლა ისეა საქმე, მე იქით დავაჭერინებ მას გენერალურ პროკურატურას! პრეზიდენტმა ბოლო რადიოინტერვიუში დაუფარავად განაცხადა, რომ თავის დროზე, დავით გამყრელიძეს პირადად დაეხმარა ბიზნესის აწყობაში. უფრო მეტიც — მისივე სიტყვებით რომ ვთქვა, თურმე საკუთარ უფლებამოსილებასაც კი გადაჭარბა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სადაზღვევო კომპანია „ალდაგს“ საქართველოში კონკურენტი არ ჰყოლოდა. როგორც იცით, პროფესიით იურისტი ვარ და კანონებში კარგად ვერკვევი, ჰოდა, მოვითხოვ: სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის დარღვევისთვის — კერძოდ, უფლებამოსილების გადაჭარბებისთვის — გენპროკურორმა აღძრას საქმე და საქართველოს პრეზიდენტი ბრალდებულად გამოაცხადოს! ■

სამხედრო სამსახურის გადავადებისთვის დაწესებული მოსაკრებლის გაზრდა კორუფციას შეუწყობს ხელს

— დიდი ინტერესი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია კანონპროექტმა, რომელიც სამხედრო ბეგარის 200-დან 1.000 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს. ექსპერტების აზრით, ამის შედეგად, წვევამდელთა რაოდენობა გაიზრდება, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ეს კორუფციის ახალ წყაროდ იქცევა. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

მამუკა კიკალიშვილი, ექსპერტი:

— ბეგარის გაზრდას ითვალისწინებს სამხედრო ვალდებულებების და სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებები და დამატებები სამხედრო სამსახურის გადავადებისთვის დაწესებული მოსაკრებლის შესახებ. ამ კანონპროექტის ავტორები არიან თავდაცვის სამინისტრო და უშიშროების საბჭო, პროექტი კი, თვითონ პრეზიდენტის ინიციატივით მზადდება. ჯერჯერობით კანონპროექტის ოფიციალური ვარიანტი მზად არ არის, უშიშროების საბჭოში და მთავრობაში განიხილება და ამდენად, ჯერ პარლამენტში არ არის შემოსული. თუ ადრე, წვევამდელი 200 ლარს იხდიდა და მთელი წლით თავისუფლდებოდა სამხედრო სამსახურისგან, ახლა თითოეულ გაწვევაზე უნდა გადაიხადოს 500-500 ლარი. გაწვევა კი, როგორც იცით, წელიწადში ორჯერ ხდება. 1.000 ლარი საკმაოდ დიდი თანხაა და მას ბევრი ოჯახი ვერ გადაიხდის.

ამ კანონპროექტის მიხედვით, თუ ბეგარა გაიზრდება და შეღავათები, რაც არსებობდა, გაუქმდება, ეს კორუფციის წყაროდ იქცევა... ■

ურჩ გადამხდელებს ბუნებრივი აირის მიწოდებას შეუწყვეტენ

— მართალია თუ არა, რომ ურჩი გადამხდელებისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტას აპირებთ?

ვახტანგ ცაავა, „თბილვაზის“ გენერალური დირექტორი:

— სახელმწიფო საბიუჯეტო უწყებებს ოთხშაბათიდან ბუნებრივი აირი მართლაც გაეთიშებათ, რადგან მათი დავალიანება 800.000 ლარს აღწევს. ასეთ ურჩ გადამხდელთა შორის არიან: უშიშროების, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, საგარეო საქმეთა სამინისტროები, პარლამენტი, სახელმწიფო კანცელარია, უზენაესი სასამართლო, კონტროლის პალატა, სტატისტიკის სამმართველო, საბაჟო დეპარტამენტი და ნავთობის ეროვნული კომპანია. როგორც ხედავთ, სია საკმაოდ დიდია, რაც შეეხება მოსახლეობას — აქ დაგროვილი დავალიანება პირველი მარტისთვის 3 მილიონ ლარზე მეტს შეადგენდა. საერთოდ, დედაქალაქის ყველა რაიონში, გადახდის დაბალი მაჩვენებელია. გამორიცხული არ არის, რომ ახლო მომავალში, მოქალაქეებსაც შეუწყდეთ ბუნებრივი აირის მოწოდება — რასაკვირველია, მხოლოდ ურჩ გადამხდელებს ვგულისხმობ.

„ამომრჩევლების მოსყიდვა ფქვილითა და შაქრით ძალიან ადვილია...“

„გადამხდელთა კავშირში“ ბიზნესმენთა შეხვედრამ პრეზიდენტი აიძულა, რომ ახალ პოლიტიკურ ძალებთან საარჩევნო ბლოკის ჩამოყალიბებაზე ეფიქრა. აღმასრულებელი ხელისუფლების მხარდამჭერი ძალები კანცელარიაში შეიკრიბნენ და ახალი სახელისუფლებო ბლოკი ჩამოაყალიბეს. გაერთიანებაში, რომელსაც ეწოდა ბლოკი „ახალი საქართველოსთვის“, არან: „მოქალაქეთა კავშირი“, სოციალისტური პარტია, „აბრეშუმის გზა“ და „ალიანსი ახალი საქართველოსთვის“. სავარაუდოდ, ამ ბლოკს „ავღანელთა კავშირი“ და „ქართული ლიგაც“ შეუერთდება. თქვენი აზრით, აქვს თუ არა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შანსი ახალშექმნილ ბლოკს?

ვახტანგ ხმალაძე, *ლიბერალური პარტიის ლიდერი:*

— ამ ბლოკის მიზანია, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მეტნაკლებად კარგ შედეგს მიაღწიოს. ამ გაერთიანებაში თავმოყრილია მთელი სახელმწიფო-ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსები. ადმინისტრაციული საშუალებებით მიზნის მიღწევა (არჩევნებში გამარჯვებას ვგულისხმობ), იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ არჩევნების დროს გამოყენებულია არაკანონიერი ხერხები — „მკვდარი სულები“, „კარუსელები“ და ა.შ. სამწუხაროდ, ამის დიდი გამოცდილება აქვს დღევანდელ ხელისუფლებას. ამის საწინააღმდეგოდ გვინდოდა, ელექტრონული საარჩევნო სისტემა დაგვენერგა, მაგრამ მთავრობამ ამისთვის არ გამოყო ფინანსები და პროგრესული სისტემის შექმნა კვლავ გადაიდო. ამჟამად ხელისუფლებას ვთავაზობთ შუალედურ ვარიანტს, რაც ისევ ელექტრონული წესით შედგენილი, ამომრჩეველთა ზუსტი სიების შექმნას ითვალისწინებს, მაგრამ უფულობის გამო, ესეც ვერ ხერხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზუსტი სიები ისევ არ გვექნება. სამწუხაროდ, ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსების გამოყენების შესაძლებლობა კვლავ ხელისუფლების ხელში რჩება. ჩემზე უკეთ იცით, რომ ამომრჩევლის მოსყიდვა თუნდაც ფქვილითა და შაქრით, ფულზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ძალიან ადვილია. აი, სწორედ ამ ორი რამის — არჩევნების გაყალბების და ფულის იმედი აქვს სახელისუფლებო საარჩევნო ბლოკს.

ვახტანგ რჩეულიშვილი, *სოციალისტური პარტიის ლიდერი:*

— ჯერ კიდევ შემოდგომაზე გავაკეთეთ განცხადება, რომ ჩვენ „მოქალაქეებთან“ ერთად ვიქნებოდით. ბოლო თვეების მანძილზე კი ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ახალ გაერთიანებას პრეზიდენტი ჩასდგომოდა სათავეში. ცალცალკე ნებისმიერ პარტიას გაუჭირდება პარლამენტში უმრავლესობის მოპოვება. რაც არ უნდა იყოს და რაც არ უნდა ვაკრიტიკოთ ედუარდ შევარდნაძე, ფაქტია, რომ სხვა ვერავინ მოიპოვებს მისნაირ ავტორიტეტს მსოფლიოში.

ლევან გაჩეჩილაძე, *„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი:*

— აქედანვე დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ სახელისუფლებო პარტიები ყოველნაირ ნაბიჯსა და პროვოკაციაზე წავლენ, ოღონდაც შეინარჩუნონ ხელისუფლება და ძალაუფლება კიდევ უფრო გაიმყარონ! ის კი ავიწყდებათ, ხალხის მიერ „დაქირავებულებს“, რა დიდი პასუხისმგებლობა აქვთ ნაკისრი... დაუკვირდით, რა ხდება. აცხადებენ, რომ საქართველოში ყველაფერი მათ ეკუთვნით — ხელისუფლებიდან დაწყებული, ტელევიზიით, რკინიგზით, ბიზნესმენებით დამთავრებული! არადა, ქვეყანა საზოგადოებას, ხალხს ეკუთვნის! ახალშექმნილი ბლოკის მუშაობას აზრი არა აქვს, შედეგს თვითონვე ვერ ნახავენ, რადგან შეუძლებელია, აბსოლუტურად განსხვავებული მსოფლმხედველობის ადამიანებმა რიგიანად გააკეთონ საქმე. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მოვიდეს ისეთი ძალა, რომელიც კონკრეტული პასუხისმგებლობის აღებას შეძლებს?! ■

მოამგადა ნინო ჯავახიშვილმა

„ვინც კენჭს იყრის, წარუმატებლობაზე არ ფიქრობს...“

— იმის გამო, რომ თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატად აპირებთ კენჭისყრას, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტი დატოვეთ. რამ გაიძულათ პოლიტიკაში მოსვლა და კიდევ — თუ ვერ გაიმარჯვებთ, მერე რას აპირებთ?

პაატა მხეიძე, *სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე:*

— როგორც პიროვნება და მოქალაქე, გარკვეულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ საზოგადოების და ჩემი საარლობლოს წინაშე. მგონია, რომ ჩემი შესაძლებლობების რეალიზებას საკანონმდებლო ორგანოში უკეთესად მოვახდენ. იქ უამრავი რამ არის გასაკეთებელი, თუნდაც პენიტენციარულ სისტემაში.

ამან გადამაწყვეტინა პოლიტიკაში მოსვლა. რადგან წინასაარჩევნო კამპანიას ბევრი დრო სჭირდება, მე კი, ჩემი თანამდებობის გამო, ვერ მოვახერხებდი რაიონში ჩასვლას და თითოეულ ოჯახში სტუმრობას, ამიტომ დავთმე დეპარტამენტის თავმჯდომარეობა. რაც შეეხება იმას, გავიმარჯვებ თუ არა და რას გავაკეთებ დამარცხების შემთხვევაში — ის, ვინც კენჭს იყრის, წარუმატებლობაზე არ ფიქრობს! თუ მაინც ვერ გავხდი პარლამენტარი, პროფესიით იურისტი გახლავართ და ისევ ჩემი პროფესიით განვაგრძობ მუშაობას... ■

მაია დათუნაშვილი

„ეჯაზური სიმღერა“ ბოლოდ უსაბოლოებისთვის

მუსიკათმცოდნე მაია დათუნაშვილმა პრესკონფერენცია მოაწყო კლუბ „ნეოში“, სადაც გვითხრა, რომ მისი იდეის თანახმად, თვეში ერთხელ „არტ-იმედის“ მომღერლები შეხვდებიან ჟურნალისტებს, ესაუბრებიან საკუთარ ახალ კლიპსა თუ სიმღერაზე და იქვე შედგება ახალი სიმღერის პრემიერა. როგორც კომპანიის გენერალურმა პროდიუსერმა მარინა ბერიძემ გვითხრა, „არტ-იმედს“ უკვე ერთი წელი უსრულდება. ბოლო დროს კი, იმ მიზეზით აქტიურობდა, რომ ყველა მომღერალი ახალ რეპერტუარს ამზადებდა.

ნათია ქივიძე

იმის გამო, რომ მერაბ სეფაშვილი ავარიაში მოყვა და ცოლ-შვილი საავადმყოფოში უწევს, შეხვედრაზე ვერ მოვიდა. არ იყო აგრეთვე აჩიკო მეფარიძე, არც დათო გომართელი – რომელიც გუდაურში ყოფილა გადაღებებზე და ჩამოსვლა ვერ მოასწრო. სამაგიეროდ, რეჟისორი ზაზა ორაშვილი ჩამოვიდა გუდაურიდან, მზისგან ძლიერ დამწვარი... სწორედ ის იღებს კლიპს დათო გომართელისა და ჯგუფ „ფორტეს“ მიერ შესრულებულ აზერბაიჯანულ სიმღერაზე. გადამღები ჯგუფი სულ ცოტა ხნის წინ დაბრუნდა ბაქოდან, სადაც სამი დღე დაყო და რამდენიმე მიზანსცენა გადაიღო. როდესაც მომღერლები ბაქოში მიდიოდნენ, „ფორტეს“ წევრს, ზურა მანჯავიძეს დაურეკეს და ტყუპი ბიჭის დაბადება აცნობეს. ასე რომ, სამი ქალის გარემოცვაში მყოფი მომღერალი უკვე ოთხი შვილის მამაა.

ჯგუფ „ფორტეს“ და დათო გომართელის მიერ შესრულებული სიმღერა აზერბაიჯანულია, მაგრამ მომღერლები მას რუსულ ენაზე ასრულებენ. სიმღერისა და ტექსტის ავტორია აზერბაიჯანელი კომპოზიტორი იუბი.

ზაზა ორაშვილი და ჯგუფი „ფორტე“ კლიპის შინაარსს ასაიდუმლოებენ. მხოლოდ ის გაგვიმხილეს, რომ ბაქოში გადაღებულ მიზანსცენებში სახალისო ინტრიგებია გაბმული ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენთან დაკავშირებით. სულ მალე, კლიპის გადაღება დასრულდება და მისი პრეზენტაცია, სავარაუდოდ, მაისის დასაწყისში შედგება.

ამის შემდეგ, ახალგაზრდა მომღერალი თათია გიორგობიანი თავად გვესაუბრა საკუთარ რეპერტუარზე. მომღერალი ემზადება კომპაქტდისკის გამოსაშვებად. იღებს კლიპს სიმღერაზე – „კეთილი ზღაპარი“, რომელსაც პატარა ლიზა მაღრაძესთან ერთად ასრულებს. მუსიკა ეკუთვნის გია მაჭარაშვილს, ტექსტი – გია ჯოხაძეს, კლიპის რეჟისორია სანდრო კაპანაძე. თათიამ ჩაწერა კიდევ ერთი ახალი სიმღერა – „ვერაფერს შეცვლის სიტყვები“, რომლის მუსიკა რუსა მორჩილაძეს ეკუთვნის, ტექსტი – გია ჯოხაძეს, ხოლო არანჟირება – ზურა მახნიაშვილს. მომღერალმა ეს სიმღერა – მხოლოდ ჟურნალისტებისთვის! – იქვე შეასრულა.

მხიარული განწყობილება სევდამ შეცვალა, რადგან მაია დათუნაშვილმა გოგი დოლიძე გაიხსენა, ნუკრი კაპანაძემ გვამცნო, რომ ახლახან ჩაწერა გოგი დოლიძის რეპერტუარიდან – „ვაი, შენ, წუთისოფელო“. მუსიკის ავტორია მარიკა კვალიაშვილი, ტექსტის – მორის ფოცხიშვილი. გოგი ამ სიმღერას როიალის თანხლებით მღეროდა, ხოლო ნუკრიმ არანჟირება გაუკეთა.

ნუკრის შემდეგ, მიკროფონი კახა ცისკარიძეს გადასცეს, რომელმაც ასე მოგვმართა: „გამარჯობათ, ყველაზე სექსუალურო ჟურნალისტებო!“ შემდეგ კი აღნიშნა, რომ სულ მალე გამოვა მისი ახალი ალბომი, სადაც სიმღერებთან ერთად კომპოზიციებიც შევა. ალბომში შესულია რამდენიმე ქალაქური სიმღერა, რომელიც ზურნა-დუდუკის თანხლებით და გათანამედროვებული ინტერპრეტაციითაა შესრულებული.

კახუჩელა სოლო კონცერტისთვის ემზადება, რომელიც სავარაუდოდ, შემოდგომაზე ჩატარდება. მაისში კი მომღერალი ალბომის პრეზენტაციას მოაწყობს, ხოლო ბათუმის სტადიონზე სოლო კონცერტს გამართავს. აქვე გაცნობებთ, რომ მომღერალი დღე-დღეზე ელოდება შვილს, რომელიც წინასწარი მონაცემებით, ბიჭი იქნება.

ამის შემდეგ, ჟურნალისტების წინაშე ახალგაბედნიერებული ვერიკო ტურაშვილი წარდგა, რომელსაც ახალი სიმღერა ჩაუწერია სახელწოდებით – „შენზე“. მუსიკა და არანჟირება ავთო ბადუაშვილს ეკუთვნის, ხოლო ტექსტი – მაია დარსმელიძეს. სულ მალე, სიმღერაზე კლიპის გადაღება დაიწყება, რომელსაც რეჟისორები ბესო სოლომანაშვილი და ზვიად ალხანაიძე გადაიღებენ. ამ ინფორმაციის მოწოდების შემდეგ, მომღერალი სცენაზე ავიდა და კიდევ ერთი ახალი სიმღერის პრემიერა მოვისმინეთ.

კომპანიას უამრავი გეგმა აქვს: 26 მაისს რესპუბლიკის მოედანზე ის ჩაატარებს კონცერტს, რომელშიც „ქუჩის ბიჭები“ და მერაბ სეფაშვილი მიიღებენ მონაწილეობას, ხოლო 27 მაისს, ბოტანიკური ბაღის გვირაბში დისკოთეკას გამართავს, რომელშიც „არტ-იმედის“ ახალგაზრდა შემსრულებლები მიიღებენ მონაწილეობას. დაგეგმილია საგაზაფხულო გასტროლები საქართველოს მასშტაბით. პირველი გასვლითი კონცერტი, რომელიც 13 აპრილს შედგება, ქუთაისში გაიმართება.

ჟურნალისტებისა და „არტ-იმედელების“ შეხვედრა კახუჩელამ დაასრულა, რომელმაც ინსტრუმენტი საკუთარი ხელით ააწყო და დათო ოძელაშვილთან ერთად შექმნილი კომპოზიცია – „სუბტროპიკი“ შეასრულა. ■

ნინო ქათამაძე „არტ-იმედს“ აუჯანყდა

ბადრი პატარკაციშვილის კომპანიონები, რომლებიც შოუბიზნესში საქმიანობენ, ნინო ქათამაძის, პროფესიული ასპარეზიდან ჩამოშორებას ცდილობენ; კომპანია „მელოდია-არტი“ უპრეცედენტო გეგმის განხორციელებით აპირებს ნინოს ალბომის გამოშვების ჩაგდებას; „მელოდია-არტის“ არაპროფესიონალიზმი საფრთხეს უქმნის მთლიანად ქართულ ესტრადას. — ასეთი ხმამაღალი განცხადებები გააკეთეს ნინო ქათამაძემ და მისმა პროდიუსერმა ირაკლი ნადარეიშვილმა, საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე. მაშ რა გახდა ერთი მხრივ, მომღერლისა და მეორე მხრივ, კომპანიების — „მელოდია-არტისა“ და „არტ-იმედის“ დაპირისპირების მიზეზი? თუმცა, პირველი კითხვა ნინოს შეცვლილ იმიჯს შეეხება:

ნინო ჯავახიშვილი

— რამ განაპირობა თქვენს გარეგნობაში მომხდარი ცვლილებები?

— ეს არის კომპანიების — „მაკა ასათიანისა“ და „ისი-პარის“ დამსახურება: მაკამ ჩემს ჩაცმულობაზე იზრუნა, „ისი-პარიმ“ კი — ჩემს ვარცხნილობაზე. სხვათა შორის, პროექტი, რომელსაც ვახორციელებთ, ითვალისწინებდა, რომ უკვე მისში, შეცვლილი იმიჯით წარვმდგარიყავი მსმენელის წინაშე, მაგრამ როგორც ხედავთ, ეს უფრო ადრე მოხდა...

— როცა თქვენსა და „არტ-იმედს“ შორის შეთანხმება არ შედგა, „არტ-იმედელებმა“ ასეთი რამ თქვეს: ქათამაძეს სხვას თუ ვერაფერს გავუკეთებდით, თმას მაინც დავუვარცხნიდითო... მაშინ ხომ არ დაიწყო თქვენ შორის დაპირისპირება?

— „არტ-იმედთან“ მთელი 6 თვის მანძილზე ვაწარმოებდი მოლაპარაკებას, ჩემს იურისტთან ერთად. მე განვაცხადე, რომ ჩემი ბიჭების (მუსიკოსების) გარეშე არ ვიმუშავებდი. მათ ხელფასის სახით, 200-200 დოლარს უნიშნავდნენ, მე — 600 დოლარს. მინდოდა, ხელშეკრულებაში დაფიქსირებულიყო, რომ ეს იყო საწყისი თანხა და საერთოდაც, წინასწარ განგვესაზღვრა ყველაფერი. მარტო ფულშიც არ იყო საქმე — მათ არ იცოდნენ, რა უნდოდათ ჩემგან, როგორც მომღერლისგან, მე კი ზუსტად ვიცოდი, რაც მინდოდა. ამიტომაც, ასეთ გაუგებრობაში ვერ გავყოფდი თავს. იქ იყო ლაპარაკი იმაზე, რომ მექნებოდა სახლი, მანქანა და რადგან მათი აზრით, ცნობილი მომღერალი არ ვიყავი, დიდი ფული იქნებოდა საჭირო ჩემი „გავარსკვლავებისთვის!“ მოკლედ, ამ ყველაფრის მიუხედავად, პრესაშიც და ტელევიზიითაც განვაცხადე, რომ რაღაც გაურკვევლობის გამო მოლაპარაკება ალბათ მაინც არ ჩაიშლებოდა და შევთანხმდებოდით. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ „არტ-იმედთან“ თანამშრომლობა მინდოდა და ჩემთან მოსასვლელ გზას, ფაქტობრივად, „ღიად“ ვტოვებდი?.. ამის შემდეგ, მათ ასეთი ცინიკური განცხადება გააკეთეს: რატომ არ დათანხმდა ქათამაძე ჩვენს პირობებს? სხვას თუ არაფერს გავუკეთებდით, თმას მაინც დავუვარცხნიდითო... იცით, ეს პროექტი მაინც განხორციელდება! არავისგან არაფერს ვითხოვ. უბრალოდ, ჩემი ერთადერთი სურვილი ის არის, რომ სიმღერის საშუალება მქონდეს! თუ ვიღაცები საქმის კეთების, რაღაცის შექმნის სურვილს დაგიკარგავენ, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვებივით ბილეთი შევუკვეთო და საქართველოდან წავიდე!

— ირაკლი, რა მოხდა, ამის შემდეგ რატომღა დათანხმდით კომპანია „მელოდია-არტთან“ თანამშრომლობაზე?

ირაკლი ნადარეიშვილი:

— თებერვალში „მელოდია-არტი“, კონკრეტულად კი, ჯუმბერ ბერაძე დაუკავშირდა ნინოს და გამოთქვა სურვილი, რომ ნინოს თავისი ალბომის გამოშვება კომპანიის ეგიდით განეხორციელებინა. ის, რომ ნინოს პროდიუსერი ჰყავდა, მათთვის უსიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა *(ირაკლი თებერვლიდან არის ქათამაძის პროდიუსერი, მანამდე კი მოსკოვში ეწეოდა საპროდიუსერო საქმიანობას. — ავტ.)*. თვენახევრის მანძილზე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და დირექტორის მოადგილესთან, თიკა რუხაძესთან მთავარ პრინციპებზე შევთანხმდით. ჩვენ გვინდოდა მასშტაბური პროექტის განხორციელება, „მელოდია-არტის“ ერთადერთი ვალდებულება კი, დროული ფინანსური მხარდაჭერა იყო. რუხაძემ განგვიცხადა, რომ სასურველი იქნებოდა, თუ სხვა კომპანიებთან ურთიერთობას გავწყვეტდით. ამ დროს, ალბომის გამოშვებაში ფინანსური მხარდამჭერები იყვნენ კომპანიები „მაკა ასათიანი“ და „ისი-პარი“. მათ სურდათ, „მელოდია-არტი“ ყოფილიყო დომინანტი კომპანია. ამაზეც დავთანხმდით. როგორც იქნა, ხელშეკრულება ამობეჭდეს და მის საბოლოო ვარიანტზე იურისტის, პალიკო ორჯონიკიძის თანდასწრებით, ხელიც მოვაწერე, თანაც — ორივე ეგზემპლარზე, თუმცა, ჩემთვის არც ერთი არ გადმოუციათ.

— რა მიზეზით?

— თავიდანვე მოვითხოვე, რომ ხელშეკრულებაზე ჯუმბერ ბერაძესთან ერთად მომეწერა ხელი, მაგრამ მიზეზად მისი მოუცლელობა დამისახელეს და მითხრეს — ხელშეკრულებაზე ხელს რომ მოაწერ, დაგვიტოვე და როგორც კი ბატონი ჯუმბერი თბილისში დაბრუნდება და ხელს მოაწერს, დაფინანსებაც გექნებათო. რადგან დარწმუნებული ვიყავით ამ წინადადების რეალობაში და დაფინანსების მიღებაში, თანაც ჩვენ შორის შეთანხმება, ფაქტობრივად, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე შედგა, მათ დაგვითმეს სტუდია და დავიწყეთ ალბომის ჩაწერა ჩვენი ხარჯებით. ახლა გაიძახიან — არანაირი მოლაპარაკება და არანაირი ხელშეკრულებაო

— მაგრამ ერთი რამ მაინტერესებს: სტუდიაში მუშაობა რომ დავიწყეთ, ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ „მელოდია-არტთან“ მოლაპარაკება ჩვენს სასიკეთოდ დამთავრდა? აბა, ისე, სტუდიაში ვინ შეგვიშვებდა და სიმღერებს ვინ ჩაგვაწერინებდა?! ამის შემდეგ, მთელი 10 დღის განმავლობაში კერ დავუკავშირდი, ვერც თიკა რუხაძეს და ვერც ჯუმბერ ბერაძეს. ბოლოს, ბატონ ჯუმბერს წერილობით მივმართე და მხოლოდ ამის შემდეგ, ფაქსით მივიღე მათი პასუხი. ჯუმბერ ბერაძე გვპასუხობდა: ვიცით, რა ფინანსური პრობლემებიც გაქვთ, მაგრამ ვწყვეტთ ხელშეკრულებას, რადგან ჩვენი მუშაობის სტილი თქვენს მოთხოვნებს არ ემთხვევაო! როგორც ახლა ვხვდებით, მას შემდეგ, რაც „არტ-იმედის“ მცდელობა — „ეყიდა“ და სრული კონტროლის ქვეშ მოექცია ნინო ქათამაძე — უშედეგოდ დამთავრდა, მისი პარტნიორი კომპანია — „მელოდია-არტი“ იმავე გზას დაადგა. ეს ყველაფერი კეთდებოდა მიზანმიმართულად, რათა ნინოსთვის ფინანსური პრობლემები შეექმნათ და ისეთ დღეში ჩაეგდოთ, რომ ხვეწნა-მუდარით მისულიყო „არტ-იმედში“ და ეთქვა: ყველანაირ პირობაზე თანახმა ვარ, ოღონდ ეს პრობლემები გადამიწყვიტეთო.

— რის საფუძველზე აცხადებთ, რომ „მელოდია-არტი“ „არტ-იმედის“ ინტერესების გამტარებელი კომპანიაა?

— მე არ ვამბობ, რომ „მელოდია-არტი“ ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნის, მაგრამ ფაქტია, რომ მისი პარტნიორია. ამაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ „ტელე-იმედი“ თავისი ჰიმნის ჩაწერას „მელოდია-არტს“ უკვეთს, რომელიც თავის მხრივ, „არტ-იმედის“ ვარსკვლავების სიმღერებს წერს. თუ ასეა, გამოდის, რომ ეს ორი კომპანია ერთმანეთის კონკურენტია, რადგან „მელოდია-არტიც“ ფაქტობრივად, საპროდიუსერო კომპანიაა. კონკურენტებს კი პარტნიორული ურთიერთობა არ შეიძლება ჰქონდეთ. არაფერს ვითხოვთ, გარდა იმისა, რომ მუსიკოსებს მისცენ თავიანთი საქმის კეთების საშუალება! ჩვენი პროექტი კი, დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად, მაინც განხორციელდება...

როგორც პრესკონფერენციაში მონაწილე მაია დათუნაშვილმა თქვა, „არტ-იმედი“ არანაირ კავშირში არ არის „მელოდია-არტთან“ და საერთოდ, მისთვის გაუგებარია, თუ რას ითხოვენ ნინო ქათამაძე და მისი პროდიუსერი „არტ-იმედისგან“ მაშინ, როცა პროექტი მათ სხვა კომპანიამ „ჩაუგდო“...

რას ედავებიან ბერეზოვსკი-დუბოვ-პატარკაციშვილის „ტრიუმვირატს“

მარტის დამლევიდან, რუსეთის გენერალური პროკურატურა გააფთრებით იბრძვის დიდ ბრიტანეთში მყოფი ორი ბიზნესმენის — ბორის ბერეზოვსკისა და იული დუბოვის ხელში ჩასაგდებად, რათა გაასამართლოს წლების წინ ჩადენილი მაქინაციებისთვის. ჯანონის უზენაესობით თავმომწონე დასავლეთის დემოკრატია საქმის არსის გამოწვლილვით შესწავლამდე, რუსეთის მართლმსაჯულებისთვის ოლიგარქების გადაცემას არ ჩქარობს. მსოფლიო პრესა ყურადღებით ადევნებს თვალყურს ლონდონის სასამართლოში მიმდინარე, საქმის შესწავლის პროცესს. ჩვენთვის კი, ეს ამბავი განსაკუთრებით იმითაა საინტერესო, რომ ამჟამად საქართველოში მცხოვრები და აქტიურად მიღვაწე ცნობილი ბიზნესმენი, ბადრი პატარკაციშვილი, ბერეზოვსკისა და დუბოვის კომპანიონი იყო. როგორც ცნობილია, რუსეთის მართლმსაჯულება მის ექსტრადიციასაც მოითხოვდა. ახალი სკანდალის ფონზე განსაკუთრებით საინტერესოა, თუ საკუთრივ რას ედავებიან ბერეზოვსკი-დუბოვ-პატარკაციშვილის „ტრიუმვირატს“. ამ კითხვაზე პასუხს რუსული პრესის ზოგიერთი პუბლიკაცია გვცემს.

თავის ადვოკატს კვერს უკრავს თავად ბერეზოვსკი

ბრალდების ფორმულირება ასეთია: „თაღლითობის გზით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის დატაცება“, რომელიც მათ თითქოს 1994-1995 წლებში ჩაიდინეს. გამოძიების ვერსიის თანახმად, ბრალდებულებმა (ასე მოიხსენიებს მათ გაზეთი Коммерсантი), რომლებიც სათავეში ედგნენ კომპანია ЛогоВАЗ-ს, მიითვისეს „ჟიგულის“ მარკის 2000-ზე მეტი ავტომობილის რეალიზაციიდან მიღებული 60 მლრდ არადენომინირებული რუბლი. გამოძიების ვერსიის თანახმად, ეს ავტომობილები, საგადასახადო შენატანის სახით, გაერთიანება АвтоВАЗ-მა გადასცა სამარის ოლქის ადმინისტრაციას, შემდგომ კი — არავინ უწყის, თუ რა გზით აღმოჩნდა ЛогоВАЗ-თან დაკავშირებული, კომერციული სტრუქტურების ხელში. როგორც რუსეთის გენერალური პროკურატურა იუწყება, ამონაგები თანხით კომპანიის ხელმძღვანელებმა შეიძინეს უძრავი ქონება და ტელეკომპანია ОРТ-სა და ჟურნალ Огонек-ის აქციები.

ბორის ბერეზოვსკის ადვოკატი სემიონ არია ირწმუნება, რომ მაშინ განხორციელდა არა უკანონო მაქინაცია, არამედ ურთიერთჩათვლები სამ სამეურნო სუბიექტს შორის და ამ დროს, ფიზიკურ პირებს არანაირი სარგებელი არ მიუღიათ. ამასთანავე, არც სამარის ოლქი მიიჩნევს თავს დაზარალებულად. მიუხედავად ამისა, რუსეთის გენერ-

ალური პროკურატურა ამ გარიგებას უკანონოდ მიიჩნევს, რის გამოც, 2002 წლის 6 აგვისტოს, სისხლის სამართლის საქმე აღძრა. იმავე წლის 15 ოქტომბერს, ბატონებს – ბერეზოვსკის, დუბოვსა და პატარკაციშვილს დაუსწრებლად წაუყენა ბრალდება, რის შემდეგაც, მოსკოვის ბასმანის რაიონულმა სასამართლომ მათი დაპატიმრების სანქცია გასცა, რომელიც 13 დეკემბერს კანონიერად ცნო მოსკოვის საქალაქო სასამართლომ.

გენერალური პროკურატურა სასამართლო სანქციასაც არ დაელოდა და ადვოკატ არიას თქმით, გასული წლის ოქტომბერშივე გააგზავნა ინგლისში, ინტერპოლის არხებით, ბორის ბერეზოვსკისა და იული დუბოვის ექსტრადიციის მოთხოვნა (როგორც ცნობილია, წერს „კომერსანტი“, ბადრი პატარკაციშვილი იმყოფება საქართველოში, რომელიც თავის მოქალაქეებს არავის არ გადასცემს). დეკემბერში, ანალოგიური ბრალდება ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც მიიღო. ადვოკატმა არიამ ჯერ კიდევ მაშინ განაცხადა, რომ მისი კლიენტების დაპატიმრება დიდ ბრიტანეთში სავსებით რეალური იყო.

როგორც ცნობილია, ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა ამ ორიოდე კვირის წინ, მოაწერა ხელი განკარგულებას ბორის ბერეზოვსკისა და იული დუბოვის ექსტრადიციის პროცესის დაწყების თაობაზე. კითხვაზე – თუ რატომ გაეცა პასუხი რუსეთის გენპროკურატურის მოთხოვნას რამდენიმეთვიანი დაგვიანებით? – ბრიტანეთის შს სამინისტროს პრესსამსახურმა განაცხადა, რომ „ამგვარი საქმეების წარმოება არასდროს ხდება ავტომატურად. აუცილებელია, აიწონოს ყველა არგუმენტი, რაც ბევრ დროს მოითხოვს“. ბერეზოვსკის ადვოკატმა დააზუსტა: „დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ, რუსეთის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, ეჭვმიტანილთა ბრალეულობის დამადასტურებელი არგუმენტები საკმარისად არ მიიჩნია და გამოძიების ხელთ არსებული, დამატებითი მასალები მოითხოვა. როგორც კი ეს დოკუმენტები მიიღო, დაიწყო ექსტრადიციის საქმის წარმოება“.

ბერეზოვსკი იხტიბარს არ იტეხს და გამოთქვამს იმედს, რომ მას რუსეთს არ გადასცემენ. მისმა მეორე ადვოკატმა, ალუნ ჯონსმა 2 აპრილს, ლონდონის სასამართლოში გამართულ, ე.წ. ტექნიკურ სხდომაზე, საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით განაცხადა: „აღნიშნული გარიგების ყველა დეტალი გამოქვეყნდა სამარის ოლქის ბიუჯეტში, ჯერ კიდევ 1996 წელს. მაგრამ რუსეთის პროკურატურამ ამ საქმეს მხოლოდ 5 წლის შემდეგ მიაპყრო ყურადღება. საქმის პოლიტიკური მოტივი აშკარაა – ჩემი კლიენტი ხომ, რუსეთის დღევანდელი ხელმძღვანელობის პოლიტიკური მტერია, რადგან ჩეჩნეთის ომის, სპეცსამსახურების როლის გაზრდისა და ძალაუფლების კონცენტრაციის წინააღმდეგ ილაშქრებს. ბოლო წლების მანძილზე, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ბორის ბერეზოვსკის ორი სატელევიზიო არხი – OPT და TB-6 ჩამოართვა, რაც ასევე ადასტურებს სისხლის სამართლებრივი დევნის პოლიტიკურ ხასიათს“. თავის ადვოკატს კვერს უკრავს თავად ბერეზოვსკი, რომელიც აცხადებს: „ეს საქმე მხოლოდ ერთი მიზეზითაა წამოწყებული – დეკემბერში დანიშნული საპარლამენტო არჩევნების გამო. ეს ადასტურებს ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მისწრაფებას, შემიზღუდოს მოქმედების შესაძლებლობა, მაგრამ მოვლენები ამის საპირისპიროდ განვითარდება: ამგვარი მცდელობები მხოლოდ აღვივებს ინტერესს ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობისადმი“.

სასამართლოს მომდევნო სხდომა 13 მაისისთვისაა დანიშნული. თუმცა, ისიც ტექნიკური იქნება და პროცესის დაწყების ვადას დაადგენს. როგორც ვარაუდობენ, ის ივნისის დამდეგისთვის დაინიშნება. მანამდე კი, მოსამართლე ტიმოთი უორკმანმა (რომელიც, სხვათა შორის, ჩეჩნეთის ერთ-ერთი ლიდერის, ახმედ ზაკაევის ექსტრადიციის საქმესაც უძღვება) პირობით გაათავისუფლა ბერეზოვსკი და დუბოვი (მათ გამოსასყიდი – 50-50 ათასი გირვანქა სტერლინგი შეიტანეს), თუმცა ლონდონიდან გასვლის უფლება არა აქვთ და გადაადგილების შესახებ ყოველდღე უნდა აცნობონ ინგლისის პოლიციას – სკოტლენდ-იარდს.

ბადრი პაგარკაციშვილი დასთან ერთად

საღ იბაღება ჭორები ცნობილთა სექსუალურ ორიენტაციაზე?

ნათქვამია — ჭორი ისეთი რამ არის, კაცმა ყურები რომ დაიცოს, ნესტოებიდან შეაღწევსო... ჭორის მსხვერპლნი უმეტესად, ცნობილი ადამიანები არიან. ყველაზე პოპულარულ ჭორად კი, ისევ რჩება ესტრადის ვარსკვლავების, ტელეწამყვანების, ე.წ. ელიტარების პირადი ცხოვრების წვრილმანები. მათზე გავრცელებული ხმებიდან, ყველაზე მეტ აჟიოტაჟს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის თემა იწვევს ხოლმე. საიდან იღებს სათავეს ასეთი ხმები, როგორ მოქმედებს ის თვითონ ცნობილებზე და რამდენად ტოლერანტულია ჩვენი საზოგადოება ჭორის მსხვერპლთა მიმართ? — ამ საკითხებზე გვესაუბრებიან ცნობილები — მსახიობი ბორის წიფურია, მწერალი ლაშა ბულაძე და ფსიქოლოგი მარიკა კაჭარავა.

ნანა ქიბიშაური

— ბატონო ბორის, ამბობენ, ცნობილები თვითონვე იგონებენ ხოლმე ჭორებს საკუთარ თავზე, რათა უფრო დიდხანს შეინარჩუნონ პოპულარობაო. თქვენ არასოდეს მიგიმართავთ ამ ხერხისთვის?

ბორის წიფურია:

— არა მგონია, ასე იყოს. ცნობილ ადამიანებს ხალხი უვრცელებს ჭორებს. ჩემ შესახებ ისეთ რაღაცებს ამბობდნენ, რომ მე თვითონაც ინტერესით მიკითხავს: მერე რა მოხდა, როგორ დამთავრდა ჩემი ამბავი-მეთქი?.. ერთხელ თქვეს: წიფურია გემით მოგზაურობისას, ბერმუდის სამკუთხედში მოხვდა და დაიღუპაო. ეს ხმა მთელ თბილისში გავრცელდა. მაშინ უთქვამს გიგა ლორთქიფანიძეს: ბორისმა ალბათ ის გემი გაყიდაო... გივი სიხარულიძეც მომიგონა ჭორი: ბათუმიდან მოდიოდა წიფურია და ავარიაში დაიღუპაო. ისე შეიცხადეს თურმე ქუთაისელმა ქალებმა... პირველ აპრილსაც მომიგონეს ჭორი — თითქოს მე და ელენე თევდორაძე დავქორწინდით. გეფიცებით, არც ერთი მათგანი არ არის ჩემი მოგონილი.

— ტრაგიკული სიკვდილის შესახებ ჭორი მალე გაქარწყლდება, მაგრამ რა ქნას იმ ხალხმა, რომელთაც ცისფერობას სწამებენ?

— ღმერთმა დაიფაროს, რომ საქართველოში მართლა იმდენი ცისფერი იყოს, რამდენის შესახებაც მსგავსი რამ მოგვისმენია! მაგრამ ვერც იმას უარვყოფთ, რომ ასეთი ხალხი მართლაც მომრავლდა და ბევრ შემთხვევაში, ხმები მათი არატრადიციული ორიენტაციის შესახებ მართლაც არ არის ჭორი. რესტორანში ვქეიფობდით ამას წინათ. ჩემს ზურგს უკან მხიარული ხმები ისმოდა. ახალგაზრდები ქეიფობდნენ. ისე მხიარულობდნენ, რომ ჩემს თანამეინახეებს ვუთხარი: აი, რას ნიშნავს ახალგაზრდობა, როგორ ატარებენ დროს-მეთქი... ერთი საათის შემდეგ, ბიჭები ერთად გავიდნენ სადღაც, გოგონები კი, ერთმანეთს ეცეკვებოდნენ. მათი შემხედვარე, კინაღამ ჭკუიდან შევიშალე...

— უმეტესად, ასეთი ხმები ხელოვან ხალხზე ვრცელდება ხოლმე...

— მეც ხშირად მომისმენია, მსახიობები სექსუალურ ცხოვრებაში არასტაბილურები არიანო. უბრალოდ, ისინი პოპულარულები არიან და მათ პირად ინტიმში შეჭრას ბევრი ცდილობს.

— ამას წინათ, საქვეყნოდ განაცხადეთ, რომ მამაკაცებმა ერთმანეთი აღარ უნდა გადაკოცნონ და მხოლოდ მხარზე ხელის მოთათუნებით შემოიფარგლონ. ცისფერების შესახებ მოძალებულმა ჭორებმა ხომ არ გიბიძგათ ასეთი დასკვნისაკენ?

— არა, ამის გამო არ მითქვამს — ეპიდემიის შემეშინდა და იმიტომ. ხომ შეიძლება, ადამიანი დასნებოვნებული იყოს „ჰონკონგის ვირუსით", ჩამოვიდეს საქართველოში უცხოეთიდან, გადაკოცნოს კაცები და გადასდოს ვირუსი? ჩვენი წინაპრები არ კოცნიდნენ ერთმანეთს. მთელი მსოფლიო მაქვს მოვლილი და არსად მინახავს, რომ მამაკაცები შეხვედრისას ერთმანეთს კოცნიდნენ. ტრადიციულად, ქართველები ერთმანეთს მისალმების ნიშნად, მხარს მხარზე ურტყამდნენ. ეს არ სჯობს კაცების კოცნაობას? ამაზრზენი სანახავია, როცა ორი ვაჟკაცი ტუჩებით მიეჭრება ერთმანეთს... ფონია ისეთი, რომ როცა ეს განცხადება გავაკეთე და მხარდაჭერა ვითხოვე, ხალხს გაუკვირდა. ხალხი ხომ ყოველდღე უყურებს, ჩვენი მთავრობის წევრები ჯერ როგორ კოცნიან ერთმანეთს და მერე, თანამდებობიდან ხსნიან...

— ბევრი რამ, რასაც ტელეკომპანიები უჩვენებენ, ხელს უწყობს იმას, რომ ჩვენი საზოგადოება უფრო ტოლერანტული გახდეს თუნდაც, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანების მიმართ... თქვენი აზრით, საით მივყავართ ტელეეკრანზე სარეკლამო თუ მუსიკალურ კლიპებსა თუ ფილმებში მოჭარბებულ ეროტიკულ სცენებს?

— მსოფლიოში არატრადიციული სქესობრივი ორიენტაციის მიმდევრები კატასტროფული სისწრაფით მრავლდებიან. მთელ მსოფლიოს მოედვნენ. ჩვენთანაც არიან. ჩემს სიყმაწვილეში, სულ სამი ცისფერი იყო — ორი, ცნობილი ხელოვანი და ერთი კიდევ, აკორდეონზე უკრავდა... უცხოელები გარყვნილები არიან და მათი პროდუქციაც რყვნის ახალგაზრდობას — რეკლამები, მუსიკალური კლიპები, ფილმები, რომელიც ყოველგვარი ცენზის გარეშე შემოდის ჩვენთან. ბრაზილიაში ვიყავი. იქ არის ერთი ხუთკილომეტრიანი ქუჩა, სადაც მხოლოდ ჰომოსექსუალისტები დგანან. გავაჩერეთ მანქანა და მოვიდა ერთი ქერათმიანი, „ზღაპარი" გოგო. შემოყო თავი მანქანაში და ენა დაატრიალა, წამწამები აიფახულა. ჩემ გვერდით მყოფი მეუბნება:

ჰა, რას იტყვი, მოგწონს ეს ვაჟბატონიო? — შენ რა, ქართული დაგავიწყდა-მეთქი? — ვკითხე. — ეს კაცია, ბორის — დააკვირდი ხელის თითებზე და მუხლებზეო. — რას ამბობ, ბიჭო? — შეხედე, რა მკერდი აქვს-მეთქი!.. ამასობაში გაიხადა იმ შეჩვენებულმა ქალმა თუ კაცმა. მოვკიდე მკერდზე ხელი და — ოჰო-ჰოო, — აკვნესდა... მთელი ღამე არ მძინებია, კინაღამ ჭკუიდან შევიშალე. იცით, რა ხდებოდა იმ ქუჩაზე? ახლა რომ ამბობენ — ცირკთან ქალებიც დგანან და კაცებიცო, — ლამის გული გამისკდეს.

ლაშა გულაძე:

— თუ ადამიანი საკუთარ თავს ჭორს უვრცელებს, ე.ი. მას ფსიქოლოგიური პრობლემა აქვს. ისე, ჩემთვის, რაიმე ახალი ამბის მოსმენა და მერე მოყოლა სასიამოვნო პროცესია, განსაკუთრებით თუ ეს ჭორი ცნობილი ადამიანის ცხოვრებას ეხება. მაგრამ ზოგჯერ ისეთ ჭორს გავიგებ, რომ ვიტყვი: ენას მართლა ძვალი არა აქვს-მეთქი. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომ ჩემზე გავრცელებული ხმებისგან დავთრგუნვილვარ. აგრესიული ჭორები ზოგჯერ, ერთგვარი იარაღის როლსაც ასრულებს ხოლმე. გიორგი სანაიას შემთხვევას თუ გავიხსენებთ, გარკვეულმა სამსახურებმა გარკვეული მიზნით გაავრცელეს და გამოიყენეს ჭორი მის შესახებ და ის პროცესი, რომელსაც ტელევიზიით ვუყურებთ, სამარცხვინო სპექტაკლია და მეტი არაფერი. ეს არის პროცესი, რომელიც საზოგადოების დეგრადაციას ადასტურებს. ერთი წლის წინ, ჟურნალისტისგან შექმნა კერპი და მეორე წელს, უყურებდე სასამართლო პროცესს და მის შესახებ ათასგვარ სისაძაგლეს ისმენდე... მთელ მსოფლიოში არ არსებობს იმის პრეცედენტი, რომ დაზარალებული მხარე მკვლელს იცავდეს...

— ხომ არ ფიქრობთ, რომ რაც უფრო მეტი ადამიანის შესახებ გავრცელდება ხმები ჰომოსექსუალისტობის შესახებ, მით უფრო შემწყნარებელი გახდება საზოგადოება, თუ პირიქით — უფრო აგრესიულად განეწყობა „ეჭვმიტანილების“ მიმართ?

— ვფიქრობ, რომ ჩვენი საზოგადოება უკვე ტოლერანტულია და ცისფერების შესახებ ინფორმაციას ღიმილითაც კი ისმენს ხოლმე. მე მაქვს გარკვეული კომპლექსი ასეთ მამაკაცებთან ურთიერთობისას. უფრო სწორად, მიკვირს — როგორ შეიძლება ქართველი კაცისთვის ეს მისაღები იყოს?! როდესაც რომელიმე ჩემს ნაცნობზე ასეთ ჭორს ვიგებ, 2-3-წამიან შოკს განვიცდი. მერე კი, მდგომარეობიდან გამოვდივარ და ვამბობ: ეს სულერთია ჩემთვის — მისი საქმეა და სჯობს, მისი ორიენტაცია ფეხებზე დავიკიდო-მეთქი. მიუხედავად ამისა, მაინც მიმაჩნია, რომ ეს ანომალიაა. არსებობს ჰომოსექსუალისტთა მაფიები, მათ კარგად აწყობილი პროპაგანდისტული მანქანაც აქვთ, რომელიც ცდილობს საზოგადოებაში დანერგოს აზრი, თითქოს თუ ადამიანი ჰომოსექსუალისტი არ არის, ისე დიდ ხელოვნად ვერ ჩამოყალიბდება. საამისოდ ასახელებენ ჩაიკოვსკის, ლეონარდო და ვინჩისა და სხვა გამოჩენილ შემოქმედთა მაგალითებს. მაგრამ მინდა, მთელი საზოგადოების გასაგონად ვთქვა: თუ ხარ ხელოვანი, სულაც არ არის აუცილებელი, იყო ცისფერი, და თუ არ ხარ — არც ის არის აუცილებელი, პოპულარობის გახანგრძლივებისა და სენსაციური პიროვნების იმიჯის შესაქმნელად ცისფერობა დაიბრალო.

მარიკა კაჭარავა:

— ქალბატონო მარიკა, ღმერთმა დაგვიფაროს, ჩვენში მართლაც იმდენი ცისფერი და ვარდისფერი იყოს, რამდენის შესახებაც გვსმენია. მაგრამ ახლა სხვა პრობლემას მინდა შევეხო: ალბათ თვითონ ცნობილების ყურამდეც აღწევს ხოლმე მათ შესახებ გავრცელებული, მსგავსი ხმები, მაგრამ ჭორის გამო ხმამაღალი პროტესტი ჯერ-ჯერობით არავის გამოუთქვამს...

— ჭორი სოციალური ფენომენია და მას უამრავი დატვირთვა აქვს. დამახინჯებული ინფორმაცია ზოგჯერ, წინასწარი განზრახვით იქმნება და მანიპულაციის კარგ საშუალებას წარმოადგენს, რომელსაც სახელმწიფო სამსახურებიც წარმატებით იყენებენ ხოლმე. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ ადამიანზე ჭორის გავრცელება ნიშნავს იმას, რომ ამ პრობლემაზე ჯერ კიდევ არ არის ტაბუ მოხსნილი: საზოგადოება ცდილობს, შეინარჩუნოს მამაკაცის სექს-ტიპი, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში ტრადიციის შესაბამისადაა ჩამოყალიბებული. მაგრამ დღეს, როგორც არასდროს, ისე გამოჩნდა, რომ შემოქმედი და საერთოდ ნიჭიერი ადამიანების მიმართ საზოგადოება შემწყნარებელია: მაგალითად, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლები ბოლო წლებში გადაღებულ ფილმებში დადებით პერსონაჟებად გვევლინებიან; მუსიკოსს ან მომღერალს, რომელიც არ მალავს, რომ ცისფერია, უამრავი ფანი ჰყავს... მსოფლიოს ესტრადის ვარსკვლავებს შორის, ძალზედ ბევრია ფენოტიპურად (გარეგნულად) გაურკვეველი სქესის ადამიანი. მათი ნიჭის აღიარება საზოგადოებას ტოლერანტულს ხდის არა მარტო საკუთრივ მათდამი, არამედ მათი მსგავსი — ე.ი. შეცვლილი ორიენტაციის მქონე ინდივიდებისადმიც. ალბათ ამით არის გაპირობებული, რომ ჩვენშიც ბევრი ცნობილი ადამიანი, თუ ჟურნალ-გაზეთების საშუალებით არა, ახლობელთა წრეში მაინც დაუფარავად ლაპარაკობს თავისი სექსუალური მიდრეკილებების შესახებ. ასე რომ, ზოგიერთი მათგანის შესახებ მოარული ხმები სულაც არ არის ჭორი და ბუნებრივიცაა, რომ ისინი მსგავსი ინფორმაციის გამო პროტესტს საჯაროდ არ გამოხატავენ. რაც შეეხება ლესბოსურ კავშირებს — საქართველოში, ცისფერებთან შედარებით, ვარდისფერები მოკრძალებულად გამოიყურებიან და ეს ბუნებრივიცაა: მამაკაცებს შორის სექსუალურ კავშირს უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს, ვიდრე ვარდისფერებისას. აქედან გამომდინარე, საზოგადოება უფრო მკაცრია ასეთი ქალების მიმართ და ლესბოსელებიც უფრო გულმოდგინედ მალავენ თავიანთ ორიენტაციას, ვიდრე ცისფერები. დღეს, მსოფლიო შოუბიზნესში ყველაზე პოპულარულ ლესბოსურ წყვილად, რუსული დუეტის — „ტატუს“ წევრები, ლენა კატინა და იულია ვოლკოვა მიაჩნიათ. შეგვიძლია, მათ მაგალითზე განვიხილოთ — ამგვარი იმიჯი ხელს უწყობს თუ უშლის მათ პოპულარობის მოპოვებაში. ისინი არ მალავენ თავიანთ ორიენტაციას, ღიად საუბრობენ ამის შესახებ და მათი პოპულარობის ერთ-ერთ შტრიხს, სწორედ მათი გამბედაობა წარმოადგენს. მათი სკანდალური იმიჯი ასე ვთქვათ, „ბისექსუალურია“. კლიპები და ლესბოსური იმიჯი ბევრ მსმენელს თუ კრიტიკოსს აღიზიანებს. „ტატუმ“ ასევე განსხვავებული შეფასებები მიიღო დიდ ბრიტანეთში და დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც. ერთ-ერთმა ცნობილმა ახალგაზრდულმა ჟურნალმა რუს მომღერლებს „დღევანდელი დღის ყველაზე ცეცხლოვანი პოპვარსკვლავები“ უწოდა, მეორემ — „ორიგინალური და სრულიად ახალი რამ“. მაგრამ მეორე მხრივ, უარყოფითი გამოხმაურებაც ბევრი იყო. ამბობდნენ, რომ ეს ორი გოგონა „ავადმყოფია და ეს ყველაფერი ამაზრზენია“. დიდი ბრიტანეთის ორ პრესტიჟულ შოუზე მათი სიმღერა საერთოდ აკრძალეს. მაგრამ ამავე დროს, ვნახოთ, რა ხდება ჰიტ-აღლუმებში. ბელგიაში „ტატუ“ მე-4 ადგილზეა, საფრანგეთში — მე-2-ზე, გერმანიაში — მე-5-ზე; ბოლო დრომდე, ლიდერობდა: შვეიცარიაში, ესპანეთში, იტალიაში, სადაც მათი სინგლი უკვე ოქროს სინგლადაც იქცა; პირველ ხუთეულში შედის: აშშ-ში, შვედეთში, დანიაში, ნორვეგიაში; „ტატუს“ სიმღერებს სისტემატურად ატრიალებენ MTV-ზე... და მაინც — რატომ არიან ისინი სკანდალურად პოპულარულები? როგორც კომპეტენტური პირები ამბობენ და როგორც

რამდენჯერმე თვითონ გოგონებსაც უთქვამთ, მოსკოვში მათ ბოიფრენდები ჰყავთ და სავსებით ჩვეულებრივი, არალესბოსური სექსუალური ცხოვრება აქვთ. საკუთარ თავზე გავრცელებული სკანდალური ჭორი კი, მათ პოპულარობის მოსაპოვებლად სჭირდებოდათ... აღნიშნულ პრობლემაზე საუბრისას ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოების რადიკალურად უარყოფით დამოკიდებულებას დიდი ზიანის მიყენებაც შეუძლია იმავე საზოგადოებისთვის, რადგან ასეთ შემთხვევაში, ორიენტაციაშეცვლილები იძულებულნი იქნებიან, ფარულად ეძებონ ერთმანეთი და ცალკე, ჯგუფებად გაერთიანდნენ. მცირერიცხოვანი კასტა კი უფრო საშიშია, რადგან ის ძალაუნებურად, თითქოს საზოგადოებისადმი პროტესტის გამო გაერთიანდა და შესაძლოა, სხვებიც – ვისაც ადრე, აზრადაც არ მოსვლია ორიენტაციის შეცვლა და უბრალოდ, ასევე გარიყულად გრძნობს თავს ან პროტესტის სურვილი ამოძრავებს – შეიკედლოს და თავშესაფრად მოევლინოს...

— ნუთუ შეიძლება, ზოგადი პროტესტის გრძნობამ ისეთი რამ ჩაგადენინოს, რასაც სინამდვილეში არ ესწრაფვი?

– ეს გრძნობა სხვადასხვა ინდივიდში სხვადასხვაგვარად ვლინდება. ზოგი მაზოხისტურად ექცევა საკუთარ თავს და ფიქრობს, რომ ის, რასაც ჩაკეტილ ოთახში სჩადის, არავისი საქმე არ არის – ნარკოტიკის მიღება იქნება ეს, სხეულის მოსვირინგება თუ თავისივე სქესის ადამიანთან სქესობრივი კავშირის ნებაყოფლობით დამყარება... პანკები, ჰიპები, ცისფერები, ვარდისფერები – ყველანი თავიანთი მიკროსამყაროს შექმნას ცდილობენ, მაგრამ ამას იმ ფორმით აკეთებენ, რომ იმავე საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცნენ. ბევრი, არაორდინარულ ნაბიჯებს სწორედ იმიტომ დგამს, რომ პოპულარობა მოიხვეჭოს, თუნდაც ამ გადაწყვეტილებამ მისი ზნეობის შესახებ მთლად კარგი აზრი არ ჩამოაყალიბოს. ასე რომ, გამორიცხული არ არის, რომ ზოგიერთი ცნობილი, პოპულარობის გახანგრძლივების მიზნით (თუ შენზე ჭორაობენ – ე.ი. გცნობენ), მართლაც, თვითონვე იგონებდეს და ავრცელებდეს ჭორს საკუთარი – სექსუალური შესაძლებლობების, ან არატრადიციული ორიენტაციის შესახებ. ეს მიუღებელია ჩვენი მამების თაობისთვის, მაგრამ ტინეიჯერები, რომლებიც სულ სხვა ინფორმაციული შემოტევის ხანაში ყალიბდებიან, კმაყოფილდებიან მხოლოდ ინფორმაციით იმის შესახებ, თუ ვინ როგორია და როგორიცაა – კარგია ეს თუ ცუდი – ამაზე ფიქრით თავს არ იწუხებენ. ორ თაობას შორის თავისუფლების ხარისხი მკვეთრად განსხვავებულია: ახალი თაობა ხშირად, სწორედ ნორმიდან გადახვევაში ეძებს თავისუფლებას. მაგრამ ვისაც სქესობრივი ორიენტაციის შეცვლა თავისუფლებისკენ გადადგმული ნაბიჯი ჰგონია – ძალზედ შემცდარა! არსებობს ასეთი გამოთქმა: თავისუფალი ხარ მაშინ, როდესაც პატივს სცემ სხვის თავისუფლებას, მაგრამ ასე რომ მოიქცე, მიხვდები, თუ რამდენად შეზღუდული ხარ...

— მაგრამ დინების საწინააღმდეგოდ ცურვას, ეტყობა, თავისებური აზარტი ახლავს თან...

– ყოველ ადამიანს აქვს თვითდამკვიდრების სურვილი. ყოველ ადამიანს აქვს გამეფებული დოგმების მიმართ შინაგანი პროტესტის გრძნობა. ეს ხშირ შემთხვევაში, რაღაც ეტაპზე ხდება, მერე კი, იწყება შეგუების პერიოდი. მაგრამ თუ ეს პროტესტის განცდა ადამიანს ქრონიკულად ექცა, ამას დადებითი შედეგიც შეიძლება მოჰყვეს და უარყოფითიც...

დაბოლოს – რას ფიქრობენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები?

მანანა, *სკოლის მასწავლებელი, 25 წლის:*

– მე ვფიქრობ, საზოგადოებამ ხმა უნდა ამოიღოს – ბოლოს და ბოლოს, ვიღაცამ ხომ უნდა თქვას, საით მივდივართ?! იცით, სად არის ამ უბედურების სათავე? ამ თაობას არ ჰყავს ზნეობრივი გმირი...

ვაჟა, *სტილისტი 25 წლის:*

– სტილისტ ბიჭებზე რატომღაც, ადვილად ვრცელდება ხოლმე ხმები მათი არატრადიციული ორიენტაციის შესახებ. ამგვარი ურთიერთობა ჩემთვისაც შემოუთავაზებიათ და საღამოს საათებში, ლოყაზე პწკენაც კი უცდია ვითომდა ვარცხნილობის შესარჩევად შემოსულ კლიენტს. ამას წინათ მქონდა ასეთი შემთხვევა და ერთს კინაღამ ფენი ვთხლიშე თავში. საერთოდ, ბევრ ჩემს მეგობარზე გამიგონია ასეთი ჭორი. თუმცა, ისე – ვის ეკითხება, ვინ როგორია?! როგორც იტყვიან ხოლმე – ყველამ თავის... მამიდას მოუაროს!.. საერთოდ, თუ დაბანილი, კარგად დავარცხნილი და გემოვნებით ჩაცმული ხარ, უკვე ეჭვის თვალით გიყურებენ... ბნელეთია და უსაქმურ ხალხს ოღონდ სალაპარაკო მიეცი...

იოსები, *ფილოლოგი, 64 წლის:*

– გახსოვთ, ხომ – ჰიტლერმა ნარკომანები რომ ჩასხა გემში და ზღვაში ჩაძირა? აი, ეს არის ზედგამოჭრილი, ცისფერებისა და ვარდისფერებისთვის! ჩემი ნება რომ იყოს, ყველას გავასახლებდი საქართველოდან.

მაგდა, *სტუდენტი, 20 წლის:*

– ამას წინათ, ჩემმა მეზობლებმა ერთი კაცი დაიჭირეს და ისე სცემეს, რომ კინაღამ მოკლეს: ერთ-ერთი სახლის სარდაფში მაწანწალა ბიჭის შეცდენას ცდილობდა თურმე... ჩვენს ერთ-ერთ ლექტორზეც ამბობენ: ჩათვლებსა და გამოცდებზე, სტუდენტ ბიჭებს შინ იბარებსო... საერთოდ, ამ პრობლემას ასაკოვანი ხალხი უფრო განიცდის, ვიდრე ახალგაზრდობა... მე მგონია, რომ ხშირად, არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია რაღაც სულელური ფანტაზიორობის შედეგია. ფანტაზიორობა კი იმას სჩვევია, ვისაც საქმე არა აქვს. ასე რომ – დაასაქმონ ჩვენი თაობა და ყველაფერი თავ-თავის ადგილას დადგება...

ირაკლი, *32 წლის, უშიშროების თანამშრომელი:*

– ჩემი ინფორმაციით, თბილისში, ელიტარების გასართობად „ლესბიანკების“ ორი ჯგუფი მუშაობს. საკმაოდ ლამაზი გოგონები არიან. როგორც ისინი ამბობენ, მათი ხშირი სტუმარია ძალიან ცნობილი კაცის ძალიან ცნობილი ნათესავი. მაგრამ ის ლესბოსურ ორგიებში უშუალოდ კი არ მონაწილეობს – მხოლოდ იმის ცქერით კმაყოფილდება, თუ როგორ ეალერსებიან გოგონები ერთმანეთს და ერთ სეანსში საკმაოდ დიდ თანხასაც იხდის.

ბეჟა, *15 წლის, მოსწავლე:*

– მე ქართულ ცეკვებზე დავდივარ. ჩოხას რომ ჩავიცვამ, თავი სულ სხვა ადამიანი მგონია... ის, ვინც ხალხურ სიმღერას მღერის და ქართულ ჩოხაში გამოწყობილი ცეკვავს, არასოდეს გახდება ჰომოსექსუალისტი... ■

ტრაგედია ქორწილში

ბიძაშვილების ჩხუბმა 16 წლის ზვიადის სიცოცხლე იმსხვერპლა

2001 წლის 11 ნოემბერს, ბალდათის რაიონის სოფელ დიმში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ლილუაშვილების ოჯახში გამართული ქორწილი და ლხინი ბოლოს, არაერთი ადამიანის სისხლის დაღვრითა და 16 წლის ზვიადი ლილუაშვილის მკვლელობით დასრულდა. სუფრასთან, ნათესავებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი ქუჩაში გაგრძელდა და საბოლოოდ, ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. შელაპარაკება ქალის შეურაცხყოფის გამო მოხდა. ამ დროს, მოჩხუბრებთან ზვიადი მიიჭრა, მან ძმისთვის მოღერებული დანა შენიშნა და რაღაც წამებში, მის წინ გაჩნდა. ზვიადი უფროს ძმას აეფარა და დანით მიყენებული საბედისწერო ჭრილობა თავად მიიღო...

ყველაფერი სოფელ დიმში მცხოვრები, მერაბ ლილუაშვილის ქალიშვილის — რიტას გათხოვებით დაიწყო. შემთხვევამდე რამდენიმე თვით ადრე, რიტა თავისი ბიძაშვილის ოჯახში სტუმრად იმყოფებოდა, როცა ის მასპინძლის ბიძაშვილმა — კობა პერანიძემ ცოლად მოყვანის მიზნით მოიტაცა. რიტა კობასთან დარჩა, მისი მშობლები კი ამ ამბავს ვერ ეგუებოდნენ. მათ სიძე არ მოსწონდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, იძულებულები გახდნენ, ბედს შერიგებოდნენ და ბოლოს, სიძეპატარძალს ქორწილიც გადაუხადეს.

2001 წლის 11 ნოემბერი, ქორწილის მეორე დღე იყო. თამადა, რიტას ბიძაშვილის ქმარი — ზაზა პერანიძე გახლდათ. თუმცა მეორე დღეს, მასპინძელმა სუფრის გაძღოლა რიტას ბიძას — ამირან ლილუაშვილს სთხოვა.

ყარამან ლილუაშვილი, მოწმე (რიტა ლილუაშვილის ძმა):

„სმის დროს, ამირანის სიძემ — ზაზამ ჩემს დას ხუმრობით უთხრა: შენს მშობლებს ახლაც არ სჯერათ, რომ კობას შენი ნებით გაჰყევიო. ეს სიტყვები ბებიაჩემმა იწყინა და თქვა: ამის შესახებ მეტი აღარაფერი თქვათო...“ მაგრამ ზაზას ნათქვამს ამირან ლილუაშვილისა და სხვების შეპასუხება მაინც მოჰყვა. რიტას მშობლებს ქალიშვილის გათხოვებით გამოწვეული უკმაყოფილება გაახსენდათ და ეს გამოხატეს კიდეც. კამათში სხვა ნათესავი ქალებიც ჩაერივნენ, მათ შორის — ამირან ლილუაშვილის ბიძაშვილი, მაია ლილუაშვილიც. მან ზაზა პერანიძეს უსაყვედურა: ეს ყველაფერი შენ წამოიწყე და მეტი აღარაფერი თქვა, თორემ ინანებო. სიძის მისამართით ნათქვამი სიტყვები ამირან ლილუაშვილმა იწყინა და მაიას უხეშად, თანაც შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა.

მაია ლილუაშვილი ქმართან გაყრილი გახლდათ. ორი შვილის დედამ, ამდენი ხალხის წინაშე შეურაცხყოფა ვერ აიტანა, გრაფინს დაავლო ხელი და უნდოდა, ის ბიძაშვილისათვის ესროლა, მაგრამ გვერდით მდგომმა სტუმრებმა შეაჩერეს. სწორედ ამ მომენტში, ოთახში მისი ძმა, ბადრი ლილუაშვილი შემოვიდა. დამ მას შესჩივლა — ამირანმა წარმოუდგენელი შეურაცხყოფა მომაყენაო. განაწყენებულმა ბადრიმ ბიძაშვილს პასუხი მოსთხოვა.

ყარამან ლილუაშვილი:

„მაშინ ღვინის გრაფინს ბადრიმაც წამოავლო ხელი, მაგრამ არ უსვრია. ამირანმა მაიას მისამართით, სიტყვები — ვაგონის ბოზი ხარო — გაიმეორა.

ბადრიმ მას უთხრა: ჩემი და კიდეც რომ იყოს ისეთი, შენ მაინც არ უნდა თქვა, რადგან მისი ბიძაშვილი ხარო. ამირანმა კი უპასუხა: მაია რომ არ არის პატიოსანი, ამას დაგიმტკიცებო. მაშინ ბადრიმ გრაფინი დასარტყმელად მოიმარჯვა, მაგრამ ის ხელიდან მას მამაჩემმა გააგდებინა“.

ბიძაშვილებს შელაპარაკება მოუვიდათ. გინებას ფიზიკური შეურაცხყოფა მოჰყვა, მაგრამ აღგზნებული, ნასვამი მოჩხუბრების დაშოშმინება სტუმრებმა და ოჯახის წევრებმა როგორღაც მოახერხეს.

ამ უსიამოვნო ინციდენტის შემდეგ, ამირან ლილუაშვილმა ცოლ-შვილთან და სიძესთან ერთად, იქაურობა დატოვა და შინისკენ წავიდა. რაც შეეხება ბადრი ლილუაშვილს, ის ქუჩაში გავიდა და ერთ-ერთ მეზობელს ავტომანქანით შინ წაყვანა სთხოვა. მეზობელმა — ნოდარ გელხუიძემ მას უარი უთხრა, რამაც ისედაც გაბრაზებული ბადრი ლილუაშვილი კიდევ უფრო გააღიზიანა. გამომძიებლის თქმით, ლილუაშვილმა მძღოლს რამდენჯერმე მუშტი დაარტყა, ამასაც არ დასჯერდა, მანქანას მიაუხლოვდა და საქარე მინა ძლიერი დარტყმით გაბზარა.

ბადრი ლილუაშვილი შინისკენ ფეხით წავიდა. ამავე დროს, შინ მისი და — მაია ლილუაშვილიც ბრუნდებოდა. მაიამ ამირან ლილუაშვილი შენიშნა, რომელიც საკუთარ ჭიშკართან იდგა და კვლავ ჩხუბი დაუწყო. ჩხუბში მათი ოჯახის წევრებიც ჩაერივნენ. ხმამაღალი ლაპარაკისა და ყვირილის ხმა ბადრი ლილუაშვილმაც გაიგონა. იფიქრა, რომ ამირანი და მისი სიძე — ზაზა პერანიძე ისევ შეურაცხყოფდნენ მის დას და, როგორც აღნიშნული საქმის გამომძიებელი გვამცნობს, მათი მოკვლა განიზრახა.

პროკურატურის ვერსიით, ბადრი ლილუაშვილი მკვლელობის მიზნით, ორი დანით შეიარაღდა და ბიძაშვილის სახლისკენ გაემართა. მიუახლოვდა თუ არა ამირანს, მას დანა ორჯერ ჩაარტყა ზურგში. დაჭრილი ამირანი წაიქცა. ბადრიმ იფიქრა, რომ ის გარდაიცვალა და დანამომარჯვებული ახლა ზაზა პერანიძისკენ წავიდა. მას იქვე მყოფი, ზაზას უმცროსი ძმა — ზვიადი გადაეღობა. ბადრიმ მისი მოგერიება გადაწყვიტა და დანა მას გულმკერდში, მარცხენა მხარეს ჩაარტყა.

ამის შემხედვარე, ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა ბადრის ქვა ესროლა. ქვა მას თავში მოხვდა, რის შედეგადაც მსუბუქი დაზიანება მიიღო, თუმცა ამის გამო, როგორც გამომძიებელი დასძენს, მან ზაზა პერანიძისკენ წასვლა და მისი დაჭრა ვეღარ მოახერხა, იქაურობა საჩქაროდ დატოვა და მიიმალა.

შემთხვევის ადგილზე მყოფნი მაშინვე, დაჭრილ ზვიად პერანიძეს მისცვივდნენ, მანქანაში ჩასვეს, რათა საავადმყოფოში წაეყვანათ, მაგრამ დახმარება ვეღარ მოასწრეს: ზვიადი გზაში გარდაიცვალა.

მომხდარი ამბიდან ათი დღის შემდეგ, 21 ნოემბერს, იმერეთის საოლქო პროკურატურაში ბადრი ლილუაშვილი გამოცხადდა და დანაშაული აღიარა. უფრო სწორად, ისიც თქვა, რომ ზვიად პერანიძე გაუფრთხილებლობით მოკალიო.

ბადრი ლილუაშვილმა გამომძიებლის წინაშე აღნიშნა, რომ ამირან ლილუაშვილის სახლთან მისვლისას, ორმხრივი ჩხუბი გაჩაღდა, რა დროსაც მას მოწი-

ნააღმდეგის მოგერიება მოუხდა. ბრალდებულმა უარყო ის ფაქტი, რომ ის დანით ხელში, პირველი მიუვარდა ბიძაშვილს. ორმხრივი ჩხუბის ფაქტს ჩვენებებში ზოგიერთი მოწმეც ადასტურებს, თუმცა გამომძიებელმა დანაშაულის კვალიფიკაციის განსაზღვრისას, ეს არ გაიზიარა.

ბადრი ლილუაშვილი (წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებიდან)*:*

„ამირანმა სუფრასთან ყოფნის დროს, ჩემს დას შეურაცხყოფა მიაყენა. იმ მომენტში, ის ფეხზე იდგა და მაიას ზუსტად ასეთი სიტყვებით მიმართა: შენი ქალობაც ითქმება, იტყვიანო... ჩემი სიძე იტყვის, რომ შენ ბოზი ხარ, ამას მე და ჩემი სიძე დაგიმტკიცებთო. მისი შეურაცხყოფით გულმოსულმა, მაგიდაზე მუშტი დავარტყი და თან შევაგინე ამირანს. ამირანი ჩემკენ წამოიწია. ვეცადე, უსიამოვნება ამერიდებინა თავიდან და პირიქით, დამემშვიდებინა, რომ ოჯახში ჩხუბი და აუგებრობა არ მომხდარიყო. გაღებული ფანჯრიდან გადავედი და ბიძაჩემის – მერაბ ლილუაშვილის სახლი დავტოვე. ქუჩაში პატარა ჭიშკრიდან გავედი. იქვე თეთრი „ჟიგული“ შევნიშნე. მანქანაში მძღოლი იჯდა, მეც მის გვერდით დავჯექი და ვთხოვე, ცოტათი წინ გამიყვანე-მეთქი. მძღოლს სიტყვაც არ დაუძრავს. მივხვდი, რომ ის არსად არ წამიყვანდა და მანქანიდან გადავედი. მძღოლზე გული მომივიდა და განერვიულებულმა, ავტომანქანის საქარე მინას ხელი დავარტყი. მინა გაიბზარა.

ჩემი სახლის ეზოში შევედი და შევნიშნე, რომ ოჯახის წევრები შინ არ იყვნენ. უცებ ჩემი დის – მაიას განწირული ყვირილის ხმა შემომესმა: „რა გინდათ? თავი დაგვანებეთ!“ ხმა ჩემი ბიძაშვილის – ამირანის სახლის მხრიდან მოდიოდა... მისი სახლისკენ წავედი... დავინახე, რომ 10-15 ადამიანი იყო შეკრებილი. გინება და ქალების წივილ-კივილი მესმოდა. უცებ, ამირანის პატარა ჭიშკრის ახლოს, ძირს დაგდებული შავტარიანი, გასაშლელპირიანი, თანაც დაჟანგული დანა შევნიშნე. ავიღე ის და დავიყვირე: გაჩერდით-მეთქი! პასუხად ამირანმა შემაგინა, ჩემკენ გამოექანა, მოხრილი, წელში შემომივარდა და მთელი ძალით მომიჭირა ხელი სათესლე ჯირკვლებზე. გამწარებულმა დანა, რომელიც მარჯვენა ხელში მეჭირა, მას ზურგში, ბეჭის არეში ჩავარტყი. ის მაინც არ მანებებდა თავს. მეორედაც დავარტყი, კვლავ იმ ადგილას. მაშინ ამირანმა ხელი გამიშვა. ამ მომენტში, ყურადღება იქითკენ გადავიტანე, სადაც ზაზა და ზვიად პერანიძეები იდგნენ. დავინახე, რომ მათ მამაჩემი წაექციათ. ინსტინქტურად, ჯიბიდან საკუთარი გასაშლელი ჯაყვა ამოვიღე და მათკენ გავემართე. ამ დროს, ნოდარ ლილუაშვილმა ქვა მესროლა. თავში მომხვდა და სისხლი წამომივიდა. სწორედ მაშინ ვიქნევდი დანას. მოულოდნელად, ჩემ წინ ზვიად პერანიძე აღმოჩნდა. მოქნეული დანა მას მოხვდა. რომ დავინახე, ზვიადს სისხლი წამოუვიდა, გავჩერდი და სახლისკენ წავედი...“

პროკურატურამ ბადრი ლილუაშვილის ჩვენება არ გაიზიარა. საქმის გამოძიების შემდეგ კი, მას განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობაში, ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობასა და სხვისი ნივთის დაზიანებაში დასდეს ბრალი.

ბადრი ლილუაშვილი 1970 წელსაა დაბადებული. იგი უცოლშვილოა და წარსულში, ერთხელ, ქურდობისთვის გახლავთ ნასამართლევი. მის მიმართ აღძრულ, სისხლის სამართლის საქმეს ამჟამად, უზენაესი სასამართლოს კოლეგია განიხილავს. ლილუაშვილს სასამართლოსთვის ჩვენება ჯერჯერობით არ მიუცია, სავარაუდოდ, თავის სიტყვას ის მოწმეთა დაკითხვის შემდეგ იტყვის.

■

მეგობარმა მეგობარი დანით შემთხვევით მოკლა

დაღუჯულის დედის თქმით კი, საქმე განზრახულ დანაშაულთან გვაქვს

ეს ფაქტი 1997 წლის 27 ნოემბერს, ქალაქ რუსთავში მოხდა. 25 წლის ჯონი ასანაშვილი მილიციაში რიგით თანამშრომლად მუშაობდა. მორიგეობა რომ დაასრულა, მეგობართან – თემურ კეკენაძესა და თანამშრომელთან – დავით კალაიჯიშვილთან ერთად, ავტომანქანით შინ წავიდა. ჯონიმ დედას უთხრა: ბიჭებს დალევა გვინდაო, – და შინიდან 3 ბოთლი შამპანური წაიღო. ჯონის დედის – ნანული ასანაშვილის თქმით, ეს დაახლოებით დღის ორი საათისთვის მოხდა, ოთხ საათზე კი მას აცნობეს – ჯონი მავთულზე დაეცა, დაიჭრა და საავადმყოფოში წაიყვანესო.

ნანული ასანაშვილი შვილის სანახავად მაშინვე საავადმყოფოში წავიდა. ექიმებს დაჭრილი, უკვე საოპერაციოში შეეყვანათ. აღმოჩნდა, რომ ჯონის აორტა ჰქონდა გადაჭრილი, ვერაფრით უშველეს და ის იქვე, საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა.

მომხდარის გამო ქალაქ რუსთავის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. დააკავეს ეჭვმიტანილები, მათ შორის თემურ კეკენაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ჯონი გაუფრთხილებლობით მოკლა მან. პროკურატურამ კეკენაძის მიმართ საქმე ამავე მუხლით აღძრა.

ბრალდებულის თქმით, იმ დღეს ავტომანქანის – „ჟიგული 2107“-ის საჭესთან თავად იჯდა. უცებ, მას წინა მაშუქების შეკეთება დასჭირდა, დანა აიღო და მანქანიდან გადავიდა. იმ დროს, როცა მაშუქს აკეთებდა, უკნიდან მას ჯონი მიუახლოვდა, მოულოდნელად „ბა“-ო დაუძახა, მან კი, ინსტინქტურად, დანიანი ხელი მოიქნია. დანა ჯონის სხეულში მოხვდა.

გარდაცვლილი ჯონი ასანაშვილი

საქმე, თავდაპირველად, რუსთავის სასამართლომ განიხილა, მაგრამ გამოძიების მასალებში გაურკვეველი დეტალები დაფიქსირა და იგი დამატებით გამოსაძიებლად, კვლავ პროკურატურას დაუბრუნა. ამის შემდეგ, ჩადენილი დანაშაული თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ განიხილა. მოსამართლემ თემურ კეკენაძის ჩვენება გაიზიარა და დანაშაულისათვის მას 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ასეთი განაჩენით უკმაყოფილო დაზარალებულმა საჩივრით საოლქო სასამართლოს მიმართა. შედეგად, საქმე კვლავ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ განიხილა და კეკენაძეს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

თემურ კეკენაძეს ამჟამად, დანიშნული სასჯელის მოხდამდე მხოლოდ 3 თვე და 3 დღე დარჩა. იგი პატიმრობის ამ ვადის პირობითი სასჯელით შეცვლასა და ციხიდან გათავისუფლებას ითხოვს. საოლქო სასამართლომ მისი ასეთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, ხოლო რას იტყვის უზენაესი სასამართლო, რომელსაც მსჯავრდებულმა იმავე მოთხოვნით მიმართა – რამდენიმე დღეში გაირკვევა.

დაღუპულის დედა კეკენაძის საჩივარს მხარს არ უჭერს. უფრო მეტიც – მისი თქმით, პროკურატურა, ისევე, როგორც სასამართლო, განსასჯელს მეტისმეტად ლმობიერად, დაზარალებულის ოჯახს კი – უსამართლოდ მოექცა.

ნანული ასანაშვილი:

„რამდენი წელია ამ საქმეზე დავდივარ, მეტი აღარ შემიძლია. შვილმოკლული დედა ვარ, საშინლად განადგურებული და კიდევ რა ძალამ შემაძლებინა ამდენი, არ ვიცი. მინდოდა, შვილის მკვლელობის გამო, სამართლიანობისთვის მიმეღწია და დამნაშავე საკადრისად დასჯილიყო, მაგრამ ვერ შევძელი. ისიც კი ვერ გავიგე, რა მოხდა სინამდვილეში. ჩემი შვილი და თემური დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. მათ შორის არანაირ შუღლსა და კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია. ამიტომაც ვფიქრობ, რომ თემურს ჯონის მოკვლა განზრახული არ ექნებოდა. მაგრამ, ცხადია, ის სიმართლეს არ ამბობს. არც ისეა საქმე, როგორც თემური აღწერს – დანა შემთხვევით მომიხვდაო. ჯერ ერთი, შემთხვევით მოქნეულმა დანამ შვილი ასე საშინლად როგორ დამიჭრა? მეორეც – თემურს, ჩემთან პირადი საუბრისას და სასამართლოშიც არაერთხელ წამოსცდა, რომ შემთხვევის ადგილას მეორე ავტომანქანით სხვა ბიჭებიც იყვნენ. ეს ბიჭები საერთოდ გაქრნენ; საქმეში მარტო თემური, დათო და ჩემი შვილი ფიგურირებენ. აშკარაა, რომ პროკურატურამ დანარჩენებს ხელი დააფარა და არა მარტო პროკურატურამ, არამედ თემურმაც. არაობიექტურობას ისიც მოწმობს, რომ საქმე პირველივე დღეს, გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობის მუხლით აღიძრა, რაც კანონის დარღვევაა. კეკენაძემ კი თქვა – შემთხვევით დავჭერიო, – მაგრამ პროკურატურამ რა იცოდა, ის თუ მართალს ამბობდა?! ამ სიტყვებს ხომ სათანადო გამოძიება და დადასტურება სჭირდებოდა. საქმე ჯერ განზრახ მკვლელობის მუხლით უნდა აღეძრათ, შემდეგ კი, თუ გაუფრთხილებლობა დადასტურდებოდა, შეცვლიდნენ. ამ პრეტენზიით პროკურორთან რომ მივედით, ასე გვითხრა: სად იყავით აქამდე, ასე თუ გინდოდათო?!. მაინც თავისი გაიტანეს, დღეს კი მსჯავრდებულს ციხეში ჯდომაც არ უნდა...“

■

ნათესავმა 12 წლის გოგონა ჯერ გააუპატიურა, შემდეგ ყელში დანა ჩაარტყა

2003 წლის 1 აპრილს ღამით, გლდანის მე-7 მიკრორაიონში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში შემზარავი დანაშაული მოხდა: 47 წლის, ცოლშვილიანმა და ორჯერ ნასამართლევმა კახა ონიაძემ თავისი ნათესავი – 12 წლის გოგონა ჯერ გააუპატიურა, შემდეგ კი სამჯერ ჩაარტყა ყელის არეში დანა. გოგონა სასწაულებრივად გადარჩა. დამნაშავის ვინაობა სამართალდამცავებს მანვე აცნობა.

იმ ღამით, გოგონა შინ მარტო იყო. ადრეულ ასაკში დედით დაობლებული, მამასთან ერთად ცხოვრობდა. მამამისი შინ არ იყო, როცა კარზე კახა ონიაძემ დააკაკუნა. გოგონამ კარი დაუფიქრებლად გაუღო, რადგან ონიაძე მათ სახლში ხშირად სტუმრობდა. როცა ონიაძე დარწმუნდა, რომ მოზარდი შინ მარტო იყო, მისი გაუპატიურება გადაწყვიტა. საბრალო გოგონამ დაყვირებაც ვერ მოახერხა, ბუნებრივია, ვერც წინააღმდეგობა გაუწია დამნაშავეს. ონიაძემ კი, თითქმის გონებადაკარგული მოზარდის მოკვლაც განიზრახა. სამზარეულოში პურის საჭრელი დანა იპოვა და სამჯერ ჩაარტყა იგი მსხვერპლს, შემდეგ კი, იქაურობა საჩქაროდ დატოვა.

მეზობლებს ბინიდან უცნაური ხმაური კი გაუგონიათ, მაგრამ რატომღაც არავის მოჰფიქრებია, რომ მათი ჩარევა შეიძლებოდა საჭირო ყოფილიყო. როგორც თავად ამბობენ, ასეთ საზარელ ამბავს ვერ წარმოიდგენდნენ. თუმცა ბოლოს, ერთ-ერთმა მათგანმა შენიშნა, რომ ბინის კარი ღია იყო, შევიდა და სისხლით მოსვრილი, გონწასული გოგონა რომ დაინახა, შეჰკივლა. ხალხმა მოზარდი მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანა. საბედნიეროდ, ის ცოცხალია. მიყენებული ჭრილობებიდან არც ერთი არ აღმოჩნდა სასიკვდილო და ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს. მოსულიერებული გოგონა ყელში დაზიანებების გამო ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ ჩვენების დაწერა მაინც მოახერხა და დანაშაულში კახა ონიაძე ამხილა.

როგორც გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურორმა, ლენა კაპანაძემ გვითხრა, კახა ონიაძის დაკავება სამართალდამცავებმა მეორე დღესვე შეძლეს. მან დანაშაული აღიარა. „როცა მივხვდი, რაც ჩავიდინე, ბავშვის მოკვლა გადავწყვიტე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ის მომხდარის შესახებ ყველას ეტყოდა. ამიტომაც სამზარეულოში გავედი და დანა ავიღე. კისერში სამჯერ ჩავარტყი. მკვდარი მეგონა და იქიდან წავედი“, – უთხრა მან პროკურატურის თანამშრომლებს დაკითხვისას.

■

რაგომ მუშაობდა ტაქსის მძღოლად ლევან გაჩეჩილაძის მეუღლე

ნინო გაჩეჩილაძე 15 წელია, რაც მანქანას მართავს და იმის მიუხედავად, რომ სისწრაფე და რისკი ძალიან უყვარს, დღემდე საავარიო სიტუაციაში არ მოხვედრილა. შიშის გრძნობა კი არასდროს უჩნდება, რადგან სჯერა — ღმერთი დამიფარავს ამგვარი ხიფათისგანო. მანქანასთან დაკავშირებით ნინოს ბევრი რამ აქვს მოსაგონარი — სასიამოვნოც და უსიამოვნოც. 15 წლის მანძილზე, რა მარკის მანქანა აღარ „მოუსინჯავს“, მაგრამ ახალთახალი ავტო არასდროს ჰყოლია. შარშან ეს სურვილიც აისრულა და „ტოიოტას“ ფირმის პატარა და კომფორტული ჯიპი იყიდა.

ნინომ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ თბილისში საჭესთან ჯდომა უკვე ნერვების მომშლელია და არანაირ სიამოვნებას აღარ ანიჭებს. ამის მიზეზი კი, ჩაბნელებული ქუჩები, დაზიანებული გზები და ფეხით მოსიარულეები ყოფილან...

ნინო ჯავახიშვილი

— ბავშვობიდან მქონდა სურვილი, საკუთარი მანქანა მყოლოდა. დედაჩემი კარგად მართავდა მანქანას. მაშინ იშვიათობა იყო ქალი საჭესთან. ვუყურებდი ხოლმე დედაჩემს და მომწონდა, საჭეს ოსტატურად რომ ატრიალებდა... 15 წელია, რაც მძღოლი ვარ და უმანქანობას ალბათ ძნელად შევეგუები. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ამას, რამდენი პლუსიც აქვს, იმდენივე მინუსი მოეძებნება.

— მაინც რა?



ქალაქის ქუჩებშიც კი ვახერხებ ხოლმე დიდი სიჩქარით მოძრაობას

— ყველაზე ცუდი ის არის, რომ ფეხით აღარ დავდივარ, რაც ჯანმრთელობისთვის სასარგებლო არ არის. ამავე დროს, მანქანის წყალობით, ერთ დღეში უამრავ საქმეს ვაგვარებ. სანამ მანქანა მეყოლებოდა, დედაჩემზე ვიყავი დამოკიდებული და ყოველთვის მას ვთხოვდი ხოლმე — აქ წამიყვანე, ამა და ამ ადგილიდან ამა და ამ საათზე წამომიყვანე-მეთქი, — და ა.შ.

— პირველად რომ მიუჯექით საჭეს, რა გრძნობა გქონდათ?

— მახსოვს, რომ ძალიან ვნერვიულობდი. ქალაქის ქუჩებში ჩემი პირველი დამოუკიდებელი გასვლა მშვიდობიანად დამთავრდა. ადვილად ავითვისე ყველაფერი, მაგრამ მიჭირდა ორ მანქანას შორის ჩემი მანქანის დაყენება. 4-5 დღის ნასწავლი მქონდა მართვა. მეგობართან ვიყავი და ეზოში რომ ჩამოვედით, აღმოჩნდა, რომ ჩემი „ნივის“ ორივე მხარეს მანქანები იდგა. „ნივის“ გამოყვანის პირველივე ცდა მარცხით დამთავრდა, რადგან გვარიანად გავეხახუნე სხვის მანქანას. კარგა ხანს ველოდი, როდის გამოჩნდებოდა დაზარალებული, რომ ამეხსნა, რა მოხდა...

— თქვენი მასწავლებელი ვინ იყო?

— ჩემი მეგობრის მეუღლე — მიშა გიორგაძე. ზუსტად ისე დაგყავს მანქანა, როგორც მეო, — მეტყოდა ხოლმე.

— ეი. როგორ?

— მიშა ძალიან დიდი სისწრაფით დაქროდა და ამას გულისხმობდა — სისწრაფე მეც მიყვარს. ქალაქის ქუჩებშიც კი ვახერხებ ხოლმე დიდი სიჩქარით მოძრაობას. შიშით კი, საერთოდ არ მეშინია.

— მეუღლე არ გტუქსავთ ამის გამო?

— იცით, რაშია საქმე? როდესაც მე და ლევანი ერთად მივდივართ სადმე, საჭესთან ყოველთვის თვითონ ჯდება. აქედან გამომდინარე, არ იცის, როგორ დავდივარ. როდესაც მანქანაში ლევანის გვერდით ვზივარ, ინსტინქტურად სულ მუხრუჭს „ვაჭერ“ ხოლმე ფეხს და შენიშვნას ვაძლევ; ფრთხილად იარე, ლევან, ფრთხილად-მეთქი! — სულ ამას გავიძახი. ალბათ თვითონ როცა ზიხარ საჭესთან, მაშინ უფრო თავდაჯერებული ხარ და გგონია, რომ უფრო უსაფრთხოდ მართავ მანქანას, ვიდრე სხვა.

— გამოდის, რომ ლევანს ჯერ არ უჭამია შიში იმის გამო, რომ სისწრაფე გიყვართ?

— არა, ისე გიჟივით კი არ დამყავს მანქანა, რომ ვინმე დავაზიანო ან ვინმეს შიშისგან გული გავუხეთქო. 15 წლის მანძილზე, ავტოავარიაში არასდროს მოვხვედრილვარ. ერთხელ ასეთი რამ შემემთხვა: მეგობრებთან ერთად კაფეში შევედი, მანქანა კი ისე დავაყენე, რომ კაფედან შემძლებოდა, თვალყური მედევნებინა მისთვის. უცებ ვხედავ, რომ მანქანა დაიძრა, ავარდა ტროტუარზე, ხეს დაეჯახა, მერე დაღმართზე დაგორდა და სხვა მანქანას შეეჯახა. აღმოჩნდა, რომ ჩემს

„ალფა-რომეოს“ ვიღაცა დაეჯახა და გვარიანადაც დაამტვრია. საბედნიეროდ, მაშინ არავინ იჯდა მანქანაში, თორემ შეიძლებოდა, ეს ამბავი ცუდად დამთავრებულიყო. გული დამწყდა, რადგან ის „ალფა-რომეო“ ძალიან მიყვარდა. იმ მანქანაში, რომელსაც ჩემი მანქანა შეეჯახა, ბავშვი იჯდა. პატარა კოპი დააჯდა შუბლზე – ეს იყო და ეს.

— როდესაც თვითონ არაფერს აშავებთ, მაგრამ სხვა მძღოლი იქცევა ცუდად — ეი. მოძრაობის წესებს არღვევს და ამით თქვენ ზარალდებით — როგორი რეაქცია გაქვთ ხოლმე?

– ძალიან ვბრაზობ და ამას გაბმული სიგნალით გამოვხატავ ხოლმე. საერთოდ, თბილისის ქუჩებში უკვე ძალიან ძნელია მანქანის მართვა. ჩაბნელებული ქუჩები და „იამკები“ დიდ სიძნელეებს უქმნის მძღოლს. ფეხით მოსიარულეებს უნდა აარიდო მანქანა, „იამკებს“ უნდა აარიდო და ამასობაში შეიძლება, ვიღაცას შეეჯახო კიდეც. ამიტომაც დაძაბული ვზივარ საჭესთან, რაც ძალიან დამღლელია.

— მამაკაცები ხშირად ამბობენ, რომ ქალი საჭეს არ უნდა მიაკარო, რადგან მას სწრაფი რეაქციის უნარი არა აქვსო...

– არაფერიც! ასე არ არის! მამაკაცები ამას ტყუილად ამბობენ – არადა, ხშირად, თვითონ არღვევენ მოძრაობის წესებს და თანაც, ძალიან უხეშადაც!

— საუბარში მითხარით, რომ ბევრი მანქანა გყავდათ. მაინც რა მანქანები გამოიცვალეთ?

– პირველად „ნივა“ მყავდა. ლევანმა მირჩია „ნივის“ ყიდვა – უფრო გამძლე და უსაფრთხოა. ჰოლანდიაში რომ ვცხოვრობდით, მაშინ „აუდი“ ვიყიდეთ, მერე – „ალფა-რომეო“, იტალიური „ფიატი“... იმიტომ კი არ ვიცვლიდი მანქანებს, რომ ვამტვრევდი ან მბეზრდებოდა, უბრალოდ, ყველა მანქანა გამონაცვალი იყო და ამის გამო ხშირად, შუა გზაშიც კი გამფუჭებია. ეს ჯიპი კი, ჯერ ერთი წლისაც არ არის. შარშან სექტემბერში ვიყიდე. პატარაა, კომფორტული და თან დიზაინიც მომწონს. ლევანის რჩევას ვენდე – ჯიპი ამ გზებზე სასიარულოდ უფრო მოსახერხებელია და უფრო გამძლეცო.

— საერთოდ, მანქანით ბევრს მოძრაობთ?

– შეიძლება ითქვას, რომ მთელი დღე ვმოძრაობ. რადგან მანქანა მყავს, არსად წასვლა არ მეზარება – გინდ თოვლი იყოს და გინდ წვიმა.

— ვინმეს თუ ათხოვებთ ხოლმე საკუთარ მანქანას?

– ვერავის ვანდობ ჩემს მანქანას – მეგობრებიდან დაწყებული, საკუთარი შვილით დამთავრებული, იმიტომ, რომ თითქმის ყველამ მხოლოდ „ავტომატიკის“ მართვა იცის.

— საზღვარგარეთ რომ ცხოვრობდით, იქაც თვითონ იჯექით საჭესთან? არ გიჭირდათ მოძრაობა?

– სხვათა შორის, იქ უფრო ადვილია მოძრაობა, რადგან წესებს არავინ არღვევს, წითელ შუქზე არავინ გადაირბენს და ა.შ. ერთადერთი, რაც მაშინებდა, ეს იყო ველოსიპედისტების ბილიკი: თავიდან, შეუჩვეველი რომ ვიყავი, ძალიან ვფრთხილობდი, განსაკუთრებით მოსახვევებში, რომ მათ ბილიკზე არ გადავსულიყავი და ვინმე არ დამეშავებინა. ერთხელ, მანქანა ქუჩაში დავტოვე და სადღაც შევედი. გამოსვლისას შევამჩნიე, რომ უკანა ნომერი აღარ ჰქონდა. ვიფიქრე: ალბათ აქ არ შეიძლებოდა მანქანის გაჩერება და ნომერი პოლიციელმა მომიხსნა-მეთქი, – მაგრამ გაირკვა, რომ თურმე მოუპარავთ. ბელგიაში კი, თუ რომელიმე ნომერი არ გაქვს, ერთ მეტრსაც ვერ გაივლი. პოლიციამ სპეციალური ავტომობილი გამოიძახა და იმით წაიღეს ჩემი მანქანა. ახალი ნომრების აღება ხანგრძლივი პროცესია – თითქმის ორი თვე მომიხდა დაცდა. ბავშვები სკოლაში დამყავდა და ძალიან გამიჭირდა უმანქანოდ. ჩვენი მეზობელი ტაქსის მძღოლი იყო. რომ გაიგო, რა გაჭირვებაშიც აღმოვჩნდი, თავისი ძველი ტაქსი მათხოვა და მთელი ორი თვე იმ მანქანით დამყავდა ბავშვები სკოლაში.

— ეი. ტაქსის მძღოლადაც გიმუშავიათ ბელგიაში, არა?

– ჰო, ასე გამოდის. ძალიან ძველი მანქანა იყო, დიზელი იღვრებოდა, თან უსაშველოდ ხმაურობდა რაღაც. ამას ისიც ემატებოდა, რომ რაცია ეყენა და ორი თვის მანძილზე, სულ რაღაც გადაძახილ-გადმოძახილები მესმოდა.

— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ან საწვავი გაგთავებიათ შუა გზაზე, ან მანქანა გაგფუჭებიათ?

– რამდენჯერაც გინდათ, იმდენჯერ გამფუჭებია მანქანა, მაგრამ ვინც კი დამინახავდა, ყველა მეხმარებოდა ხოლმე. საწვავის ჩასხმა ნამდვილად არ მავიწყდება, სამაგიეროდ, ყოველთვის შინ მრჩება ხოლმე საბუთები. პრინციპში, მოწესრიგებული და წესიერი მძღოლი ვარ. მოძრაობის წესებს არ ვარღვევ, მიყვარს მანქანის მოვლა, თვითონ მიმყავს ხოლმე ავტოსამრეცხაოში. აი, მანქანის შიგა მოწყობილობისა კი, არაფერი გამეგება.

— მოგზაურობა თუ გიყვართ საკუთარი მანქანით?

– ძალიან, ძალიან მიყვარს! ქალაქში მოძრაობას მირჩევნია, სადმე შორს წავიდე. თავისუფლად რომ მიქრიხარ გზაზე, ამას რა სჯობს?! საგურამოში რომ ვცხოვრობდით, მაშინ უფრო ხშირად მიწევდა ქალაქგარეთ მანქანით გასვლა. საზღვარგარეთ უფრო მეტს ვმოძრაობდი – ჰოლანდიიდან ბელგიაში, გერმანიაში, უპრობლემოდ დავდიოდი.

— დაბოლოს, ის ამბავი მომიყევით, ლევანმა სიურპრიზად როგორ გაჩუქათ ერთ-ერთი მანქანა.

– ეს იყო სწორედ ის „ალფა-რომეო“, რომელმაც ასე ტრაგიკულად დაასრულა „სიცოცხლე“. ისე დაიმტვრა, რომ მის აწყობას აზრი აღარ ჰქონდა და ისევე, ხელუხლებლად გავყიდეთ. ის მანქანა ლევანმა სამი წლის წინ, დაბადების დღეზე მაჩუქა. იცოდა, რომ ძალიან მომწონდა „ალფა-რომეო“. მაშინ საგურამოში ვიყავი მეგობრებთან ერთად. ლევანმა მითხრა: გარეთ დგას მანქანა, რომელიც მოგწონსო... ქუჩაში გავედით და „ალფა-რომეო“ დავინახე. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა, ან კი ვის არ უხარია, საჩუქარს რომ უძღვნიან?!. ■

არაფერიც! ასე არ არის! მამაკაცები ამას ტყუილად ამბობენ

უკვე სამ კვირაზე მეტია, რაც მსოფლიო შეშფოთებული ადევნებს თვალყურს უცნაურ დაავადებას, რომელიც პნევმონიას ჰგავს. ჟურნალისტებმა მას ხან სიკვდილის ვირუსი უწოდეს, ხან მომაკვდინებელი მიკრობი, ხან კიდევ უხილავი მკვლელი. ავადმყოფობა ბოლოს და ბოლოს გამოიცნეს, მიანიჭეს კვალიფიკაცია და დაადგინეს, რომ იმთავითვე სათანადოდ ვერ შეაფასეს მისგან მომდინარე საფრთხე.

ვირუსი ქვეყანას მოედო

უცნობი დაავადების საიდუმლო

„ის კვირაც ჩვეულებრივად დაიწყო, — იხსენებს პროფესორი ენდრიუ ბერგი — უელსელი პრინცის ჰონკონგური კლინიკის ქირურგი. — ახლა მახსენდება, რომ ზოგიერთი ჩემი კოლეგა საკმაოდ დაქანცული და დასუსტებული იყო, თუმცა მაშინ ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ახლა ბევრი მათგანი სიცოცხლის შესანარჩუნებლად იბრძვის. ჩვენ შორის უხილავი მკვლელი ტრიალებს. და არც ერთმა ჩვენგანმა არ იცის, თუ რას მოასწავებს ახალი დღე...“ ასე იწყება თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე სენსაციური ამბავი.

დაავადების შესახებ, რომელიც ჩვეულებრივი გაცივების მსგავსად იწყებოდა, მაგრამ უსწრაფესად გარდაიქმნებოდა პნევმონიის უმძიმეს ფორმად, პირველად ჰონკონგელმა ექიმებმა აცნობეს გაზეთებს: ჰონკონგში მუდმივად მცხოვრები ამერიკელი ბიზნესმენი ვიეტნამში გაემგზავრა და გრიპის დიაგნოზით, საავადმყოფოში მოხვდა. ჰანოის კლინიკაში გატარებული რამდენიმე დღის შემდეგ, ის ჰონკონგში დააბრუნეს, სადაც გარდაიცვალა. ამასობაში, ჰანოიში დასნეულდნენ ექიმები, რომლებიც ბიზნესმენის მკურნალობაში მონაწილეობდნენ.

ამ ამბავმა აღგილობრივი და უცხოელი კორესპონდენტების ყურადღება ერთი მიზეზის გამო მიიქცია: ბიზნესმენის უხეიროდ მკურნალობაში დადანაშაულებულმა ჰონკონგელმა ექიმებმა განაცხადეს, რომ პაციენტი გრიპისგან კი არა, დღემდე უცნობი დაავადებისგან დაიღუპა. დახმარებისა და რჩევისათვის ჰონკონგელმა ექიმებმა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას მიმართეს. მან ჰონკონგელ მედიკოსთა ყველა დასკვნა გაიზიარა და გამოაცხადა, რომ მსოფლიო ახალი საფრთხის, საკუთრივ — უცნობი დაავადების წინაშე აღმოჩნდა, რომელიც არავინ უწყის, საიდან ჩნდება და რა გზით გადაეცემა. „ჩვენ ჯერ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, თუ რასთან არ გვაქვს საქმე, — აღნიშნავდა ერთ-ერთი ექსპერტი, რომელიც მსოფლიო ორგანიზაციამ საიდუმლოს ამოსახსნელად მიიწვია. — ეს არც გრიპია და არც ჩვეულებრივი ფილტვების ანთება“.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა ეპიდემიოლოგიური განგაში და მსოფლიოს ყველა ქვეყანას მიმართა მოწოდებით: დაუყოვნებლივ აცნობოს მას ჟენევის შტაბბინაში ახალი დაავადების ყველა შემთხვევის შესახებ; ამათანავე, აღნიშნულ სნეულებას გრძელი და შიშის მომგვრელი სახელი მიანიჭა — „მძიმე, მწვავე რესპირატორული სინდრომი“.

აზიის ფარგლებს მიღმა მომხდარი პირველი შემთხვევის შესახებ ცნობა კანადიდან მოვიდა. 78 წლის ქალი, ტორონტოელი სუი ჩუ კვანი, რომელიც ჰონკონგიდან დაბრუნდა, გრიპის დიაგნოზით საავადმყოფოში დააწვინეს. სულ ცოტა ხანში, კლინიკაში მთელი მისი ოჯახის მოთავსება გახდა საჭირო. თავად ჩუ კვანი და მისი ვაჟიშვილი გარდაიცვალნენ.

ყოველდღე, აღნიშნული სინდრომით დაავადებულთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდებოდა. ერთ კვირაში, ერთი და იგივე დიაგნოზი რამდენიმე ათეულ ქვეყანაში დაფიქსირდა — კანადიდან — ფილიპინებამდე, შვეიცარიიდან — ისრაელამდე სულ 150-ზე მეტი ადამიანი აღმოჩნდა საავადმყოფოში. თუმცა, დასნეულებულთა საერთო რიცხვი 500-ზე მეტი შეიძლებოდა ყოფილიყო: გაირკვა, რომ ჩინეთში ეპიდემია ჯერ კიდევ შარშანდელი ნოემბრიდან მძვინვარებდა და მის მომაკვდინებელ ძალაზე უკვე ლეგენდები დადიოდა. ამ სინდრომით დაავადებულ პირველ ადამიანს — გუანდუნის პროვინციაში მცხოვრებ 10 წლის ბიჭს კი „სიკვდილის იმპერატორს“ ეძახდნენ: მისგან დაავადება 10-ზე მეტ ადამიანს გადაეცა, რომელიც მასავით გამოესალმა წუთისოფელს.

ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ექსპერტთა თქმით, ამ სნეულებისგან არც რაიმე წამლით განკურნება იყო შესაძლებელი და არც რაიმე საშუალებით გარანტირებულად თავდაცვა. „ამ დაავადებისგან თავს ვერაფრით დაიცავ. ერთადერთი საშუალება, ყველასგან იზოლაციაში მოქცევა და განდეგილად ცხოვრებაა“, — იმეორებდნენ გაზეთები და ტელეკომპანიები ბრიტანელი პროფესორის, ჯონ ოქსფორდის სიტყვებს. ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ სასიკვდილო დაავადების გამომწვევის გამოსავლენად შესაძლოა, რამდენიმე წელიწადიც კი დასჭირვებოდათ. „რამდენადაც ვიცი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტები შიშობენ, რომ ეს დაავადება ისეთივე სასიკვდილო შეიძლება გახდეს, როგორიც 1918 წლის გრიპის ეპიდემია იყო“, — ნათქვამი იყო ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრის, ჰელენ კლარკის განცხადებაში.

მსოფლიო ნამდვილმა პანიკამ მოიცვა. აეროპორტებში სანიტარული ზღუდეები შექმნეს, მგზავრებს, რომლებსაც იოტისოდენა გაცივების ნიშნებს შეატყობდნენ,

თვითმფრინავებიდან პირდაპირ საგანგებოდ მოწყობილ იზოლატორებში ათავსებდნენ. ასე გაგრძელდა 20 მარტამდე – მანამდე, სანამ ჰონკონგიდან არ მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ მომაკვდინებელი დაავადების საიდუმლო გახსნილია.

ცნობილი დაავადების საშიშროება

„მძიმე, მწვავე რესპირატორული სინდრომის“ მიზეზი ე.წ. paramyxoviridae-ს ოჯახის ვირუსი აღმოჩნდა – იმის მსგავსი, რომელიც წითელას და ყბაყურას იწვევს. ამავე ოჯახს ეკუთვნის აგრეთვე უამრავი სხვა ვირუსი, რომელიც ფილტვების სხვადასხვაგვარ ინფექციასა და დაავადებას იწვევს. ამავე ჯგუფს განეკუთვნება აგრეთვე ორი პათოგენი, რომელმაც თავის დროზე, დღევანდელზე არანაკლები პანიკა გამოიწვია.

1998 წელს, მალაიზიის ჩრდილოეთით ენცეფალიტის ეპიდემიამ იფეთქა. 265 დაავადებულიდან 105 გარდაიცვალა. მეცნიერებს რამდენიმე კვირა დასჭირდათ იმის დასადგენად, რომ ვირუსს ერქვა nipah და ის paramyxoviridae-ს ოჯახს მიეკუთვნებოდა. 1998 წლამდე მეცნიერებს მიაჩნდათ, რომ ეს ვირუსი ვერაფერს აკლებდა ადამიანს და მხოლოდ ღორისთვის იყო საშიში.

სინდრომის გამომწვევი ვირუსის დადგენისთანავე, მედიკოსებმა ახალი დაავადების მოულოდნელი აფეთქების მიზეზთა დადგენაც მოახერხეს. თურმე პირველი ავადმყოფები – მათ შორის, ინკოგნიტო ამერიკელი ბიზნესმენი და კანადაში მცხოვრები კორეელი ქალი – ჰონკონგში ერთსა და იმავე სასტუმროში, მეტიც – ერთსა და იმავე სართულზე ცხოვრობდნენ. ვარაუდობენ, რომ მათ სწორედ იქ შეეყარათ სნეულება. „ალბათ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათ იქ გუანდუნიდან ჩასულ ვიღაც ადამიანთან ჰქონდათ კონტაქტი“, – ამბობენ ჰონკონგელი ექიმები.

ახლა ბევრი ექიმი ირონიულად ლაპარაკობს საყოველთაო პანიკაზე. როგორც კი საიდუმლო გაიხსნა, შიშმაც იკლო, მედიკოსებს კი, ალბათ შერცხვათ კიდეც თავიანთი გაზვიადებული შეფასებებისა. „თავიდანვე ნათელი იყო, რომ პანიკისთვის არანაირი საფუძველი არ არსებობდა“, – განაცხადა პარიზელმა ვირუსოლოგმა ჟაკ მოსტოვუამ. მას შეეხმიანა ბრიტანელი კოლეგა რობერტ პრატი: „ელემენტარული გონიერება გვკარნახობს დასკვნას: თუ ისეთ მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანაში, როგორიცაა ჩინეთი, ეპიდემიის მსხვერპლთა რიცხვი 350 კაცს შეადგენს, არანაირი საფუძველი არ გვაქვს, დაავადებას მეტისმეტად გადამდები ვუწოდოთ“.

იმ ქვეყნების რიგი, რომელშიც ახალი დაავადება გამოვლინდა, თანდათან შემცირდა, რადგან ბევრი სიგნალი არ დადასტურდა. ამან ავტომატურად გამორიცხა 1918 წლის ეპიდემიის გამეორების ვარაუდი.

დაბოლოს, ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ არც ის შეეფერება სინამდვილეს, თითქოს სრულიად ახალ დაავადებასთან გვაქვს საქმე. „უნდა ვივარაუდოთ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, განსაკუთრებით ჩინეთში, ეს დაავადება ადამიანებს, 10, 20 და შეიძლება, 100 წლის წინათაც შეჰყრიათ, – ამბობს ექიმი ლოიდ ბეიკერი, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა ამ რეგიონში. – უბრალოდ, არავის მოსვლია აზრად, რომ ეს ახალი დაავადება იყო. მას გრიპად ან ფილტვების ანთებად მიიჩნევდნენ და ამის შესაბამისად მკურნალობდნენ“.

ახლა, ექიმების აზრით, ყველაზე დიდი საფრთხე, რაც ამ სნეულებას ახლავს თან, მის გარშემო ატეხილი პანიკაა. როგორც გაირკვა, ის არც ყველაზე საშიში, არც ყველაზე გადამდები და არც ყველაზე გავრცელებულია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მისით კვლავ სნეულდებიან და იღუპებიან კიდეც. უკვე ნახსენები პარიზელი ექიმი მოსტოვუა ამბობს: „ფაქტია, რომ აღმოჩენილია დაავადება, რომლის საფუძვლიანად შესწავლა და მისგან განკურნების საშუალების მოძებნა ჯერ კიდევ წინაა...“

P.S. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მარტის დამლევისთვის, გამოვლენილია „მძიმე, მწვავე რესპირატორული სინდრომით“ 264 სავარაუდოდ დაავადებული, დაიღუპა 10 ადამიანი. თუმცა, სხვადასხვა წყარო სხვადასხვა მონაცემს ასახელებს. ზოგი მათგანის მტკიცებით, სიკვდილიანობის მაჩვენებელმა აპრილის პირველი რიცხვებისთვის უკვე 50-ს მიაღწია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ექიმთა ზემოთ მოყვანილ, ზოგიერთ კომენტარს იმის შესახებ, რომ თვით აღნიშნული დაავადების უტყუარი დიაგნოსტიკა არასრულყოფილია, ნებისმიერი მონაცემი ეჭვის ქვეშ შეიძლება დადგეს.

ვირუსის მთავარი კერებია: ჰონკონგი, ვიეტნამი, კანადა.

სიმპტომები. ვირუსის დაავადების პოტენციურ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს: მაღალი (38 გრადუსს ზემოთ) ტემპერატურა, მშრალი ხველება და გაძნელებული სუნთქვა. დამატებითი სიმპტომებია: თავისა და კუნთების ტკივილები, დაღლილობა, მადის დაკარგვა, გამონაყარი. უეჭველი წინაპირობაა, მსგავსი სიმპტომების გაჩენა, ამ ვირუსით დაავადებულთან კონტაქტიდან 10 დღის მანძილზე.

უსაფრთხოების ზომები. თუმცა სინდრომის გამომწვევი პათოგენი დადგენილია, მეცნიერებმა ჯერ ვერ შეიმუშავეს დაავადების განკურნების ეფექტური მეთოდები. ამიტომ, სიმპტომების გაჩენისთანავე, აუცილებელია დაუყოვნებლივ ექიმთან მისვლა და რენტგენოსკოპიური გამოკვლევის ჩატარება. ■

ცისანა სეფიაშვილი ქალაქი კატოს „პროფესიონალურ „იავნანას“ მიუძღვნის...

სულ ცოტა ხნის წინ, სეფიაშვილების ოჯახს დიდი სიხარული ეწვია: ცისანას მეორე შვილი შეეძინა. „ლეჩკომბინატის“ ტერიტორიაზე მდებარე სამშობიაროში, ცისანას ყოლეგისა და მეგობრის – ლიზა ბაგრატიონის გინეკოლოგი მეუღლის დახმარებით, პატარა ყატო ზაქარეიშვილი მოევლინა ქვეყანას....

დედა-შვილი უკვე შინაა. ცისანას ტელეფონით მივულოცე ქალიშვილის გაჩენა და რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა ვთხოვე. ბედნიერი დედა იმდენად იყო გართული ოჯახური საქმიანობით, რომ სახელდახელო ინტერვიუსთვისაც ძლივს მოიცალა.

ლიკა ლუბენეცი

— **ცისანა, ვის ჰგავს პატარა კატო?**

— მე მგონია, რომ მამას და ბაბუას უფრო ჰგავს, ვიდრე მე, იმიტომ, რომ შავგვრემანია. სხვათა შორის, ჩემი პირველი შვილი — გიორგიც არ მგავს. როგორც ჩემმა მეუღლემ შენიშნა, ჩემი შვილები მე არ მემსგავსებიან...

— **მძიმე მშობიარობა ხომ არ გქონდა?**

— როგორც ლიზას მეუღლემ აღნიშნა, „კლასიკური მშობიარობა“ მქონდა. ზუსტად ვერ გეტყვით, რას ნიშნავს ეს ტერმინი, მაგრამ გართულებები არ მქონია. თუმცა, ქალებმა კარგად ვიცით, რომ მშობიარობა იოლი არასდროს არის, მაგრამ როდესაც ამის „შედეგს“ ხედავ, ყველაფერი გავიწყდება და უზომოდ ბედნიერი ხდები...

— **ახალბედა მამიკო ძალიან ნერვიულობდა?**

— სანამ მშობიარობა დამეწყებოდა, გვერდიდან არ მომშორებია. მხოლოდ მაშინ გავიდა პალატიდან, როდესაც ტკივილები გამიძლიერდა. მე და ჩემმა მეუღლემ გადავწყვიტეთ, რომ ის მშობიარობის პროცესს არ დაესწრებოდა.

— **თქვენმა უფროსმა შვილმა როგორ მიიღო დაიკოს დაბადების ამბავი?**

— ძალიან ვნერვიულობდი იმაზე, თუ როგორ მიიღებდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სულ ტყუილად: უზომოდ უხარია, რომ და ჰყავს და უკვე ძალიან უყვარს. ისე განიცდის ხოლმე, როდესაც პატარა ტირის... დედა, ჩქარა აჭამე, შიაო, — მახსენებს ხოლმე... სულ ეფერება და ეთამაშება. ახლა, სანამ კატო ჯერ კიდევ პატარაა და ბევრი ყურადღება სჭირდება, გიორგი ბებია-ბაბუასთან ცხოვრობს და კვირაში ერთხელ მოდის ხოლმე.

— **პატარა როგორ იქცევა?**

— ხან როგორ და ხან როგორ. ისე, ზედმეტად არ გვაწუხებს, თუმცა, სულ თავის ჭკუაზე დავყავართ. რასაკვირველია, ღამით გვაღვიძებს ხოლმე. მაგრამ ძირითადად, სძინავს და სულ შია...

— **ქალიშვილის სახელი შენ და შენმა მეუღლემ ერთად შეარჩიეთ?**

— როგორც კი გავიგეთ, გოგო უნდა გაჩენილიყო, რატომღაც მაშინვე გადავწყვიტეთ, რომ აუცილებლად ეკატერინე დაგვერქმია. მე კატიას ვეძახი: როგორც იცით, გარკვეული პერიოდი რუსეთში ვცხოვრობდი, სადაც ეს სახელი საკმაოდ გავრცელებულია. ყოველთვის ძალიან მომწონდა.

— **ალბათ ამაზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ნაადრევია, მაგრამ მაინც უნდა გკითხო: როგორ ფიქრობ, კატო თქვენი მუსიკალური ოჯახის კიდევ ერთი ვარსკვლავი ხომ არ იქნება?**

— საკუთარ გზას თავად აირჩევს, როდესაც გაიზრდება. ჩემთვის მიუღებელია, რომ შვილებს პროფესია ვუკარნახო. მაგალითად, გიორგის ადრე ფეხბურთი მოსწონდა, ახლა კი, სათხილამურო სპორტით არის გატაცებული და მუსიკა არ აინტერესებს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღნიშნე, მუსიკალურ ოჯახში იზრდება. მე არ ვუშლი — მირჩევნია, იმით იყოს დაკავებული, რითიც დაინტერესებულია, ვიდრე ჩემი აზრი მოვახვიო თავს.

— **ცისანა, შენს კარიერაში იძულებითი პაუზა ჩამოვარდა. სიმღერას როდის მიუბრუნდები?**

— მე მგონი, ეს ყველაზე ლამაზი პაუზაა, რაც კი შეიძლება კარიერაში იყოს... ყველაზე რთულმა პერიოდმა — პრობლემატურმა ორსულობამ — უკვე ჩაიარა და ალბათ შემოდგომისთვის, უკვე აქტიურად დავიწყებ მუშაობას. ჯერჯერობით მინდა, რაც შეიძლება მეტი დრო კატიას დავუთმო. მე მომღერალიც ვიყავი, ცოლიც, ქალიც, დედაც და ახლა მინდა, ცოტა ხანი მხოლოდ დედა ვიყო... ახლა ძიძაც მყავს, რომელიც მეხმარება და ღამღამობით რჩება ხოლმე, მაგრამ მაინც ვცდილობ, რომ კატიას გვერდით უმეტესწილად, მე ვიყო. რაც შეეხება კარიერას — ჯერ ზაფხულში კარგად დავისვენებ მეუღლესთან და ბავშვებთან ერთად და დაბრუნებისთანავე დავიწყებ მუშაობას ახალ ალბომზე, რომელსაც თაყვანისმცემლებს უკვე დიდი ხანია ვპირდები, მაგრამ ვერა და ვერ მოვახერხე დამთავრება.

— **„იავნანას“ „პროფესიონალურ დონეზე“ ხშირად უმღერი ხოლმე პატარას?**

— სხვათა, შორის ჯერ არ მიმღერია. ერთხელ, ღამით გაგვაღვიძა და ჩემი მეუღლე, სოსო თავისი ვოკალური მონაცემების ფარგლებში, შეძლებისდაგვარად ცდილობდა, „იავნანათი“ დაეძინებინა ბავშვი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, მომიბრუნდა და მითხრა: ბოლოს და ბოლოს, ჩვენს ოჯახში მომღერალი მე ვარ თუ შენო?!. ჰოდა, იდეა გამიჩნდა — ჩემს შვილს სწორედ „პროფესიონალური „იავნანა“ მივუძღვნა. შეიძლება, ასეთი სიმღერაც ჩავწერო. მე მგონი, დროა, არა? ბოლოს და ბოლოს, უკვე ორი შვილის დედა ვარ!..

■

ბავშვები და გარემო — როგორ აღიქვამენ ისინი იმ მოვლენებს, რომელიც ჩვენს რეალობაში ხდება და რომლის შეფასებისთვისაც ისინი ერთი შეხედვით პატარები არიან. ბავშვზე გულწრფელი რესპონდენტი ალბათ ბუნებაში არ არსებობს და ამ გულწრფელობას მონატრებულებმა, თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლას — ქართულ-ფრანგულ ლიცეუმს მივაშურეთ, მეექვსეკლასელებს ფურცლები დავურიგეთ და შეკითხვებზე წერილობითი პასუხების გაცემა ვთხოვეთ.

მარი ძნელაძე

მეექვსეკლასელებს სჯერათ პირველი სიყვარულის, არ მოსწონთ პარლამენტარები და ქვეყნის რეფორმირების საკუთარი გეგმები აქვთ

ნანა ქიბიშაური

მაშ ასე, პირველი შეკითხვა:

— რატომ ეზარებათ ბავშვებს სწავლა?

ნინო ჭოხონელიძე: „სწავლა ალბათ იმას ეზარება, ვინც არ იცის მისი ფასი, შეიძლება იყოს შეყვარებული და სწავლისთვის ვერ იცლიდეს, ანდა არ ჰქონდეს იმდენი ჭკუა, რამდენსაც მასწავლებლები მოითხოვენ. ვაღიარებ, რომ მათ ხშირად ნამეტანი მოსდით, ზედმეტს ითხოვენ ჩვენგან“.

ბექა ოთანაძე: „ჩემი აზრით, ბავშვებს იმიტომ ეზარებათ სკოლაში სიარული, რომ იქ ტვინის ჭყლეტის გარდა, არაფერს აკეთებენ და ბავშვების აზრით, ტვინის ჭყლეტა არ არის საჭირო“.

ანი ხითარიშვილი: „ბავშვებს იმიტომ ეზარებათ სწავლა, რომ ისინი თვლიან — სწავლა ერთი ჩვეულებრივი რამაა. ჩაიფიქრებენ ხოლმე: ვითამაშებ და ხვალ მოვიმიზეზებ — რვეული სახლში დამრჩაო“.

— ბევრი თქვენი თანატოლი ვერ იღებს განათლებას. ისინი ქუჩაში მათხოვრობენ. რას ფიქრობთ მათ შესახებ?

ვანო სუჯაშვილი: „მე ძალიან მეცოდებიან ბავშვები, რომლებიც დღე და ღამე ქუჩაში არიან. 24 სთ წებოს სუნთქავენ. მე მგონია, რომ მათთვის ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება, თავი შეაფარონ უპატრონო ბავშვთა სახლს“.

ანა მეფარიშვილი: „საქართველოში არიან უსახლკაროდ დარჩენილი ბავშვები. ჩემი აზრით, ყველაზე საცოდავნი უდედო ბავშვები არიან. მე მესმის მათი და ვგრძნობ, როგორ წუხან ამ სამყაროზე. შეიძლება ვინმეს ჰგონია, რომ მდიდრები ამაზე არ ფიქრობენ. სხვათა შორის, არც მე ვარ ისეთი მდიდარი, მაგრამ იმ ბავშვებზე გული ძალიან, ძალიან შემტკივა. მე ამას გულით ვამბობ. და მჯერა, რომ ერთხელაც გამოჩნდება ისეთი პრეზიდენტი თუ სხვა ადამიანი, რომელიც ამას გაიგებს“.

მარიამ კეშელავა: „საქართველოში და არა მარტო საქართველოში, უნდა იყოს რამდენიმე ისეთი სახლი, სადაც მათხოვრები იცხოვრებდნენ. „რუსთავი-2“-ზე გავიდა ერთ-ერთი გადაცემა — „60 წუთი“, სადაც უსახლკაროებზე იყო ლაპარაკი. ჩემი ტოლი ბავშვები ქუჩაში იყვნენ მთელი დღე და ღამე. ჩემი აზრით, სახელმწიფომ უნდა გახსნას ისეთი სკოლა, რომ მათ უფასოდ, მაგრამ კარგად ასწავლიდნენ. მე კარგ სკოლაში რომ დავდივარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე მარტო ჩემს თავზე ვნერვიულობ“.

თაკო ჭაღლოშვილი: „ამის გამოსავალი იქნება, მთავრობამ რომ ააშენოს ისეთი სკოლა, სადაც ეს ბავშვები ისწავლიან. რამდენი რესტორანი აშენდა, ხომ შეიძლებოდა, ის ერთი არ აშენებულიყო და ერთი უპატრონო ბავშვთა სკოლა ყოფილიყო?“

მარიამ ძნელაძე: „ჩემი აზრით, ყველას აქვს სწავლის უფლება. ნებისმიერს: მათხოვარს, ღარიბს თუ მდიდარს. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ მგონი, მთავრობა უნდა შეიცვალოს“.

ნინო ჭოხონელიძე: „ყველა ძალიან მეცოდება. რატომ უნდა იყვნენ ისინი ჩვენზე ნაკლები? რატომ უნდა იშოვონ გაჭირვებით თუნდაც ხუთი თეთრი? რატომ ვერ უნდა მიიღონ ამ ბავშვებმა განათლება? ისინი ხომ ნორმალური ადამიანები არ გამოვლენ? მათგან კარგი არაფერი გამოვა. მე ვფიქრობ, რომ ეს სულ მთავრობის ბრალია“.

— რომ შეგეძლოთ რეფორმის ჩატარება, პირველ რიგში რას შეცვლიდით?

ვანო სუჯაშვილი: „მე რომ უფლება მქონდეს, რეფორმების ჩასატარებლად, პირველ რიგში, მოხუცებს პენსიას მოვუმატებდი, ძველ სახლებს დავანგრევდი და ახალ, უცნაურ სახლებს ავაშენებდი. რუსულ მანქანებს ავკრძალავდი და ყველას ხელფასს მოვუმატებდი, რათა საშუალება ჰქონოდათ, იყიდონ მაგარი მანქანები. თბილისში დანჯღრეულ გზებს გავაკეთებდი და თბილისში „დისნეი-ლენდს“ გავაკეთებდი. მოკლედ, ავაყვავებდი ქვეყანას“.

ბექა ოთანაძე: „მე 5 მთავარ რეფორმას გავატარებდი: I — გავასუფთავებდი ყველა ქალაქს, სოფელს და უბანს. II — შევაკეთებდი დაზიანებულ სახლებს. III — გავასუფთავებდი ჩვენს ქვეყანას ქურდებისგან. IV — ნებისმიერ კაცს თანამდებობა

მაშიკო რობაქიძე

ბექა ოთანაძე



თაკო ჭაღოშვილი

ანა მეფარიშვილი

ზე არ დავაყენებდი. V – გავაკეთებდი ისე, რომ ყველა ადამიანს შესძლებოდა მუშაობა“.

ნინო ჭოხონელიძე: „პირველ რიგში, მათხოვრებს დავასაქმებდი. მეორე რიგში, მიკლუხო-მაკლაივით დავამტკიცებდი და დავარწმუნებდი ხალხს, რომ არ არსებობს „დაბალი“ და „მაღალი“ დონის ადამიანები. და მესამე რიგში, რაც ყველაზე ძალიან მინდა – გავაუქმებდი სკოლას და მის „სისხლიან კანონებს“.

— როგორ მოქმედებს თქვენზე ის, რასაც ტელევიზიით უყურებთ? უყურებთ თუ არა პოლიტიკურ გადაცემებს და რას ფიქრობთ პოლიტიკოსებზე?

ანი ხითარიშვილი: „მე ვუყურებ ხშირად „პირველ სტერეოს,“ საშინელებათა ფილმებს, მაგრამ ფილმის შემდეგ, არც ცუდი სიზმარი მესიზმრება და არც მეშინია. პოლიტიკოსები ხშირად ჩხუბობენ, მაგრამ თავში ქვა უხლიათ“.

ანი მეფარიშვილი: „ტელევიზორში მინახავს უამრავი ფილმი „უჟასებზე“, სიყვარულზე, სიძულვილზე, პოლიტიკაზე... მოვხვედრილვარ უხერხულ მდგომარეობაში, მაგალითად, როდესაც სიყვარულის სცენის დროს მამაჩემი შემოსულა ოთახში... მინახავს ომზეც და ვფიქრობ, რომ ომში უსამართლოდ, ბევრი ადამიანი იხოცება. პარლამენტში ხდება ძალიან ბევრი ჩხუბი. ჩემი აზრით, ეს საშინელებაა. როცა ვუყურებ ხოლმე პარლამენტს, მგონია – ეს საქართველო არ არის და მინდა, რომ ეს საშინელება, ჩემი თვალით დანახული, მალე მორჩეს და ისიც მინდა, რომ მთავრობა შეიცვალოს“.

მარიამ ძნელაძე: „მე არ მინდა შევეხო „უზრდელურ“ ფილმებს, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ისე მრცხვენია ხოლმე, სად შევყო ცხვირი, არ ვიცი... ეს პოლიტიკოსები კი, ჭკუანაკლულები არიან! თავში სიცარიელე აქვთ“.

ნინო ჭოხონელიძე: „სიმართლე გითხრათ, ჯერ არ გამოვსულვარ ბავშვობიდან. ისევ პატარასავით მულტფილმებს ვუყურებ და რაც შეეხება ეროტიკულ სცენებს, ეს უბრალოდ, სულ არ მაინტერესებს. ეს არის უბრალოდ დიდი უზრდელობა. აი, „საშიშ კინოებს“ კი ხშირად ვუყურებ, მაგრამ ირონიულად. ვაღიარებ, ხანდახან სერიალებიც მიტაცებს, რომელიც, ბოდიში და, ჩურჩუტების საქმეა და რაც შეეხება „ომურ“ ფილმებს – მასზე ვგიჟდები, ყველაზე ძალიან კი, „რკინის „მასკა“, ლ. დი კაპრიოს შესრულებით მიყვარს. იქ ადამიანების სიბრძნეა გამოსახული... პარლამენტზე რას ვფიქრობ? რას ვფიქრობ და ეს არის თავხედობა, უზრდელობა და საქართველოს შერცხვენა. ტწუ, ტწუ, ტწუ!...“

ბექა ოთანაძე: „ტელევიზიით ძალიან ბევრი ფილმი მინახავს, მაგრამ არც ერთი არ დამსიზმრებია. პარლამენტარები კი, საერთო ჯამში, ნერვიულები გამოდიან, რადგან დღე არ გავა, რომ არ იჩხუბონ“.

მაშიკო რობაქიძე: „უფრო ხშირად, მულტფილმებს ვუყურებ. რაც შეეხება ჩვენს პარლამენტს, ვიტყვი ერთს: ეს სრული ცირკია. ხალხი მხოლოდ თავის ჯიბეზე ზრუნავს და ამაზე ლაპარაკიც კი არ ღირს“.

თათული გომართელი: „მე ვუყურებ ხშირად შოუპროგრამებს. არ მიყვარს ინფორმაციული გადაცემები. ვერ ვიტან იმ ადამიანებს, რომლებიც ტელევიზორში ჩხუბობენ. საშინელებაა!!! თითქოს უნდათ გვანახვონ, რა მამაცები არიან“.

ვანო სუჯაშვილი: „მიყვარს ტელევიზორის ყურება. პარლამენტში დღე და ღამე ჩხუბობენ და ხელებს აქეთ-იქით იქნევენ. ზოგი ირონიულად იკრიჭება“.

თაკო ჭაღოშვილი: „პარლამენტში ჩხუბი არ შეიძლება. იმიტომ, რომ იქ სერიოზულ საქმეს განიხილავენ, თან ბავშვებივით ჩხუბობენ, გეგონება, ერთი შეყვარებული ჰყავთ...“

— რას გვეტყვით სიყვარულზე?

ვანო სუჯაშვილი: „ადამიანებს ბავშვობიდან უყვარდებათ ერთმანეთი, მაგრამ ეს ნამდვილი სიყვარული არ არის. ნამდვილი სიყვარული იწყება 16-17 წლის მერე. კარგია, როდესაც შეყვარებული გყავს. მაგრამ სამწუხაროდ, მე ახლა შეყვარებუ-

ლი არ მყავს. მე მინდა ერთი რაღაც ვთქვა: ძალიან ახალგაზრდები რომ გათხოვდებიან ან ცოლს მოიყვანენ — მერე გაეყრებიან ხოლმე. ამიტომ, ცოტა გვიან უნდა მოიყვანო ცოლი".

მაშიკო როგაძიძე: „პირველი სიყვარული ყველას აქვს, პატარა იქნება თუ დიდი, აზრი არა აქვს. სიყვარულზე ის ლაპარაკობს ბრძნულად, ვისაც არასოდეს ჰყვარებია. ერთს გეტყვით: როგორც ჩემს კლასელ ბ-ს მ. ჰყვარებია, მე ანალოგია არ მინახავს..."

ანა მეფარიშვილი: „სიყვარული ეს არის განუსაზღვრელი გრძნობა. სიყვარული ეს არის სითბო, ერთმანეთთან ტკბობის გრძნობა. ჩემი აზრით, ბავშვს ნებისმიერი ასაკიდან შეუძლია შეიყვაროს, მაგრამ არასერიოზულად. სერიოზულად, ალბათ 10 წლის ასაკიდან. ვაღიარებ, რომ მეც გამომიცდია სიყვარულის გრძნობა, მაგრამ არა ნამდვილი".

გეჟა ოთანაძე: „ჩემი გამოცდილებით, პირველი სიყვარული ადამიანში 8-9 წლის ასაკში ჩნდება, მაგრამ უმეტესწილად, პირველი სიყვარული არ მართლდება".

თაკო ჭალოშვილი: „შეიძლება, 11 წლის ბავშვსაც უყვარდეს ადამიანი. მაგალითად, მე 11 წლის ვარ და მყავს შეყვარებული. მე მგონი, ეს დანაშაული არ არის".

ნინო ჭოხონელიძე: „ერთი კლასელი მყავს ბ., მეორე თუ მესამე კლასში ვიყავით, ჩემს მეორე კლასელს, მ-ს აუხსნა სიყვარული. მ-მ კი მთელი სიმწრით სახეში სთხლიშა. არ ვიცი, ბ-ს სიყვარულის ბუშტი გაეხსნა თუ რა მოუვიდა, რომ დღემდე მ. უყვარს..."

მარიამ ძნელაძე: „ჩემთვის ბევრს აუხსნია სიყვარული. ერთ-ერთი იყო ჩემი კლასელი ბ., ერთი აგარაკზე დამსვენებელი, ერთი კი — მეგობარი. ვფიქრობ ხოლმე: „რა მოსწონთ ჩემში?" მე თვითონ ჩემში სილამაზეს ვერ ვხედავ. როდესაც მეუბნებიან — „მიყვარხარ", თითქოს იკარგება მეგობრობა და მაინცდამაინც ის მეუბნება, ვისგანაც არ მინდა. მხოლოდ ერთმა მითხრა, რომლისგანაც გამიხარდა".

— ბებიებს და პაპებს ძალიან უყვართ შვილიშვილები. თქვენ რას გვეტყვით მათ შესახებ?

მაშიკო როგაძიძე: „ბებიები და ბაბუები? ეს ძალზე თბილი და მწუხარე კითხვაა. ჩემი ბაბუები უკვე ვარსკვლავებად გადაიქცნენ და მმფარველობენ. მე ყოველდღე მაქვს მათთან კონტაქტი".

ვანო სუჯაშვილი: „ვერ ვიტან, ბებიებს და ბაბუებს რომ უყვირიან. თუმცა, ზოგი ბებია მართლაც დასაყვირებელია..."

მარიამ ძნელაძე: „ბაბუაჩემი დედის მხრიდან ძალიან კეთილია. მგ.: ერთხელ უცნობი მათხოვარი თავის სახლში დააბინავა. მგ., მის სამსახურში ერთ-ერთ ადამიანს მანქანა აჩუქა. მგ., მამამისს, ძმას, ძმისშვილს, ძმისშვილის ცოლს და მათ შვილებს თვითონ უვლის".

ნინო ჭოხონელიძე: „სიმართლეს გეტყვით: ყველა ბებია და ყველა ბაბუა ნერვებს მიშლის. სულ: „ჩემი ოქრო გოგო, ჩემი გულის წამალი, ჩემი წიწილა" — გაიძახიან, რაც უზომოდ მაღიზიანებს".

თაკო ჭალოშვილი: „ერთი ბაბუა დამრჩა და თვალისჩინივით ვუფრთხილდები".

— კმაყოფილი ხარ თუ არა საკუთარი თავით? ვის გინდათ, რომ ჰგავდეთ?

ანი მეფარიშვილი: „ჩემი თავით არცთუ ისე კმაყოფილი ვარ. მე ძალიან მინდა ვგავდე მხოლოდ სახით მაკა ასათიანს ან ჯულია რობერტსს. ჩემს ხასიათში შევცვლიდი უაზრო ჩვევებს, ამას ვაღიარებ. მე მინდა გამოვიდე პრეზიდენტის მოადგილე ანუ თავმჯდომარე, ან ექიმი".

ვანო სუჯაშვილი: „მე კმაყოფილი ვარ ჩემი თავით, მაგრამ ხანდახან ცოტა ზედმეტიც მომდის. მე მინდა ვგავდე კაცს, რომელსაც აქვს დიდი ძალაუფლება, თავმდაბალია და კეთილი. მე მინდა ვგავდე ალექსანდრე მაკედონელს".

გეჟა ოთანაძე: „ჩემი თავით კმაყოფილი ვარ. იმიტომ, რომ რაც მევალება, იმას ვასრულებ. ჩემს ხასიათში შევცვლიდი სიუხეშეს. მე მინდა ვგავდე იაგო ქავთარაძეს, რომელიც ჩემი ბაბუაა".

მაშიკო როგაძიძე: „მინდა ვგავდე ჩემს საკუთარ „მეს". არ ვიქნებოდი ზედმეტად სერიოზული და არც ზედმეტად ცანცარა. მინდა მხატვარი გავხდე. ავსახავდი მთელ სამყაროს და მთელ ცისარტყელას ფერებს შევიყვანდი ფურცელზე". ■

ვანო სუჯაშვილი

ნინო ჭოხონელიძე

ანა ხითარიშვილი

თათული გომართელი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. უვიცს, ბერძნები იდიოტს ეძახდნენ.
2. პლანეტა ვენერას თანამგზავრი არა ჰყავს.
3. ვოლტერი ბასტილიის ციხეში ორჯერ იჯდა.
4. კუტკალიას სმენის ორგანოები ფეხებზე აქვს.
5. ტატაბანია უნგრეთის ქალაქია, ტაშტაგოლი — რუსეთის.
6. ,,სათნოება ცოდნაა, ცოდნა კი არავის აქვს,'' — ამბობდა სოკრატე.
7. ლოიკო ზაბარის ქერათმიან სატრფოს იულიშკა ერქვა. იგი უსინათლო იყო.
8. ლეგენდის მიხედვით, შაულ ვალი მხოლოდ ერთი ღამე იყო პოლონეთის მეფე.
9. რომანი ,,ლუსიენ ლეუენი'' (,,წითელი და თეთრი'') სტენდალს დაუმთავრებელი დარჩა.
10. პითაგორა საკმაოდ კარგი მოკრივე იყო. იგი ოლიმპიურ თამაშებშიც კი იღებდა მონაწილეობას.
11. ,,სილარიბე ცოდვის დედაა, მაგრამ ამავე დროს უდიდეს გამოგონებათა მშობელია,'' — ამბობდა ჟან პოლი.
12. ქარბორბალა, ციბრუტი, ტრიალი, ბრუნვა, — ყველა ეს სიტყვა ლათინურად ასე გამოითქმის — ტურბინა.
13. ტანკები პირველად 1916 წლის 15 სექტემბერს მდინარე სომაზე ბრძოლის დროს გამოიყენეს ინგლისელებმა.
14. დათუნა ქართული ეკლესიაა დაღესტანში. საკუთარი თვალით მაქვს ნანახი მისი ნანგრევები და შიგნით შერეკილი საქონელი.

15. მაჩხალროსო უღელტეხილია კახეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მაჩხარახოხი — მთა, მდინარე ჯეჯორისა და ქეშედის წყალგამყოფ ქედზე.
16. ძველ საბერძნეთში მაგიდას ტრაპეციის ფორმა ჰქონდა და სახელად ტრაპეზა ერქვა. სიტყვა ,,ტრაპეზი'' სწორედ აქედან მომდინარეობს.
17. თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი იყო. ახლად გახსნილ უნივერსიტეტში თავდაპირველად ერთადერთი, სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტი ფუნქციონირებდა. ფაკულტეტის დეკანი ივანე ჯავახიშვილი გახლდათ.
18. მუსიკალური ინსტრუმენტებიდან ყველაზე ძვირად შეფასებულია ვიოლონჩელო, რომელიც ლონდონის აუქციონზე 1988 წელს 682.000 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა.
19. ქრისტეს სჯულის ქადაგებისათვის რომაელებმა პეტრე მოციქული შეიპყრეს და ჯვარზე გაკვრა მიუსაჯეს. პეტრემ თავი

,,რჩება სიცოცხლე უღიმღამო, თუმცა ნეტარი... მე კი მივდივარ...''

ლელა ჭანკოტაძე

„გზის" №-4-ში, რუბრიკით — „ფსკერი" — დაიბეჭდა ინტერვიუ ჯიბგირთან, რომელსაც ეთიკური მოსაზრებების გამო სახელი შევუცვალეთ და თამთა დავარქვით. შეგახსენებთ: ახალგაზრდა ქალი, საქართველოსა და საზღვარგარეთ მის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე მოგვითხრობდა და ამ გზაზე დადგომას ძირითადად, საყვარელი ადამიანის ყველაფრით უზრუნველყოფის სურვილით ხსნიდა. ორი თვის შემდეგ, რედაქციაში წერილი მოვიდა. თამთას დედამ თავისი ოჯახური დრამის სააშკარაოზე გამოტანა მოისურვა.

ქალბატონი დალი *(მისი სახელიც შეცვლილია):*

— დამსახურებული პენსიონერი გახლავართ. უკვე ხუთი წელია, რაც საავადმყოფოს გამოვემშვიდობე და შინ დავჯექი. მუშაობა შემეძლო. მოგეხსენებათ, ცნობილ გინეკოლოგს რამდენი პაციენტი ჰყავს, მაგრამ ჩემი ქალიშვილის გამო მრცხვენოდა მუშაობის გაგრძელება. ვერ წარმოიდგენთ, რას ნიშნავს ჯიბგირი ქალიშვილის ყოლა. მთელ ქვეყანაზე მომჭრა თავი... მე და ლადო კახაძე ჯგუფელები ვართ. საკრებულოში საქმეზე ვიყავი მისული. ლადოსაც შევუარე. რით დაგეხმაროო? — მკითხა. არაფერი მჭირდება-მეთქი, — ვუპასუხე. ვიცი შენი შვილის ამბავი, მაგას არ სჯობს, ცირკთან იდგეს და სხეულს ყიდდესო?!. — მითხრა. აი, ასეთი გოგოს დედა ვარ. ყველაფერი ალბათ, მაშინ დაიწყო, როცა მან დათო გაიცნო. მაშინ თამთა მეათეკლასელი იყო. არაჩვეულებრივ ლექსებს წერდა. მიხაროდა და ბედნიერი ვიყავი. არ ვუშლიდი ემოციების გამოხატვას. პოეტს ჩვენგან განსხვავებული სამყარო აქვს. ხელს ვუწყობდი. იმ ავბედით დღეს, შინ რომ მოვიდა, აღტაცებული იყო. მითხრა: მეგობრის ბიძა გავიცანიო, — და ალაპარაკდა. საოცარი სიტყვებით აღმიწერა, როგორ კაცს შეხვდა და როგორ შეიყვარა... მისთვის სიყვარული არ დამიშლია. პოეტი უსიყვარულოდ რა პოეტია?!. ვიცოდი, როგორ მამაკაცზე ოცნებობდა. მისი ოცნების მამაკაცი ცუდი არ იქნებოდა.

— მისი ოცნების მამაკაცი როგორი უნდა ყოფილიყო?

— აი, რას წერდა თამთა, სანამ დათოს გაიცნობდა:

,,დამტოვეთ მარტო... ქარიშხლიან ღამეში ვიკლი, თუ ნოემბრის ლაფს შევაჭვევ ნაბიჯს — ეს სულერთია... ვისთვის როგორ, ჩემთვის კი, მართლაც არა აქვს აზრი, ერთი ვიქნები თუ ვიკლი კაცთან, ვინც მთელი სულით არ არის ახლოს ჩემი სულის და გულის ტკივილთან... ვინც სიტყვაა და საპნის ბუშტი, ჰაერს შემსკდარი... გაუსაძლისი გაჭირვება უფრო სუსტია, ვით სიმარტოვე დაბადებით დაბედებული. მაგრამ მე მაინც მას ვცემ თაყვანს, ოღონდ არ ერქვას ჩემს მეგობარს უსულგულო კაცის სახელი... დამტოვეთ კენტად... ან მიმიღეთ ზუსტად ისეთი, როგორიც შემქმნა მაგიურმა ძალამ განგებისა...''

— დათო არ აღმოჩნდა მისი ოცნების მამაკაცი?

— დათომ თამთას სიყვარული გამოიყენა. თამთამ მისთვის ყველაფერი გააკეთა. სკოლა რომ დაამთავრა, უფრო სწორად — კუპონის კურსი რომ დაეცა, მან დიდუბეში საფუნთუშეში დაიწყო მუშაობა. მთელი ღამე ფუნთუშებს აცხობდა სხვა ქალებთან ერთად. დილით მოვიდოდა, მოწესრიგდებოდა და ბაზარში გარბოდა, დათოსთვის საჭმელი რომ მიეტანა. როგორც ჩიტი ზრუნავს თავის ბარტყებზე, სწორედ ისე უვლიდა დათოს. როცა არ მუშაობდა, მთელი ღამე პურის რიგში იდგა ან თავის საყვარელ მამაკაცს ლექსებს უწერდა... ვგრძნობდი, მან სიყვარული კი არ იპოვა — უბრალოდ, ავად გახდა. გადავწყვიტე, ფსიქიატრთან მიმეყვანა. რა თქმა უნდა, ვერ დავითანხმე. იქამდე მივედი, რომ ფსიქოტროპულ წამლებს ფარულად ვუყრიდი საჭმელში, მაგრამ მაინც ვერ ვამშვიდებდი. შეშლილივით იბრძოდა იმისათვის, რომ დათო გამოეკვება...

— მასთან საუბარი არ გიცდიათ?

— საუბარს აზრი არ ჰქონდა. მას ჩვენი მოსმენა არ უნდოდა. ერთხელ ჩემი ვაჟი გამწარებული მოვიდა. საშინელი ამბავი მითხრა: თამთამ ერთ გოგოს, რომელსაც საკუთარი კრებულის გამოცემა სურს, თავისი ლექსები მიჰყიდა ხუთ-ხუთ ლარადო!.. შოკში ჩავვარდი. განგაში ავტეხე. ჩემს ახლობლებს ვთხოვე: მიშველეთ, ვიღუპები-მეთქი. ვინ დამეხმარებოდა?!. ერთხელ, სახლში დავამწყვდიეთ, თავის ალფონსთან რომ არ გაქცეულიყო. მეორე სართულის ფანჯრიდან გადახტა. სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო. მეორედ, ძმამ ტანსაცმელი დაუწვა. ღამის პერანგის ამარა დარჩა. მახსოვს, ძველით ახალი წელი იყო. ფეხშიშველი გაიპარა სახლიდან. დაახლოებით თხუთმეტი წუთი თოვლში ირბინა, ტაქსიმდე რომ მისულიყო. ტაქსის მძღოლს შესცოდებია და იმ ალფონსის სახლში წაუყვანია. ასე გაგიჟებით შეუყვარდა ის კაცი. მიკვირს, ცოცხალი რომ დავრჩი, მაგრამ ადამიანი ქვა ყოფილა. თამთა ერთგან წერს:

„ჩვენი ცხოვრება დაუგეგმავ გზასავითაა, გაივლი მას და სადღაც შენიშნავ, ცუდად მივლია, თუმცა სწრაფად კი გავიარე...“

დარწმუნებული ვარ, ჩემი შვილი ასე იცხოვრებს... თქვენი წერილი რომ წავიკითხე, ელდა მეცა. სხვა სახელი ერქვა, მაგრამ სტრიქონებს მიღმა ჩემი შვილი მაინც აღმოვაჩინე. მთელი ღამე ვიტირე, მერე მისი დღიურები გადმოვიღე. მისი ლექსებიც წავიკითხე. ყველა სიტყვა სიყვარულითაა სავსე. იქნებ ამიხსნათ, ასეთი სიყვარული შეიძლება? თანაც — ის კაცი ხომ ამას არ იმსახურებს!..

— თქვენ როდის გაიცანით დათო?

— ერთ დღეს, თამთას რვეულში ასეთი ფრაზა ვიპოვე: *„ჩვეულებრივი სიკვდილიც კი შემზიზღებოდა, ჩვეულებრივი ყველაფერი უნდა დავმარხო“*... იმწუთას გადავწყვიტე, მენახა — ვინ იყო ის არაჩვეულებრივი კაცი, ჩემმა შვილმა საკუთარ თავმოყვარეობაზე მაღლა რომ დააყენა. წავედი მის სანახავად. მისამართი ვიცოდი. კარი ვიღაც ქალმა გამიღო. ფეხმძიმედ იყო. დათო შინ არ არისო, — მითხრა, — მისი ცოლი ვარ; თუ გინდათ, მე მითხარით, რით დაგეხმაროთო... იმ კართან ჩემი სიამაყე მოკვდა. მივედი ჩემს კოლეგასთან და ვთხოვე: ფსიქიატრიულში დამწვინე, მიმკურნალე და გადამარჩინე-მეთქი...

— არ ვიცოდი, დათოს შვილი თუ ჰყავდა. თამთას ეს ჩემთვის არ უთქვამს.

— ბავშვი ცერებრალური დამბლით დაიბადა. მხოლოდ შვიდი თვე იცოცხლა. მის მკურნალობას, რა თქმა უნდა, დიდი თანხა დასჭირდა. თამთა თურქეთში წავიდა, იქიდან ფულს უგზავნიდა. იბრძოდა, ბავშვი რომ გადარჩენილიყო. მეც დამირეკა და მთხოვა: საუკეთესო ექიმებთან მიიყვანე, ფული არ დაზოგო, მთავარია იცოცხლოსო. მე ექიმი ვარ და ჩემი მოვალეობაა, ადამიანების სიცოცხლისთვის ვიბრძოლო. ბევრი გავაკეთე ახალშობილისთვის. იძულებული გავხდი, დათო და მისი ცოლი ყოველდღე მენახა. ერთ დღეს, დათო მომიახლოვდა და მითხრა: თქვენი შვილი მიყვარს; იქნებ ჯობდეს, ამ საკითხზე ვისაუბროთო. მე ვუპასუხე: თქვენი შვილის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, ღვთის გულისათვის — როგორც მამას შეეფერება, ისე მოიქეცით-მეთქი... ბავშვის გარდაცვალების შემდეგ, დათო ცოლს გაეყარა. თამთა სამი წელი იყო თურქეთში. იქიდან რომ ჩამოვიდა, პირდაპირ დათოსთან მივიდა. მას შემდეგ, ერთად ცხოვრობენ. ერთ დღეს, საშინელი სიზმარი ვნახე. წყენა დავივიწყე და შვილის სანახავად წავედი. კარი ღია დამხვდა. დერეფანში ხალხი ირეოდა. შევვარდი ოთახში. თამთა იწვა, დათო კი, გაფითრებული და აკანკალებული, დაჩოქილი იდგა საწოლთან და წნევას უზომავდა. თურმე თამთა სადარბაზოში ცუდად გამხდარა და წაქცეულა... დათო ნერვიულობდა. ისიც კი ვიფიქრე — როგორც ჩანს, ჩემი შვილი უყვარს-მეთქი, — თუმცა ახლა, ასე არ ვფიქრობ.

— რატომ?

— ახლახან თამთა ჩამოსული იყო. როგორც იცით, ავსტრიაში ცხოვრობს. რა თქმა უნდა, ჩემი ნახვა მოისურვა. ბავშვთან ერთად მოვიდა — მათ ხუთი წლის გოგონა ჰყავთ. ერთმანეთს ნათესავის ბინაში შევხვდით: მამისეულ სახლში თამთა აღარ დადის — ძმამ აუკრძალა. შევეცადე, არ მეტირა. არც თვითონ უტირია. რამდენიმე წუთში, ვიღაც ბიჭმა დაურეკა. მობილურით ელაპარაკა. იმ ბიჭს ზალიკო ერქვა *(სახელი შეცვლილია. — ავტ.)* თამთამ უთხრა: ჩამოვალ, ორ დღეში ჩამოვფრინდები, ბინა დამახვედრეო... ვინ არის ეგ ყმაწვილი-მეთქი? — ვკითხე. — ახლა, მასთან ჭრილობების მოსაშუშებლად მივდივარ, შეიძლება, ჭრილობების გასაღრმავებლადაცო... სხვა არაფერი მიკითხავს. მივხვდი, რომ დათოსთან ურთიერთობა დაამთავრა. მაგრამ ახლა უკვე ძალიან გვიანია, იმისათვის, რომ ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს... მე უკვე ხელი ჩავიქნიე. ჩემზე ბედნიერია ის დედა, ვისაც შვილის საფლავი აქვს: მივა და გულს მოიოხებს. მე ცოცხალ შვილს დავტირი... ჩემი შვილი ალბათ კიდევ დიდხანს იცოცხლებს, მე კი უკვე შვილმკვდარი დედა ვარ...

— იქნებ მაინც მითხრათ, როდის შეიტყვეთ, რომ თამთამ ქურდობა დაიწყო?

— მაშინვე, როგორც კი პირველად იქურდა. მე ხომ მისი დედა ვარ — მაგას როგორ გამომაპარებდა?!. დეიდაშვილი დამელუპა. მის დაკრძალვაზე საშინელი ამბავი მოხდა: ვიღაცამ გარდერობი გატეხა და სტუმრების ჩანთებიდან ფული ამოიღო. როცა ხმაური ატყდა, მივხვდი — ის ფული თამთამ სიყვარულის საყიდლად მოიპარა. სამწუხაროდ, ვერ ვასწავლე, სიყვარულის ყიდვა რომ არ შეიძლება; სიყვარული უნდა დაიმსახურო... ზალიკო თქვენთან საუბარში მხოლოდ იმიტომ ვახსენე, რომ დათომ გაიგოს მისი არსებობა. როცა თქვენ თამთას ინტერვიუ გამოაქვეყნეთ, დათოს დავურეკე და ვუთხარი: წაიკითხე-მეთქი. უკვე წაკითხული ჰქონდა, რადგან მითხრა: ეგ ჩემი ცოლის ინტერვიუ არ არის — ჩემს ცოლს თამთა არ ჰქვიაო... მაგრამ მერე, თვითონ დამიკავშირდა და მთხოვა, თქვენი მისამართი მომეცა. ჰგონია, რომ ფული გადაგიხადეთ, თამთაზე რომ დაგეწერათ. არ სჯერა, ნამდვილად თამთას თუ ესაუბრეთ... წასვლის წინ, თამთამ წერილი მომცა. იცის, როგორ მიყვარს წერილების კითხვა. მისი წერილი ასე მთავრდება: *„მივდივარ. ჯერ იქნებ, ნადრევიც იყოს მემუარების წერა. ხვალ ხომ სულ სხვანაირი ვიქნები, რაღაცნაირი... რჩება სიცოცხლე უღიმღამო, თუმცა ნეტარი... მე კი მივდივარ“.* ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

ღირსად არ ჩათვალა, რომ ისევე მომკვდარიყო, როგორც მაცხოვარი, ამიტომ იგი ჯალათებმა, მისივე თხოვნით, ჯვარზე თავდაღმა გააკრეს.

20. XVIII საუკუნეში ინგლისის ჩრდილოეთამერიკულ კოლონიებს სასტიკი ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული ბრიტანეთის ფლოტის წინააღმდეგ. ამერიკული და ფრანგული გემები განურჩევლად ესხმოდნენ თავს ინგლისის როგორც სამხედრო, ისე სავაჭრო გემებს. ბენჯამინ ფრანკლინის ინიციატივით ბრიტანული გემების მხოლოდ ერთი ჯგუფი იყო გამოცხადებული ხელშეუხებლად. გემების ამ ჯგუფს მოგზაური ჯეიმს კუკი ხელმძღვანელობდა.

21. ფერის შეგრძნების მოშლა პირველად 1794 წელს ინგლისელმა ქიმიკოსმა ჯ. დალტონმა აღწერა, რის გამოც ამ დაავადებას დალტონიზმი ეწოდა. ფერთა ნაწილობრივ განურჩევლობას დიქრომზია ეწოდება.

22. იაკობი, „ბიბლიის“ მიხედვით, ისრაელის მოდგმის ერთ-ერთი პატრიარქია. მის ცოლებს და მხევლებს მისგან 12 ძე უშვიათ, რომლებიც შემდგომ ისრაელიტთა თორმეტი ტომის მამამთავრები გამხდარან. ღმერთთან შეჭიდების შემდეგ, იაკობს მეორე სახელი ისრაელი (ღმერთთან მებრძოლი) მიუღია.

23. იმ დუელში გამოყენებული პისტოლეტები, რომლის დროსაც პუშკინი მოკლეს, საფოსტო საქმიანობის მუზეუმში ინახება, როგორც აღიარება დანტესის დამსახურებისა საფრანგეთის საფოსტო საქმიანობის განვითარებაში.

24. „როცა ადამიანს სიყალბეს ვამჩნევ, იქ ვიშველიებ იუმორს, რაც კიდევ უფრო კომიკურს ხდის იმ სიტუაციას და იმ ადამიანს მით უმეტეს,“ — ამბობდა ჯაბა იოსელიანი ერთ-ერთ ინტერვიუში. P.S. „კომიზმი და ქართული კომედიის ნიღბები“ — ბატონ ჯაბას სადოქტორო დისერტაციის თემა იყო.

25. „საქართველოს მოამბე“ — ასე ერქვა ჟურნალს, რომლის დაარსებაც ილია ჭავჭავაძემ 1863 წელს გრიგოლ ორბელიანის დახმარებით მოახერხა. იმ დროს ოფიციალური ტერმინი საქართველო აღარ არსებობდა. არსებობდა მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ასე რომ, ილიას ჟურნალის სახელწოდებაც კი მებრძოლი და მრავლისმთქმელი იყო. ■

აქა ამბავი იმისა, თუ როგორი საბედისწერო მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს „ძალზედ პატივცემულ და პატივსაცემ“ ღიპს

მამაკაცის ლირსება ღიპით არ განისაზღვრება...

მამაკაცთა დიდ ნაწილს, ასაკის მატებასთან ერთად, ღიპი ეზრდება. ბევრი მათგანი საკმაოდ მტკივნეულად განიცდის ამ ამბავს და სხვადასხვა მეთოდით ცდილობს ღიპის „დაგდებას“, მაგრამ ხშირ შემთხვევაში შედეგს ვერ აღწევს, რადგან ჭამა-სმას შეჩვეული კაცისთვის ძნელია, შეელიოს იმას, რასაც ცნობილ მულტფილმშიც უმღერიან: „მწვადები და ჩახოხბილი, ცხელი შოთის პურები...“ ამის გამო, ბევრ მამაკაცს ოჯახშიც ექმნება პრობლემები და საქმიანობაშიც. თუმცა, იქამდე თუ მისულა საქმე, როგორც მოცემულ შემთხვევაში მოხდა, ადრე არასოდეს მსმენია: ქალი იმდენად შეაწუხა მეუღლის ღიპმა, რომ ამის გამო მასთან გაყრა გადაწყვიტა და სასამართლოში შეტანილ სასარჩელო განცხადებაში დაუფარავად დაასახელა მიზეზი.

მარი ჯაფარიძე

ციტატა: „როდესაც გურამ ხვედელიძესთან (სახელი და გვარი შეცვლილია. — ავტ.) ოჯახი შევქმენი, მას მშვენიერი, სპორტული აღნაგობა ჰქონდა. სწორედ ამიტომ მომეწონა და შემიყვარდა. ახლა კი მას უზარმაზარი ღიპი აქვს, მე კი ღიპიანი მამაკაცები არ მომწონს. ვინაიდან არ ვთვლი თავს ვალდებულად, ვიცხოვრო ისეთი ადამიანის გვერდით, რომლის გარეგნობაც ჩემში აგრესიასა და არასასიამოვნო შეგრძნებებს იწვევს, გთხოვთ განმაქორწინოთ“ (სტილი დაცულია) — აი, ასე...

ეს ამბავი ორი წლის წინ მოხდა და იმ მოსამართლისგან შევიტყვე, ვინც ეს საქმე განიხილა. გურამთანაც მან დამაკავშირა. ბატონმა გურამმა, როდესაც შეხვედრის სურვილი გამოვთქვი და მიზეზიც გავუმხილე, გულიანად იცინა, საუბრისას კი, ხშირ-ხშირად, ნაღვლიანად დახედავდა ხოლმე თავის „დამლუპველს“ და ღრმად ოხრავდა.

— იქნებ თავდაპირველად, თქვენი ღიპის „წარმოშობის“ ამბავი მოგვიყვეთ?

— სანამ დავოჯახდებოდი, სპორტსმენი ვიყავი, მოკრივე. გამუდმებით ვვარჯიშობდი და კარგ ფორმაშიც გახლდით. ისეთი მუცლის პრესი მქონდა, ვან დამსაც კი შეშურდებოდა. ცოლი რომ მოვიყვანე, სპორტს თავი დავანებე. ოჯახს შენახვა უნდოდა, კრივით კი ამ მხრივ შორს ვერ წახვალ. ამის შემდეგ დაიწყო ჩემმა ღიპმა ზრდა...

— ალბათ სმაც დაიწყეთ და არც გემრიელ კერძებზე ამბობდით უარს...

— რა თქმა უნდა. ძმაკაცებში დროის ტარებაც ხელს უწყობდა იმას, რომ წონაში მომემატებინა, მაგრამ 120 კგ წონისთვის არ გადამიჭარბებია. სიმაღლით 190 სმ ვარ და ამ წონას კარგად ვიტანდი. გარეგნულადაც არ გამოვიყურებოდი ცუდად, მარტო ეგ იყო — ღიპი გამომბერა სასაცილოდ. ვერც ერთ პერანგს ვეღარ ვირგებდი, ღილები არც ერთზე არ მეკვრებოდა და იძულებული ვიყავი, მაისურები ჩამეცვა... ერთ კურიოზს მოგიყვებით: მეგობარმა საზღვარგარეთიდან საჩუქრად საკმაოდ ძვირფასი პერანგი ჩამომიტანა. მომერგო კიდეც, სულ ოდნავ მქონდა ვიწროდ. გავიხარე, აღარ ვიხდიდი. ჩემი და, ამერიკაშია გათხოვილი და ერთ დღეს, თავის უცხოელ მეუღლესთან და მაზლთან ერთად გვეწვია. მოგეხსენებათ ქართველების ამბავი — სამი დღე ზედიზედ არც ჩვენ გამოვფხიზლებულვართ და ისინი ხომ, ერთმანეთსაც ვეღარ ცნობდნენ... თამადა, რა თქმა უნდა, მე ვიყავი. მორიგი სადღეგრძელოს წარმოთქმისას, ფეხზე წამოვდექი, განსხვავებული სასმისი მოვიმარჯვე და... უცებ, ჩემ პირდაპირ მჯდომ სიძეს სათვალის ცალი მინა ჩაემსხვრა. შეშინებული ფრედი ფეხზე წამოხტა და თვალზე ხელი იტაცა. თავიდან, მხოლოდ მე მივხვდი, რომ მის სათვალეს ჩემი პერანგიდან აწყვეტილი რკინის ღილი მოხვედრია: ღიპმა თავისუფლება იგრძნო და თუ მანამდე, პერანგი მიჭერდა და დისკომფორტს ვგრძნობდი, ახლა შვებით ამოვისუნთქე... რამდენიმე წუთის შემდეგ, ყველანი მხიარულად ვიცინოდით. ჩემმა დამ კი, ფრედის ნათქვამი ასე მითარგმნა: რაც ნაკლებ სასმელს ჩაისხამ სტომაქში, ნაკლებ უხერხულობას იგრძნობო. დარწმუნებული ვარ, ეს მისი აზრი უფრო იყო, ვიდრე ფრედის მიერ ნათქვამი სიტყვები...

— და თქვენსა და თქვენს მეუღლეს შორის უთანხმოებაც მაშინ დაიწყო?

— არა, ჩემსა და ნინოს შორის უთანხმოება ღიპის წარმოქმნის პირველი დღეებიდანვე დაიწყო. თავს მიხედე, ღიპი გეზრდება, იცოდე, ღიპიან ქმარს ვერ ავიტანო, — მეუბნებოდა.

— თქვენ კი გეგონათ, რომ ხუმრობდა?

— არა. ვიცოდი, რომ ღიპიან კაცებს ვერ იტანდა, მაგრამ ამის გამო ოჯახს თუ დაანგრევდა, ვერაფრით წარმოვიდგენდი. ღიპის ზრდასთან ერთად, ჩვენ შორის კონფლიქტიც გახშირდა. ყოველ ორშაბათს ვარჯიშის დაწყებას ვაპირებდი, მაგრამ ვერასოდეს ვახერხებდი ამისთვის თავის მობმას... ერთ საღამოს, კარგა გვარიანად ვიდავეთ. ბოლოს ვუთხარი: თავი დამანებე, თუ არ მოგწონვარ, შეგიძლია, შენი გზა მოძებნო-მეთქი. ან შეეგუე იმას, რომ მე და ღიპი განუყრელები ვართ, ან წადი და ერთხელ და სამუდამოდ დამასვენე-მეთქი. მეორე დღესვე წამოიწყო სასამართლოში განქორწინების საქმე.

— ეს თქვენთვის მოულოდნელი იყო?

— სიმართლე რომ გითხრათ, არა. მაგრამ მოულოდნელი ის იყო, რომ განცხადებაში დაუფარავად დაწერა განქორწინების მიზეზი. პროცესზე რომ მივედი, მოსამართლის ოთახის კარი შევაღე და ისტერიკული ხარხარი ამივარდა: ვხედავ — სავარძელში ახალგაზრდა მამაკაცი ზის და ხელები

თავის უზარმაზარ ღიპზე აქვს შემოწყობილი, მაგრამ იმაზე უფრო გამეცინა, რომ შესვლისთანავე, ჩემს ღიპს „დაარჭო“ მზერა და აშკარად თავისას შეადარა...

— **ალბათ მოსამართლის სიმპათია მაინც თქვენკენ გადმოიხრებოდა...**

— სასამართლო პროცესმა სულ სიცილ-ხარხარში ჩაიარა. ნინო გაწიწმატდა და თავგამოდებით ცდილობდა დაემტკიცებინა, თუ რა ძნელია ღიპიანი კაცის ცოლობა...

— **უტყუარ არგუმენტად ინტიმურ მხარეზე ხომ არ ამახვილებდა ყურადღებას?**

— არა, ამ მხრივ ყველაფერი რიგზე გვქონდა... სხვათა შორის, მოსამართლემაც ეგ კითხვა დაუსვა, მაგრამ ნინომ ხელები გაასავსავა: არა, ამ მხრივ ყველაფერი ნორმალურად არისო. — როგორ, ღიპი ხელს არ გიშლითო? — გაოცდა მოსამართლე (იქნებ, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე...). — არა, ბატონო, არ გვიშლის, ჩემს ქმარს სხვადასხვა მეთოდი აქვს შემუშავებული, რომ ღიპმა ამაში ხელი არ შეუშალოსო... ბოლოს, მოსამართლემ მოსაფიქრებლად სამი თვე მოგვცა, მე მთხოვა — ცოტა ხანი დარჩიო და როდესაც ნინო წავიდა, მითხრა: ბიჭო, იქნებ, ვარჯიში დაიწყო და ღიპი „დააგდო“, თუ ცოლის შენარჩუნება გინდა, ეს სამი თვე საკმარისი იქნებაო. როდესაც ჩემი მზერა დაიჭირა, რომელიც მის უშველებელ ღიპზე იყო შეჩერებული, ჩაახველა და დაამატა: ღიპი მეც მაქვს, მაგრამ ჩემს ცოლს ამის გამო პრეტენზიები არ გამოუთქვამსო...

— **ვატყობ, მოსამართლის რჩევა ყურად არ იღეთ, რადგან ღიპი ისევ „გამშვენებთ“...**

— ვარჯიში მართლაც დავიწყე, ორი კვირა ყოველდღე დავდიოდი სპორტულ დარბაზში, დილაობით დავრბოდი, სასმელ-საჭმელშიც შევზღუდე თავი. მაგრამ მერე მომბეზრდა. იმ პერიოდში, ერთი ახალგაზრდა ქალიც გავიცანი. მომეწონა და ვიფიქრე — ამ ქალს სიამოვნებით მოვეფერებოდი-მეთქი, — გადავწყვიტე, თავიდან გამერკვია, რას ფიქრობდა ღიპზე. ავდექი და პირდაპირ ვკითხე: ძალიან მესიმპათიურები, მაგრამ შენ თუ იგუებ ღიპიან კაცს-მეთქი? ჯერ კი დაიმორცხვა, მაგრამ მერე მიპასუხა: მე მამაკაცობას ღიპით არ ვზომავო. — აგაშენა ღმერთმა-მეთქი! — და იმ დღიდანვე დავანებე ვარჯიშს თავი... სამი თვის შემდეგ სასამართლოში რომ მივედი, მოსამართლემ შემომხედა, თავი გადააქნია და უსიტყვოდ გამოიტანა განქორწინების გადაწყვეტილება...

— **თქვენი ყოფილი მეუღლე როგორ გრძნობს თავს?**

— ალბათ კარგად, რადგან მეგობარი მამაკაცი ჰყავს, რომელსაც ღიპზე მინიშნებაც კი არ ეტყობა. სამაგიეროდ, მელოტია და ცეკვაც არ იცის — მე კი, გრუზა ქოჩორი მაქვს და ჩემი უზარმაზარი ღიპითაც, როკ-ენ-როლსაც მშვენივრად ვცეკვავ...

— **ეს დაბოლმილი კაცის ნათქვამს ჰგავს...**

— არავითარ შემთხვევაში! ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს კიდევ — მღვდლის ცოლიო, ნათქვამია. ჰოდა, ალბათ ნინოს უღიპო და მელოტი მამაკაცები ხიბლავს, მე კი მშვენივრად ვგრძნობ თავს და არც არაფერს ვუჩივი...

ბატონ გურამს ვთხოვე, ნინოსთან დაკავშირებინე, მაგრამ როდესაც ტელეფონით დავუკავშირდი, მან შეხვედრაზე უარი მითხრა და მომახალა: გურამმა სხვა ვერაფერი მოიფიქრა, ჩემს გასაღიზიანებლად? — მაგას ისიც ეყოფა, მე რომ მივატოვეო! — და ყურმილი დამიკიდა.

ბატონი გურამისგან განსხვავებით, ბევრი „ღიპოსანი“ შეწუხებულია ამ პრობლემით და შეუპოვრად ებრძვის დაგროვილ კილოგრამებს. მეც გადავწყვიტე, დავხმარებოდი ამ სურვილით შეპყრობილთ და კვალიფიციური კონსულტაციის მისაღებად, ერთ-ერთ სპორტულ დარბაზს მივაშურე, სადაც სპორტული წვრთნის კონსულტანტს, **დავით კვეზერელს** *შევხვდი.*

— **არსებობს თუ არა სპეციალური ვარჯიშები მათთვის, ვისაც ღიპის „დაგდება“ უნდათ?**

— დიახ, არის სპეციალური ვარჯიშების კომპლექსი, რომელთან ერთადაც, მათ უნდა დაიცვან სპეციალური დიეტა და ღიპის „დაგდება“ აბსოლუტურად რეალური ხდება.

— **რამდენად ხშირად გაკითხავენ ამ პრობლემით შეწუხებული მამაკაცები და აღწევენ თუ არა სასურველ შედეგს?**

— საკმაოდ დიდია იმ მამაკაცების რიცხვი, რომლებსაც ღიპის მოშორება უნდათ. ჩვეულებრივ, შედეგს დაახლოებით მოსულთა მეათედი აღწევს. ბუნებრივია, გაინტერესებთ ამის მიზეზი. სამი წელი გერმანიაში ვმუშაობდი. იქ უფრო მეტი ღიპიანი მამაკაცია, ვიდრე ჩვენში, მაგრამ იქაური ღიპი აშკარად განსხვავდება ჩვენებური, ქართული ღიპისგან. იქ უმეტესობას ჭარბი წონა და რაღაცნაირი, ქონიანი და ფენა-ფენად დადებული ღიპი აქვს. ქართულ ვარიანტში კი, შესაძლოა, კაცი გამხდარი იყოს, ღიპი კი კარგა გვარიანად ეტყობოდეს. ჩვენში ძირითადად, ღვინის ჭარბი სმის გამო ეზრდებათ მუცლები, იქ კი — კალორიული საკვების გამო. ამიტომ, თუ წონაში დაიკლებენ, ღიპიც უპატარავდებათ, სპეციალური ვარჯიშის შემდეგ კი, პრესი უმკვრივდებათ. ამას ემატება ნებისყოფაც, რომელიც იქაურებს ჰყოფნით საიმისოდ, რომ შედეგს მიაღწიონ. ქართველები კი უნებისყოფონი ვართ. ერთმა კაცმა მომაკითხა: შენი ჭირიმე, უნდა მიშველო, ღიპი უნდა გამიქროო. დავიწყეთ ვარჯიში. დავუნიშნე დიეტა. ცოტა ხანში დამიახლოვდა და დამიმეგობრდა. სამი დღის ვარჯიშის შემდეგ, დამირეკა და მითხრა: ბავშვის დაბადების დღე მაქვს და მეწვიეო. ვიქეიფეთ, მეორე დღეს პახმელიაზე გამოვედით. ორი დღის შემდეგ, ისევ დამპატიჟა. ასე გაგრძელდა კარგა ხანს. ბოლოს შევნიშნე, რომ მეც დამეტყო ღიპი. სასწრაფოდ დავანებე სმას თავი. ის კი დღესაც ღიპით დადის... აი, ასე — ქართველი კაცები კარგ ჭამა-სმას თავს ვერ ვანებებთ, ღიპი ღიპად რჩება და პრობლემა — პრობლემად.

— **წარმომიდგენია, თავიდან როგორი მოწადინებულები არიან ხოლმე...**

— ასეთია ადამიანის ბუნება: უცებ უნდა შედეგის დანახვა. აქ კი ნელ-ნელა, ეტაპობრივად უნდა იარო მიზნისაკენ. მეცინება ხოლმე, როდესაც ვუცქერ, თუ თავიდან, როგორი თავგამოდებით, ოფლში გახვითქულები, ხვნეშა-ხვნეშით ვარჯიშობენ ხოლმე. გადის მცირე ხანი და ეზარებათ და ზოზინ-ზოზინით, მძიმედ ურტყამენ წრეებს...

ბოლოს, ერთ რჩევას შევბედავ იმ ქალბატონებს, ვის რჩეულსაც ღიპი „ამშვენებს“: გაიხსენეთ წარსული, შეხედეთ თქვენს მამაკაცს კვლავ შეყვარებული ადამიანის თვალით და ვინ იცის — იქნებ, მისი ღიპიც ისეთი საყვარელი მოგეჩვენოთ, რომ სხვისთვის ვეღარც გაიმეტოთ...

■



ნანული ბირკაია

ნათია ქივიძე

„აფხაზეთი ჩვენი ტკივილია!“ — აგერ უკვე რამდენი წელია, შეგვახსენებს ქალაქში მიმობნეული აბრები. მაგრამ სამწუხაროდ, ბევრი ჩვენგანი ბოლომდე ვერ ითავისებს ამ ტკივილს, რადგან ჩვენ, თბილისელებს არავინ დაგვსხმია თავს, არ გაუძარცვავს ჩვენთვის სახლი, არც ტყვიების წვიმაში გაგვივლია კილომეტრები, თავის გადასარჩენად, არ ჩაგვიხედავს სიკვდილისთვის თვალებში და, ბოლოს, არც ლუკმაპურის საშოვნელად ე.წ. „წვრილი ბიზნესის“ სტკბო-სიმწარე გვიგრძნია...

„ჩემი თავის უფროსი მე თვითონ ვარ...“

— ნანული ბირკაია ვარ, შვილო. საშუალო სკოლა აფხაზეთში დავამთავრე. ჯერ გეგეჭკორში (მარტვილში) ვცხოვრობდით, მერე სოხუმში გადავედით. სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისში წამოვედი სასწავლებლად. ვმუშაობდი კიდეც. უკვე 30 წლის ვიყავი, როდესაც ჩემი მეუღლე, ბორის მელაძე გავიცანი. რაღა დროს ჩვენი სიყვარული იყო? — ერთმანეთი მოგვეწონა და ცოლად გავყევი. დავბრუნდით ისევ აფხაზეთში. ორი შვილი შეგვეძინა — ქალ-ვაჟი. გოგონამ აქ დაამთავრა ეკონომიკური, ბიჭი, ჩაირიცხა თუ არა, ჯარში წაიყვანეს. იქიდან დაბრუნების შემდეგ გააგრძელა სწავლა, მაგრამ მეოთხე კურსზე იყო, როცა აფხაზეთში ომი დაიწყო და იქ წავიდა. მერე, სწავლის გაგრძელების პირობები აღარც ჰქონია. ჩემი მეუღლე ომის დაწყებამდე გარდაიცვალა. საწყალი, არ შესწრებია იმ უბედურებას...

— აფხაზებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— ძვირფასი ურთიერთობა გვქონდა, შვილო. ჩვენი ეზოები ერთმანეთის გვერდიგვერდ იყო. არეულობა რომ დაიწყო, გარღვეული ღობის აჭედვა მინდოდა, მაგრამ არ ამაჭედვინეს: რას ამბობ, ნანული დეიდა? დილით, ყავის დასალევად ხომ უნდა გადმოხვიდეო, — მითხრა მეზობელმა ქალმა. აფხაზ მეზობლებთან არანაირი კონფლიქტი არ გვქონია, პირიქით — ბოლო დღემდე ვმეზობლობდით, ერთმანეთს ვუფრთხილდებოდით. თქვენსავით ახალგაზრდები იყვნენ და უჩემოდ ყავასაც კი არ სვამდნენ ხოლმე...

— როგორ წამოხვედით სოხუმიდან?

— პირველად ჩემი გოგონა გადმოვიყვანე. მერე ბიჭი გახდა ავად და აქ ვიყავით. მაგრამ დიდხანს არ გაჩერებულა: იქ ომია და მე აქ რა მინდაო?! წავიდა და უკან გავყევი. მარტოს ხომ არ გავუშვებდი შვილს იმ არეულობაში, გაჭირვებაში ხომ არ მივატოვებდი?!. ჩვენი ოჯახიდან პირველად, ჩემი მულის შვილი დაიღუპა. კახას სიკვდილმა ძალიან დაგვწყვიტა გული... აეროპორტში მისულები, უკან დაგვაბრუნეს: შევარდნაძე ჩამოვიდა, ნუ გეშინიათ, მშვიდობა იქნება, ყველანი სახლებში დაბრუნდითო... ვენდეთ და უკან დავბრუნდით, მაგრამ... რამდენიმე დღეში, საბოლოოდ აირია ყველაფერი და იქიდან ფეხით მოგვიხდა წამოსვლა. თხუთმეტი დღე მოვდიოდით. რა აღარ გადავიტანეთ გზაში... სულ ცუდად ვხდებოდი. ჩემი ძმა, რძალი და მათი შვილი არ წამოვიდნენ, იქ დარჩნენ. ვერ წარმოედგინათ, რომ აფხაზებს ქართველების მოკვლა შეეძლოთ. ძმაც და რძალიც ერთად დამიხვრიტეს, ხოლო მათი შვილი თვითონ აფხაზებმა გადმოიყვანეს აქეთ. მაგრამ ყველა ის საშინელება, რაც საკუთარი თვალით ნახა, ვერ გადაიტანა: ექვსი თვეც ვერ გაძლო — გული გაუსკდა. დამრჩა ძმის ობოლი შვილიშვილი გასაზრდელად...

— თუ იცით, თქვენს სახლს რა ბედი ეწია?

— რა თქმა უნდა. ორსართულიანი სახლი გვქონდა, ცინკით გადახურული. სულ გაუძარცვავთ, აბსოლუტურად ყველაფერი წაუღიათ. ცარიელი კარკასიღა დგას... მხოლოდ ბავშვების ტანსაცმელი წამოიღეთ. ვეხვეწებოდი ჩემს ძმას: წავიღოთ ავეჯი და ყველაფერი-მეთქი, — მაგრამ არ მიჯერებდა, საწყალი: სოხუმი არ დაეცემაო. ჩამოვედი ცარიელ-ტარიელი. გოგო გათხოვილი დამხვდა, მე და ჩემი ბიჭი კი, ჩემი დის ბინაში ვცხოვრობთ, დოლიძეზე.

— როგორ დაიწყეთ „ყვავილების ბიზნესი“?

— რომ ჩამოვედი, ძალიან მიჭირდა. რუსეთში მინდოდა წასვლა, რადგან ჩემი ყველა მეზობელი და ახლობელი იქ ცხოვრობდა. მაგრამ გოგო აქ იყო გათხოვილი, ძმის სიკვდილიც აქ გავიგე და ასე შემოვრჩი თბილისს. თავიდან, პურით ვვაჭრობდი, მაგრამ ამ საქმეს მალევე მოვწყდი — ვერ ავეწყვე. მერე, ვიღაცამ მირჩია, ყვავილებით მევაჭრა. იებით დავიწყე. შუა ქუჩაში ვიდექი, წვიმასა და ქარში. კაფე „პრინცის“ უფროსს შევეცოდე და რაღაც დროებითი სამუშაო მომცა. მერე მითხრა: კაფეს წინ დაჯექი — გადმოფარებულია და წვიმა მაინც არ დაგასველებსო. დავჯექი. იებს სხვა ყვავილებიც მივამატე, პურის ფული ვიშოვე, ცოტა ამოვისუნთქე. უკვე ათი წელია, რაც ყვავილებით ვვაჭრობ. რომ მკითხოთ, ვინ დაგიდგა გვერდში და ვინ შეგიწყო ხელიო — ყველაზე მეტად ამ კაცისგან ვარ დავალებული. გვარიც კი არ ვიცი იმ ღვთისნიერი ადამიანის, სახელად თამაზი ჰქვია.

— არ გიჭირთ მთელი დღე ქუჩაში ჯდომა?

— ძალიან მიჭირს, შვილო, მაგრამ რა ვქნა? — შიმშილით ხომ არ დავიხოცებით... ერთხელ, ჩემი ბიჭი ავარიაში მოყვა, ფეხი მოიტეხა. ყველაზე მეტად მაშინ გამიჭირდა. ექიმებს შევეცოდე და ოპერაცია შეღავათიან ფასებში გაუკეთეს... თანაც, ძალიან მიყვარს ყვავილები. თითოეული მათგანი ძალიან ძვირფასია ჩემთვის. სახლში ისე არ წავალ, რომ პატარა თაიგული მაინც არ წავიღო და ლარნაკში არ ჩავდო.

— შემოსავლიანი თუა თქვენი ბიზნესი?

— არა უშავს. სხვასთან რომ ვიდგე მთელი დღე და ხუთი ლარი მომცეს, იმას არ მირჩევნია, აქ ვიჯდე? ჩემი თავის უფროსი მე თვითონ ვარ: როცა მინდა მოვალ, როცა მინდა — წავალ. 64 წლის ქალი ვარ, ბევრი საქმის კეთება აღარ შემიძლია. ცოტა პურის ფულს ვიშოვი და შინ ადრე მივდივარ...

— აფხაზეთში დაბრუნების იმედი თუ გაქვთ?

— არა. შვილო. სანამ ეს მმართველობა იქნება საქართველოში, რისი იმედი უნდა მქონდეს?! ჩვენი მთავრობის წევრები, ერთმანეთს რომ ხოცავენ, მაგის მაგივრად იმაზე იფიქრონ, ლტოლვილს პენსია ან დახმარება მაინც მოუმატონ. ხალხს ძალიან უჭირს... თუ ცოცხალი ვიქნები და რამე შეიცვლება, თუ დავიბრუნებთ აფხაზეთს, აუცილებლად წავალ უკან, ჩემს დანგრეულ სახლში დავბრუნდები და თავიდან დავიწყებ ცხოვრებას...

■

მარინა ზნამენსკაია

მიხეილ გოგიჩაიშვილი

რა საიდუმლო გაიყოლეს ცეკას მდივანმა და მისმა ქვრივმა?

30 წლის წინ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა — კომპარტიის ცეკას მდივანმა მიხეილ გოგიჩაიშვილმა, ცოტა ხნის შემდეგ კი, მისმა ქვრივმა მარინა ზნამენსკაიამ იგივე ნაბიჯი გადადგა.

*მომხდარი დღემდე, იდუმალებით მოცული რჩება. **მიხეილ გოგიჩაიშვილის შვილთან ვახტანგთან** შეხვედრა, ტრაგედიის თანმდევ გარემოებათა გასარკვევად გადავწყვიტე. მაგრამ ვიდრე მის ნაამბობს შემოგთავაზებთ, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე, გოგიჩაიშვილების ბინაში, სადაც დღეს მათი შვილები ცხოვრობენ, ყველაფერი ზუსტად ისევეა, როგორც ბატონი მიხეილის დროს იყო. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს გასული საუკუნის 70-იან წლებში დავბრუნდი და საკუთარი თვალით ვიხილე, თუ როგორ ცხოვრობდა საქართველოში კომპარტიის ცეკას მდივანი.*

მაია კახიძე

— ვახტანგ, 30 წელი ძალიან დიდი დროა და ბევრი რამ ალბათ არც გახსოვთ...

— ერთი შეხვედრა ყველაფრის გახსენებას ნამდვილად არ ეყოფა, მაგრამ ვეცდები, რაც შეიძლება მეტი მნიშვნელოვანი ეპიზოდი გავიხსენო. ცოტა შორიდან დავიწყებ. მამაჩემი 1920 წელს, თბილისში დაიბადა, დედა — რუსეთში, სამარაში. მისი ოჯახი საქართველოში რომ გადმოვიდა საცხოვრებლად, დედა 7 წლისა ყოფილა. დიდი სამამულო ომის შემდეგ, ფიზკულტურელთა აღლუმი ჩატარდა თბილისში, რომელზეც დედაც გამოვიდა, როგორც მოცეკვავე და მამაჩემმა სწორედ იქ ნახა პირველად. ულამაზესი, ჭკვიანი, სპეტაკი მშობლები მყავდა, ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და ჩვენც — მე და ჩემს დას, სიყვარულით გვზრდიდნენ. მამამ კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი დაამთავრა. 1943 წლის დეკემბერში, სტალინის (ახლანდელი დიდუბის) რაიონის კომკავშირის რაიკომის მდივნად აირჩიეს, სამი წლის შემდეგ კი — მოსკოვის უმაღლეს პარტიულ სკოლაში მიავლინეს. მისი მოღვაწეობის ყოველი წელი, დღე და რიცხვი შემიძლია დავასახელო, მაგრამ ალბათ ძირითადი მომენტების გახსენება სჯობს. 1953 წლის აპრილში, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა. იერარქიულ კიბეზე ნაბიჯ-ნაბიჯ, უდიდესი შრომის ფასად იარა. 16-ჯერ გადაანაცვლეს აღმავალი გზით ხან პარტიულ და ხანაც სამეცნიერო სამსახურში. როგორც ცენტრალური კომიტეტის მდივანი, იდეოლოგიის, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროებს კურირებდა. კარგად ერკვეოდა მრეწველობისა და მშენებლობის საკითხებში. მაშინ საქართველოში ხშირად ხდებოდა თანამდებობების „გაჩუქება“ ერთი დიდი კაცის ცოლის ხელშეწყობით. ჰოდა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოსტზე შეუფერებელი პიროვნების დანიშვნით გაბრაზებული მამაჩემი, მაშინდელ პირველ მდივანთან, ვასილ მჟავანაძესთან კაბინეტში შევიდა და უთხრა: მე თქვენს, როგორც პირველი მდივნის მითითებებს შევასრულებ, მაგრამ ქალისას — არაო.

— ესე იგი, მჟავანაძის ცოლზეა ლაპარაკი, არა?

— დიახ და ამის მერე მოხსნაც დაუპირეს, მაგრამ ვერ შეძლეს — მამაჩემი ცენტრმა დაიცვა. ბევრი უმაღლესი რანგის ფუნქციონერისაგან მამა იმით განსხვავდებოდა, რომ გამორჩეული ავტორიტეტი ჰქონდა მთავრობასა და ხალხში. მან ცეკას მდივნად დანიშვნის შემდეგ, მთელი სიცხადით დაინახა რესპუბლიკაში გაბატონებული უკანონობა, პარტიული ელიტის ავანტიურიზმი და შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ამ ელიტის გარკვეულ წარმომადგენლებს. ეს ბრძოლა თავიდან ფარული გახლდათ, შემდგომში კი, „მჟავანაძის მაფიასთან“ აშკარა დაპირისპირებაში გადაიზარდა. მინდა ობიექტური ვიყო და ვთქვა, რომ მაშინ, მჟავანაძის შემცვლელად მამაზე უფრო ღირსეული კანდიდატურა არ არსებობდა, თუმცა მას არ სურდა ცეკას პირველი მდივნობა. 1970 წლის 8 იანვარს შინ რომ დაბრუნდა, თქვა: ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად მნიშნავენო. აღელვებული იყო, უფრო სწორად, — სულიერმა მღელვარებამ შეიპყრო, რადგან მან მშვენივრად იცოდა, რომ გაუჭირდებოდა ობიექტური, სუფთა ხაზის გატარება ხელისუფლებაში.

1972 წლის 26 ივნისი

მახსოვს, მოსკოვში წასვლის წინ, მამამ გვითხრა: ეს ჩემი უკანასკნელი დიდი მოხსენება იქნება, ცეკადან მივდივარო... 1972 წლის 26 ივნისს, მოსკოვში იდეოლოგიურ მუშაკთა საკავშირო თათბირზე მან ნათლად წარმოაჩინა რესპუბლიკაში არსებული ვითარება. მოხსენების შემდეგ, მაშინდელმა მაღალჩინოსნებმა — კაპიტონოვმა და ფედოსეევმა მამა „იმპერიის“ მეორე კაცთან — მიხაილ სუსლოვთან მიიყვანეს. ყველამ უმაღლესი შეფასება მისცა მამაჩემის მოხსენებას. ის კი არა, ცეკას მდივანმა პონომარიოვმა მას მოხსენების ტექსტიც კი სთხოვა ავტოგრაფით, ხოლო

ვასილ მჟავანაძესთან (მარჯვნივ) და მოსკოველ სტუმართან ერთად

მის შეკითხვაზე — შეძლებდა თუ არა ცეკას პირველი მდივნის რანგში რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობის გამოსწორებას — მამას ასეთი პასუხი გაუცია: არ ვაცხადებ პრეტენზიას პირველ მდივნობაზე და თუკი რესპუბლიკას ისეთი ხელმძღვანელი ეყოლება, რომელიც სერიოზულად მოეკიდება ქვეყნის საქმეებს, მზარში ამოვუდგებიო.

სამი დღის შემდეგ

1972 წლის 29 ივნისს, მამას მჟავანაძემ დაურეკა მოსკოვში, სასწრაფოდ ჩამოსვლა და გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 50 წლისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის წარმართვა სთხოვა. დაღლილ-დაქანცული მამაჩემი იმ ღამესვე ჩამოფრინდა თბილისში. აეროპორტში დედა დახვდა და სწორედ დედაჩემისგან ვიცი, რომ იმ ღამით ედუარდ შევარდნაძეც დახვდა მამას. მაშინ ის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. თავისი არხებით ალბათ უკვე იცოდა მამაჩემის შეხვედრების შესახებ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებთან მოსკოვში. ცხადია, ცეკას პირველ მდივნად მამაჩემის შესაძლო გადასვლის თაობაზეც ფლობდა გარკვეულ ინფორმაციას და — ჩემი ვარაუდით — თადარიგს იჭერდა... არადა, იმ ღამეს არც შევარდნაძემ და არც მჟავანაძემ არ უწყოდნენ, რომ მამას უკვე უარი ჰქონდა ნათქვამი პირველ მდივნობაზე, თორემ ამდენად, ალბათ არც შეფუცხუნდებოდნენ... მამა, როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტი, კრემლის მესვეურთა ავანტიურისტულ პოლიტიკას ვერ შეეგუებოდა, ესენი კი, ამასაც ვერ მიუხვდნენ...

საბედისწერო დილა

მამამ აქ, ჩვენს სახლში, თავის სამუშაოთახში, სვანეთში ნაჩუქარი დანით მოიკლა თავი, უფრო ზუსტად — კედელზე მიბჯენილ დანას წამოაგო აკვნესებული გული... იმ ღამეს, ძლიერ თოვდა. 1973 წლის 16 იანვარს, დილის 7-ის ნახევარზე, საკუთარი თვალით ვნახე გულგანგმირული მამა...

— რატომ, რის ან ვის გამო გადადგა ასეთი ნაბიჯი?

— ბოლო თვეებში წარმოებულმა ბრძოლამ საგრძნობლად შეცვალა მამაჩემი. სჯობს, წავიდე იქიდანო, — ამბობდა. ეს სიტყვები რაღაც საშინელებას გამოხატავდა, მაგრამ მაშინ 23 წლის ვიყავი და არ მესმოდა, რა იმალებოდა ამ სიტყვების მიღმა. არადა, მამამ ვერ აიტანა, მისი ავტორიტეტის ფაქიზად მოვლილ, წლობით ნასაზრდოებ ხეს მოჩეხა რომ მოუნდომა უხეშმა და დამანგრეველმა ძალამ... კარგად მახსოვს, თვითმკვლელობის დღეს, მოზღვავებული ხალხის წყებაში ცნობისმოყვარეთა თვალების ელვარება, ვუმზერდი იღბლიანი ბედისწერით დიდ სიმაღლეზე ატყორცნილებს, ძალაუფლებას დახარბებულებს და... ნუთუ, მათ ოდესმე, მამაჩემივით ჩააფიქრებთ ჯვარცმული პატიოსნება?! არა მგონია... იცით, ორჯერ შევიდა მამა შევარდნაძესთან (რომელიც უკვე ცეკას პირველი მდივანი იყო) თანამდებობიდან გათავისუფლების თხოვნით და ორჯერვე უარი მიიღო. მან ნათლად დაინახა, რომ რასაც თავი შესწირა, ყველაფერი წყალში ჩაეყარა და სწორედ ამის გამო ჩავარდა დეპრესიაში... მამა ოფიცერთა სახლიდან გამოასვენეს. ბევრი გამოვიდა მაშინ სიტყვით, მაგრამ რაღაში ესაჭიროებოდა მამაჩემს მათი უმრავლესობის ფარისევლური სინანული?! მეტსაც გეტყვით: მამას მძღოლმა მიამბო, რომ თვითმკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, 12 იანვარს, იმერეთის გზაზე, მიუვალ, თოვლიან და ტყიან ადგილას ორჯერ გაუჩერებია მანქანა, რაღაც ქაღალდები ნაკუწ-ნაკუწ უქცევია — ალბათ იმიტომ, რომ მისი ოჯახისთვის არ ეხლოთ ხელი... რაც შეეძლო, ის გააკეთა, მაგრამ მაინც ვერ განსაზღვრა, დედაჩემს რა დღეში ჩააგდებდნენ. სხვათა შორის, ადრე მან მჟავანაძესაც მისწერა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, გათავისუფლებინა თანამდებობიდან. ესეც ოჯახის გამო გააკეთა. მაგრამ მაინც ვერ გადავვარჩინა... არა, არ უნდა ემუშავა მამაჩემს პარტიული ხაზით, არ უნდა წასულიყო ამ გზით — ის სხვა სიწმინდის კაცი იყო და ჩვენი ოჯახიც მშვიდად იცხოვრებდა...

„თვითმკვლელობის განყოფილება“

დედაჩემი ძალიან ლამაზი ქალი იყო, ღიმილიანი, თბილი, ნაზი... ჯერ პერინის საბალეტო სკოლაში, მერე — ჯავრიშვილის ქორეოგრაფიულ სტუდიაში სწავლობდა. ოპერის თეატრში 1941 წელს მივიდა. სწორედ იმ წელს ჩამოვიდა თბილისში ვახტანგ ჭაბუკიანი. 1961 წელს, დედას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭეს. შესანიშნავად ცეკვავდა „სამაიას“, „ქართულს“, „განდაგანას“, „ხევსურულს“... ჩემი უსათუოესი დედა მამის სიკვდილიდან, თითქმის წელიწად-ნახევარში გაისტუმრეს იმ ქვეყნად... ხასიათი მკვეთრად გაუუარესდა, ისეთ ფრაზებს ამბობდა, მისგან არასოდეს რომ

პაგარა ვახტანგი დედ-მამასთან ერთად

ბაგონი მიხეილი მძიმე სამუშაოსაც არ გაურბოდა...

არ გვსმენოდა მე და ჩემს დას. სექტემბერში, თეატრალურ ინსტიტუტში სასცენო მოძრაობის კათედრაზე უფროს მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, ოპერაშიც ნახევარი განაკვეთი მისცეს, მაგრამ ეს დედაჩემზე თვალყურის დევნების მიზნით მოხდა – აბა, შინ ჩაკეტილს როგორ „დაამუშავებდნენ“?!. 4 ივნისს, 25 წელი რომ შემისრულდა, დედამ მითხრა: это грустное двадцатипятилетие. ბოლო თვეებში ძალიან გახდა, ისეთი სევდიანი იყო, ფიქრებში ჩაძირული... დედას მარტის ბოლოდან ატერორებდნენ. 1973 წლის 29 მარტს ედუარდ შევარდნაძე და ვიქტორია სირაძე *(ცეკას მდივანი. – ავტ.)* მოვიდნენ ჩვენთან. შევარდნაძე ვითომ ჩვენს სანუგეშებლად მოვიდა, მაგრამ ის უფრო აინტერესებდა, იცოდა თუ არა ვინმემ რაიმე მამაჩემის თვითმკვლელობის ნამდვილი მიზეზის შესახებ. დედაჩემის იმიტომ ეშინოდათ, რაიმე ისეთი მასალები ხომ არა აქვს, მოსკოვში რომ გააგზავნოსო... მაგრამ მას არავითარი მასალები არ გააჩნდა. დედა მოსკოველი მაღალჩინოსნის, პეტრე ფედოსეევის ცოლთან მეგობრობდა. მათი მიმოწერის ამსახველი 12 ბარათი მაქვს შენახული... იმ დღეს, შევარდნაძეს ვუთხარი: სამთავრობო ტელეფონი მოხსენით, არ გვინდა-მეთქი. ჯერ უარი თქვა, მაგრამ რამდენიმე დღეში მოგვიხსნეს... მახსოვს, ცოლის შერთვა მირჩია, მერე ორმოცი წუთი ბებიაჩემს ელაპარაკა განცალკევებით... ერთი რამ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ კაგებეში „თვითმკვლელობის განყოფილება“ მუშაობდა – თვითმკვლელობის „მომწყობი“ არაკაცები საგულდაგულოდ უბურღავდნენ ტვინს დედაჩემს. ბოლო პერიოდში დედა მეუბნებოდა: „ჩვენ სახლიდან გაგვაძევებენ“, „დედა არ დაივიწყოთ“, „მე ჩემი ქმრის შემდეგ ცოცხლებში არ ვწერივარ“ და ა.შ. 8 ივნისს შროშის ქუჩაზე, მეხუთე სართულზე მდებარე, ბებიაჩემის ერთოთახიანი ბინიდან გადმოხტა დედა. იმ დღეს, ჯერ სასაფლაოზე წავიდა, მერე „ლეჩკომბინატში“ გაიარა, იქიდან გამოსულს კი, ისევ დამუქრებიან: კრინტი არ დაძრა, თორემ 14 წლის ნინიკოს მოგიკლავთო... მეტს ველარ გაუძლო. მე და ჩემი და კინოში გაგვიშვა, ორსერიიან ფილმზე, თვითონ კი...

სამაგიეროდ...

სამაგიეროდ, „კომპენსაციის“ სახით, მამაჩემის დედას ოროთახიანი ბინა მისცეს და 50 მანეთი პენსიაც დაუნიშნეს, მეორე ბებიას – დედის დედას – 84 მანეთი. დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ, უშიშროებამ რამდენჯერმე „მომაქცია ყურადღება“, მაგრამ ალბათ დარწმუნდნენ, რომ ფოტოსურათების, პირადობის მოწმობების, წიგნებისა და ჯილდოების გარდა, ჩემს მშობლებს არაფერი დაუტოვებიათ... მე კი... ჩემი ერთ-ერთი ლექსის ოთხ სტრიქონს გეტყვით:

... ვერ მოვასწარი ყოველი მეთქვა,
აჩრდილად მახლავს იარა ძველი...
თითო ნაბიჯზე გვიშენდა სეტყვა,
თითო ნაბიჯზე – ჭმუნვა და ცრემლი!

P.S. ვიდრე გოგიჩაიშვილების ბინიდან გამოვიდოდი, ერთხელ კიდევ შევავლე თვალი მიხეილ გოგიჩაიშვილის სავარძელს, რომელშიც ერთხელ შევარდნაძეც მჯდარა და ცოტა ხნით მეც გახლდით მოკალათებული. ვახტანგ გოგიჩაიშვილს კი, 30 წლის წინანდელი რჩევა დღემდე არ გაუთვალისწინებია და 50 წელს გადაცილებული, უცოლშვილოდ მოდის ცხოვრების გზაზე, მწარე წარსულთან ერთად... ■

ადამიანს ანუ ადამიანებს

გონების ვარჯიში ადამიანზე ისეთსავე ზეგავლენას ახდენს, როგორც მზე ახდენს ბუნებაზე. ასეთი შრომა ფანტავს დაღვრემილობას, თანდათანობით ათბობს, ამსუბუქებს, ამაღლებს სულიერ ძალებს.

ვილჰელმ ჰუმბოლდტი

ვინც მკვდარსა ჰგავს ცხოვრებაში, მას სიკვდილიც უმძიმს.

ჟან ლაფონტენი

ყოვლის სიბრძნის საფუძველად მოთმინება დაუდვიათ.

ვახტანგ VI

ნუ ედავებით მას, ვინც თავის შეცდომებს აქებს,
თვალს ვერ აუხელ ბრმას, რომელიც გზას ველარ აგნებს.
ასეთი კაცის გული მუდამ ჰგავს მრუდე სარკეს,
რაც სილამაზეს ამახინჯებს, ამრუდებს საგნებს.

საადი

სიცოცხლე გვეძლევა აუცილებელი პირობით, რომ აღსასრულამდე ვაჟკაცურად ვიცავდეთ.

ჩარლზ დიკენსი

კარგის ცოდნა უფრო საჭიროა, ვიდრე ბევრის ცოდნა.

ჟან ჟაკ რუსო

პატივმოყვარე ადამიანები იმსახურებენ ბრძენთა სიძულვილს, ბრიყვთა აღტაცებას, არიან კერპნი მუქთახორებისა და მონები საკუთარ წადილთა.

თომას მორი

არც ერთი არაპოეტური საგანი არ არსებობს, თუ პოეტს შეუძლია საკადრისად ასახოს.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე



როცა ადამიანი ცდილობს, სტრესებისგან, სულიერი ტრავმებისგან და იმედგაცრუებისგან დაიცვას თავი, ასეთ დროს ძალზედ მნიშვნელოვანია, არ ჩაიკეტოს საკუთარ სამყაროში, არ მოსწყდეს მეგობრებს, სიყვარულს და მისთვის საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობას...

ადამიანი ბუნებით ძალზედ მგრძნობიარეა. ეს თვისება განსაკუთრებით ვლინდება მაშინ, როცა სუსტი სქესის წარმომადგენელი ბევრს და ინტენსიურად მუშაობს. თუმცა გულს ნუ გაიტეხთ, სტრესისა და უსიამოვნების დროს ხომ ადამიანის ორგანიზმში შინაგანი დამცავი მექანიზმი ირთვება, რომელიც მას ფსიქოლოგიური ტრავმებისაგან იცავს. ყოველ ადამიანში ეს მექანიზმი ბუნების მიერაა ჩადებული. ოღონდ, გაითვალისწინეთ, „დამცავი ჯავშნის ტარება" ჩვევად არ უნდა გექცეთ.

გასხვნილთ გულის ჯარი ადამიანებთან საკრთოვრთოდ

იყავით მიმნდობი, გულგახსნილი და ნუ ელით ქება-დიდებასა და პირფერობას

დამცავი რეაქცია

ალბათ შეგიმჩნევიათ, დიდი დღესასწაულებისას, საყოველთაო მხიარულების დროს, როცა დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი — ყველა იცინის, ხარობს და ბედნიერებას ასხივებს, მხიარულ სახეებს შორის გამოერევა ხოლმე თუნდაც ერთი — უკმაყოფილო. აი, მაგალითად, ერთ-ერთ მათგანს მდუმარე, გულჩათხრობილი, განმარტოებული ადამიანის გამომეტყველება აღბეჭდვია სახეზე. რაშია საქმე, მოხდა რამე? არა, არაფერი. უბრალოდ მას მიაჩნია, რომ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა მისთვის უფრო უსაფრთხოა — არავინ შეეხება და საკუთარი პრობლემებითაც არავინ მოაბეზრებს თავს. თუმცა, სინამდვილეში ეს ილუზიაა. შინაგანი „მეს" გაძლიერებული ფსიქოლოგიური დაცვისაკენ გამუდმებული ლტოლვა, ისეთ ადამიანებს ახასიათებთ, ვისაც ადრეული ასაკიდანვე აკლდა ყურადღება, სითბო და ალერსი. მეტისმეტად მკაცრი მშობლები, უმიზეზო ჩხუბი, ოჯახში გამეფებული მძიმე ატმოსფერო და ახლობლების მიერ პროვოცირებული არასრულფასოვნების კომპლექსი, აიძულებს ადამიანს ჩაიკეტოს საკუთარი აზრების, ფანტაზიებისა და იმედების სამყაროში. ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ გულჩათხრობილ, საკუთარ თავში ჩაკეტილ ადამიანებს სამგვარი დამცავი რეაქცია ახასიათებთ.

არასოდეს მჯერა არავისი და არაფრის

ერთნი, ცდილობენ რა შეინარჩუნონ სულიერი წონასწორობა, საოცრად ეჭვიანები ხდებიან. მათ არავისი და არაფრის სჯერათ — ვაითუ, ვინმემ მოატყუოს?!. უსიამოვნებები, დანაკარგი და სულიერი ტრავმა კი მათ არაფერში სჭირდებათ. ასეთ ადამიანებს სხვებთან ახლო კონტაქტში შესვლა ძალიან უჭირთ. როგორც წესი, ისინი საოცრად ეჭვიანები არიან და საკუთარი უსაფუძვლო ეჭვებით, შესაძლოა, პარტნიორი ნერვულ სტრესამდეც კი მიიყვანონ. მაგალითად, გუგას, მშობლები განსაკუთრებულად მკაცრად ზრდიდნენ — თითქმის არასოდეს აქებდნენ და არც ეალერსებოდნენ. სულ სხვა დამოკიდებულება ჰქონდათ მის ძმასთან, რომელიც გუგაზე ბევრად უმცროსი იყო. გუგას აღიზიანებდა მშობლების ქცევა, იგი ეჭვიანობდა ძმაზე და ეგონა, რომ დედას დათუნა უფრო უყვარდა. გუგამ საკმაოდ გვიან მოიყვანა ცოლი და 3 წლის თანაცხოვრების მანძილზე თავისი უსაფუძვლო ეჭვიანობით კინაღამ გააგიჟა იგი; ქალს გულშიც კი არ გაუვლია ქმრის ღალატი, თანაც კარგად ესმოდა მეუღლის პრობლემები. მიუხედავად ამისა, ასეთ ჯოჯოხეთურ ეჭვიანობას ვეღარ გაუძლო და ქმარს გაეყარა. გუგა დღემდე დარწმუნებულია, რომ მისი ცოლი სხვასთან წავიდა.

გამეცალეთ, არავინ მჭირდება

მეორენი, პირიქით ხაზს უსვამენ საკუთარ დამოუკიდებლობას და ცდილობენ, გარშემომყოფნი დაარწმუნონ იმაში, რომ ყველა სიძნელეს თავად გაუმკლავდებიან და არავისი დახმარება არ სჭირდებათ. თუმცა, მათი ეს ქმედება, სინამდვილეში, ფსიქოლოგიური თავდაცვის ერთ-ერთი ჰიპერტროფირებული ფორმაა, რომლის მიღმაც არსებული სინამდვილისაგან გაქცევის პრიმიტიული მცდელობა იფარება. ამ ტიპის ადამიანები შიშის ტყვეობაში იმყოფებიან — მათ პარტნიორისადმი გაჩენილი ძლიერი გრძნობა და

გამოცემა, რომელშიც სიტყვებია განმარტებული	ვაზის აჭრილი მტევნიანი ტერო	თამაში „...-პონგი"	ესკიმოსების ქოხი	აქლემის შვილი	ჩოგბურთის რაკეტა		
ე ე ქ ს ი ჭ ო ნ ი	ა ბ ი ფ ო ჯ ი ნ ი	ბ ვ ე ბ ი	ტ ო ტ ა	ბ ი ჩ ო ვ ნ ი	ა		
გარითმული ნაწარმოები	ალკოჰოლური სასმელი	ნივთიერება, რომლის მიღებაც ეკრძალებათ სპორტსმენებს	ყურძნის შაქარი	გემის უკანა ნაწილი	ან, ბან, ..., ...ონ...	მცი ფა	

განსაკუთრებული სიახლოვე აშინებთ, რადგან მიაჩნიათ, რომ ამას შესაძლოა, განშორება, იმედის გაცრუება და გულგატეხილობა მოჰყვეს. სწორედ ამ მიზეზით, ისინი ხშირად იცვლიან პარტნიორებს, რათა მეტისმეტად არ შეეჩვიონ ნებისმიერ მათგანს. ამ ტიპის მამაკაცებთან ურთიერთობის შედეგად უამრავი ქალი გულგატეხილი რჩება. თუმცა გამოცდილი ქალბატონები პოტენციურ პარტნიორებს შორის იოლად გამოარჩევენ ამგვარ მგრძნობიარე დონჟუანებს და სათოფეზე არ იკარებენ მათ. აი ახალგაზრდა, გამოუცდელი გოგონები კი, ხშირად ხდებიან მათი მსხვერპლნი. ისინი ხომ მომავალს იმედის თვალით შეჰყურებენ და იმედოვნებენ, რომ შეყვარებულის გულში ყინულის გალღობას მოახერხებენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ამას ზოგიერთ შემთხვევაში მართლაც ახერხებენ.

რაც შეიძლება ხშირად მაქეთ და მადიდეთ

დაბოლოს, მესამე ტიპს მიეკუთვნება ის კატეგორია, ვინც საკმაოდ კონტაქტური და გულღია ხასიათით გამოირჩევა, ამასთან გარშემომყოფებთან განსაკუთრებულად კარგი ურთიერთობა აქვს. ოღონდაც, ამ ტიპის ადამიანებთან მიმართებაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ისინი განსაკუთრებულ ყურადღებასა და დამოკიდებულებას ითხოვენ ირგვლივმყოფთაგან. მათ სიამოვნებთ შეუნიღბავი პირფერობა, ხშირი და ზოგ შემთხვევაში დაუმსახურებელი ქება. ხოლო თუ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც მათ სურთ, განაწყენებულნი საკუთარ თავში იკეტებიან და შინაგანად აბსოლუტურად დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ ახლობლები მათ აშკარა ღირსებებს სათანადოდ ვერ აფასებენ. ამასთან, ხშირ შემთხვევაში ამ ტიპის ადამიანები თავად არიან იმ უარყოფითი თვისებების მატარებელნი, რაშიც სხვებს სდებენ ბრალს! უმადურობა, მათი დამახასიათებელი თვისებაა და ისე, რომ, თავადაც ვერ აცნობიერებენ, ახლობლებს სულ იოლად სტკენენ გულს; მაგალითად, მეტისმეტად ეჭვიანი მეგობარი გოგონა ზოგჯერ ურცხვად იტყუება. მეგობარი ვაჟი კი, რომელიც გამუდმებით თავისი დამოუკიდებელი ხასიათის დემონსტრირებას ახდენდა, კრიტიკულ სიტუაციაში საოცრად უმწეოდ გამოიყურება. კოლეგა, რომელიც თითქოსდა უფროსობას ჰყავს ათვალწუნებული და ამის გამო იჩაგრება, სინამდვილეში საოცრად შურიანი ადამიანი აღმოჩნდება ხოლმე.

გახდით საკუთარი თავის მბრძანებელი

შესაძლოა, გაკვირვებულმა აღმოაჩინეთ, რომ ჩამოთვლილი თვისებებიდან ზოგიერთი, თქვენც და თქვენს ახლობლებსაც გახასიათებთ. ყველანი ადამიანები ვართ და ადამიანური სისუსტეები, რაღა თქმა უნდა, ჩვენთვის უცხო არ არის. ნუ გაღიზიანდებით, პირიქით, თქვენ ხომ მოგეცათ შანსი, რომ ბოლოს და ბოლოს, საკუთარ შინაგან „მეს“ ჩაუღრმავდეთ. მაგალითად, თქვენ სხვებზე ცუდად ნამდვილად არ მუშაობთ, მაგრამ იერარქიულ კიბეზე ანაცვლებას ვერ ახერხებთ. ვინ არის დამნაშავე – უფროსობა თუ კოლეგები? იქნებ, თქვენ თვითონ? წარმატებული კარიერის შესაქმნელად ადამიანი „ყველასნაირი“ კი არ უნდა იყოს, არამედ ერთი თავით აღემატებოდეს მათ. მიაღწიეთ ამას, ხელმძღვანელობა ფაქტის წინაშე დააყენეთ და ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გსურდათ. არაფერი გამოგდით? მაშინ, ამას ნუ აეთრევინებით, დაწყნარდით და დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ. შეეცადეთ, ადამიანებისადმი ეჭვიანი დამოკიდებულების გარეშე ერთი დღე მაინც იცხოვროთ. ისინი ხომ სავსებით განსხვავებულნი არიან. მართალია, ამქვეყნად არიან მატყუარები, მოღალატეები, შურიანები, ორპირები, ინტრიგანები, მაგრამ დაფიქრდით, ეს ხომ სრულიად ბუნებრივია. ალბათ იმაშიც დაგვეთანხმებით, რომ ასეთები უმცირესობას შეადგენენ და კარგი, წესიერი, პატიოსანი ადამიანები ჩვენ გარშემო უფრო მეტნი არიან. რა მოხდება, თუკი ყველას ყრუ კედლით გამოეყოფით და ახლოს არავის გაიკარებთ? თქვენ ხომ ხელიდან გაუშვებთ იმის შანსს, რომ ოდესმე მონათესავე სულს შეხვდეთ. ასე რომ, გირჩევთ, სხვა ადამიანებთან საურთიერთოდ გახსნათ საკუთარი გულის კარი.

ახალი ცხოვრება – ახალი ძალებით

დაფიქრდით, იქნებ, ცხოვრება არც ისეთი შავი და რუხი ტონებისგან შედგება, როგორც თქვენ გგონიათ? გაიხედ-გამოიხედეთ, იგი ხომ აღსავსეა მკვეთრი და ნათელი ფერებითაც! არ არის აუცილებელი, ყველა თქვენ გაქებდეთ. უმჯობესია, საკუთარი თავის ფასი იცოდეთ და გარშემომყოფთა აზრზე ამდენად დამოკიდებული ნუ იქნებით. დაბოლოს, ზედმეტია საკუთარი დამოუკიდებლობით ყოყოჩობა. სინამდვილეში, ხომ ეს ილუზიაა – ყოველ ჩვენგანს ვიღაც აცმევს, აჭმევს, სადღაც დაჰყავს, უთბობს და უნათებს საცხოვრებელ ბინას და სხვა. ადამიანებს სწორედ ასევე სჭირდებათ ახლობლების სითბო, სიყვარული და ყურადღება. ალბათ თავად თქვენც სჭირდებით ვიღაცას. მაშინ, რაღა საჭიროა დამცავი ჯავშნის უმიზეზოდ აფარება? მართალია, თავიდან გაგიჭირდებათ უმისოდ ცხოვრება, მაგრამ ეს ხომ უამრავ სიხარულსაც მოგიტანთ. ბოლოს და ბოლოს, ყოველი გამოჯანსაღება ხომ გარკვეულ ტკივილს ახლავს თან. ■

მორენა მერკვილაძე

რა უნდა ვიცოდეთ მართლმადიდებლური ტაძრის შესახებ

მართალია, დღეს ბევრი ადამიანი დადის ეკლესიაში, მაგრამ ზოგს მართლმადიდებლური ტაძრისა და მისი მოწყობის შესახებ, საკმაოდ მწირი ინფორმაცია აქვს. ამიტომ ვფიქრობთ, წინამდებარე წერილი ბევრი მორწმუნისათვის სასარგებლო იქნება.

ტაძარი არის ღვთის სახლი, საყდარი, რომელიც მღვდელმთავრის მიერ იკურთხება ქრისტიანთა შესაკრებლად და საეკლესიო მსახურების, ანუ ღვთისმსახურების აღსასრულებლად. ტაძარი, სადაც ღვთისმსახურებას აღასრულებდნენ, ჯერ კიდევ „ძველი აღთქმის“ პერიოდში არსებობდა. თუმცა „ძველი აღთქმის“ ტაძარი, მოძრავი, კარვის ტიპისა იყო, რომელიც მოსე წინასწარმეტყველმა ააგო ღმერთის ბრძანებით. „ძველი აღთქმის“ მიხედვით, როდესაც მოსეს ღმერთი გამოეცხადა და მოძრავი ტაძრის აგება დაავალა, ისიც აუწყა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო იგი. „ძველი აღთქმის“ ტაძარი სამი ნაწილისგან შედგებოდა: პირველი — წმიდათაწმიდა (სადაც მღვდელმთავარი შედიოდა წელიწადში ერთხელ, საკუთარი თავისა და ერის განსაწმენდელად); მეორე — წმიდა, ანუ განსაწმენდელი; მესამე — სტოა (ეზო).

რაც შეეხება ქრისტიანულ ტაძარს, IV საუკუნიდან გვხვდება, რადგან მანამდე, ქრისტეს მიმდევრები ყველა სახელმწიფოში იდევნებოდნენ. ამის გამო, პირველ ქრისტიანებს ღვთისმსახურების აღსრულება კერძო სახლებში უწევდათ. IV საუკუნეში, კერძოდ 331 წელს, რომის იმპერატორის — კონსტანტინე დიდის ედიქტის შესაბამისად, ქრისტიანებს სრული თავისუფლება მიენიჭათ, რასაც ქრისტიანული ტაძრების მშენებლობაც მოჰყვა...

მართლმადიდებლურ ტაძარს ძირითადად, სამი ფორმა აქვს: ჯვარგუმბათოვანი; ბაზილიკური (მოგრძნო ნავისებური) და წრიული (როტონდა, მრგვალი). ჯვარგუმბათოვანი ტაძარი — ჯვრის სახეა; ბაზილიკური — ნოეს კიდობნის; წრიული ფორმის ტაძარი კი, სახეა მარადიულობისა, მაგრამ როგორი ფორმისაც არ უნდა იყოს ტაძარი, სიმბოლურად, ზომალდს გამოხატავს. ზომალდმა ამქვეყნიური ცხოვრებიდან, იმ ქვეყნის ნავსაყუდლამდე — ანუ ცათა სასუფევლამდე უნდა მიიყვანოს ადამიანი. ტაძრის გუმბათი კი, სიმბოლურად, ანებულ სანთელს გამოხატავს.

„ძველი აღთქმის“ მოძრავი ტაძრის მსგავსად, მართლმადიდებლური ტაძარიც სამი ნაწილისგან შედგება (საკურთხეველი, მართალთა ადგილი და სტოა). მართლთა ადგილი ეწოდება ტაძრის შუა ნაწილს, სადაც მორწმუნენი დგებიან და თვალყურს ადევნებენ ღვთისმსახურებას. საკურთხეველი, რომელიც მართალთა ადგილისგან კანკელითაა გამოყოფილი, განკუთვნილია ღვთისმსახურთათვის. რაც შეეხება სტოას — თანამედროვე მართლმადიდებლურ ტაძარში ისე, როგორც დამოუკიდებელი სივრცე, აღარ არსებობს და მართალთა ადგილთანაა გაერთიანებული.

ნებისმიერი ტაძარი რომელიმე წმინდანის ან წმინდა მოვლენის ღირსსახსოვრადაა აგებული და იმავე წმინდანის ან წმინდა მოვლენის სახელობისაა. ტაძრის შესასვლელთან ან მის გასწვრივ, აღმართულია სამრეკლო, საიდანაც რეკენ ზარს და ქრისტიანებს ტაძარში სალოცავად უხმობენ.

მართალთა ადგილის ირგვლივ განთავსებულია მაცხოვრის, ღვთისმშობლის, სხვადასხვა წმინდანის, ან წმინდა მოვლენის ამსახველი ხატები. მართალთა ადგილის უკანა მხარეს გამოსახულია ჯვარცმა, რომლის წინაც აღესრულება მსახურება მიცვალებულთათვის (სასულიერო პირი იხდის პანაშვიდს და ქრისტიანები ანთებენ სანთელს მიცვალებულის სახელზე). მართალთა ადგილის შუა ნაწილში ან გვერდით დგას ანალოღია. ანალოღიაზე იმ წმინდანის ან წმინდა მოვლენის ამსახველი ხატი ასვენია, რომლის სახელობისაცაა ტაძარი, ან დაბრძანებულია იმ წმინდანის თუ დღესასწაულის ამსახველი ხატი, რომლის მსახურებაც აღესრულება იმ დროს ტაძარში. მორწმუნე პირველად, ანალოღიაზე დაბრძანებულ ხატს უნდა მიეახლოს, შემდეგ შეუძლია ნებისმიერი ხატის ამბორყოფა.

მართალთა ადგილის წინ შემაღლებულ ადგილს ეწოდება ამბიონი, საიდანაც სასულიერო პირი აღასრულებს ღვთისმსახურებას და წარმოთქვამს ქადაგებას. ამბიონის უკან არის კანკელი. კანკელს აქვს სამი კარი: ჩრდილოეთის, აღსავლის და სამხრეთის. აღსავლის კარს სამეუფო კარი ჰქვია, რადგან ამ კარით შევდივართ ზეციური მეუფის საბრძანებელში. სამეუფო კარით შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ ღვთისმსახურებს, ხოლო ერისკაცები და ეკლესიის სხვა მსახურები საკურთხეველში ჩრდილოეთის ან სამხრეთის კარით უნდა შევიდნენ. აღსავლის კარის მარჯვენა მხარეს მაცხოვრის ხატია, მარცხენა მხარეს — ღვთისმშობლის ხატი. მაცხოვრის ხატის გვერდით იმ წმინდანის ან წმინდა მოვლენის ამსახველ ხატს ათავსებენ, რომლის სახელზეც არის ნაკურთხი ტაძარი. ღვთისმშობლის ხატის გვერდით, ტაძრის წინამძღვრის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ნებისმიერი ხატის მოთავსება. აღსავლის კარზე გამოსახულია ღვთისმშობლის ხარების ხატი და ოთხი მახარობელი — მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე, აღსავლის კარის ზემოთ კი — საიდუმლო სერობა. სამეუფო კარის შუა ადგილზე აღმართულია ჯვარი.

საკურთხეველი, რომელიც ტაძრის ყველაზე მთავარი ნაწილია, ყოველთვის აღმოსავლეთით შენდება. საკურთხეველს უკეთდება ერთი, ორი ან სამი სარკმელი. ერთი სარკმელი მიგვანიშნებს ერთარსება ღმერთს; ორი — ქრისტეს ორ ბუნებას; სამი — წმინდა სამებას. საკურთხეველს ჩრდილოეთით მიშენებული აქვს სამკვეთლო, სამხრეთით კი — სადიაკვნე, სადაც მღვდელმსახურები იმოსებიან. საკურთხეველის ცენტრალურ ნაწილში დგას ტრაპეზი. იგი ყოვლადწმიდა სამების უხილავი საბრძანებელია. ტრაპეზზე უნდა ესვენოს „სახარება“, მისგან მარჯვნივ დასვენებულია ჯვარი. ტრაპეზზე ასევე მოთავსებულია: ოდიკი (ეპისკოპოსის მიერ ნაკურთხი აბრეშუმის ქსოვილი, რომელზეც გამოსახულია მაცხოვრის გარდამოხსნა, მეორე მხრიდან კი — რომელიმე მოწამის წმინდა ნაწილებია); კანდელი (ჭიქისებური ჭურჭელი, რომელშიც ჩასხმულია ზეთი, მასში ჩაშვებულ ფითილს უკიდია ცეცხლი — საღვთო მადლისა და სინათლის სიმბოლო); სანაწილე (ვერცხლის ან სხვა ლითონის ყუთი, რომელშიც მოთავსებულია წმინდა ნაწილები — იესო ქრისტეს სისხლი და ხორცი, მოკვდავთა და ავადმყოფთა საზიარებლად); ბაღდადი (ოთხკუთხა ქსოვილის ნაჭერი, რომელიც გამოიყენება ზიარების დროს); თვითონ ტრაპეზი არის ოთხკუთხა ხის ან ქვის მაგიდა, რომელსაც ქვეშ თეთრი, ზემოდან კი ფერადი შესამოსელი აქვს გადაფარებული. დიდმარხვაში, ტრაპეზი და მთლიანად ეკლესია შავი შესამოსლით იმოსება, რომელიც საღდგომოდ, წითელი შესამოსლით იცვლება, რითიც მართლმადიდებლური ეკლესია მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის სიხარულს გამოხატავს. ■



შეერთებული შტატების „საშვიდოზო ომები“

XX საუკუნის ბოლო ათწლეული, მსოფლიოს მოწყობაში ამერიკის შეერთებული შტატების როლის შემდგომი გაზრდით აღინიშნა. ერთადერთ სუპერსახელმწიფოდ დარჩენილი ეს ქვეყანა სულ უფრო ხშირად, ხან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფუნქციას კისრულობდა, ხანაც პირდაპირ „მსოფლიო ჟანდარმად“ გვევლინებოდა. ზოგი ამაში ე.წ. „ჯუნგლის კანონის“ (ძლიერი მუდამ მართალია) თავხედურ განხორციელებას ხედავს, ზოგი კი — სხვადასხვა რეგიონში დემოკრატიული წეს-წყობილების დამკვიდრების მართებულ პოლიტიკას. ერაყში მიმდინარე, ახალი ომის ფონზე, განსაკუთრებით საინტერესოა, უახლეს ისტორიას თუ გადავხედავთ — სახელდობრ, იმ ძალისმიერ აქციებს, რომელიც შტატებმა გასულ ათწლეულში, სხვადასხვა ქვეყანაში ჩაატარა.

ერაყი, 1991 წ. 17 იანვარი — 1 მარტი. ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“, რომელიც ნატოს ავიაციისა და ფლოტის მძლავრმა დაჯგუფებამ, ქუვეითში სადამ ჰუსეინის შეჭრის საპასუხოდ ჩაატარა. 40-დღიანი დაბომბვის შემდეგ, დაიწყო 100-საათიანი სახმელეთო ოპერაცია „უდაბნოს მახვილი“. მიზანი: ქუვეითის გათავისუფლება, ერაყის დასუსტება და მისი მხრიდან ახალი აგრესიის გამორიცხვა. შედეგი: ქუვეითი გათავისუფლდა, ერაყის სამხედრო ინფრასტრუქტურა განადგურდა, ჰუსეინის რეჟიმი საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა. მსხვერპლი: აშშ-ის 1364 სამხედრო მოსამსახურე და 20 ათასზე მეტი ერაყელი, მათ შორის 1-3 ათასი მშვიდობიანი მოსახლე. ზარალი: ადგილობრივი ხელისუფლების მონაცემებით – 40 მლრდ დოლარი.

ჰაიტი, 1994 წ. 19 სექტემბერი — 1995 წ. 31 მარტი. სამხედრო ოპერაცია „დემოკრატიის მხარდაჭერა“, რომელიც გაეროს სანქციით ჩატარდა. მიზანი: ხელისუფლების სათავეში, ამბოხებულების მიერ დამხობილი პრეზიდენტის – ჟან-ბერტრან არისტიდის დაბრუნება და აშშ-ში ლტოლვილთა ნაკადის გადასვლის შეჩერება. შედეგი: არისტიდი პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნდა. 1995 წელს დანიშნული არჩევნების შედეგად გაიმარჯვა რენე პრევალმა. ქვეყანაში წესრიგის დასაცავად, ამერიკული ჯარი 5 წელი იმყოფებოდა ჰაიტიზე. ადგილობრივ მოსახლეობაში არსებული მსხვერპლის შესახებ მონაცემები არ არსებობს. ქვეყნის ეკონომიკასა და ინფრასტრუქტურას რაიმე მნიშვნელოვანი ზარალი არ მისდგომია. აშშ-ისგან გაწეულმა დახმარებამ 2,2 მლრდ დოლარი შეადგინა.

ბოსნია, 1995 წ. 29 აგვისტო — 21 სექტემბერი. აშშ-ისა და ნატოს ძალებით განხორციელებული, მასირებული დაბომბვა. მიზანი: ბოსნიელ სერბთა ძალების გაუვნებელყოფა, ქვეყანაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტა. შედეგი: ე.წ. დეიტონის შეთანხმება. რეგიონში ნატოს 40000-კაციანი კონტინგენტი შევიდა. შეიქმნა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია. მსხვერპლი: აშშ-ის 1 სამხედრო მოსამსახურე და 800-1000 ადგილობრივი მცხოვრები. ბოსნიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურისთვის მიყენებული ზარალის ზუსტი მონაცემები დაუდგენელია. დონორი ქვეყნების დახმარება: 2002 წლის შედეგებით, 5 მლრდ დოლარი.

ავღანეთი და სუდანი, 1998 წ. 20 აგვისტო. ორივე ქვეყანას აშშ-მა მიაყენა დარტყმა Tomahawk-ის ტიპის 79 ფრთოსანი რაკეტით. ოპერაცია, ტანზანიასა და კენიაში აშშ-ის საელჩოებში განხორციელებული ტერორისტული აქტების საპასუხოდ ჩატარდა. მიზანი: მუსლიმანი ტერორისტების მოსამზადებელი ბაზებისა და შტაბების განადგურება. შედეგი: შესაბამისი ობიექტები დაინგრა და განადგურდა. მსხვერპლი: ავღანეთში – 21 ადამიანი (ორგანიზაცია „თალიბანის“ მონაცემებით), სუდანში – რამდენიმე ათეული ადამიანი (ადგილობრივი ხელისუფლების მონაცემებით). ზარალი: სუდანში დაინგრა ფარმაცევტული ქარხანა „ელ-შიფი“, რომელიც მეპატრონეებმა 50 მლნ დოლარად შეაფასეს. ავღანეთისთვის მიყენებული ზარალი არ დაუდგენიათ, რადგან 1998 წლის სამოქალაქო ომის შედეგად, ქვეყნის ინფრასტრუქტურა დანგრეული იყო. ავღანეთისა და სუდანისათვის აშშ-ს დახმარება არ გაუწევია.

ერაყი, 1998 წლის 16-20 დეკემბერი. დიდ ბრიტანეთთან ერთად განხორციელებული ოპერაცია „უდაბნოს მელა“, მასირებული საავიაციო-საარაკეტო დარტყმის ფორმით განხორციელ-

დამსოგბილი მმართველები

ამ და სხვა სამხედრო აქციების შედეგად, არაერთ ლიდერს გამოჭვლიეტეს ხელიდან ძალაუფლება. ამერიკის შეერთებულ შტატებს, მათთვის მიულებელ ხელმძღვანელთა მოცილების მდიდარი გამოცდილება დაუგროვდა. აი, რამდენიმე ლიდერი, რომელმაც იძულებით დატოვა სახელმწიფოს მეთაურის პოსტი.

სლობოდან მილოშევიჩი

სლობოდან მილოშევიჩი, იუგოსლავიის პრეზიდენტი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეორე მსოფლიო ომის დროიდან მოყოლებული, იუგოსლავიაში განხორციელებულ შეიარაღებულ ოპერაციას ანალოგი არა აქვს. მის შედეგად, 1999 წელს, მილოშევიჩის რეჟიმი უკიდურესად დასუსტდა. 2000 წელს, იუგოსლავიის პრეზიდენტი გადადგა, შემდეგ კი, გადაეცა ჰაგის ტრიბუნალს, რომელიც იუგოსლავიაში ჩადენილ დანაშაულებს იძიებს. ამჟამად მილოშევიჩი ჰოლანდიის ციხეში იმყოფება და განაჩენის გამოცხადების მოლოდინშია.

მოჰამედ ფარახ აიდიდი, სომალის ეროვნული ალიანსის თავკაცი, რომელმაც საკუთარი თავი პრეზიდენტად გამოაცხადა. დიქტატორ მოჰამედ სიად ბარეს დამხობის შემდეგ, რომელიც ქვეყანას 1969-დან 1991 წლამდე მართავდა, სომალიში გაუქმდა ცენტრალური ხელისუფლება და სამოქალაქო ომი დაიწყო. 1992 წელს, გაეროს უშიშროების საბჭო შეეცადა შეწყვიტა ომი და ამ მიზნით, სომალიში სამშვიდობო ძალების განთავსების სანქცია გასცა; შეზღუდულ კონტინგენტში საკვანძო როლი ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს დაეკისრათ. გენერალ აიდიდის გამგებლობაში მყოფმა სამხედრო ფორმირებებმა 24 პაკისტანელი მშვიდობისმყოფელი გამოასალმეს სიცოცხლეს. 1993 წლის 23 ივლისს გაეროს უშიშროების საბჭომ აიდიდის დაპატიმრების სანქცია გასცა; მისი დაკავების მცდელობისას, რამდენიმე ამერიკელი სამხედრო დაიღუპა. აშშ-ის პრეზიდენტ კლინტონის გადაწყვეტილებით, სომალიში სპეცდანაყოფი „დელტა“ გაიგზავნა, რომელსაც აიდიდის დაჭერა ან ლიკვიდაცია დაუსახეს მიზნად. ოპერაცია ჩავარდა: აიდიდის დატყვევების მცდელობისას, 18 ამერიკელი სპეცრაზმელი დაიღუპა და 77 დაიჭრა. დაიღუპა აგრეთვე 300 და დაშავდა 700 ადგილობრივი მცხოვრები – უმეტესად, სამოქალაქო პირი. ამერიკულმა ჯარმა დატოვა სომალი. მიუხედავად ამისა, 1996 წლის 24 ივლისს გენერალი აიდიდი მოკლეს. როგორც ვარაუდობენ, მის ლიკვიდაციაში ამერიკული სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ.

მანუელ ანტონიო ნორიეგა

ჰადსონ ოსტინი, გრენადის სამხედრო მმართველობის თავკაცი. სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელთ იგდო ძალაუფლება 1983 წლის ოქტომბერში. გადატრიალების დროს მოკლეს პრემიერ-მინისტრი მორის ბიშოპი და მისი მთავრობის წევრები. სულ რამდენიმე დღეში, აშშ-ის პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა, კარიბის აუზის რამდენიმე ქვეყნის თხოვნით, გასცა სანქცია ოპერაციის „დაუყოვნებელი რისხვის“ – ჩატარებაზე. ოსტინი და მისი სამხედრო მმართველობის რამდენიმე წევრი დააპატიმრეს, გაასამართლეს მორის ბიშოპის მკვლელობისთვის და სიკვდილი მიუსაჯეს, თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ, სასჯელი სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს. ამჟამად ჰადსონ გრენადის ერთ-ერთ ციხეში იმყოფება.

მანუელ ანტონიო ნორიეგა, პანამის სამხედრო დიქტატორი. ბრალი ედებოდა ნარკოტიკებით ვაჭრობაში. მისი

და. მიზანი: მასობრივი განადგურების იარაღის შენახვისა და წარმოების სავარაუდო ობიექტების განადგურება. შედეგი: გამიზნული ობიექტები დაინგრა. მსხვერპლი: 600-დან 2000-მდე ერაყელი სამხედრო მოსამსახურე და სამოქალაქო პირი. ზარალი: გაეროს შეფასებით, დაახლოებით 7 მლრდ დოლარი. დახმარება ქვეყნისთვის, აშშ-სა და ბრიტანეთს არ გაუწევიათ.

იუგოსლავია, 1999 წლის 24 მარტი — 10 ივნისი. მეორე მსოფლიო ომის დროიდან, ევროპაში განხორციელებული უდიდესი საომარი ოპერაცია. კოსოვოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ალბანელებთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებაზე იუგოსლავიის ლიდერის, სლობოდან მილოშევიჩის უარის შემდეგ, ნატოს შეიარაღებულმა ძალებმა ქვეყნის მასირებული დაბომბვა დაიწყეს. მიზანი: მილოშევიჩის დასუსტება და მისი ხელისუფლებიდან ჩამოცილება. შედეგი: კოსოვოს ტერიტორიიდან იუგოსლავიური ჯარის გაყვანა და იქ ნატოს ჯარის ჩაყენება; პოლიტიკური არენიდან მილოშევიჩის წასვლა და მისი შემდგომი დაპატიმრება. მსხვერპლი: დაიღუპა 460 სამხედრო მოსამსახურე და 2 ათასზე მეტი სამოქალაქო პირი. აშშ-სა და ნატოს ცოცხალი ძალა არ დაუკარგავთ. ზარალი: ადგილობრივი ხელისუფლების შეფასებით, 40 მლრდ დოლარი. აშშ-ის მიერ გაწეული დახმარება: 151 მლნ დოლარი კრედიტის სახით.

ავღანეთი, 2001 წლის 25 სექტემბრიდან დღემდე. ოპერაცია „მყარი თავისუფლება“, ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერაქტების საპასუხოდ ჩატარდა. მიზანი: ოსამა ბინ ლადენისა და „ალ-ქაიდას“ სხვა ლიდერთა დაპატიმრება და განადგურება, ტერორისტული ბაზების ლიკვიდაცია, „თალიბანის“ მმართველი რეჟიმის შეცვლა, მსოფლიო თანამეგობრობაში ქვეყნის რეინტეგრაცია. შედეგი: „თალიბანის“ რეჟიმი დაემხო, მაგრამ აშშ-ისადმი მეგობრულად განწყობილი ადმინისტრაცია მხოლოდ ავღანეთის დედაქალაქსა და მის მიმდებარე ტერიტორიას აკონტროლებს; ახალი რეჟიმის მოწინააღმდეგენი დივერსიებსა და პარტიზანულ ომზე გადავიდნენ. ოსამა ბინ ლადენი დაპატიმრებული არ არის და არც მისი ადგილსამყოფელია ცნობილი. მსხვერპლი: 4000-მდე ავღანელი (2002 წლის მონაცემებით) და 15 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. ზარალის დადგენა არ ხდება. დახმარება: აშშ-ის 2003-2004 წლის ფედერალურ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 7 მლრდ დოლარი, რომელიც მშვიდობისმყოფელ საქმიანობასა და ავღანეთში აღდგენით სამუშაოებს უნდა მოხმარდეს. ■



დამხობის ოპერაცია — „სამართლიანი საქმე“ — 1989 წელს განხორციელდა. ნორიეგა დააპატიმრეს, გადაიყვანეს აშშ-ში, გაასამართლეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ახლა ის ერთ-ერთ ამერიკულ ციხეში იხდის სასჯელს.

რაულ სედრა, ჰაიტის სამხედრო მმართველი. ხელისუფლების სათავეში 1991 წელს მოვიდა, როცა ქვეყნის ისტორიაში დემოკრატიული გზით პირველად არჩეული პრეზიდენტი — ჟან-ბერტრან არისტიდი დაამხო. ჰაიტიში რეჟიმის შესაცვლელად გამიზნულ ოპერაციას, „დემოკრატიის მხარდაჭერა“ დაარქვეს და 1994 წელს ჩაატარეს. აშშ-ის სხვა სამხედრო ოპერაციებისგან განსხვავებით, „დემოკრატიის მხარდაჭერისას“ არც ერთი გასროლა არ მომხდარა: ჰაიტიზე დესანტის გადასხმის დროს, რაულ სედრასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა აშშ-ის ექსპრეზიდენტი ჯიმი კარტერი. ამ მოლაპარაკების შედეგად, სედრა დათანხმდა გადადგომაზე და ქვეყანა დატოვა. ამჟამად ის პანამაში, კომპიუტერული ტექნიკის მაღაზიის მეპატრონეა. ზოგიერთი ცნობის თანახმად, მისი ვილის არენდის თანხას აშშ-ის მთავრობა იხდის. ჰაიტის ყველა მცდელობა, მიეღწია სედრას ექსტრადიციისთვის, უშედეგოდ დასრულდა. ■

რა მოელის ერაყს ომის შემდეგ?

ახლო წარსულის გამოცდილებაზე დაყრდნობით, კონფლიქტოლოგები და პოლიტოლოგები ძირითადად, ორი ვარიანტის გამოყენებას ვარაუდობენ.

იაპონური ვარიანტი. ვაშინგტონი დაამყარებს დროებით სამხედრო ადმინისტრაციას. ამ მოდელის გამოყენებას წარმატებული ისტორიული გამცდილება განაპირობებს: აშშ-ის საოკუპაციო ჯარებმა 40-იანი წლების ბოლოს, მილიტარისტული იაპონიის განიარაღება, აუცილებელი რეფორმების ჩატარება, ახალი კონსტიტუციის შემუშავება, მთელ ქვეყანაში თავიანთი სამხედრო ბაზების განლაგება და იაპონური ეკონომიკის უმოკლეს ვადებში აღორძინება შეძლეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამერიკელი სამხედრო პირის ხელში მართვის სადავეების ჩაგდება აშშ-ს ერაყის ნავთობის სრული გაკონტროლების საშუალებას მისცემს.

ავღანური ვარიანტი. ერაყელი ოპოზიციონერები — ისინიც, ვინც იძულებით ცხოვრობდა საზღვარგარეთ და ჩრდილოეთით დასახლებული ქურთებიც — აშკარად ამ მოდელის მომხრენი უფრო არიან. მათ მიაჩნიათ, რომ უნდა ჩამოყალიბდეს სახალხო ერთიანობის მთავრობა, რომელიც ოპოზიციურ ძალებს გააერთიანებს და თანხმობას ჩამოაგდებს შიიტებს, სუნიტებს, არაბებსა და ქურთებს შორის, ამავე დროს, საბოლოოდ გააერთიანებს დღევანდელ ოპოზიციონერებსა და სადამ ჰუსეინის მომხრეებსაც. ასეთ შემთხვევაში, სიტუაცია ერაყში

დაახლოებით ისევე განვითარდება, როგორც ეს მოხდა ავღანეთში ერთი წლის წინ. თუმცა იაპონური მოდელი გაცილებით დახვეწილი ჩანს, აშშ-ში არც ავღანური ვარიანტის ერაყში გამოყენებას გამორიცხავენ. ■

ვინ შეიძლება შეცვალოს საddam ჰუსეინი?

მათ შორის, ვინც ამერიკელთა ჩარევით, განახლებულ ერაყს შეიძლება მმართველად მოევლინოს, რამდენიმე კაცს ასახელებენ. მათ შორის, საკუთრივ ერაყელების გარდა, ქურთთა ზოგიერთ ლიდერსაც კი ვარაუდობენ.

ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ლიდერი **მასუდ ბარზანი** ერაყული ქურთისტანის (ჩრდილოეთი) ორ მესამედს აკონტროლებს. სარგებლობს დიდი ავტორიტეტით დასავლეთში. თუმცა, მაინც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელია და ამიტომ, ნაკლები შანსი აქვს გახდეს სახელმწიფოს მეთაური.

ქურთისტანის პატრიოტული კავშირი და მისი ლიდერი **ჯალალ თალაბანი** ყოველმხრივ ჩამორჩება ბარზანისა და მის პარტიას. თავად ვერ ეგუება „უმცროსი ძმის“ როლს და ცდილობს, ირანის, თურქეთისა და სირიის მხარდაჭერა მოიპოვოს.

მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს ერაყის ეროვნული კონგრესის ერთ-ერთი ლიდერი **ახმედ ჩალაბი** — მდიდარი ოჯახის შვილი, რომელმაც ბრწყინვალე განათლება

მიიღო. გატაცებული იყო მათემატიკით. მამის სიკვდილის შემდეგ, ხელი მიჰყო ბიზნესს, იორდანიის „პეტრაბანკის“ ხელმძღვანელად მუშაობდა. ერაყულ ოპოზიციაში დიდი პოპულარობით არ სარგებლობს, მაგრამ ზურგს პენტაგონი უმაგრებს.

უკანასკნელი ერაყელი მეფის — ფეისალის ახლო ნათესავი **შარიფ ალი ბენ ჰუსეინი** 2 წლის ასაკში წაიყვანეს ქვეყნიდან. მას შემდეგ ცხოვრობს ლონდონში. სრულყოფილად ფლობს რამდენიმე უცხო ენას — აი, მშობლიური კი არ იცის. ერაყში მონარქიის აღდგენას ქადაგებს. ჩამოაყალიბა მოძრაობა — „კონსტიტუციური მონარქიისთვის“.

ერაყის არმიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი **ნიზარ ალ-ხაზრაჯი**, ერაყული ოპოზიციის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციაში წავიდა 90-იანი წლების ბოლოს, კვლავაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ერაყის შეიარაღებულ ძალებში.

დაბოლოს, ერაყის ახალი მმართველის პოსტზე ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად მიიჩნევენ გენერალ-მაიორ **ტაუფიკ ალ-იასირის**, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში გაიქცა ქვეყნიდან. ის სათავეში ედგა ერაყის ეროვნულ კოალიციას და ომის დაწყებამდე, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით შექმნა რაღაც სამხედრო საბჭო, რომელიც ქვეყნიდან გაქცეული, დევნილი ერაყელი ოფიცრებისგან შედგება. თუმცა, დღევანდელ არმიაში მისი გავლენა სუსტია, რაც ამ შემთხვევაში, პლუსი უფროა, ვიდრე მინუსი... ■

ლეონარდომ საფეხბურთო კარიერა დაასრულა

1994 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, ბრაზილიელმა ლეონარდომ თავისი საფეხბურთო კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა. „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა, ადრიანო გალიანიმ აღნიშნა, რომ ამიერიდან ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი მისი თანაშემწის მოვალეობას შეასრულებს. „კარიერის დასრულება სეზონის დამთავრებამდე გადავწყვიტე, იმიტომ, რომ ვარჯიშის გარდა, ძალიან ბევრი საქმე მაქვს და ერთდროულად ყველაფრის კეთების დრო აღარ მრჩება. ბედნიერი ვარ, რომ ფეხბურთელის კარიერა „მილანის“ მოთამაშის რანგში დავასრულე. მსურს, რომ ამ ქალაქში ვიცხოვრო და კლუბში ვიმუშაო“, — დასძინა ლეონარდომ.

ფრანკო სენსი ეკლავ აპრიტიპებს ბატიგოლს

„რომას“ პრეზიდენტს, ფრანკო სენსის ყველაფერში შეიძლება დასდოთ ბრალი, მაგრამ მას „მოსაწყენ ადამიანს“ ნამდვილად ვერავინ უწოდებს. თავისი მოულოდნელი განცხადებებით სენსი რეგულარულად ართობს საფეხბურთო სამყაროს. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ იგი აპენინის ნახევარკუნძულზე „იტალიელ ხესუს ხილად“ გვევლინება. ამ მხრივ, მან პუბლიკის იმედები „რომა“—„ინტერის“ მატჩის წინაც გაამართლა. ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის ცნობილია, რომ ამ შეხვედრას ბატისტუტასათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სულ რაღაც 2 თვის წინ, ის სწორედ სენსის კლუბის ღირსებას იცავდა. შემდეგ არგენტინელი ფორვარდი „რომამ“ მილანის „ინტერს“ საკმაოდ მოზრდილ თანხად მიჰყიდა. სინიორ ფრანკოც ამჯერად, სწორედ ამ თემას შეეხო. მან კმაყოფილება გამოხატა ორ კლუბს შორის განხორციელებული ტრანსფერის გამო. „ეს შესანიშნავი გარიგება და ნამდვილად მომგებიანი ბიზნესი იყო“, — განაცხადა სენსიმ, რომელმაც „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის სარკასტულად მიულოცა შენაძენი და ირონიულად დასძინა: „ადრე ჩვენ გვქონდა პრობლემები, ახლა კი, „ინტერს“ აქვს...“ „რომას“ პრეზიდენტის თქმით, ორი თვის შემდეგ ბატისტუტას ვეღარავინ იხილავს მინდორზე: დასრულდება იტალიის ჩემპიონატი და არგენტინელი ფორვარდი უკვე აღარავის გაახსენდებაო. ამგვარად, სენსის აზრით, „რომასათვის“ ყველაფერი ჩინებულად დასრულდა: კლუბმა უსარგებლო ფეხბურთელი მანამდე მოიშორა, სანამ მასთან კონტრაქტი ამოეწურებოდა. ჩვენი მხრიდან კი დავძენთ, რომ ალბათ ფრანკო სენსი გარკვეულწილად მართალიცაა, რადგან „ინტერში“ გადასვლის შემდეგ, არგენტინელი ვარსკვლავი ცოტა უფრო უკეთესად კი ათამაშდა, ვიდრე „რომაში“, მაგრამ მის მიერ ნაჩვენები შედეგი მაინც არადამაკმაყოფილებელია.

„მილანმა“ ეაფუს დაადგა თვალი

იტალიური პრესა იუწყება, რომ „რომას“ მცველ კაფუს, რომელსაც მიმდინარე სეზონის ბოლოს კლუბთან კონტრაქტი ამოეწურება, ორწლიან კონტრაქტს სთავაზობს „მილანის“ ხელმძღვანელობა. აქამდე ცნობილი იყო, რომ „რომასთან“ გამოთხოვების შემდეგ, ბრაზილიის ეროვნული ნაკრების კაპიტანი იაპონურ „იოკოჰამა მარინოსს“ მიაშურებდა, მაგრამ ჟურნალისტთა ვერსიით, „მილანის“ წარმომადგენელი ჩეზარე მალდინი, პორტუგალიისა და ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებთან შეხვედრას დაესწრო, რათა პენტაკამპეონთა ვეტერანთან მოლაპარაკება გაემართა.

ჰესკის დამცველი გამოუჩნდა

„ლივერპულისა“ და ინგლისის ნაკრების ფორვარდს, ემილ ჰესკის, რომელსაც ბოლო დროს ხშირად აკრიტიკებდნენ მცირე შედეგიანობისათვის, მოულოდნელად დამცველი გამოუჩნდა თავისი თანაგუნდელის, სტივ ჯერარდის სახით. ჯერარდმა ჰესკის, კლუბისათვის ერთ-ერთი სასარგებლო ფეხბურთელი უწოდა. „მიუხედავად ბევრი წინააღმდეგობისა, მიმდინარე სეზონში ემილმა „ლივერპულს“ დიდი სარგებლობა მოუტანა, — ამბობს სტივი, — იგი ყოველთვის კარგ ფიზიკურ ფორმაში იმყოფება, პრაქტიკულად არასოდეს ჩერდება ერთ ადგილზე და მშვენივრად ფლობს ბურთს. ჰესკი ნამდვილი გუნდური მოთამაშეა და მწვრთნელი რომ ვიყო, მას აუცილებლად ვათამაშებდი ძირითად შემადგენლობაში“. მიუხედავად ამისა, „ლივერპულის“ არაერთი ქომაგი სულ სხვა აზრისაა. ისინი სულ უფრო ხშირად გამოხატავენ უკმაყოფილებას ემილ ჰესკის მიმართ და არცთუ ისე უსაფუძვლოდ: მიმდინარე სეზონში ჰესკიმ 45 მატჩში მხოლოდ 8 გოლის გატანა შეძლო. „თავდამსხმელისათვის მას მეტისმეტად დიდი უკანალი აქვს“, — იხუმრა ერთ-ერთმა გულშემატკივარმა „ლივერპულის“ შავკანიანი ფორვარდის მისამართით. ცხადია, კლუბში ასეთი დამოკიდებულების შედეგად, ემილ ჰესკის პრობლემები ინგლისის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელთან სვენ გორან ერიქსონთან ურთიერთობაშიც შეექმნა. ნაკრების რიგებში ჩატარებულ 31 მატჩში ემილს სულ ოთხი გოლი აქვს გატანილი.

ჰლუივერტს იტალიაში თამაში არ სურს

გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ კლუივერტი შესაძლოა, „იუვენტუსში“ გადავიდეს, თუმცა თავად ჰოლანდიელმა ფორვარდმა ეს ინფორმაცია უარყო. „იტალიაში არ დავბრუნდები, – ამბობს „ბარსელონას“ თავდამსხმელი, – ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, როდესაც პირველად მოვხვდი იქ და უდიდეს პრობლემებს წავაწყდი. ამიტომ ესპანეთში დარჩენას ვამჯობინებ – აქაური ცხოვრებაც და ფეხბურთის სტილიც უფრო მომწონს. ბარსელონაში თამაში მსურს, მაგრამ ხელფასის შემცირებაზე არ დავთანხმდები“.



ვიერი ზიდანთან ერთად თამაშზე ოცნებობს

იტალიის სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირმა, კრისტიან ვიერიმ განაცხადა, რომ კვლავ ზინედინ ზიდანთან ერთად თამაშზე ოცნებობს. მკითხველს შევახსენებთ, რომ ვიერი-ზიდანის წყვილი „იუვენტუსის“ შემადგენლობაში ერთი სეზონის განმავლობაში გამოდიოდა. „ზიზუს ამ საკითხზე უკვე ვესაუბრე და ვთხოვე, რომ კარიერის დასრულებამდე კვლავ ითამაშოს ჩემთან ერთად რომელიმე კლუბში“, – ამბობს კრისტიანი. აპენინის ნახევარკუნძულზე კი, უკვე თავს იმტვრევენ იმაზე, თუ რომელ კლუბში მოხდება ორი ვარსკვლავის შეყრა. ზოგი ვარაუდობს, რომ ვიერი პირენეის ნახევარკუნძულს მიაშურებს, ხოლო ბევრი ფიქრობს, რომ პირიქით – ზიდანი გადაბარგდება იტალიაში.

„რეალის“ ხელმძღვანელობა ბექჰემის ცდუნებას ცდილობს

რამდენიმე დღის წინ, მადრიდის „რეალის“ სპორტულმა დირექტორმა, ხორხე ვალდანომ კიდევ ერთხელ დაფიქსირა „სამეფო კლუბის“ პოზიცია „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველ დევიდ ბექჰემთან დაკავშირებით. 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონის თქმით, ბექჰემის შეძენა კლუბის სატრანსფერო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ჩვენ ნამდვილად გვსურს ბექჰემის შეძენა, – განაცხადა ვალდანომ, – თუმცა ამჟამად, ამ საკითხის სერიოზულად განხილვას აზრი არა აქვს, რადგან მიმდინარე სეზონს ჩვენ ყველა შემთხვევაში ამჟამინდელი შემადგენლობით დავამთავრებთ. ამასთან, ჩემპიონთა ლიგაში ჩვენი მეტოქე „მანჩესტერია“, რის გამოც, ამ საკითხზე საუბარი ლამაზი არ იქნებოდა“. ბოლო დროს, „რეალმა“ უკვე მეორედ გააკეთა განცხადება, რომელშიც ინგლისელი ვარსკვლავის შეძენის სურვილი გამოთქვა. პირველად, მადრიდულმა კლუბმა ამის შესახებ მას შემდეგ განაცხადა, რაც სერ ალექს ფერგიუსონმა ბექჰემს ბუცით წარბი გაუხეთქა. სხვათა შორის, თავად დევიდი სულაც არ ჩქარობს მადრიდში გადაბარგებას. უფრო მეტიც, ბევრი საფეხბურთო მიმომხილველი დარწმუნებულიც კია, რომ „მანჩესტერის“ ნახევარმცველი არსად წავა. „ბოლო დროს, ჩემზე ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, რაც უკვე მომბეზრდა. რაც შეეხება „რეალს“ – ეს დიდი ტრადიციების მქონე კლუბია, რომლის შემადგენლობაშიც ყოველთვის თამაშობდნენ დიდებული ფეხბურთელები, მაგრამ მე ჩემი გუნდი მომწონს და ამჟამად არსად წასვლას არ ვაპირებ“, – ამბობს ბექჰემი.

„ტოტიმ ზიდანის დონეს მიაღწია“

„რომას“ მთავარმა მწვრთნელმა, ფაბიო კაპელომ მაღალი შეფასება მისცა ფრანჩესკო ტოტის გამოსვლას იტალიის ეროვნულ ნაკრებში. „ვფიქრობ, რომ ტოტიმ ზიდანის დონეს მიაღწია. როდესაც ფრანჩესკო თავის ოპტიმალურ ფიზიკურ ფორმაში იმყოფება, ეჭვგარეშეა, რომ იგი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა ხუთეულში შედის“, – განაცხადა კაპელომ „რომას“ ვარსკვლავის შესახებ და უყურადღებოდ არც „სკუადრა აძურას“ თავკაცი, ჯოვანი ტრაპატონი და მისი სამწვრთნელო ტაქტიკა დატოვა: „ტაქტიკას, რომელსაც ტრაპატონი იყენებს – 4-2-3-1 – ჩვენ საჩემპიონო სეზონში ვიყენებდით. მაშინ ცენტრფორვარდის პოზიციაზე ბატისტუტა თამაშობდა, ტოტი, კაფუ და დელვეკიო კი, მას მინდვრის სიღრმიდან ეხმარებოდნენ. ეს იდეალური წყობაა, იმისთვის, რათა ჩვენმა კაპიტანმა თავისი საუკეთესო თვისებები გამოავლინოს. უკვე რამდენიმე წელია, რაც ის გუნდის თამაშს ტონს აძლევს და თუ შევადარებთ, იგი „რომაელი რაულის“ როლში გვევლინება“.

დერილ ჰანა ჰოლივუდში ყველაზე პოპულარული მსახიობი და ბებიაქალი...

დერილ ჰანამ თავისი პირველი როლი კინოში ოცი წლის წინ ითამაშა. ცოტა ხნის წინ, მას ორმოცდაორი წელი შეუსრულდა, მაგრამ მსახიობი თავის ასაკს სულაც არ მალავს. ასეთი რამ კი იშვიათად ხდება, მით უმეტეს კინოსამყაროში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თავისი ცხოვრების წესით, დერილ ჰანა ჰოლივუდში საერთოდ გამონაკლისს წარმოადგენს. მას საოცრად არ უყვარს ჟურნალისტებთან ურთიერთობა და ყოველთვის უარს ამბობს ინტერვიუებზე; არასოდეს მალავს თავის სასიყვარულო თავგადასავლებს, მაგრამ საკუთარი გრძნობების სახალხოდ აფიშირებას ყოველთვის ერიდება. ბრწყინვალე გარეგნობით, ნათელი გონებითა და საოცარი აქტიორული ნიჭით შემკულ მსახიობს ჰოლივუდში დიდ პატივს სცემენ. მის ირგვლივმყოფნი კი ერთხმად აღიარებენ, რომ დერილს წარმატებისთვის საკუთარი სილამაზისა და გრძელი ფეხების გამო არ მიუღწევია – მან ეს თავისი არაორდინარული ნიჭისა და ჭკუის წყალობით მოახერხა.

უძილობა და კინო

დერილ ჰანა 1960 წლის 3 დეკემბერს ჩიკაგოში დაიბადა. მამამისი, ჰასკელ ვექსლერი ცნობილი კინემატოგრაფისტი გახლდათ.

ბავშვობაში ექიმებმა დერილს საკმაოდ მძიმე დიაგნოზი დაუსვეს და მშობლებს განუცხადეს, რომ გოგონა აუტიზმის ზღვარზე იმყოფებოდა. პატარა დერილი საოცრად უკარება ბავშვი იყო. სკოლაში მხოლოდ ბიჭებთან მეგობრობდა. დადიოდა ბალეტზე, ამქვეყნად ყველაზე მეტად კი, ფილმების ყურება უყვარდა. „უცნაურია, მაგრამ მსახიობი მხოლოდ და მხოლოდ იმის წყალობით გავხდი, რომ ბავშვობაში უძილობა მაწუხებდა, – ამბობს დერილი. – ღამით ვერაფრით ვიძინებდი, მშობლებმა კარგად იცოდნენ, თუ რა დიაგნოზი დამისვეს ექიმებმა, ამიტომ ღამღამობით ფილმების ყურების უფლებას მაძლევდნენ“.

სკოლის დამთავრების შემდეგ, ჰანამ კალიფორნიის უნივერსიტეტის თეატრალურ ფაკულტეტზე ჩაბარა; მერე დრამატული ხელოვნების შესწავლა ჩიკაგოს „გუდმენის“ თეატრში განაგრძო, ბოლოს კი, სახელგანთქმული სტელა ადლერის სკოლაც გაიარა ნიუ-იორკში. „ყოველთვის იმდენად მორცხვი და მორიდებული ვიყავი, რომ ერთადერთი წამალი, რომელსაც ჩემი განკურნება შეეძლო, ალბათ მსახიობობა იყო. როცა სხვა ადამიანის როლს თამაშობ, ყოველგვარი კომპლექსი და შიში გეხსნება. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ხალხმრავალ ადგილებში დღესაც საკმაოდ უხერხულად ვგრძნობ თავს“.

ჯარიერა და ტრავმები

1978 წელს, დერილმა თავისი პირველი როლი ბრაიან დე პალმას ფილმში – „მძვინვარება“ – შეასრულა. ამ სურათში მისი პარტნიორი ლეგენდარული კერკ დუგლასი გახლდათ. მის დებიუტს ჰოლივუდის კინოკრიტიკოსები საოცარი კეთილგანწყობით შეხვდნენ. იგი ყველაზე იმედის მომცემი თორმეტი ახალგაზრდა მსახიობის სიაშიც კი მოხვდა. სულ მალე, დერილმა რიდლი სკოტის ფილმში – „სამართებლის პირზე მორბენალნი“, პირქუში ანდროიდის როლი ითამაშა, რომელმაც მსახიობს დიდი აღიარება მოუტანა. ფილმში კი, მასთან ერთად მონაწილეობდნენ ჰოლივუდის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან: ჰარისონ ფორდი, რუტგერ ჰაუერი და შონ იანგი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გადაღებები მსახიობისთვის საკმაოდ რთულად წარიმართა. ერთ-ერთი სცენის დროს, მსახიობი უხერხულად დაეცა და ხელი მოიტეხა. მიუხედავად სირთულისა, ჰანა ამ გადაღებებს საოცარი სითბოთი იხსენებს: „ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ფილმი შესანიშნავი გამოვიდოდა. ტრავმები ხომ შუშდება, ფილმები კი, სამუდამოდ რჩება.“

დერილის ვარაუდი გამართლდა: ამ სურათში მონაწილეობის შემდეგ, მას ქერათმიან, ქარაფშუტა ლამაზმანად აღარავინ აღიქვამდა. მოპოვებულმა წარმატებამ კი მსახიობს მისცა იმის საშუალება, რომ შეთავაზებული როლები და რეჟისორები გულდასმით შეერჩია. „ერთმა ნაცნობმა მითხრა, რომანტიკულ კომედიებში ლამაზმანების როლს ხშირად რომ თამაშობდე, მეორე ჯულია რობერტსი გახდებოდიო, – თქვა მსახიობმა. – ლამაზმანების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მართალი გითხრათ, უცნაური ქალების როლები ბევრად უფრო მიტაცებს“.

ეკრანზე ჰანას მართლაც ხშირად უხდება უცნაური ქალების როლების თამაში. ფილმში – „ჩქერალი“ მან წყლის ალის როლი შეასრულა, „ზეციურ სულებში“ – მოჩვენების, „50-ფუნტიანი ქალების თავდასხმაში“ კი გოლიათი ქალის; ამას მოჰყვა ჩევი ჩეიზის მეგობარი გოგონას როლი „უჩინარი ადამიანის აღსარებაში“ და პორნომსახიობის როლი „ფრენკი-ბუზის უკანასკნელ დღეებში“...

თუმცა, დერილი რომანტიკულ კომედიებშიც მონაწილეობს: მან ანტონიო ბანდერასთან ერთად ითამაშა ფილმში — „ორნი — ეს ხომ მეტისმეტად ბევრია“ და ჯულია რობერტსთან ერთად, „ფოლადის მაგნოლიებში“. ოღონდ, ეს არცთუ ისე ხშირად ხდება და შესაძლოა, სწორედ ამიტომაა, რომ ჰანას ჭეშმარიტად ვარსკვლავური როლი ჯერ კიდევ არ ხვდა წილად, რათა „ოსკარის“ ქანდაკების მფლობელი გამხდარიყო.

ამ რამდენიმე წლის წინ, ჰანამ რეჟისურაშიც სცადა ბედი და მისი ეს მცდელობა საკმაოდ დიდი წარმატებითაც დაგვირგვინდა. 1994 წელს გამართულ ბერლინის კინოფესტივალზე, დერილი უკვე სცენარისტისა და რეჟისორის როლში მოევლინა მაყურებელს და მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის („უკანასკნელი ვახშამი“) ჟიურის სპეციალური პრიზიც დაიმსახურა. ორი წლის წინ კი, ჰანა ლონდონის თეატრის სცენაზეც გამოჩნდა, სადაც კომედიაში — „შვიდ წელიწადში ერთხელ“ ითამაშა.

მამაკაცები და ჰობი

დერილს თავისი ცხოვრების მანძილზე, ორი — სრულიად თავბრუდამხვევი რომანი ჰქონდა. ოცი წლის ასაკში მან მუსიკოსი ჯექსონ ბრაუნი გაიცნო და ათი წელი მასთან ერთად გაატარა. მთელი მათი ხანგრძლივი ურთიერთობის მანძილზე, იგი არანაირ კომენტარს არ აკეთებდა საკუთარი რომანის შესახებ. საყვარელ მამაკაცს გასტროლებზე ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დაჰყვებოდა და თავადაც კლავიშებიან ინსტრუმენტებზე უკრავდა. ათი წლის შემდეგ კი, როცა ბრაუნს დაშორდა, მან ამერიკის ყველაზე სასურველი სასიძო — ჯონ ფ. კენედი-უმცროსი გაიცნო. ისინი თავიანთ ურთიერთობას არ მალავდნენ და სულ მალე, ჰოლივუდის ყველაზე ეფექტური წყვილის სახელიც მოიხვეჭეს. „ჯონს ჩემს ცხოვრებაში ძალიან დიდი ადგილი ეკავა, შესაძლოა, მეტისმეტად დიდიც“, — აღიარა ერთხელ დერილმა. ისინი პერიოდულად შორდებოდნენ და მერე კვლავ ხვდებოდნენ ერთმანეთს. მათი რომანისადმი პუბლიკის მოჭარბებული ყურადღება, ჰანას ძალიან აღიზიანებდა; ჯონს კი, დედამისი — ჟაკლინ კენედი-ონასისი არ აძლევდა გასაქანს, რომელიც ამ ურთიერთობის სასტიკი წინააღმდეგი იყო. „არ შეიძლება, რომ კენედის ვაჟმა მსახიობი ითხოვოს ცოლად“, — ეუბნებოდა ჯონს დედა. საბოლოოდ, კენედი-უმცროსმა მართლაც, სხვა ითხოვა და 1999 წელს, ცოლთან ერთად ავიაკატასტროფაში დაიღუპა. მისი სიკვდილი ჰანამ ძალიან მძიმედ გადაიტანა — იგი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე საზოგადოებაში საერთოდ



ჯონ კენედი-უმცროსთან ერთად



დევიდ ბლეინთან ერთად

არ ჩნდებოდა.

მაგრამ როგორც ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალია და ამ რამდენიმე თვის წინ, პარიზში, ელისეს მინდვრებზე ყოფნისას, ჟურნალისტებმა იგი დევიდ ბლეინთან (ცნობილი ილუზიონისტი) ამბორისას შენიშნეს. როგორც მოსალოდნელი იყო, მსახიობმა ყოველივე უარყო. ხოლო ველ კილმერთან რომანის შესახებ გავრცელებული ხმების თაობაზე ასეთი კომენტარი გააკეთა: „ეს ყველაფერი სრული სიბრიყვეა და გთხოვთ, თავი დამანებოთ!“.

დერილი ხშირად, ხუმრობით საკუთარ თავს „საშუალო ცოლს“ უწოდებს და აცხადებს: „მე მყავდა ორი მამაკაცი და ორივე ძალიან მიყვარდა; აგრეთვე მყავს ექვსი ბავშვი და მათზე სული მელევა“. ბუნებრივია, იბადება კითხვა — საიდანა ჰყავს მას ექვსი ბავშვი? თურმე ჰანა მხოლოდ მსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი კი არა, შესანიშნავი ბებიაქალიც ყოფილა და თავის ნათესავებსა და მეგობრებს მშობიარობისას სწორედ იგი დახმარებია. მართალია, დერილს სამედიცინო განათლება არა აქვს მიღებული, მაგრამ იგი პროფესიონალ მეან ქალს ეხმარება და იმედი აქვს, რომ მოკლე ხანში, ლიცენზიასაც მოიპოვებს. „ფილმები მიდიან და მოდიან, — ამბობს მსახიობი, — აი, ბავშვის დაბადება — ახალი სიცოცხლის მოვლინება კი, რაღაც ჭეშმარიტად რეალური მოვლენაა. ცხოვრებაში ყველაზე დიდ სიამოვნებას ის მანიჭებს, ამქვეყნად ახალი სიცოცხლის მოვლინების შემსწრე რომ ვხდები“. როგორც ამბობენ, ბებიაქალის ამპლუაში დერილი ჰოლივუდში ძალზედ პოპულარულია.

ცეკვა ლატანთან

ამჟამად, ჰანას უმა თურმანთან ერთად კვენტინ ტარანტინო იღებს ახალ ფილმში — „ბილი უნდა მოკვდეს“. „ამ როლისთვის კარატესა და ფარიკაობის სწავლა მომიწევს. მაგრამ გასულ ზაფხულს ხერხემლის ტრავმა მივიღე და სამი თვე კორსეტის ტარება მომიხდა. ასე რომ, ჩემთვის საკმაოდ მძიმე იქნება გავუძლო ამხელა ფიზიკურ დატვირთვას...“ გადამღები ჯგუფის წევრები კი დარწმუნებულნი არიან, რომ ჰანა ყველაფერს შეძლებს. მან ხომ შესანიშნავად შეასრულა სტრიპტიზის მოცეკვავის როლი ფილმში — „ცეკვები „ცისფერ იგუანაში“. ამისათვის დერილი ერთ-ერთ სტრიპტიზ-კლუბშიც კი დადიოდა, რათა ცეკვის ილეთები სათანადოდ შეესწავლა.

სხვათა შორის, ფილმის გადაღებების დაწყებამდე, ჰანა არასოდეს ყოფილა სტრიპტიზ-კლუბში. „როცა პირველად წავედი იქ, იმდენად ვნერვიულობდი, რომ გვარიანად გამოვთვერი და მეორე დღეს ცეკვის ილეთები კი არა, აღარაფერი მახსოვდა. მერე ერთმა გოგონამ საკუთარი ფრთის ქვეშ შემიფარა და სტრიპტიზის ხელოვნებასაც სწორედ მან მაზიარა. თავიდან ძალიან გამიჭირდა, მერე კი — შევეჩვიე. სავარჯიშოდ კლუბში დავდიოდი, ოღონდაც, ჩემს ვინაობას არავის ვუმხელდი. წარმოიდგინეთ, დარბაზში ძალიან ბევრ ნაცნობ მსახიობს ვხედავდი, მაგრამ ისინი ჩემი უკანალის თვალიერებით ისე იყვნენ გართულები, რომ თავად მე არავის ვუცნივარ“. დერილს, რომელიც ბავშვობიდან, ნაცნობისა თუ უცნობის დაჟინებულ მზერას ყოველთვის თავს არიდებდა, ამ როლის თამაში მართლაც, ძალიან გაუჭირდა. ფილმის გადაღებებისას, მან სიგარეტის მოწევაც კი დაიწყო. თუმცა დერილი არასოდეს ღალატობს საკუთარ თავს. მას თავი ჰოლივუდისაგან კვლავაც შორს უჭირავს და კოლორადოში ცხოვრობს, სადაც საკუთარი სახლი აქვს და ორი ცხენი და ოთხი ძაღლი ჰყავს. „მე ვამაყობ იმით, რომ ვერც ერთმა როლმა ვერ შემცვალა“. ■

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-14

კანონიერი ქურდის — გიგოლას ნახვით გაოგნებული დეა თვალებს არ უჯერებს: როგორ შეიძლება, ერთი და იგივე კაცი დილით ციხეში ნახო და საღამოს რესტორანშიო?! თუმცა, თავად გიგოლა დეას იმდენად უცნაურად მოექცევა, რომ ქალს ბოლოს ეჭვიც კი შეიპყრობს, იქნებ, ეს კაცი სულაც არ არის კანონიერი ქურდი გიგოლა, დილით რომ ციხეში ვნახეო.

რესტორნიდან დეა და გურამი ერთად წამოვლენ. გურამი მას შინ შეიპატიჟებს, სიყვარულში გამოუტყდება და იმასაც გულით ინანებს, რომ მეორე დღეს საქართველოდან კარგა ხნით მიდის...

დაგვიანებული ჩეისი მისკოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

მეორე დილით დეას ჩვეულებრივზე გვიან გაეღვიძა. ამიტომ, ფეთიანივით წამოხტა, დედას საუზმე ფაცხაფუცხით მოუმზადა და სანამ ქალბატონი ელენე რაიმის კითხვას მოასწრებდა, — ახლა ლექციებზე მაგვიანდება, ყველაფერს საღამოს მოგიყვებიო, — სასწრაფოდ დაუგდო და ქუჩაში კისრისტეხით გავარდა.

პირველ ლექციაზე ათი წუთი დააგვიანა, თუმცა, აუდიტორიის კარი მაინც შეაღო და ზღურბლზე შემცბარი შედგა: აუდიტორიაში მხოლოდ თავჩაქინდრული ლექტორი იჯდა.

— ბატონო სანდრო, შეიძლება? — გაუბედავად ჰკითხა მას დეამ.

ბატონმა სანდრომ თავი ნელ-ნელა ასწია.

— შენ ხარ, დეა? შემოდი...

დეა აუდიტორიაში შევიდა და კარი ფრთხილად მიიხურა:

— ბატონო სანდრო, დანარჩენები სად არიან?

— აბა, რა გითხრა, ჩემო კარგო, — მხრები აიჩეჩა ლექტორმა, — ეტყობა, ჩემს ლექციაზე უფრო კარგი გასართობი იპოვეს და იქ წავიდნენ. მაგრამ არა უშავს, დაჯექი — მე და შენ ვილაპარაკოთ...

დეა პირველივე მერხს მიუჯდა. მაგიდასთან მჯდარი ბატონი სანდრო კი მაშინვე ფეხზე წამოდგა. ჯერ აუდიტორიაში გაიარ-გამოიარა, შემდეგ ფანჯარასთან შედგა, სივრცეს გახედა და გაირინდა. კარგა ხანს ასე იდგა და ის იყო, დეამ გაიფიქრა, მგონი ჩემი არსებობა საერთოდ დაავიწყდაო, რომ უცბად შემობრუნდა და ჰკითხა:

— როგორ ფიქრობ, საით მივექანებით?

— ვინ? — თვალები გულუბრყვილოდ შეანათა დეამ.

— ჩვენ, ყველანი...

— არ ვიცი... — მხრები აიჩეჩა დეამ.

— არც მე, — სევდიანად მიუგო ბატონმა სანდრომ და ისევ მაგიდას მიუჯდა. — მაგრამ მოვეშვათ ფილოსოფოსობას და კონკრეტულ საქმეზე ვილაპარაკოთ... კარგი იყო, ზოგიერთ შენს თავქარიან თანაკურსელსაც მოესმინა, რასაც ახლა გეტყვი, მაგრამ რა გაეწყობა...

— მე მთელი გულისყურით გისმენთ, ბატონო სანდრო.

— ყოჩაღ, ჩემო კარგო, ყოჩაღ, მშვენიერი წერილი დაგიწერია... — დაიწყო ლექტორმა.

— რომელი წერილი? — უცბად ვერ მიუხვდა დეა.

— „ივერიელის“ ბოლო ნომერში დაბეჭდილ წერილზე გეუბნები...

— ა-ა-ა, დიახ... ბატონ მერაბსაც ძალიან მოეწონა...

— ვის?

— „ივერიელის“ რედაქტორს.

— ჰო, მართლა, რას შვრება მერაბი, შტატში როდისღა უნდა აგიყვანოს?.. გინდა, დავურეკავ და მეც შეგაწევ სიტყვას?..

— გმადლობთ, ბატონო სანდრო, მაგრამ „ივერიელში“ ალბათ, მაინც არაფერი გამოვა.

— რატომ? რაიმე პრობლემა ხომ არ შეგექმნა?

— არა, მე — არაფერი... თავად აქვთ სერიოზული პრობლემები... უკვე ძველ თანამშრომლებსაც ველარაფერს უხდიან და ახლები რაღაში სჭირდებათ?..

— ვიცი ეგ ამბები... აფსუს, რა გაზეთი კვდება?!. მაგრამ შენ გული მაინც არ გაიტეხო. „ივერიელი“ არ იქნება? — სხვა, უფრო თანამედროვე და კომერციულად მომგებიანი გაზეთები გამოჩნდება... ხომ მეთანხმები?

— დიახ, ბატონო სანდრო.

— თუ, რაღა თქმა უნდა, მანამდე ქვეყანა თავზე საერთოდ არ დაგვემხო... — ხელი ჩაიქნია ბატონმა სანდრომ და ფეხზე წამოდგა.

სწორედ იმ წუთში აუდიტორიის კარი ხმაურით გაიღო და დეას სამი თანაკურსელი ერთმანეთის მიყოლებით „შემოლაგდა“. მათგან ერთი, სკანდალურად ცნობილი პარლამენტარის, მიხო ჯღარკავას გაზულუქებული ვაჟი, კახა იყო.

დეას და კახას ერთი სკოლა ჰქონდათ დამთავრებული და ერთმანეთს ბავშვობიდანვე იცნობდნენ. კახა იმასაც ირწმუნებოდა, დეაზე ბავშვობიდანვე ვარ შეყვარებული და ჟურნალისტობაც მხოლოდ ამის გამო გადავწყვიტეო. თუმცა, თავად დეა დიდად არც კახას გრძნობებს დაგიდევდათ და არც პარლამენტარის შვილობით მის ყოყლოჩინობას.

კახას, განუყრელი დაქალები და კურსის მთავარი „მოდნიცები“ — თიკო და თათა ახლდნენ.

— ბატონო სანდრო, მგონი, ცოტა დავაგვიანეთ, ხომ?.. — აგდებულად დაიწყო კახამ, მაგრამ ლექტორმა აღარ აცალა:

— ცოტა დაგვიანეთ თუ ბევრი, მაგას თქვენს ახსნა-განმარტებებში დაწერთ და მომავალ ლექციაზე წარმომიდგენთ, თუ, რაღა თქმა უნდა, წერა-კითხვა საერთოდ არ დაგავიწყდათ... ახლა კი კარგად იყავით... — ფეხზე წამოდგა ბატონი სანდრო.

ლექტორის აუდიტორიიდან გასვლა და თიკოს და თათას აყაყანება ერთი იყო:

— ნეტავ, ტყუილად არ ბლატაობდეს!.. თუ ძალიან გაახურებს, კახა მამამისს ეტყვის და ახსნა-განმარტებას იქით დააწერინებენ, არა, კახა?

— მორჩი, რა!. — შეუღრინა კახამ „მოდნიცას“ და შემდეგ დეას მიუბრუნდა:

— მარტო შენ გებაზრებოდა?

— ჰო, მარტო მე.

— რაზე?

— სიყვარულს მიხსნიდა, — გამომწვევად მიუგო დეამ და წასასვლელად მოემზადა.

— მოიცა, სად მიდიხარ?

— პირველ კორპუსში, დანარჩენ ლექციებს უნდა დავესწრო...

— ვერ დაესწრები...

— ვითომ რატომ?

— იმიტომ, რომ დანარჩენი ლექციების გაცდენის ამბავიც უკვე მოყომარებულია...

— რას ჰქვია, მოყომარებულია?

— რას და, როგორც დეკანატში გვითხრეს, ქართულის ლექტორს რაღაც იმპორტული ვირუსი დასტაკებია და სიცხიანი წევს, საზღვარგარეთის ჟურნალისტიკისას კიდევ — სვანეთიდან დაურეკავს, „ზავალი“ ჩამოწვა და გზაში გავიჩხირეო...

— ბატონ შალვას?.. სვანეთში საიდან მოხვდა?

— ვიღაცის გასვენებაში წასულა და, მგონი, ახლა თვითონაც ჩამოსასვენებლად გაუხდა საქმე, — საქმის კურსში ბოლომდე შეიყვანა დეა კახამ.

— არ გეჩვენება, რომ ძალიან უკბილოდ ხუმრობ? — ხმაში გაღიზიანება დაეტყო დეას.

— აუ, ჩემი... ამის გული ხომ ვერაფრით მოვიგე... — ჯიბეებში ხელები ჩაიყო კახამ და აუდიტორიაში ნერვიულად გაიარ-გამოიარა, მაგრამ დეამ არც მისი გაცხარება ჩაადო რამედ და ფეხზე წამოდგა.

— მოიცა, — წინ გადაუდგა კახა, — კინაღამ არ დამავიწყდა? დედაჩემმა დამაბარა შენთან, იქნებ შემოირბინო, აფთიაქში რაღაც ძალიან მაგარი წამალი მივიღეთ და დედაშენისთვის უნდა გაგატანო, ნამდვილად უშველისო...

— კარგი, შევირბენ, — მშვიდად მიუგო დეამ და ჩანთა მხარზე გადაიკიდა.

— აფთიაქში კი არა, სახლშიო, ჩვენთან... წამოხვალ?

— თქვენთან?.. — დაიბნა დეა. — მაშინ ხვალ შემოვივლი, დღეს ფული მაინც არ წამომიღია...

— კაი, რა... — შეიცხადა კახამ, — რაზეა ბაზარი?.. დედაჩემი შენ ფულს გამოგართმევს?..

— ისე წამალს ხელს არ მოვკიდებ, — მტკიცედ მიუგო დეამ.

— კარგი, ოღონდ, დღეს წამოდი და ფულზე შენ და დედაჩემმა იბაზრეთ... — დაყბულდა კახა. — წამოხვალ?

— წამოვალ, — როგორც იქნა, დათანხმდა დეა.

— იქნებ, მე და თიკოც გაგახსენდეთ? — უკმაყოფილოდ იკითხა მერხზე შემომჯდარმა თათამ.

— რა, თქვენც წამალი მოგინდათ? — უშნოდ გაიკრიჭა კახამ.

— ნუ ანგლობ, რა, კახა! — კიდევ უფრო გაღიზიანდა თათა. — თუ სიტუაციიდან მოგვტეხე, პირდაპირ გვითხარი და წავალთ.

— რა იყო, თათული, რა ქაჯივით ვარდები? — შეუტია კახამაც. — ჩემს მანქანაში ყველანი დავეტევით.

— შენ რა, უკვე მანქანაც გყავს? — გაუკვირდა დეას.

— ჰო. ერთი კვირაა, რაც მამაჩემს დავაწერე...

— თვითონ ალბათ, ფეხით დადის, ხომ? — ირონიულად გაეღიმა დეას.

— არა, — დეას ირონია არად ჩააგდო კახამ. — პარლამენტში სულ ცინცხალი „შევროლე“ მისცეს. აუ, ჩემი, სულ დამავიწყდა, — შუბლში ხელი იტკიცა შემდეგ კახამ, — მანქანა მეორე კორპუსთან მყავს გაჩერებული... მოდი, მე გავიქცევი, მანქანას გადმოვიყვან და თქვენ ფაკულტეტის წინ, გაჩერებაზე დამხვდით, კარგი?

— კარგი!.. — ერთხმად შესძახეს გახალისებულმა თიკომ და თათამ, დეას კი ხმა აღარ ამოუღია.

აუდიტორიიდან გავარდნილ კახას „მოდნიცებიც“ მალევე აედევნენ, დეა კი ერთხანს ისევ უძრავად იდგა, შემდეგ თავი ისე გაიქნია, თითქოს, აბეზარ ფიქრებს იშორებსო და აუდიტორიიდან გავიდა.

გაჩერებასთან მისულ დეას კახამ მანქანა ზედ ფეხებთან გაუჩერა და წინა კარი გამოულო. თათა და თიკო უკვე მანქანაში ისხდნენ. დეა კახას გვერდით სავარძელში მოხდენილად ჩაეშვა და კარი ნელ-ნელა შემოხურა. ის იყო, კახას მანქანა ადგილიდან უნდა მოეწყვიტა, რომ უცბად გაჩერებაზე ვიღაც შენიშნა, მანქანიდან ფეთიანივით გადახტა და სანამ კარს მოხურავდა, იქ დარჩენილთ სთხოვა:

— გოგოებო, სულ ორი წუთით დაგტოვებთ, რა..

— იცოდე, დროს ვინიშნავ, — გააფრთხილა კახა თათამ და წვრილ მაჯაზე მოყანყალე წისქვილის დოლაბივით საათის მინას შეღებილი ფრჩხილი დაუკაკუნა.

— ვა! ეგ კომპასი დროსაც აჩვენებს? — ისევ უშნოდ გაიკრიჭა კახამ და მანქანის კარი ხმაურით მოხურა.

დეამ კახას თვალი დაფიქრებულმა გააყოლა:

— აქ რომ კერძო მანქანის გაჩერება არ შეიძლება?

— კახასთვის ყველაფერი შეიძლება! — საღეჭი რეზინა გაატკაცუნა თათამ და თან, მანქანის საზურგეზე დაუდევრად გადაწვა.

ამასობაში კახა ზურგით მდგარ, მასზე მთელი თავით მაღალ, ტყავისქურთუკიან ბიჭს მიუახლოვდა და მკლავში ხელი უხეშად ჩაავლო. ბიჭი მაშინვე შემობრუნდა, კახას გაკვირვებული დააცქერდა და შემდეგ რაღაც ჰკითხა. კახამ პასუხი მაშინვე დაუბრუნა.

დეას ბიჭების ლაპარაკი არ ესმოდა, მაგრამ კახას ხელების ნერვიულ ქნევაზე ეტყობოდა, რომ იმ ბიჭს რაღაცაზე უხირდებოდა.

— მგონი, აქ რაღაც მოხდება... — მინა სასწრაფოდ ჩამოსწია და მანქანიდან თავი გაჰყო თიკომ.

— მაგ ბიჭს მეც ვიცნობ, — რეზინს კვლავ ტკაცატკუცით ღეჭავდა თათა, — მაღლივში სწავლობს და აქ ერთ ფილოლოგ გოგოს აკითხავს ხოლმე... კაი ხანია, კახას მაგის „ზუბი“ აქვს...

— რას ერჩის? — დაინტერესდა დეა.

— მაგის „კურტკა“ მოსწონს, ეგ კი არ უთმობს.

— მერე გიზო ჯღარკავას რაიმის ყიდვა გაუჭირდა, რომ მისი ერთადერთი შვილი სხვის „კურტკებზე“ არ გადაირიოს?

ამ სიტყვების გამგონე თათამ დეას ირონიული მზერა ესროლა:

— კახას „კურტკების“ მეტი რა აქვს...

— აბა, რა ხდება?

— რა ხდება და როცა კახას რაღაც მოეწონება, პონტი არაა, მისი არ გახდეს. გასაგებია?

— გასაგებია... — რაღაცნაირად, თავისთვის ჩაილაპარაკა დეამ.

— ისე, ცნობისთვის, კახას ეგ ახირება ქალებზეც ვრცელდება... — ჩაიქირქილა თიკომ.

უცბად დეამ მანქანის კარი ხმაურით გააღო, გადავიდა, რამდენიმე ნაბიჯში, კახას გვერდით გაჩნდა და ხელზე ხელი მოჰკიდა. დაფეთებულმა კახამ ხელი ისეთი ძალით აიქნია, რომ დეა ინსტინქტურად უკან გადახტა.

— დეა, შე-ე-ნ? — თვალები გაუფართოვდა მთელი სისწრაფით შემობრუნებულ კახას. — ხომ გითხარი, ახლავე მოვალ-მეთქი?

— თათას „კომპასზე“ ორი წუთი უკვე გავიდა, — მშვიდად მიუგო დეამ. — კიდევ რამდენ ხანს გვიბრძანებ ლოდინს?

— უკვე მოვდივარ...

ტყავისქურთუკიანი ბიჭი დეას ერთხანს დაფიქრებული აკვირდებოდა და შემდეგ მორიდებით ჰკითხა:

— თქვენ თემო ავალიანის და ხომ არა ხართ?

— დიახ... — უპასუხა დეამ. — მაგრამ მე რომ ვერ გიცანით?..

— მე თემოს თანაკლასელი ვარ, გიორგი აბრამიძე... შეიძლება, თემოსგან გსმენიათ ჩემზე...

— დიახ, დიახ, როგორ არა? — სახე გაუნათდა დეას. — თემო ხშირად მეუბნებოდა ხოლმე, მათემატიკას მთელი კლასი გიორგი აბრამიძის რვეულიდან ვიწერთო...

— ჰო, ზოგჯერ ხდებოდა ხოლმე... — გაეღიმა გიორგის.

— ახლა სადა ხართ, რას აკეთებთ? — დაინტერესდა დეა.

— მათემატიკურზე ვსწავლობ...

— ძალიან კარგი... სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა... — გიორგის ხელი მეგობრულად გაუწოდა დეამ და შემდეგ კახას მიუბრუნდა: — წავედით.

— ახლავე, — ჩაიბურდღუნა კახამ და გიორგის ალმაცერად გადახედა: ხვალ გნახავ, გაიგე?

— გავიგე. მნახე... — მშვიდად მიუგო გიორგიმ...

— რას ერჩი ამ ბიჭს? — ჰკითხა დეამ კახას, როგორც კი გიორგი აბრამიძემ მათკენ ზურგი იბრუნა.

— რაღაც საქმე მაქვს და იმაზე ვებაზრებოდი...

— თუ მართლა მაგის „კურტკას“ უმიზნებ?

დეას ამ სიტყვებზე, კახას ფერი ეცვალა:

— საიდან მოიტანე?

— თათამ მითხრა.

— აუ, მე მაგისი... — ჩაიღმუილა კახამ. — ენას თუ არ დაიმოკლებს, ლაჯებზე ავხევ მაგ ნაბოზარს...

— ისე, მართლაც კარგი „კურტკა“ აცვია, — განაგრძო დეამ, — მაგრამ არც შენია ნაკლები. თანაც, გიორგი შენზე კარგა მაღალიცაა და მაგისი „კურტკა“ ნათხოვარივით გექნება..

— მერე ვინ გითხრა, რომ მაგ „კურტკის“ ჩაცმას ვაპირებ?

— მაშ, რად გინდა? — გაუკვირდა დეას.

— აქ საქმე „შმოტკაში“ არ არის.

— აბა?

— უბრალოდ, ბიჭებთან ვთქვი, დავაწერმეთქი და უნდა დავაწერო.

— რომელ ბიჭებთან?

— შენ არ იცნობ. და საერთოდაც, წამო, რა, ჩაჯექი მანქანაში და წავიდეთ. ეს ქალების გასარჩევი საქმე არ არის, — უთხრა კახამ დეას და თან მკლავში ხელი წაავლო.

— არსადაც არ წამოვალ! — კახას ხელი უხეშად მოიცილა დეამ. — მომბეზრდა შენი უზრდელობა! თანაც, შენთან უაზრო კამათშიც ბევრი დრო დავკარგე. ასე რომ, ჩემი სახლში წასვლის დროა.

— მერე წამალი? — სასწრაფოდ უკან დაიხია კახამ.

— დედაშენს ჩემგან დიდი მადლობა გადაეცი და უთხარი, რომ მოგვიანებით დავურეკავ.

— კარგი ერთი, რას ავარდი? წამო, სახლამდე მაინც მიგიყვან, — აღარ მოეშვა კახა და დეა მანქანისკენ თითქმის ძალით გაიყოლა...

ქალბატონი ელენე დეას ისევ ლოგინში წამომჯდარი დახვდა.

— დედა, ხომ გითხარი, სულ უნდა იწვე-მეთქი! — უსაყვედურა მას დეამ. — იცოდე, იმდენს იზამ, რომ ჩემს აქ არყოფნაში მეზობლის ქალებს შენთან შემოსვლას საერთოდ ავუკრძალავ...

— აი, მაშინ კი აღარც წამოჯდომა დამჭირდება და აღარც წამოწოლა. უბრალოდ, გულზე ხელებს დამიკრეფთ და...

— კარგი, რა, დედა, ნუ დაიწყე... — ხმა აუკანკალდა დეას. — შენ გამო გეუბნები, რაც მალე გამოკეთდები და ფეხზე წამოდგები, მე ის არ მირჩევნია?..

— აბა, მოდი აგერ ჩამომიჯექი... — მარცხენა ხელით საბანი ოდნავ გადასწია ქალბატონმა ელენემ.

დეა დედამისს მაშინვე საწოლზე ჩამოუჯდა და გულში ჩაეკრა:

— გეხვეწები, თავს გაუფრთხილდი. შენ რომ რამე მოგვიდეს, იცოდე, მეც აღარ ვიცოცხლებ თავს...

ქალბატონმა ელენემ ჯერ შუბლი შეიკრა, შემდეგ დეას ნიკაპში ხელი ამოსდო, თავი ძალად ააწევინა და მკაცრად უთხრა:

— კარგად დაიმახსოვრე, რასაც ახლა გეტყვი: სიმართლეს თვალი უნდა გაუსწორო, შვილო. მე ამ ლოგინიდან, ალბათ, ველარ წამოვდგები... რას იზამ, ასეთი ყოფილა ჩემი ბედისწერა... შენ კი ძალიან, ძალიან დიდხანს უნდა იცოცხლო...

— არა, არა, უშენოდ არა! — ისევ გულში ჩაეკრა დეა დედას და ასლუკუნდა.

— ეგოისტი ნუ ხარ! — აკანკალებული ხელი თავზე მზრუნველად გადაუსვა მას ქალბატონმა ელენემ. — მარტო შენს თავზე ნუ ფიქრობ. ხომ იცი, თემოც მისახედია. შენს მეტი აბა, ამქვეყნად ვინ ჰყავს?! ციხიდან რომ გამოვა, სად უნდა წავიდეს, ვის მიადგეს?

— თემო უჩემოდაც არ დაიკარგება.

— არა, ჩემო ლამაზო, ჩემო ჭკვიანო გოგო, — დაუყვავა დეას დედამ, — ხომ გაგიგონია, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. თემოს მარტო ძალიან გაუჭირდება. ერთად კი ყველაფერს შეძლებთ. ისევ ფეხზე დადგებით... მერე, ალბათ, გათხოვდები კიდეც, წვრილშვილით აივსები და...

— გავთხოვდები არა, კიდევ ის... მთხოვნელები კარს ამიტალახებენ...

— რატომაც არა?.. სხვათა შორის, ერთი დღესაც მოგადგა კარზე, მაგრამ შენ ერთი ფეხით გაასწარი.

— ვინ მომადგა? — თავი წამოსწია გაკვირვებულმა დეამ.

— ვინ და ვისაც წუხელ ეს გიტარა გააყოლე, — ოთახის კუთხეში მიყუდებულ გიტარაზე ანიშნა ქალბატონმა ელენემ.

— კი, მაგრამ ეს გიტარა აქ საიდან გაჩნდა? — თვალები გაუფართოვდა დეას.

— ერთმა ლამაზმა ბიჭმა მოიტანა: წუხელ დეა სახლამდე მე მოვაცილე, გიტარა კი მანქანაში დარჩა და ახლა მოვუტანეო.

— მანქანაშიო? — სახეზე სიწითლემ გადაჰკრა დეას.

— ჰო, ეგრე მითხრა. რა იყო? რატომ გაწითლდი? — ჩაეკითხა შვილს ქალბატონი ელენე.

— გავწითლდი არა, კიდევ ის... საიდან მოიტანე? — თვალები მორცხვად დახარა დეამ.

— დეა, შვილო, არ დამიმალო, ვინ არის ეგ ბიჭი?

— არის რა...

— მაინც? — არ მოეშვა შვილს ქალბატონი ელენე.

— გურამი ჰქვია, წუხელ, ლონდას დაბადების დღეზე გავიცანი...

— ლონდასთან რა კავშირი აქვს?

— თანაკლასელები არიან...

— ეს გიტარა საიდანღა მოიტანე?

— დედა, რა არის?.. დაკითხვებს მიწყობ? გიტარა ვინ მოგცა? ბიჭი საიდან გაიცანი?.. პატარა ბავშვი ხომ არა ვარ?..

— პატარა ბავშვებს დიდი ბიჭები შინ არ აკითხავენ, — გული მოუვიდა ქალბატონ ელენეს. — ისე, თუკი არ გინდა, საერთოდ ნურაფერს მეტყვი...

— კარგი, რა, ნუ მიბრაზდები, — თვალები დაუკოცნა დეამ ქალბატონ ელენეს. — რაკი ასე ძალიან გაინტერესებს, გეტყვი: ეს გიტარა კანონიერმა ქურდმა გიგოლამ მაჩუქა.

— ვ-ი-ნ? — შიშით თვალები გაუფართოვდა ქალბატონ ელენეს. — მაგ საშინელ კაცს შენთან რა ხელი აქვს? ან, საერთოდ, სად ნახე?

— ისიც ლონდას დაბადების დღეზე იყო.

— დეა, შვილო, რას ამბობ? — კიდევ უფრო შეშინდა ქალბატონი ელენე. — კანონიერი ქურდი გიგოლა, იგივე გიორგი გიორგობიანი ციხეში ზის. თემოს სანახავად რომ დავდიოდი, იქ ვნახე, თანაც, არაერთხელ...

— ვიცი, დედა, ვიცი, ეგ კაცი პირველად მეც გუშინ, თემოსთან ვნახე.

— აბა, რესტორანში როგორღა მოხვდა?

— მეც ეგ არ მიკვირს? — მხრები აიჩეჩა დეამ. — დილით, ციხეში გავიცანი, საღამოს რესტორანში კი, თავი ისე მოიკატუნა, თითქოს, პირველად მხედავდა... მართალი გითხრა, ცოტა ეჭვიც კი შემეპარა — იქნებ, ის გიგოლა ციხეში რომ ვნახე, ეს სულაც არ არის-მეთქი...

— ლონდას დაბადების დღეზე რაღა უნდოდა? საიდან იცნობს?

— ლონდას საყვარლის, კაკოს ძმაკაცი ყოფილა... ეგ ორნი ცალკე კუპეში ისხდნენ და სვამდნენ, მაგრამ გადარეული ლონდას ამბავი ხომ იცი? სანამ მეც იმ კუპეში არ შემათრია, თავისი დაიმართა... ეს გიტარაც იქ იყო, ვიღაც მომღერლებს ფულის მაგივრად დაუტოვებიათ... კაკომ რომ დამინახა, შემაღონა — გინდა თუ არა, გვიმღერეო... მეც ავდექი და „თეთრი ვარდები“ ვუმღერე.

— მერე?

— მერე გიგოლა ადგა, ხელზე მაკოცა და გიტარა მაჩუქა.

— მაგ ყველაფერს ის ბიჭიც ხომ არ შეესწრო?

— რომელი ბიჭი? — ვერ მიუხვდა დეა.

— ეს გიტარა ვინც აქ მოიტანა.

— ა-ა-ა! არა, გურამი საერთო დარბაზში იყო.

გაგონილით აშკარად შეშფოთებულ ქალბატონ ელენეს ამის შემდეგ ხმა კარგა ხანს აღარ ამოუღია. ბოლოს, ერთი ამოიოხრა და დაიწყო:

— დეა, შვილო, გიგოლასნაირი ყაჩაღები და არაკაცები შენისთანა სუფთა გოგონებს ტყუილად არაფერს აჩუქებენ. ეს გიტარა სასწრაფოდ უკან უნდა დაუბრუნო...

— მაგის გაკეთება წუხელვე მინდოდა, მაგრამ არაფერი გამომივიდა, — გიტარის ასაღებად წამოდგა დეა. — თანაც, ბოლოს და ბოლოს, ეს რაიმე ძვირფასი საჩუქარი კი არა, მაინც, ერთი ჩვეულებრივი გიტარაა.

ამ სიტყვებზე დეამ გიტარას შალითა შემოხსნა და ისე შეაბრუნ-შემოაბრუნა, თითქოს, ქალბატონ ელენეს თავისი ნათქვამის სისწორეში არწმუნებსო. უცბად გიტარაში რაღაც ყრუდ გახმაურდა. გაკვირვებულმა დეამ გიტარა ხელში ერთხელ კიდევ შეათამაშა, ხმაური კვლავ განმეორდა. მაშინ დეამ გიტარის ღრმულში ხელი ჩაყო და პატარა კონვერტი ამოიღო.

— ნეტავ, ეს რაღაა? — გაუკვირდა დეას, შემდეგ გიტარა მაგიდაზე დადო, კონვერტი ფრთხილად გახსნა და გაშეშდა.

— რა იყო? რა იპოვე? — ჰკითხა ქალბატონმა ელენემ.

დაბნეულმა დეამ კონვერტიდან ჯერ ოქროს ძეწკვი ამოიღო, რომელსაც თან ოქროს მედალიონიც ამოჰყვა, შემდეგ კი სამი, საკმაოდ ტკიცინა ასდოლარიანიც ამოაყოლა.

— დეა, ეგ ყველაფერი საიდან? — თვალები გაუფართოვდა ქალბატონ ელენეს.

დეამ, პასუხად, მხრები დაბნეული ბავშვივით აიჩეჩა.

— არ გესმის, რას გეუბნები? — ხმა გაიმკაცრა ქალბატონმა ელენემ. — ახლავე მითხარი, ვინ მოგცა ეგ ყველაფერი?

სწორედ ამ დროს, მეორე სართულიდან ჩამომავალ კიბეზე ლონდას ფეხის ხმა მოისმა. დეამ ძეწკვი და ფული სასწრაფოდ უკან ჩააბრუნა, კონვერტი დედას ლეიბქვეშ შეუცურა და თან ტუჩებზე საჩვენებელი თითი მიიდო: არაფერი თქვაო.

ამასობაში ლონდამ კიბე ხმაურით ჩამოათავა და დედა-შვილს თავზე დოინჯშემოყრილი წამოადგა:

— კომპანიას გაუმარ-ჯოს!

— გაგიმარჯოს, ჩემო ლონდა! — სალამი მაშინვე შეაგება ქალბატონმა ელენემ,— რას შვრები, როგორა ხარ?

— ვარ რა, დეიდა ელიჩკა, ყველასგან დავიწყებული და მიგდებული...

— თავს სულ ტყუილად მაცოდებ, შეცუღლუტო, — გაეღიმა ქალბატონ ელენეს, — აი, ახლა, დეა სწორედ იმას მიყვებოდა, წუხელ რა მშვენიერი იყავი და გარს რამდენი კავალერი გეხვია...

— მერე რა? დღეს ისევ მარტო ვარ და აღარავის ვახსოვარ... ისე, წუხელ კავალრები შენს შვილსაც არ მოჰკლებია... ნახე, რა მაგარი გიტარა დაირტყა?

— გიტარა ნამდვილად კარგია, მაგრამ იმას კი ცოცხალი თავით არ მიმხელს, თუ ვინ აჩუქა, — მშვიდად მიუგო ქალბატონმა ელენემ და დეას მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

— ვინ და გიგოლამ, კაკოს ძმაკაცმა. ნეტავ, ეს რაღა დასამალია, დეიკო? — მიუბრუნდა დეას გაკვირვებული ლონდა.

— ეგ თქვენი გიგოლა რა ხელობის კაცია? — ისევ მშვიდად იკითხა ქალბატონმა ელენემ.

— ზუსტად არ ვიცი. ისე, წუხელ მეც პირველად ვნახე, მაგრამ, როგორც კაკომ მითხრა, ძალიან მაგარი კაცი უნდა იყოს. მთელი ქალაქი ხელში უჭირავს, პარლამენტში და მთავრობაშიც ბევრი ეკითხება ჭკუასო...

— მართლა დიდი კაცი ყოფილა... — თავისთვის ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულმა ქალბატონმა ელენემ.

— ისე, წუხელ დეამ მეორე კაციც მოჩანგლა, — დაიწყო ისევ ლონდამ.

— კარგი, რა, ლონდა... რაებს იგონებ? — ლონდას შეჩერება სცადა დეამ.

— ვიგონებ?.. ერთი ეს მითხარი, ქალბატონო, წუხელ შენ და გურამი ქურდებივით რატომ გამეპარეთ? ხუთი წუთი ვეღარ მომიცადეთ?

— რა ვიცი, აბა?! — ისევ სიწითლემ გადაჰკრა დეას. — გურამს ეჩქარებოდა და ვიფიქრე, გამცილებელი მაინც მეყოლებამეთქი და მეც გამოვყევი...

— რომ არ გამოჰყოლოდი, ძალით წამოგაპორწიალებდა. არ ვიცი, მაგის ამბავი? როგორც კი ლამაზ ქალს დაინახავს, მაშინვე ტვინი ეკეტება...

— ხომ არ ეჭვიანობ? — გაეღიმა დეას.

— ვისზე?

— რა ვიცი? ჩემზე, გურამზე, ანდა სულაც ორივეზე.

— გურამზეო?.. გადაირიე, გოგო? გურამი ხომ ჩემი ბავშვის ნათლიაა! — ამ სიტყვებზე ლონდას ხმა ისე უცბად ჩაუწყდა, თითქოს ენა გადაეყლაპაო და ქალბატონ ელენეს შიშით მიაშტერდა: — ელიჩკა დეიდა, მ-მ-ე... მე შვილი მყავს... მაგრამ ვერ გაგიმხილე... ვიფიქრე, ბავშვიანს ბინას აღარ მომაქირავებს-მეთქი... თანაც, ჩემს ქეთუშას მამაც არ ჰყავს... მარტომ გავზარდე...

— ახლა სად არის? — მკაცრად ჰკითხა ქალბატონმა ელენემ.

— სოფელში, დედაჩემთან... — ძლივსღა ამოილუღლუღა დამფრთხალმა ლონდამ.

— ხვალვე წახვალ და ჩამოიყვან. შვილი დედასთან უნდა იზრდებოდეს. გასაგებია შენთვის?!

— გასაგებია, მაგრამ მაინც ვერ ჩამოვიყვან... — ლუღლუღს განაგრძობდა ლონდა.

— რატომ? კიდევ რა გიშლის ხელს?

— კაკო.

— კაკოს რაღა ჯანდაბა უნდა?

— არც მაგან იცის, შვილი რომ მყავს.

— შენც ადექი და უთხარი, რაღას უცდი?

— ვერ ვეტყვი.

— რატომ?

— მაშინვე მიმატოვებს და იმიტომ...

— ჯანდაბამდე გზა ჰქონია, თუ მიგატოვებს! — აფეთქდა ქალბატონი ელენე.

— რას ამბობ? — შეიცხადა ლონდამ. — გინდა, შიმშილით დავიხოცოთ?..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მელამი პაკისტანელებს ვერ იტანს

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ კარდიფის ერთ-ერთ ღამის კლუბში ხულიგნური საქციელის გამო სამართალდამცავი ორგანოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა უელსის ნაკრებისა და „ნიუკასლის“ ფორვარდი კრეიგ ბელამი. ამას წინათ, პრესამ მკითხველს აუწყა, თუ რა გარემოებებში გამოხატა ბელამიმ რასისტული შეხედულებები. მოდურ კლუბ „ჟონგლიორში“, სადაც უელსის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი იმყოფებოდა, შეზარხოშებულმა ბელამიმ დაწესებულების პაკისტანელ შვეიცარს გინება დაუწყო. კრეიგი ყოველი დანახვისას შვეიცარს მიმართავდა სიტყვებით – fucking Paki`s – და უწმაწური სიტყვებით მოიხსენიებდა მთელ მის ერს. შფოთისთავი ფეხბურთელის დაშოშმინება მხოლოდ პოლიციელებმა შეძლეს. მეორე დილით კი, შვეიცარმა ბელამის რასიზმში დასდო ბრალი. „ნიუკასლის“ თავდამსხმელის

დედამ, ანჟელა ბელამიმ შვილის დაცვა სცადა: „კრეიგი ახალგაზრდაა და წონასწორობიდან მისი გამოყვანა ძალიან ადვილია, – განაცხადა მან, – დარწმუნებული ვარ, რომ იგი ვიღაცამ პროვოკაციაზე წამოაგო“. აღსანიშნავია, რომ ანჟელა ბელამი სხვა დროსაც გამოსარჩლებია თავის შფოთისთავ შვილს. კრეიგს პრობლემები ბრიტანულ პოლიციასთან შარშანაც შეექმნა. მაშინ ნიუკასლის ერთ-ერთ ღამის კლუბში მთვრალმა ფორვარდმა 21 წლის სტუდენტ გოგონას, შარლოტა სმიტს გაარტყა ხელი, რისთვისაც პოლიციისაგან მკაცრი გაფრთხილებაც მიიღო. ამჯერად კი, კრეიგი სასამართლოს წინაშე წარდგება და ალბათ მორალური ზიანის მიყენებისთვის შვეიცარის სასარგებლოდ ჯარიმასაც გადაახდევინებენ. კრეიგის ხელფასი „ნიუკასლში“, კვირაში 35 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენს, ამიტომ ჯარიმის გადახდა მას მაინცდამაინც არ უნდა გაუჭირდეს. ■

ქალთა გულების მპყრობელი მათეუსი

ცნობილია, რომ გერმანიის ეროვნული ნაკრების ყოფილი ლიდერი, ლოთარ მათეუსი დიდი პოპულარობით სარგებლობს ქალებში. გერმანული ბულვარული პრესის თანახმად, ლოთარის ერთადერთ კონკურენტად ამ სფეროში მხოლოდ ფრანც ბეკენბაუერი შეიძლება დასახელდეს, რომელიც თავის თითქმის ყოველ ახალ მდივანს ბავშვით ასაჩუქრებს... კაზანოვა ლოთარის მორიგ მსხვერპლად 28 წლის თარჯიმანი მარინა იქცა, რომელიც ამტკიცებს, რომ იგი უკვე ჭკუას კარგავს ფეხბურთის ვეტერანის გამო. ყვავილებით, საჩუქრებითა და კომპლიმენტებით „მბომბავდა“, ამიტომ მე ისღა დამრჩენოდა, რომ დავნებებოდი, – ამბობს მათეუსის ახალი საყვარელი, – ვფიქრობ, მალე იგი ხელსაც მთხოვს და ალბათ ამაზეც დავთანხმდები“. სხვათა შორის, გულუბრყვილო მარინა ალბათ აჩქარდა, რადგან იგი ამჟამად ლოთარის ერთადერთი გატაცება სულაც არ არის. როგორც გერმანული გამოცემა Bild-ი იუწყება, მიუნხენში ფეხბურთელს კიდევ ერთი მეგობარი ქალი ჰყავს, რომელსაც ასევე შეიძლება ჰქონდეს მათეუსის ცოლობის იმედი. „ეს ჩემი ცხოვრებაა და მის გარჩევას არავისთან ვაპირებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ არც ერთი მათგანისათვის ხელი არ მითხოვია“, – ამბობს თავად მათეუსი. ■

ფერდინანდს სუფენიორობას ამტალებენ

„მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ეროვნული ნაკრების მცველი, რიო ფერდინანდი ნარკოტიკების გასაღებისა და სუტენიორობისათვის შეიძლება, ციხეში აღმოჩნდეს. თავად ფეხბურთელი ამტკიცებს, რომ მას ამგვარ საქმიანობასთან არასოდეს არაფერი ჰქონია საერთო, მაგრამ ინგლისის სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები სულ სხვაგვარად ფიქრობენ. საგამოძიებო მასალების თანახმად, ერთ-ერთ ღამის კლუბში რიო ფერდინანდო კრიმინალურ სამყაროში ცნობილ პირს შეხვედრია, რომელიც ნარკოტიკების გასაღებითა და პროსტიტუციის ორგანიზებით ირჩენდა თავს. „ვფიქრობ, რიო ფერდინანდო მჭიდროდ თანამშრომლობს დამნაშავეთა სამყაროსთან და ალბათ უკანონო ბიზნესშია ჩართული“, – განაცხადა პროკურორმა. „იმ კაცს მართლაც შევხვედრივარ, – აღიარა ლიდსის სამეფო სასამართლოში დაკითხვისას ფეხბურთელმა, – მან „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივრად გამაცნო თავი. მახსოვს, რომ მის მანქანაში ორი გოგონა იჯდა, მაგრამ წარმოდგენაც არა მაქვს, თუ ვინ იყვნენ ისინი“. ფერდინანდმა ჩვენება მისცა აგრეთვე ღამის კლუბში მომხდარი 22 წლის გოგონას გაუპატიურების საქმესთან დაკავშირებით; ამ დაკითხვაში „მანჩესტერის“ მცველი, დაჰკითხეს როგორც მოწმე. ■

პირესი პროტესტს აცხადებს, ანრი კი პოლიტიკისადმი სრულ გულგრილობას გამოხატავს

პირესი და ბერჰკამპი

გაზეთ Sun-ისათვის მიცემულ ინტერვიუში „არსენალისა“ და საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა რობერ პირესმა განაცხადა, რომ ერაყში მიმდინარე საომარი ოპერაციებისა და საერთოდ, აშშ-ის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გაფიცვას აპირებს. ფეხბურთელმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ „არსენალის“ რიგებში მოთამაშე დანარჩენი ხუთი ფრანგი მოთამაშეც მის აზრს იზიარებს და მზად არის, მხარი დაუჭიროს საფრანგეთის პრეზიდენტის, ჟაკ შირაკის მიერ გამოთქმულ პოზიციას ერაყში მიმდინარე ომთან დაკავშირებით. სხვათა შორის, „არსენალში“ პირესის პარტნიორმა, ფრანგმა ფორვარდმა, ტიერი ანრიმ განაცხადა, რომ იგი ერაყში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით რაიმე აზრის გამოთქმისაგან თავს შეიკავებს. „მე მხოლოდ ის მაინტერესებს, რასაც თავად ვაკეთებ“, – ამბობს ტიერი ანრი, – ხოლო იმას, თუ რას ფიქრობენ, სხვები, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. რა თქმა უნდა, პირადად მე, იარაღს ხელში არასოდეს ავიღებდი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ვამჯობინებ, რომ პოლიტიკაში საერთოდ არ ჩავერიო“. ■

შეხვდებიან თუ არა ერთმანეთს ტაისონი და ლუისი?

21 ივნისს ბუფალოს „რალფ უილსონ სტადიუმზე“ შეიძლება მაიკ ტაისონისა და ლენოქს ლუისის ორთაბრძოლები გაიმართოს, თუმცა ეს ორი სუპერმძიმეწონოსანი ერთმანეთს როდი შეხვდება რინგზე. ტაისონის მეტოქე ოლეგ მასკაევი იქნება, ხოლო ლუისის მეტოქედ შეიძლება, ვიტალი კლიჩკო, კირკ ჯონსონი ან ჯო მეზი ვიხილოთ. ლენოქს ჯერ კიდევ აქვს ტაისონთან ორთაბრძოლის გამართვის იმედი, თუმცა „რკინის მაიკმა“ განაცხადა, რომ მან სულ ცოტა, ორი მატჩი მაინც უნდა გამართოს მანამდე, სანამ WBC-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ლუისს შეებრძოლება. ამ შემთხვევაში საკუთრივ მატჩ-რევანშის თარიღი კიდევ უფრო გადაიწევს. ლუის-ტაისონის მატჩის გამართვის ბოლო ვადად 30 ივნისს ასახელებენ, რის შემდეგაც ბრიტანელ მოკრივეს 120 დღე მიეცემა იმისათვის, რათა ორთაბრძოლა გამართოს WBC-ს ვერსიის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის ოფიციალურ პრეტენდენტთან, ვიტალი კლიჩკოსთან. იმ შემთხვევაში, თუ ლუისი აღნიშნულ ვადაში კლიჩკოსთან მატჩის ჩატარებას ვერ მოასწრებს, ჩემპიონის ტიტული ვაკანტურად გამოცხადდება და მის მოსაპოვებლად უკრაინელი მოკრივე სავარაუდოდ, ამერიკელ რახმანს შეხვდება. ■

ჯონსი ტაისონთან ორთაბრძოლისათვის 100 მილიონს მოითხოვს

ნახევრად მძიმე წონაში აბსოლუტურმა და WBA-ს ვერსიით სუპერმძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონმა, როი ჯონსმა განაცხადა, რომ მზად არის მაიკ ტაისონთან შესახვედრად და დაამარცხებს კიდეც. ამისათვის ის გვარიან ჰონორარს მოითხოვს. „მაიკ ტაისონთან ორთაბრძოლის გასამართავად, რინგზე გამოსასვლელად 100 მილიონი დოლარი მშვენიერი სტიმული იქნებოდა“, – განაცხადა ჯონსმა და ისიც დასძინა, რომ ახლა მას ვერც ტაისონი დაამარცხებს და ვერც ლუისი: „მსოფლიოს არც ერთ სუპერმძიმეწონოსანს არ შეუძლია ჩემი დამარცხება. შეიძლება, რომელიმე მათგანმა ერთხელ დამარტყას კიდეც, მაგრამ ვერ მომიგებს“. როი ჯონსმა პუერტორიკოელ ჯონ რუისს ჩამოართვა WBA-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და ამიერიდან მას, სუპერმძიმე წონაში დარჩენა სურს. „ფიზიკურადაც და მორალურადაც მზად ვარ ამისათვის“, – ამბობს ჯონსი, რომლის მენეჯერი მურად მუჰამედი უკვე აწარმოებს კიდეც მოლაპარაკებას ორთაბრძოლის გამართვასთან დაკავშირებით ტაისონის მენეჯერ შელი ფინკელთან. ■

Williams–ი შუმახერ–უმცროსს ემდურის

BMW Williams-ის პირველი პილოტის, რალფ შუმახერის შედეგებით, მიმდინარე ავტოსარბოლო სეზონში ძალიან უკმაყოფილოა გუნდის ხელმძღვანელობა. მისი თავკაცი ფრენკ უილიამსი და ტექნიკური დირექტორი, პატრიკ ჰედი მიიჩნევენ, რომ ავსტრალიისა და მალაიზიის რბოლებში გერმანელი პილოტი თავს ზოგავდა და საკუთარი შესაძლებლობები სრულად არ გამოუვლენია. გაზეთ Sun-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, Williams-ის ხელმძღვანელობა რალფს ხელფასის შემცირებით დაემუქრა. აღსანიშნავია, რომ შუმახერ-უმცროსის ხელფასი 12 მილიონი გირვანქა სტერლინგია, ხოლო მისი კოლუმბიელი თანაგუნდელი, ხუან პაბლო მონტოია მხოლოდ ოთხ-ნახევარ მილიონს იღებს. „ფრენკმა და პატრიკმა იციან, რომ რალფს უფრო უკეთესად და სტაბილურად შეუძლია გამოსვლა, – იუწყება Sun-ი. – ვიდრე შუმახერი მათ ნდობას არ გაამართლებს, მათ მისი შეშინება გადაწყვიტეს“. თავად რალფის თქმით კი, რომელიც ჩემპიონატის საერთო ჩათვლაში მხოლოდ მერვე ადგილზე იმყოფება, იგი ვერაფრით შეეგუა „ფორმულა-1“-ის ახალ წესებს, რომელიც კვალიფიკაციას მხოლოდ ერთი წრით ითვალისწინებს. სწორედ ამის გამო დაუკავებია შუმახერ-უმცროსს მეცხრე ადგილი ავსტრალიის გრანპრის სტარტზე და მხოლოდ მეჩვიდმეტე – მალაიზიაში გამართული რბოლის წინ. „მესმის, რომ რაღაც უნდა შევცვალო კვალიფიკაციაში მონაწილეობისას, მაგრამ ჯერ ვერ გამიგია, თუ რა უნდა მოვიმოქმედო, – ამბობს რალფი. – შეიძლება, ახალ წესებთან ადაპტირებას ვერ ვახერხებ, რომელმაც საგრძნობლად შეამცირა წინასწარი რბოლების მნიშვნელობა“. ფრენკ უილიამსის აზრით, რალფზე უარყოფითად იმოქმედა სხვა გუნდების მხრიდან განხორციელებულმა პრესინგმა, თუმცა გერმანელ პილოტს იმის უნარი აქვს, რომ მნიშვნელოვნად გამოასწოროს მდგომარეობა და კარგ შედეგებს მიაღწიოს. ამასთანავე, გუნდის ხელმძღვანელობას ისევ სურს რალფთან კონტრაქტის გაგრძელება. „მართალი არ არის, თითქოს რალფს Toyota-ში გადასვლა სურს, – ამბობს მრბოლელის მენეჯერი ვილი ვებერი, – მსურს, რომ მან Williams-თან კონტრაქტი კიდევ ორი წლით გააგრძელოს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას ფრენკ უილიამსი მიიღებს. თუ ბოსი გადაწყვეტს, რომ მას ახალი პილოტი სჭირდება, მე მაშინვე შევუდგები რალფისათვის ახალი გუნდის ძებნას“. რალფ შუმახერის წარუმატებელი ასპარეზობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ალბათ ის სკანდალიც უნდა მივიჩნიოთ, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ აგორდა. მკითხველს შევახსენებთ, რომ შუმახერ-უმცროსს ერთ-ერთი გერმანული გამომცემლობა ცისფერობას სწამებდა. ამასობაში კი, რბოლებში დამაჯერებლად ასპარეზობს ხუან-პაბლო მონტოია. „ვერ გამიგია, ასე რატომ გაუჭირდა რბოლა რალფს, – ამბობს კოლუმბიელი მრბოლელი, – ჩვენ შესანიშნავი მანქანები გვყავს, მაგრამ შუმახერს მუდამ რაღაც არ მოსწონს. ალბათ ჯერჯერობით იგი მზად არ არის“. ■



ჯორჯ კლუნი და ვილა დევისი ფილმში „სოლარისი“

დიასახლისების საყვარელი ექიმი როსის რეცეპტები და კლონირებული „სოლარისი“

— მისტერ კლუნი, თქვენი აზრით, რეჟისორობა უფრო რთულია თუ მსახიობობა?

— რა თქმა უნდა, რეჟისორობა. მსახიობმა ფილმის ქარგაში საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს, მაგრამ რეჟისორს ხომ მთელი ამ ქარგის შექმნა თავად უწევს. სწორედ ამიტომ, ახლა რეჟისორების უსიტყვოდაც კარგად მესმის, როცა მსახიობის ამპლუაში ვიმყოფები.

— იქნებ ისიც მითხრათ, როგორია საკუთარი თავის რეჟისორობა (კლუნი საკუთარ ფილმში მონაწილეობს)?

— შშვენიერი! რაღა თქმა უნდა, წინასწარ მოვემზადე ამისათვის. რეჟისურა ძალზედ შრომატევადი საქმიანობაა, მაგრამ ვაღიარებ, ფილმის გადაღების შესაძლებლობა კიდევ რომ მომეცეს, აუცილებლად გადავიღებ.

— ამას წინათ, თქვენ ლემის ცნობილი რომანის — „სოლარისის“ კინოეკრანიზაციის ახალ ვერსიაში ითამაშეთ, რომლის რეჟისორიც სტივენ სოდერბერგია. ამბობენ, რომ იგი თქვენი ფილმის გადაღებაშიც გეხმარებოდათ..

— მე ეს, არც არასოდეს დამიმალავს! სტივენს უამრავი სიკეთე აქვს ჩემთვის გაკეთებული. ჩვენ მეგობრები ვართ და ძალიან კარგად ვუგებთ ერთმანეთს. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთნაირ სვიტრებსაც კი ვატარებთ.

— თქვენი ფილმის მთავარი გმირი, რომელიც სემ როკველმა განასახიერა — ეგზოტიკური პერსონაჟია. იგი ერთდროულად ტელეწამყვანად და დაქირავებულ მკვლელად გვევლინება, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დავალებებს ასრულებს. მას მართლაც სახიფათო გონება აქვს...

— დიახ, თავად მასმედიის სისტემაში, რომელმაც ჩვენს დღეებში უდიდესი ძალაუფლება მოიპოვა, არის რაღაც დემონური. ჩემი აზრით, აბსოლუტურად ლოგიკურია ის, რომ როკველის პერსონაჟი ერთდროულად, მასმედიის ვარსკვლავად და მკვლელად გვევლინება. მიუხედავად იმისა, რომ ფილმში მოქმედება ცივი ომის ეპოქაში ხდება, იგი საოცრად ეხმიანება დღევანდელობას.

— ამბობენ, თქვენ პოლიტიკაც გაინტერესებთ და ისიც, თუ რა ხდება კულუარებში — ბინძური ტექნოლოგიები, ლობი, ზეწოლა და სხვა...

— დიახ, ცოტა არ იყოს, უცნაური ვარ — პოლიტიკაც მაინტერესებს და ბევრი სხვა რამეც. სერიოზულად მაღელვებს ის, თუ როგორ მარიონეტებივით გვმართავენ პრესის, პოლიტექნოლოგიების და საიდუმლო სამსახურების მეშვეობით.

— საოცრად სერიოზული ხართ... მიუხედავად ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ როცა სოდერბერგმა „სოლარისში“ მთავარ როლზე მიგიწვიათ, ბევრი, მისი არჩევანით გაკვირვებული დარჩა. კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ კრის კელვინის ფილოსოფიური ნატურისათვის თქვენ მეტისმეტად სექსუალური და მსუბუქი პიროვნება ხართ.

ჯორჯ კლუნის პოპულარობა „სასწრაფოში“ შესრულებულმა, ექიმი როსის როლმა მოუტანა. იმხანად იგი დიასახლისების საყვარელი გმირი გახლდათ, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და კლუნი ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ვარსკვლავად იქცა. ჯორჯი მხოლოდ მსახიობის ამპლუას არ დასჯერდა და რეჟისორადაც მოევლინა მაყურებელს. მან გადაიღო ფილმი „სახიფათო გონების აღსარება“, რომელშიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტის ორმაგი ცხოვრებაა აღწერილი. უკანასკნელ ხანებში კი, მისი ინტერესების სფეროში პოლიტიკაც მოექცა და მან არაერთგზის გაილაშქრა აშშ-ის პრეზიდენტის კურსის წინააღმდეგ. ამჯერად გთავაზობთ დასავლეთის პრესაში გამოქვეყნებულ ინტერვიუს, რომელიც, სავარაუდოა, ჩვენს მკითხველსაც დააინტერესებს.

— მათი ეს შეფასება სულაც არ მაღელვებს. რეცენზენტები ხშირად სისულელეებსაც წერენ — მაგალითად, იხილავენ იმას, თუ როგორ გამოვიყურები შიშველი (*„სოლარისში“ კლუნი ეკრანზე შიშველი ჩნდება. — რედ.*). რა შუაშია ეს? რაოდენ ტრივიალური მსჯელობაა მათთვის, ვინც თავს ინტელექტუალად მიიჩნევს. მიუხედავად ყველაფრისა, „სოლარისის“ შემოსავლები იზრდება. იქნებ, სწორედ იმიტომ, რომ ფილმს პრესა არ წყალობდა? როგორც ხედავთ, კრიტიკოსებმა საკმაოდ კარგი სამსახური გაგვიწიეს!.. ■



სტივენ სოდერბერგი

რუსი რეჟისორის ვაჟი ჰოლივუდის სტუდიას სასამართლოში უჩივის

ანდრეი ტარკოვსი-უმცროსი

ლეგენდად ქცეული რუსი რეჟისორის, ანდრეი ტარკოვსკის „სოლარისის“ შექმნიდან 30 წლის შემდეგ გადაღებულმა ამერიკულმა ვერსიამ, რომელიც რეჟისორ სტივენ სოდერბერგს ეკუთვნის, განსაკუთრებით დიდი ინტერესი რუსეთში გამოიწვია. პრესის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სპეციალისტებიც და კინოს მოყვარულებიც ერთხმად აღნიშნავდნენ ახალი „სოლარისის“ მსგავსებას ანდრეი ტარკოვსკის ფილმთან. თუმცა ამის შესახებ, არა მარტო რუსული პრესა წერდა. ერთ-ერთი ამერიკული გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიაში სურათს ასეთი შეფასება მისცეს: „სამსაათიანი რუსული ფილმი, რომელიც ხუთ საათს გრძელდება“.

ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, როცა ტარკოვსკის ვაჟმა – ანდრეიმ (მამა-შვილი სეხნიაა) შეიტყო, რომ სტივენ სოდერბერგი იღებდა „სოლარისის“ რიმეიქს (პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე, რეჟისორი საკუთარ ინტერვიუებში ამის შესახებ თავად აცხადებდა), სოდერბერგის ოფისში წერილი გაგზავნა, სადაც ითხოვდა, განემარტათ მისთვის, ახალი ფილმი რიმეიქი იქნებოდა, თუ პოლონელი მწერლის, სტანისლავ ლემის რომანის საავტორო გადამუშავება. მას წერილზე პასუხი არ მიუღია.

ამერიკული „სოლარისის“ პრემიერის შემდეგ კი, ტარკოვსკი-შვილმა განაცხადა: „სოდერბერგის“ ფილმი არ გახლავთ მამაჩემის სურათის პირდაპირი რიმეიქი, მაგრამ მასში არის კადრები, რომელიც აღებულია მამაჩემის ფილმიდან. ზოგიერთი სცენა კი, შეიძლება ითქვას, პირდაპირ ციტირებას წარმოადგენს, ოღონდაც, ეს სცენები ტარკოვსკის „სოლარისიდან“ ისეა კონტექსტიდან ამოგლეჯილი, რომ შემდგომი აზრობრივი დატვირთვა აღარ გააჩნია და ცოტა არ იყოს, სასაცილოდად კი აღიქმება ფილმში. ჩვენ საკუთარი პრეტენზიებით უკვე მივმართეთ კინოსტუდია „XX საუკუნე-ფოქსის“ იურიდიულ განყოფილებას“.

თავის მხრივ, ჯერ კიდევ 2002 წელს ჯეიმს კემერონის (ფილმის პროდიუსერი) კოპროდიუსერი – რეია სანჩინი აცხადებდა, რომ ამერიკული ფილმი მთლიანად სტანისლავ ლემის რომანის სიუჟეტს დაეყრდნობოდა, რომლის გამოყენების უფლებაც მათ უკვე ოფიციალურად ჰქონდათ მოპოვებული. მანვე დაადასტურა, რომ ჯეიმს კემერონმა 2000 წელს ტარკოვსკის ფილმის რიმეიქის გადაღების უფლება Mosfilm Serveces inc.-ისაგან შეეძინა. მაგრამ როგორც შემდგომში გაირკვა, ფირმა, რომელმაც ეს უფლება კემერონს „მიასაღა“, სინამდვილეში არც არასოდეს არსებობდა. „მოსფილმის“ გენერალური დირექტორის, კარენ შახნაზაროვის თქმით, ამ დოკუმენტზე არსებული ბეჭედი ყალბია და მისი დამზადება ყალბისმქმნელებს ალბათ 150 მანეთზე მეტი არ დაუჯდებოდათ.

სოდერბერგის სურათი ასპროცენტიანი საავტორო ფილმია თუ ტარკოვსკის ქმნილების კომპილირებული ვარიანტი, ამის განსაზღვრა სინამდვილეში ძალიან ძნელია. მით უმეტეს, რომ ფილმის ფაბულა სავსებით კანონიერად ლემის რომანს ეყრდნობა. თუმცა მასში ისეთი ელემენტები და ეპიზოდებიც კი არის, რომელსაც ვერ ნახავთ რომანში და მხოლოდ ტარკოვსკის შემოქმედების ნაყოფია.

აი, რას ამბობს თავად სტივენ სოდერბერგი ანდრეი ტარკოვსკის ნაწარმოებისადმი თავის დამოკიდებულებაზე: კითხვაზე – ფილმისთვის იმავე სახელის მინიჭება, თქვენი მხრიდან გარკვეულ გამოწვევას ხომ არ ნიშნავდაო? – ის პასუხობს:

– რასაკვირველია. „სოლარისის“ გადაღების დაწყების დღიდან გამუდმებით ვგრძნობდი, რომ ეს გამოწვევა იყო, და არა მარტო ტარკოვსკის მიმართ – ამით საკუთარი თავი გამოვიწვიე... საბოლოოდ, მუშაობის დასასრულისთვის ძალზედ დაქანცული ვიყავი, რადგან მთელი ეს პროცესი უკიდურესად დაძაბული აღმოჩნდა ჩემთვის.

— ტარკოვსკის ფილმი თუ გქონდათ ნანახი?

– ბუნებრივია. ეს ფილმი ზეპირად მახსოვს, პრაქტიკულად თითოეული კადრი ვიცი. და არა მარტო „სოლარისი“ – ტარკოვსკის ყველა ფილმი მაქვს ნანახი, თანაც არაერთხელ. მესმის, რატომაც მეკითხებით ამას. ჩემი ფილმისთვის ამ სახელის მინიჭებით, მე უნებლიეთ მოვახდინე შედარების პროვოცირება, მაგრამ მერწმუნეთ – აზრადაც არ მომსვლია ტარკოვსკისთან გაპაექრება, რადგან მას მივიჩნევ გენიალურ რეჟისორად, კინემატოგრაფის დიდ პოეტად, რომელიც სრულიად განუმეორებელი მსოფლაღქმით გამოირჩეოდა. ■



ანდრეი ტარკოვსკი-უფროსი გადაღებ მოედანზე

Maybach-ის 5 ვარსკვლავი

კორპორაცია DaimlerChrysler-ის მარგალიტი – წარმომადგენლობითი ლიმუზინი Maybach, საავტომობილო წარმოების ისტორიაში პირველად დაჯილდოვდა პრემიით – Five Star Diamond Award, რომელსაც საუკეთესო სასტუმროებსა და რესტორნებს ანიჭებს ამერიკის სტუმართმოყვარეობის აკადემია. ჟიურიმ არა მარტო მისი დიზაინი და კომფორტულობა აღნიშნა, არამედ მანქანის რეალიზაციის ნოვატორული სისტემაც, რომელიც კლიენტთა ნებისმიერი მოთხოვნის სრული დაკმაყოფილებით გამოირჩევა. Maybach-ის მეორე დაბადება შარშან იზეიმეს, როდესაც „დაიმლერ კრაისლერმა“ თითქმის 60-წლიან დავიწყებას მიცემული ავტომობილი გააცოცხლა – გასული საუკუნის 20-იან, 30-იან წლებში ხომ, ეს ავტომობილი, „მერსედესთან“ ერთად, მსოფლიო ავტომრეწველობის ნამდვილ ელიტას წარმოადგენდა.

ამჟამად, დაკვეთით „მაიბახის“ ორ ვარიანტს აწარმოებენ: Maybach 57-ს და Maybach 62-ს (დაგრძელებული ვერსია). მანქანის კომფორტულობა მართლაც ძალზედ მოგაგონებთ იმ დონეს, რომელსაც კლიენტებს 5-ვარსკვლავიანი ოტელები სთავაზობენ: უხმაურო, 550 ცხ.ძ. მქონე, 12-ცილინდრიანი ძრავა, 600-ვატიანი სტერეოსისტემა და ე.წ. ერგონომიკული უკანა სავარძლები, რომელიც ადვილად გარდაიქმნება მოსახერხებელ საწოლებად.■

XXI საუკუნის უნივერსალი

შვედურმა კომპანიამ ეს კონცეპტუალური მოდელი ჟენევის წლევანდელ ავტოსალონზე წარმოადგინა. მიუხედავად იმისა, რომ მანქანა ექსპერიმენტულია, სპეციალისტთა ვარაუდით, ის ახალი თაობის, მაღალი კლასის უნივერსალების საფუძვლად მოგვევლინება. VCC-ის დიზაინი Volvo-ს ორ ცენტრში – გეტებორგსა და ბარსელონაში იქმნებოდა. მანქანა სოლიდურად გამოიყურება, ამასთანავე არ გამოირჩევა აგრესიული ელემენტებით. როგორც კომპანიის თავკაცმა ოლოფ ოლსონმა აღნიშნა, ამ მოდელის დანიშნულებაა, გააბათილოს ის სტერეოტიპი, რომლის თანახმადაც ე.წ. პრემიერ-კლასის ავტომანქანები მოკლებულია მანევრირების უნარს და ბევრ საწვავსაც ხარჯავს. თუმცა, VCC 2,6 სმ მოცულობის 6-ცილინდრიანი ძრავათია აღჭურვილი, ყოველ 100 კმ-ზე მხოლოდ 6,5 ლ ბენზინს წვავს. ავტომობილს აქვს სპეციალური მოწყობილობა, რომელიც ავტომატურად გათიშავს ძრავას შუქნიშანთან გაჩერების დროს და აამუშავებს მას, როცა მანქანის ამოძრავებაა საჭირო. სახურავზე დამონტაჟებულია მზის ბატარეები, რომელიც სალონის სავენტილაციო კვებას უზრუნველყოფს. საინტერესოა, რომ ჰაერი სალონში არა ტრადიციული დეფლექტორების მეშვეობით აღწევს, არამედ ნახვრეტებიდან, რომელსაც მოსაპირკეთებელი მასალა ფარავს. ავტომობილი უგასაღებოდ იქოქება, მას სპეციალური ელექტრონული ბრელოკი ცვლის. თუ ყველაფერი წესრიგშია (მაგალითად, ყველა კარი დაკეტილია), მისი „პულსი“ ჩვეულებრივად ცემს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის აჩქარებულია...

სალონი ნატურალური ტყავითაა გაწყობილი, უკანა სავარძლებთან კი, ძვირად ღირებული ნივთებისთვის განკუთვნილი, მომცრო სეიფიცაა ჩამონტაჟებული. მანქანის დამცავი სიგნალიზაციაც დასაქოქ ბრელოკს უკავშირდება. საბარგო დანაყოფს ორი კონტეინერი ახლავს: ერთი – გამათბობლით, მეორე კი, ფაქტობრივად, მაცივარია. გარდა ამისა, საბარგული აღჭურვილია მოძრავი პანელით, რომელიც ელექტროამძრავის მეშვეობით იმართება და მსხვილგაბარიტიანი საგნების დატვირთვა-ჩამოცლის პროცესს აადვილებს.■

ჩამოფასებული მოდელები

გაზაფხულზე, ევროპელი დილერები მიიღებენ ახალ Audi A3-ს და ბუნებრივია, ახლანდელის წარმოება შეწყდება. ვინც უკვე მოძველებულ (თუმცა, სავსებით თანამედროვე) A3-ზე შეაჩერებს არჩევანს, მას დღევანდელი ფასის დაახლოებით 10%-იანი შეღავათით შეიძენს. თუ გავითვალისწინებთ, რომ A3, ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია კომპაქტური კლასის ავტომობილებს შორის, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი შეძენა, თანაც ფასდაკლებით, საკმაოდ სარფიან საქმედ შეიძლება ჩაითვალოს. ავტომობილი საუცხოო დინამიკით, მოხდენილი სალონით გამოირჩევა და ოთხნაირი ძრავათი აღიჭურვება. წარმოებიდან ამოღებისა და მოსალოდნელი ჩამოფასების მოახლოებასთან დაკავშირებით, გერმანული ჟურნალი Autobild თავის მკითხველებს ურჩევს, 21.450 ევროდ ღირებული, დიზელისძრავიანი მოდელი – Audi A3 Attraction 1,9 TDI შეიძინონ.

მალე 15%-იანი ფასდაკლებით გაიყიდება აგრეთვე Mazda 323, რომელსაც Mazda 3 შეცვლის. ევროპაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ჰეჩბეკის ძარიანი ვარიანტი. ეს მანქანა, 73-დან 131 ცხ.ძ-მდე სიმძლავრის, დიზელის რამდენიმე ძრავათი აღიჭურვება. ყველაზე ოპტიმალურ შენაძენად, გერმანელი ექსპერტები, მოდელს – 1,6 Sportive-ს მიიჩნევენ, რომელსაც 95 ცხ.ძ-იანი აგრეგატი აქვს და 16.050 ევრო ღირს. ■

ხეოჯახო MG Rover

ინგლისური ფირმა MG Rover თავის პოპულარულ მოდელს – MG Rover 105-ს აახლებს. აქამდე ეს მანქანა მხოლოდ სამკარიანი ძარითა და ერთადერთი – 4-ცილინდრიანი, 160 ცხ.ძ-იანი ძრავათი გამოდიოდა. ცოტა ხანში, მოდელის ხუთკარიანი ვარიანტის წარმოება დაიწყება, ადრე არსებულ ძრავას კი, 1,4 ლ მოცულობის, 103 ცხ.ძ-იანი აგრეგატი დაემატება. ის საკმაოდ ეკონომიურია: საშუალო ხარჯი, 6,8 ლ-ს შეადგენს ყოველ 100 კმ გარბენზე. თუმცა მანქანის დინამიკური მახასიათებლები კვლავ საშუალო დონისა დარჩება, 4 მაშუქისა და მასიური სპოილერის წყალობით, ის წინანდელზე გაცილებით სპორტულად გამოიყურება. MG ZR 105 – როგორც მანქანის ახალ მოდიფიკაციას უწოდეს – შიგნიდან დიდად არ შეცვლილა, მის სალონში მხოლოდ ფერადი დეკორატიული ჩანართები გაჩნდა.

კომპანიის მესვეურთა ვარაუდით, ხუთკარიანი ვარიანტი, ამ მოდელით მომხმარებელთა დაინტერესებას გაზრდის. ჯერჯერობით, „როვერის“ პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა სახარბიელო მაჩვენებლებით არ გამოირჩევა. მაგალითად, ევროპული ბაზრის ისეთ მნიშვნელოვან ქვეყანაში, როგორიცაა გერმანია, შარშან MG ZR-ის მარკის მხოლოდ 420, ხოლო Rover 25-ის მარკის 1111 მანქანა გაიყიდა. ინგლისური ფირმის სამოდელო რიგი იმგვარადაა აგებული, რომ MG სპორტულ მიმართულებას წარმოადგენს, ხოლო Rover – ჩვეულებრივი მანქანებისას. ■

ილიკო
სუხიშვილი

ქართული დისკოთეკა თუ ფოლკოთეკა?!

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“ მორიგი „ასა ფართი“ გაიმართა, რომელსაც ამჯერად „ფოლკოთეკასაც“ უწოდებენ. ქართული ცეკვის მოყვარული საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა, რის გამოც შესასვლელში ხალხის ნაკადი არ წყდებოდა. რამდენიმე მათგანს „აჭარული“ კოსტიუმიც კი ეცვა, ოღონდ გათანამედროვებულ სტილში...

თავდაპირველად, სცენაზე მყოფმა მუსიკოსებმა ქართული ცეკვის მელოდიის რამდენიმე მუსიკალური ნომერი მოგვასმენინეს (მასში ილიკო სუხიშვილიც მონაწილეობდა, რომელიც სხვადასხვა აფრიკულ საკრავზე უკრავდა). მოგვიანებით, სცენაზე რვა მოცეკვავე გამოვიდა. მათ ათამდე ცეკვა შეასრულეს. მოცეკვავეები სპორტულ ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი, ხოლო მაისურებს წარწერა – Assa ამშვენებდა. როგორც ყოველთვის, მოცეკვავეების კოსტიუმების დიზაინერი კვლავ ნინო სუხიშვილია.

გათანამედროვებულ ქართულ ფოლკლორს ხალხი აღტაცებული ხმაურითა და შეძახილებით შეხვდა, თუმცა დამსწრეთა შორის ერთ-ერთი ყვიროდა: ქართულ ცეკვას ნუ აფუჭებთ, არ ვარგაო!. როგორც კი მოცეკვავეები კულისებში გაუჩინარდნენ, მაყურებელმა წრე შეკრა და შუაგულში მოყვარულმა მოცეკვავეებმა, ქართული ცეკვის ილეთების შესრულება დაიწყეს. მომენტით ვისარგებლე და რამდენიმე სახელდახელო ინტერვიუ ჩავიწერე.

თენგიზ სუხიშვილი:

– მგონი, ძალიან კარგი გამოვიდა ქართული დისკოსაკლუბო ვერსია. ქართული მუსიკა ყველგან უნდა ისმოდეს. ხალხის რეაქციაც კარგი იყო და ვფიქრობ, რომ მოეწონათ.

— როგორ ჩამოყალიბდა ქართული ცეკვის საკლუბო ვერსია?

– იდეა ილიკოსია. ეს არის სუფთა საკლუბო ვერსია, რომელსაც სხვა სცენაზე არ გავიტანთ. დისკოსა და რიტმში ჩაჯდა ქართული ცეკვის შტრიხები. მგონი, ამაში ცუდი არაფერია.

— თქვენი თაობისათვის რამდენად მისაღებია დღევანდელი საღამო?

– შეიძლება, მე პროფესიონალი ვარ და ამიტომ მგონია, რომ კარგია, მაგრამ აქ ჩემი მეგობრებიც არიან და მათაც ძალიან მოსწონთ.

— ვიცე-პრემიერისთვის რამდენად მისაღებია დღევანდელი საღამო?

გიორგი კარგელაშვილი:

– რას ჰქვია მისაღები? – ეს ფანტასტიკურია! ეს ქართველი ერის ნიჭიერების კიდევ ერთი დადასტურებაა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ,,სუხიშვილების“ ანსამბლს, რომელმაც არა მხოლოდ თბილისი ააცეკვა – დარწმუნებული ვარ, სულ ცოტა ხანში, მთელ მსოფლიოს ააცეკვებს. ქართულმა საზოგადოებამ ეს ყველაფერი კარგად მიიღო.

— როგორც მოცეკვავე, როგორ შეაფასებთ დღევანდელ საღამოს?

თეა გოგეჯიშვილი:

– კმაყოფილი ვარ. რაღაც ახალია. იმედი მაქვს, იმდენად დაიხვეწება, რომ ახალგაზრდებისთვის ბოლომდე მისაღები იქნება.

სერგი გვარჯალაძე:

– ეს გვიჩვენებს იმას, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ფოლკლორი. თუმცა, ერთი ახალგაზრდა მოვიდა და გვითხრა – ეს ცეკვა ჩემთვის მისაღები არ არისო... ეს ჩვეულებრივი ამბავია, ალბათ მსგავსი ადამიანები კვლავაც გამოჩნდებიან, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავის დროზე, დიდი ილიკოსა და ნინოს ექსპერიმენტებიც სრულიად ახალი იყო საქართველოსთვის და შესაბამისად, ალბათ მათაც ხვდებოდათ გარკვეული წინააღმდეგობები. ყველაფერი ვითარდება და იცვლება. ამ ანსამბლის ყველაზე დიდი ფუნქცია ის არის, რომ ის ყოველთვის რაღაც ახალს ეძებდა, ვითარდებოდა და არასოდეს ეშინოდა იმისა, რომ ცალკეულ პიროვნებებს ესა თუ ის ცეკვა არ მოეწონებოდა. ექსპერიმენტი ყოველთვის მისასალმებელია.

ეკა მამალაძე:

– ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელი საღამოთი. ყოველთვის მივესალმები მსგავს ნოვატორულ მიმდინარეობებს. რა თქმა უნდა, კლასიკური არ უნდა დაირ-

ღვეს, მაგრამ „სუხიშვილებს“ ეს არც სჩვევიათ. სასიამოვნოა, როცა დისკოთეკაზე ასეთი მაღალი დონის მუსიკას ვუსმენთ. რატომ არ უნდა გაიზარდოს ამ მუსიკაზე ახალი თაობა?! კლასიკურიც ხელუხლებელი დარჩება, ეს ჟანრი კი უნდა განვითარდეს, რომ ახალგაზრდებმა იცეკვონ და ის ახალი ილეთები, რომელიც ილუშამ დიდი გემოვნებით გააკეთა – ისწავლონ.

გიო ხუციშვილი:

– ცოტა დავიღალე, ბევრი ხალხია, მაგრამ ეს ყველაფერი ახალია და მომწონს. დრო იცვლება. ქართული ხალხური ცეკვა ჩვენი საგანძურია. ძველი უნდა დარჩეს, მაგრამ კლუბს ძალიან მოუხდა ეს მუსიკა. ეს ყველაფერი საკმაოდ გემოვნებიანია.

— თქვენი აზრით, როგორ მიიღებს ამ ყველაფერს, ვთქვათ, თქვენი თაობა?

– ესეც გარკვეულად დოზირებულად უნდა გაკეთდეს. ორი-სამი ნომერი საინტერესო სანახავია, მაგრამ ტრადიციული, ჩვენთვის უმთავრესია.

კულისებში „სუხიშვილების“ ერთერთ წამყვან მოცეკვავეს ვთხოვეთ კომენტარი.

— რამდენად განსხვავდება კლუბის სცენა თუნდაც, ფილარმონიის სცენისგან?

თეა დარჩია:

– ორივე სცენაზე გამოსვლა რთულია. ყველანაირი სცენა თავის კულტურას მოითხოვს, მაგრამ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, მაყურებელი რამდენად ახლოსაა მოცეკვავესთან. დღევანდელი სცენის სირთულე ისაა, რომ პოდიუმია, პოდიუმზე კი, მოდელებს უჭირთ სიარული, არათუ მოცეკვავეებს, თანაც, რა მოძრაობებსაც ვაკეთებდით, თავადაც იხილეთ. ეს პოდიუმზე ცეკვის პირველი მცდელობა იყო და იმედი მაქვს – ბოლო: ცეკვაზე იფიქრო თუ სცენიდან გადავარდნაზე, არ იცი...

— ელოდით, რომ დღევანდელი საღამო ასე წარმატებით ჩაივლიდა?

– რა თქმა უნდა! ვინც აქ მოვიდა, ზუსტად იცოდა, სად მოდიოდა. მათ იცოდნენ, თუ რა ემოციასა და დადებით მუხტს მიიღებდნენ. მაყურებლისგანაც ძალიან დიდ მუხტს ვიღებდით. ქართველები კარგი მაყურებლები არიან. მათი მოხიბვლა ცოტა ძნელია, მაგრამ ჩვენ ეს მოვახერხეთ. ■

„მოდის ბოლო კივილი“ – ქართული ბრენდი

გასულ კვირას, კაფე „მაკა ასათიანში“ თავად მაკა ასათიანმა და მისმა პრომოუთერმა ვანიკო თარხნიშვილმა ახალი სასმლის პრეზენტაცია მოაწყვეს. სასმელი „კაფე მაკა ასათიანი“ წარმოადგენს ენერგიის აღმძვრელი სასმლის ნაირსახეობას, აბსენტის შემცველობით. როგორც ვანიკო თარხნიშვილმა აღნიშნა. ეს არის შედეგი საფრენჩაიზო გარიგებისა ბრიტანულ კომპანია GALAMIN-სა და კომპანია „მაკა ასათიანს“ შორის, რომელიც მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისთვის. სასმლის ჩამოსხმის იდეა ეკუთვნის ბრიტანულ მხარეს. ის წარმოდგენილი იქნება იმ ქვეყნებში, სადაც თვითონ კომპანია „მაკა ასათიანი“ არის წარმოდგენილი ან მომავალში წარდგება. სასმელი ჩამოისხმება საქართველოში, კომპანიაში „სავანე – №1 ქარხანა“; ის სხვადასხვა არომატით, სხვადასხვა ნაირსახეობისა გამოვა. ახლა კი ბოთლის ექსკლუზიური ფორმის შემუშავება მიმდინარეობს. როგორც ვანიკო თარხნიშვილმა გვითხრა, აღნიშნული სასმელი საერთაშორისო ბაზარზე „მოდის ბოლო კივილად“ არის მიჩნეული. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ მაკა ასათიანის მოდელით გამოვიდა სათვალე და სულ მალე, „მაკა ასათიანის“ საათებსაც ვიხილავთ. ■

ჯეონეთი
GEONET
www.geonet.ge

ჯორჯ კლუნის ცოთილი საცოლე გათხოვდა

როგორც ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელიაო. მართალია, სელინ ბალიტრანმა ოცნება ვერ აიხდინა და ჰოლივუდის ყველაზე სასურველი სასიძოს ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა (თუმცა რეკორდი კი მოხსნა – მათი ურთიერთობა სამი წლის მანძილზე გრძელდებოდა), მაგრამ ხელცარიელი მაინც არ დარჩენილა. განშორების შემდეგ, მან ხელში ჩაიგდო მსახიობის 4,5 მილიონად ღირებული სახლი. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ ჯორჯ კლუნის უშუალოდ თვითონ არ მიუყვანია სელინი საკურთხეველთან, იგი მას საკუთარი ბედნიერების პოვნაში მაინც დაეხმარა, რადგან ბალიტრანი საფრანგეთიდან ამერიკაში სწორედ ჯორჯის გამო გადავიდა საცხოვრებლად. კლუნისთან განშორების შემდეგ, სელინმა აშშ-ში სცენარისტი და რეჟისორი დევიდ როზენ-

ტალი გაიცნო და ცოლადაც გაჰყვა მას. ახალდაქორწინებულები ლოს-ანჯელესში ცხოვრობენ, სადაც ბალიტრანი უკვე მასწავლებლადაც მუშაობს. იგი ამბობს, რომ ქმართან ძალიან ბედნიერია, ბავშვებთან მუშაობაც ძალიან მოსწონს. გარდა ამისა, სელინი არც იმის წინააღმდეგია, რომ მალე საკუთარი შვილებიც იყოლიოს. ჟურნალ OH LA-სთვის მიცემულ ინტერვიუში კი განაცხადა, რომ მოდელისა და მსახიობის კარიერა აღარ აინტერესებს, ტელეწამყვანის ამპლუაში კი, საკუთარ ძალებს სიამოვნებით მოსინჯავდა. ზემოთქმულის მიუხედავად, ბალიტრანი თავისი გეგმების განხორციელებას სულაც არ ჩქარობს, რადგან ამ ეტაპზე მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ქმარი და ოჯახური ბედნიერებაა. ■

ნიკოლ კიდმანმა „ცისფერსიმაგრე“ შეიძინა

ცოტა ხნის წინ, ჰოლივუდის ვარსკვლავმა ნიკოლ კიდმანმა მანჰეტენზე (ნიუ-იორკი) მდებარე პრესტიჟულ სახლში ბინა შეიძინა. ახალი სახლის ფართობი 4000 კვმ-ია, იგი აღჭურვილია სპორტული დარბაზითა და რესტორნით. ამასთან, სახლს კარგი მდებარეობა აქვს და კიდმანის ბინიდან ნიუ ჯერსისა და მანჰეტენზე საოცრად მომხიბლავი ხედი იშლება.

ამ აპარტამენტში ვარსკვლავმა ხუთი მილიონი დოლარი გადაიხადა. იგი იქ ცხოვრებას შვილებთან ერთად აპირებს. მსახიობმა საკუთარ ბინაში პერსონალური შესასვლელისთვისაც იმთავითვე იზრუნა. სავარაუდოა, რომ ნიკოლი არა მარტო გამვლელების, არამედ მეზობლების მოჭარბებულ ყურადღებასაც არიდებს თავს. მის მეზობლებს შორის არაერთი ცნობილი ადამიანია, მაგალითად, მოდელიერი კალვინ კლაინი. ახალი საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთმა დამპროექტებელმა – რიჩარდ ბორნმა გაზეთ „დეილი მირორის“ ჟურნალისტებს განუცხადა, „ნიკოლი სრულიად შეშლილია უსაფრთხოებაზე. ალბათ ამის საფუძ■ლიც აქვს. მას ხომ ორი შვილი ჰყავს“.

ხელგამლილი კოლინ ფერელი

ირლანდიელმა კოლინ ფერელმა არა მარტო წარმატებული კინოკარიერის შექმნა შეძლო ჰოლივუდში, არამედ სუსტი სქესის წარმომადგენელთა ერთპიროვნული გულთამპყრობელიც კი გახდა. მისი გელფრენდი, ფოტომოდელი კიმ ბორდენეივი მსახიობისგან ბავშვს ელოდება. თუმცა სასიყვარულო თავგადასავლების მოყვარულ ფერელს ეს სულაც არ აღელვებს და არც ქალებთან დროის ტარებას იშლის. ამ დღეებში მსახიობი ნიუ-იორკის კლუბ Scores-ს ესტუმრა, იქ ორი გრძელფეხება, ქერათმიანი სტრიპტიზიორი ამოარჩია და მათთან ერთად, ცალკე კაბინეტში განმარტოვდა. კოლინმა, ეველინთან და ვერონიკასთან ერთად მთელი ოთხი საათი და ორმოცდახუთი წუთი გაატარა. ეს სიამოვნება ფერელს 1.800 დოლარი დაუჯდა. გამოდის, რომ მას სტრიპტიზის მოცეკვავე გოგონებთან ურთიერთობის ყოველი წუთი 6 დოლარზე მეტი დაუჯდა! ■

კაილი მინოუგის უცნაური ახირება

ცნობილი პოპ-ვარსკვლავის, კაილი მინოუგის თაყვანისმცემლები ხუმრობით მის უკანალს მომღერლის „სავიზიტო ბარათს“ უწოდებენ. კაილიც შანსს არ უშვებს ხელიდან და მისთვის ხელსაყრელ ნებისმიერ მომენტში სხეულის ამ ნაწილის დემონსტრირებას ახდენს.

პოპ-მომღერლის სხეულის ამ პიკანტური ნაწილის შესახებ კი, არაერთ ამბავს ჰყვებიან: კაილის დამ, ასევე ცნობილმა მომღერალმა, ერთხელ სახალხოდ განაცხადა: მინდა, მეც ასეთივე უკანალი მქონდესო. როგორც ამბობენ, ჯასტინ ტიმბერლეიკიც სწორედ მინოუგის სხეულის ამ ნაწილს არ დაუტოვებია გულგრილი.

თურმე, ნუ იტყვით და, „სავიზიტო ბარათს“ ვარსკვლავი განსაკუთრებულადაც უვლის: კაილი უკანალზე რეგულარულად ისვამს საბავშვო ზეთს, სცენაზე გასვლის წინ კი, ბრინჯაოსფერი პუდრით იფარავს.

მისმა გრიმიორმა, კაროლინა ბარნესმა ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ ყოველი შოუს დაწყების წინ, მომღერალი გრიმს არა მარტო სახეზე, არამედ თეძოებსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზეც ისვამს. ■

სარეაბილიტაციო კურსმა მენ ათლეტის სამსახიობო სლოგენებზე დადებითად იმოქმედა

ბენ აფლეკმა განაცხადა, რომ მალიბუს კლინიკაში ალკოჰოლიზმისაგან განკურნების სარეაბილიტაციო კურსის ჩატარების შემდეგ, კინოშიც საგრძნობლად უკეთ თამაშობს. შესაძლოა, ეს მართლაც ასეა, რადგან რამდენიმე წლის წინ, მსახიობს ჯერ კიდევ შეეძლო ფილმში რაღაც ხასიათის შექმნა, შემდეგ კი, იგი საკმაოდ ბრიყვული გამომეტყველებით ჩანდა ხოლმე კადრში და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს მისთვის ყველაფერი სულერთი იყო. აფლეკმა აღნიშნა: „მსურდა მოვრეოდი თავს და შემეწყვიტა სმისა და დროის ტარების უწყვეტი ციკლი, რომლის შემდეგაც დილაობით ისეთი დაღლილი და განადგურებული ვიღვიძებდი, რომ აღარც კი მახსოვდა, თუ რაზე ვლაპარაკობდი წინა საღამოს. ყოველივე ეს კი, დეპრესიაში მაგდებდა. ვინაიდან, უფულობას არ ვუჩიოდი, გადავწყვიტე იმ კლინიკაში დაწოლა, სადაც მიშველიდნენ. სულ მალე, როგორც მსახიობმა და როგორც ადამიანმა, თავი უკეთ ვიგრძენი და დავფიქრდი იმაზე, თუ როგორ პიროვნებად მსურდა ყოფნა. ყოველდღიური უაზრო სმა და ღრეობა, საკუთარ საქციელზე დაფიქრების საშუალებას არ მაძლევდა. ახლა უკეთ ვუგებ საკუთარ თავს და ისიც ვიცი, თუ რა მინდა მომავალში“. ■

მადონამ მოინანია და იარაღი დაყარა

როცა ზარბაზნები ქუხან, მუზები დუმან. შოუბიზნესში ოცწლიანი გამოცდილების შემდეგ, მადონამ სიტუციაში გარკვევა და უტყუარი არჩევანის გაკეთება ისწავლა. ამ დღეებში მან გაავრცელა განცხადება იმის თაობაზე, რომ ვიდეოკლიპი – American Life, რომელიც VH-1 კანალზე უნდა ეჩვენებინათ, ომის დამთავრებამდე არ გავა ეკრანებზე. ავბედითი ვიდეოკლიპი აშშ-ის ფარგლებს გარეთ 31 მარტს გამოჩნდა. მისი ამერიკული პრემიერა კი, 4 აპრილს უნდა შემდგარიყო. თუმცა მომღერალმა გადაწყვიტა, რომ ამჟამად პაციფისტური გამოსვლების (კლიპი სწორედ ამ თემაზეა) დრო არ არის. კლიპის სიუჟეტის ცენტრალურ სცენას წარმოადგენს პოდიუმზე მდგარი მადონა, რომელიც მოდელებთან ერთად, მილიტარისტული მოდის უკანასკნელი მიღწევების დემონსტრირებას ახდენს. სცენაზე წარმოდგენილია კამუფლაჟი, ჩაფხუტები, აირწინაღები და სამხედრო ქუდები. კამუფლაჟიან მოდელებს შორის ტყვიამფრქვევის პატრონტაშიანი არაბი ბავშვები დადიან.

რგოლის ყველაზე საეჭვო ეპიზოდია, როცა მადონა ხელყუმბარას ისვრის ადამიანისაკენ, რომელიც გარეგნულად ძალიან ჩამოჰგავს ჯორჯ ბუშს. იგი მარჯვედ იჭერს ყუმბარას, რომელიც საბოლოოდ სანთებელა აღმოჩნდება და უკიდებს სიგარას.

თავის გამოსვლაში მადონამ აღნიშნა, რომ ეშინია არასწორად არ აღიქვან მისი კლიპი, ამიტომ პრემიერას უკეთესი დროისთვის გადადებს. „... მე პატივს ვცემ სამხედრო ძალებს, მხარს ვუჭერ მათ და მათი გამარჯვებისათვის ვლოცულობ. ამიტომ არ მსურს რისკზე წასვლა, რადგან შესაძლოა, მათ კლიპის არსი არასწორად გაიგონ“. აღვნიშნავთ, რომ ვიდეოკლიპი ერაყში საომარი მოქმედებების დაწყებამდეა გადაღებული. ■

ოზი ოსბორნის მეუღლე კიმოსგან განიკურნა

ქიმიოთერაპიის რამდენიმეთვიანი კურსის შემდეგ, მუსიკოსის – ოზი ოსბორნის ცოლი კიბოსგან განიკურნა. ამის შესახებ, მუსიკოსმა როკ-ჟურნალ Kerrang-ის ჟურნალისტებს განუცხადა. ამას ისიც დასძინა, რომ შერონის ავადმყოფობის დროს, იგი რამდენიმე თვის მანძილზე საშინელ სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

გასულ ზაფხულს, შერონს ექიმებმა ნაწლავების სიმსივნე აღმოუჩინეს. ექვსი თვის მანძილზე, იგი ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსს იტარებდა. ექიმების თქმით, პაციენტი მკურნალობას დაექვემდებარა და სიმსივნე საერთოდ აღარ ესინჯება, თუმცა მომავალში დაავადების პროგრესირება გამორიცხული არ არის. ცოლის ავადმყოფობის გარდა, მომღერალს სხვა პრობლემებიც ჰქონდა. სასამართლოში მის წინააღმდეგ რამდენიმე სარჩელია შეტანილი. შარშან ზაფხულს ერთ-ერთმა ლოსანჯელესელმა პროდიუსერმა – ჰერი ბინკოვმა, მას სასამართლოში უჩივლა. იგი ირწმუნება, რომ ოზი ოსბორნმა და მისმა ცოლმა პოპულარული ვარსკლავური შოუს – The Osbournes – იდეა მას მოჰპარეს. პარალელურად, მუსიკოსები – ბრობ დეისლი და ლი კერსლეიკიც ოსბორნთან ერთად ჩაწერილი ალბომებიდან მათი სახელების ამოშლაში, სწორედ ოზის ადანაშაულებენ. ■

ლესლი ჩუნმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა

46 წლის ჰონკონგელმა მსახიობმა ლესლი ჩუნმა პირველ აპრილს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მან სიკვდილის წინ დაწერა წერილი და ჰონკონგში მდებარე სასტუმრო „მანდარინ ორიენტალის“ ფანჯრიდან გადახტა. მსახიობის თვითმკვლელობის მიზეზი სასიყვარულო პრობლემები აღმოჩნდა. ჩუნმა საკუთარი კარიერა სიმღერით დაიწყო. დიდ ბრიტანეთში კოლეჯის დამთავრების შემდეგ, იგი 1976 წელს სამშობლოში დაბრუნდა, სადაც აზიელი მომღერლების კონკურსში მიიღო მონაწილეობა და მეორე ადგილიც დაიკავა. შემდეგ მას ხშირად იღებდნენ ახალგაზრდულ ფილმებში. პირველი დიდი წარმატება ჩუნს 1986 წელს გადაღებულმა ფილმმა – „ნათელმა მომავალმა“ მოუტანა. მსახიობის ნაადრევი სიკვდილი, თითქოს წინასწარ იყო განსაზღვრული მის მიერ შესრულებულ ერთ-ერთ როლში („ცხოვრების მოულოდნელი დღეები“ – 1990), სადაც გმირი ნაადრევად კვდებოდა – სიკვდილის წინა აღსარებაში კი, ამბობდა, რომ გამოუსწორებელი რომანტიკოსი იყო და „მშვენიერი წამის“ შეჩერებას ცდილობდა...

■

რუბრიკა მოამზადა ნანა ცომაიამ

„გაზაფხულის ნევროზი“

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ზოგისთვის გაზაფხულის დადგომას ახალი ძალების მოზღვავება ახლავს თან, ზოგი კი ავადმყოფურად განიცდის ახალ რიტმზე გადასვლას, უმწვავდება ზამთარში დაგროვილი შინაგანი პრობლემები, უძილობა, შიში, დეპრესია... როგორ გავუმკლავდეთ ამ ყველაფერს?

სამწუხაროდ, ჩვენში ნევროზით დაავადებულთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ სტრესების სამყაროში ვცხოვრობთ. და მაინც, ყველას ხომ არ ემართება ნერვული სისტემის მოშლილობა. რაშია საიდუმლო?

ბევრი რამაა დამოკიდებული ადამიანზე, პრობლემებთან შეჭიდების უნარზე; ნევროზით უპირატესად ავადდებიან მშიშარა, მერყევი, არამყარი ბუნების ადამიანები. ასეთი ადამიანისთვის ზოგჯერ ერთი ამაღელვებელი მოვლენაც კი საკმარისი ხდება ნერვული მოშლილობის განვითრებისათვის. თუ ფსიქოლოგიური ტრავმა ძლიერია და ადამიანს არ შეუძლია, დამოუკიდებლად გაუმკლავდეს განცდებსა და ტკივილებს, მასში ფორმირდება შინაგანი კონფლიქტი, რომელიც ნევროზის საფუძველი ხდება. არსებობენ ადამიანები, რომლთაც



აქვთ წინასწარი განწყობა ნევროზული მდგომარეობის განვითარებისადმი და ამ განწყობის საფუძველი, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ნივთიერებათა ცვლის თავისებურებები გახლავთ.

ყველაზე ხშირი ნიშნები, რითაც ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში პაციენტები ექიმ-ნევროლოგს აკითხავენ, არის შიშები, დეპრესიული და ისტერიკული მოშლილობები.

შიშები

უმიზეზო შიშს ხშირად თან ახლავს პირის სიმშრალე, თავის ტკივილი, მოუსვენრობა, გახშირებული შარდვა. შედარებით იშვიათად ვითარდება პანიკური შეტევები, რაც ტანჯავს პაციენტს. აღნიშნული სიმპტომები სისხლში ადრენალინის ჭარბად გადმოსროლის შედეგად ვითარდება.

პანიკური შეტევების შედეგად, ადამიანის ცხოვრება მკვეთრად უარესდება.

დეპრესია

დეპრესიული მოშლილობა განსაკუთრებით იჩენს ხოლმე თავს გაზაფხულზე. ადამიანი ვერ უმკლავდება საკუთარ ემოციებს და უბრალოდ, „გამოთიშავს“ მათ, თითქოს კვდება ემოციურად. სამწუხაროდ, დეპრესის დროს უარყოფით ემოციებთან ერთად, დადებითიც ითრგუნება. შედეგად კი, ავადმყოფს აღარაფერი ახარებს. ადამიანი აკეთებს ყოველდღიურ საქმეს, მაგრამ უხალისოდ, რადგან ეჩვენება, რომ არაფერს აზრი არა აქვს. იგი აპათიურია, გაღიზიანებული, კარგავს ინტერესს სექსისადმი.

საკმაოდ ხშირად, ასეთი დერპესიის მიზეზი, სინათლის ნაკლებობა ხდება, რაც შემოდგომა-ზამთრის პერიოდშია ინტენსიური, მაგრამ გაზაფხულზე ასახვას პოულობს ნერვული სისტემის მოშლილობის სახით. ასეთმა ადამიანებმა ყოველდღიურად უნდა ისეირნონ სუფთა ჰაერზე, დღის ნათელ პერიოდში.

ისტერიკული მოშლილობა

ძლიერი სტრესის შემდეგ, ადამიანი კარგავს ხმას, ცნობიერებას, ვარდება ლეთარგიული ძილის მდგომარეობაში. რამდენიმე დღით, შესაძლოა, მისი ნაწილობრივი პარალიზებაც კი მოხდეს. ამრიგად, გადაუჭრელი შინაგანი კონფლიქტები, ფიზიკურ სენში გადაიზრდება. ბევრმა არც კი იცის, რომ ყველაფრის მიზეზი ნერვულ სისტემაში იმალება.

სიგნალი მიღებულია

ნევროზით დაავადებული ბევრი ადამიანის მთავარი შეცდომა ისაა, რომ ისინი თავიანთ სენს განუკურნებლად მიიჩნევენ. ეს ასე არ არის. მთავარია, დროულად იქნას დაწყებული მკურნალობა და არ მიუყურისძიროთ დაავადებას, რადგან ხანგრძლივი ნერვული დაძაბულობის შედეგად, უარესდება მთელი ორგანიზმის მდგომარეობა. ვითარდება ე.წ. ფსიქოსომატური დაავადებები: ზიანდება კანი, კუჭ-ნაწლავის სისტემა, გული, შინაგანი ორგანოები... თუ ორგანიზმი სიგნალს იძლევა უძილობის, თავის ტკივილის, მეხსიერების გაუარესების, მომატებული დაღლილობის სახით, უნდა მიმართოთ ექიმს.

თანამედროვე მედიცინა წარმატებით ებრძვის ნერვულ მოშლილობებს. მკურნალობის კურსი მოიცავს მედიკამენტურ და ფსიქოთერაპიას და რამდენიმე თვე გრძელდება. თუმცა შესაძლოა, თქვენი დაავადება უბრალოდ, გადაღლილობის შედეგი იყოს და მაშინ დასვენება და ფიზიოპროცედურებიც კი საკმარისი იქნება მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

როგორ დავიცვათ თავი?

ყველა ადამიანმა — განსაკუთრებით კი მას, ვისაც ლაბილური ნერვული სისტემა აქვს — უნდა ისწავლოს სტრესებისგან თავის დაცვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცხოვრების სტილი.

- შეამცირეთ მინიმუმამდე ალკოჰოლის მიღება.
- ნუ მოსწევთ.
- მოძებნეთ საქმე, რომელიც სიამოვნებას განიჭებთ, ისწავლეთ დასვენება.
- სპორტი შესანიშნავი ანტიდეპრესანტია, რომელიც თავისი ზემოქმედების ძალით ქიმიურ პრეპარატებს უტოლდება. ამიტომ რეგულარულად გამონახეთ დრო მისთვის.

ერთი სიტყვით, გარე სამყაროს შეცვლა არ შეგვიძლია, მაგრამ შეგვიძლია შევცვალოთ საკუთარი თავი. ნათქვამია — „შეცვალე პრობლემებისადმი მიდგომა და უსაფრთხოდ იგრძნობ თავს“.

■

მედიცინის სიახლეები

შიდსი აღარ იქნება

გასული წლის ბოლოს, რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს იმუნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერებმა მსოფლიო დააიმედეს შემდეგი სიახლით: შემუშავებულია პროფილაქტიკური ვაქცინა „XX საუკუნის შავი ჭირის“ წინააღმდეგ.

დღეისათვის შექმნილია და ადამიანებზე გამოიცდება შიდსის საწინააღმდეგო 30-ზე მეტი ვაქცინა. ყველაზე შორს – მესამე ფაზამდეა მისული ორი ამერიკული ვაქცინის გამოცდა. ორივე პრეპარატი ეფუძნება შიდსის ვირუსის გარსის ცილის გენური ინჟინერიით მიღებულ კოპირებას. თუმცა ერთი მათგანი შეიცავს ცილას, რომელიც ჰგავს ამერიკის შეერთებულ შტატებში არარსებულ ვირუსს, ხოლო მეორე – იმ ვირუსის ცილის კოპიოს, რომელიც ტაილანდში ცირკულირებს. შესაბამისად, ერთი ვაქცინა ტესტირებას გადიოდა ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში, მეორე – ტაილანდში (თითქმის 8 ათასამდე მოხალისეზე).

რუსეთში შიდსის საწინააღმდეგო ვაქცინის შესაქმნელად მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს ერთდროულად რამდენიმე ქალაქში. იმუნოლოგიის ინსტიტუტში შექმნილი ვაქცინა ორი ნაწილისაგან შედგება: ვირუსის ცილების გენეტიკურად სინთეზირებული ანტიგენებისა და იმუნომოდულატორისაგან (იმუნიტეტის მომწესრიგებელი). სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს სიახლეს. იმუნომოდულატორი აძლიერებს ორგანიზმის იმუნურ პასუხს ვაქცინაში შემავალ ანტიგენზე.

გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ცხოველებში აღნიშნული ვაქცინის შეყვანისას წარმოიქმნება ანტისხეულები, რომელსაც შეუძლია შიდსის ვირუსის ნეიტრალიზება სინჯარაში. მოხალისეებზე გამოცდა სულ მალე დაიწყება. მკვლევარებს წარმატების დიდი იმედი აქვთ, რადგან მსოფლიოში ჯერ არ არსებობს ვაქცინა იმუნომოდულატორული კომპონენტით.

შორსმხედველობას რადიოტალღებით უმკურნალებენ

შორსმხედველობით დაავადებულ ათასობით ადამიანს სულ ახლო მომავალში დაუბრუნებენ ნორმალურ მხედველობას. ახალი მეთოდი – გამტარი კერატოპლასტიკა გულისხმობს რქოვანას ფორმის შეცვლას რადიოტალღის მეშვეობით. იგი უკვე აპრობირებულია აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში. მხედველობის კორექციის ტრადიციული მეთოდი – ლაზერული ქირურგია წარმატებით უმკლავდება ახლომხედველობას, მაგრამ შორსმხედველობის დროს, იგი არ არის ეფექტური. ახალი ტექნოლოგიის ავტორები გვპირდებიან, რომ გადაჭრიან მხედველობის „დაბერების“ პრობლემას. ყოველ 10 წელიწადში ერთხელ ოპერაცია უნდა გამეორდეს.

ზღვის ბაქტერიები სიმსივნის წინააღმდეგ

ზღვის ფსკერზე აღმოჩენილი ახალი სახეობის ბაქტერიები შესაძლოა, იქცეს სიმსივნის საწინააღმდეგო ეფექტურ იარაღად, აგრეთვე მის საფუძველზე დამზადდეს ახალი თაობის ანტიბიოტიკები. საუბარია ბაქტერიაზე Salinospor, რომელსაც ძლიერი, სიმსივნის საწინააღმდეგო და ანტიბაქტერიული თვისებები აღმოაჩნდა. ექსპერიმენტები ჩატარდა კალიფორნიის ოკეანოგრაფიის ინსტიტუტში. გამოკვლევის შედეგების თანახმად, შემთხვევათა 80%-ში ბაქტერიები აჩერებს სიმსივნური უჯრედების ზრდას, 35%-ში მთლიანად ანადგურებს პათოგენურ ბაქტიერებსა და სოკოებს.

ლაზერი წმენდს ჯანს

მოზარდებისათვის დამახასიათებელი გამონაყარი სახეზე, კარგად იკურნება ლაზერული სხივებით. დაკვირვება ბრიტანელმა მეცნიერებმა ჩაატარეს. 41 მოხალისე მოზარდისათვის გამონაყარის ნაწილის მოშორებას დასხივების ერთი, ხუთწუთიანი სეანსი დასჭირდა. 10-მა

ადამიანმა სუფთა კანი რამდენიმე კვირაში დაიბრუნა. ლაზერით ზემოქმედებისას კანზე არ რჩება ნაწიბურები, ხოლო სამკურნალო ეფექტი 3 თვის განმავლობაშია შენარჩუნებული.

თეთრი ღვინო სასარგებლოა ფილტვებისათვის

თეთრი ღვინო, რომელიც ნაკლებად სასარგებლოდ ითვლებოდა წითელთან შედარებით, რეაბილიტირებულ იქნა ამერიკელი მეცნიერების მიერ: 1500 ნიუ-იორკელის გამოკვლევისას მათ აღმოაჩინეს, რომ თეთრი ღვინის მოყვარულთა ფილტვები უკეთესად მუშაობს – მეტია მოცულობა, აქტიურია აირთა ცვლა. ამერიკელმა ბიოქიმიკოსებმა თეთრ ღვინოში მძლავრი ანტიოქსიდანტები აღმოაჩინეს. ამ ნივთიერებათა მაღალი დონე სისხლში, დადებითად მოქმედებს ფილტვების მუშაობაზე. საინტერესოა, რომ შესმული ღვინის რაოდენობის ზრდასთან ერთად, ეფექტი არ მატ

ულობს: ერთი ბოთლი და ერთი ჭიქა ერთნაირად მოქმედებს.

ნერვული უჯრედები ცხიმოვანისგან მიიღება

ამიერიდან ნერვულ უჯრედთა აღდგენა შესაძლებელია მეცნიერების დახმარებით. ამერიკელმა მკვლევარებმა ნეირონები ცხიმოვანი ქსოვილიდან გაზარდეს. ლიპოსაქციის (ჭარბი ცხიმის მოშორების) შემდეგ, დარჩენილი ცხიმი მათ დაამუშავეს ნერვულ უჯრედთა განვითარების მასტიმულირებელი ნივთიერებებით და გარდაქმნაც განხორციელდა. როცა ცხიმოვანი უჯრედებიდან მიღებული ნეირონები საცდელი თაგვების სისხლში შეუშვეს, ნერვული უჯრედები ზუსტად მიზანში – ტვინის ნივთიერებაში მოხვდა და იქ გაცოცხლდა. ეს კარგი სიახლეა მათთვის, ვისაც ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებები აქვს. სულ მალე ისინი ახალ ეფექტურ წამლებს უნდა ელოდნენ.

■

კბილები ღრმულების გარეშე

კბილის ბჟენების სახესხვაობანი თანდათან მცირდება, ხოლო დაზიანებული კბილების განკურნების შანსები კი მატულობს.



ასორტიმენტი შემცირდა

30 წლის წინ, ბჟენის მრავალი სახეობა არსებობდა, მაგრამ დღემდე მათგან მხოლოდ ამალგამის (ვერცხლისწყლიანი) შემორჩა. და ისიც ძალიან იშვიათად იხმარება არაესთეტიკურობისა და ვერცხლისწყლით მოწამვლის (თუნდაც მინიმალური) საშიშროების გამო. ამასთან, მისი შეღებვა კბილისფრად შეუძლებელია და ბევრი პაციენტი არ იყო თანახმა მთელი ცხოვრება ვერცხლისფერი ბჟენი ეტარებინა. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ამალგამის ბჟენი საკმაოდ მყარია. აღწერილია შემთხვევები, როცა იგი 70 წლის განმავლობაში ემსახურა პაციენტს.

დღეს ექიმები კბილის ღრმულებს ძირითადად კომპოზიციური მასალებით – პოლიმერებისა და ორგანული შემავსებლების ნარევებით ბჟენენ. ისინი მხოლოდ ორი სახის არსებობს: ქიმიური გამყარებისა და სინათლის. როგორი ფართოც არ უნდა იყოს არჩევანი, ალტერნატივა არ არსებობს და არც არის საჭირო.

კომპოზიციური მასალები ადვილად შეიძლება შეირჩეს პაციენტის კბილების ფერისა და გამჭვირვალობის შესაფერის ტონალობაში. სიმაგრის მიხედვით კი ის თითქმის უტოლდება კბილს. საქმე ისაა, რომ თუ ბჟენი ძალიან რბილი იქნება, ის მალე თავად დაიშლება, ხოლო ზედმეტად მაგარი ბჟენი კბილს დაშლის. ასე რომ, არ ღირს ოცნება ალმასის ეშვებზე.

დღეს ექიმი პაციენტს სთავაზობს, თავად აირჩიოს ბჟენი – ქიმიურად ან სინათლით გამყარებადი. კრიტერიუმი მხოლოდ ფასია, რადგან სხვა თვისებებით, პაციენტისათვის ის ერთნაირია.

ქიმიური გამყარების კომპოზიტები ნაკლებად მოსახერხებელია სამუშაოდ სტომატოლოგისთვის. ერთმანეთს უნდა შეერიოს მასალა და კატალიზატორი, ჩადოს კბილის ღრმულში და რამდენიმე წუთში, მასალის გამყარებამდე მოასწროს ბჟენის ფორმირება. როგორც წესი, ექიმს ამისათვის სამი წუთი უნდა ეყოს. თუ ვერ მოასწრო სამუშაო, მაშინ საქმის დასრულება ბორმანქანით მოუხდება.

სინათლის ბჟენთან მუშაობა გაცილებით იოლია. იმუშავე რამდენიც გინდა, შემდეგ კი მიანათე ბჟენს ლამპის ცისფერი სხივი ერთი წუთით და ბჟენი მზადაა.

ვირტუალური ზომის აღება

ბოლო დროს, აქტიურად რეკლამირდება დაბჟენის ახალი მეთოდი – ე.წ. ცერიკის სისტემა (მას ზოგჯერ sekes-საც უწოდებენ). მისი არსი ისაა, რომ ჩვეულებრივად დამუშავებულ ღრუს ფირზე აღბეჭდავენ და მისი სამგანზომილებიანი გამოსახულება და მონაცემები შეაქვთ კომპიუტერში. შემდეგ ექიმი მონიტორზე განსაზღვრავს მომავალი ბჟენის საზღვრებს, თითქოს ქმნის მას ვირტუალურად. ამ ზომების მიხედვით რეალურ ბჟენს ქმნის მინიატურული საღარავი ჩარხი, რომელიც კომპიუტერით იმართება. ბჟენს შემდგომ ხელით სვამენ.

მეთოდის უპირატესობა ისაა, რომ ჩასასმელი მასალა კომპოზიტთან შედარებით უფრო გვიან ცვდება, მაგრამ ეს საკმაოდ ძვირად ღირებული და პრესტიჟული სიამოვნებაა.

გაპრიალება

პაციენტები ყოველთვის კითხულობენ: რამდენ ხანს გაძლებს თანამედროვე ბჟენი? როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, ეს არ არის მთავარი მაჩვენებელი. მთავარია, არ გაიხეხოს ანტაგონისტი კბილები და არ დაიშალოს გვერდით მდებარე კბილები. თვით ბჟენზე ტრადიციულად, ერთი წლის გარანტიას იძლევიან, თუმცა სათანადო მოვლის დროს, იგი რამდენიმე წელი (4-5 მაინც) ძლებს, შემდგომ კარგავს სიგლუვეს და იშლება. თუ წელიწადში ორჯერ მაინც „გაიპრიალებთ“ ბჟენს, ამით მის ვადას საგრძნობლად გაზრდით.

დროზე ადრე შეიძლება გაჩნდეს პრობლემები ბჟენის ფერის შეცვლის გამო, ყავის, ჩაის, ნიკოტინის გავლენით... ამ შემთხვევაში, უკვე ესთეტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, ყველა თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, შეიცვალოს თუ არა ბჟენი.

სხვათა შორის, ზოგიერთ კლინიკაში ექიმები აცხადებენ, რომ ერთი წლის შემდეგ ბჟენი უნდა შეიცვალოს. ანუ ისინი დაბჟენას ისევე უდგებიან, როგორც მანიკიურს ან თმის ვარცხნილობას, თუმცა პაციენტები ჯერჯერობით არ იზიარებენ ამ პოზიციას.

■



მამაკაცების საყურადღებოდ

როგორ ვუმკურნალოთ ანდროპაუზას

როდესაც მამაკაცს უსრულდება 35 წელი, მისი სათესლე ჯირკვლები ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო ნაკლები რაოდენობით ტესტოსტერონს გამოიმუშავებს. დღიური სხვაობა მიზერულია, მაგრამ ოცი წლის განმავლობაში კი საკმაოდ დიდია დანაკარგი იმისათვის, რომ ადამიანმა ვერ შეიგრძნოს. ანდროპაუზა მამაკაცური კლიმაქსია.

ვინ არის დამნაშავე?

სახელწოდება „ანდროპაუზა“ მენოპაუზის ანალოგიით გაჩნდა (მენოპაუზა ქალის ორგანიზმში 45 წლის შემდეგ იწყება). ანდროპაუზის მთავარი მიზეზია ძლიერი სქესის წარმომადგენლებში მთავარი მამაკაცური ჰორმონის – ტესტოსტერონის კლება.

ჰორმონული ცვლილებების დროს, მამაკაცის შეგრძნებები ჰგავს ქალის შეგრძნებებს კლიმაქსის პერიოდში. ეს შეგრძნებებია: ალები, ჰაერის უკმარისობა, თავბრუს ხვევა, მომატებული გაღიზიანებადობა, ადვილად დაღლა, უძილობა, დეპრესიული მდგომარეობა. მაგრამ ეს იმდენად არ აწუხებს მამაკაცს, რამდენადაც ანდროპაუზის ყველაზე მტკივნეული გამოვლინებანი – ერექციასა და ლიბიდოსთან დაკავშირებული პრობლემები: მას აღარც სურს და აღარც შეუძლია... ზოგი ამ მოვლენებს ასაკთან დაკავშირებულ აუცილებელ ნიშნებად მიიჩნევს და ეგუება, ზოგს კი მიაჩნია, რომ აღნიშნულ სიმპტომთა მიზეზი სტრესები და გადაღლილობაა. მაგრამ არც ერთი არ არის მართალი.

როგორ მოვიქცეთ?

ბუნების ლოგიკა დაუნდობელია: დაბერებულმა ინდივიდმა უნდა შეწყვიტოს გვარის გამრავლება, მაგრამ ადამიანი იმითაცაა უნიკალური, რომ ყველა უსიამოვნება, თუნდაც ევოლუციით გამართლებული, აიძულებს მას, მოიფიქროს ბრძოლის ახალი მეთოდები.

ყველაზე ეფექტური საშუალებაა ტესტოსტერონის შეყვანა ინიექციით. ჩვეულებრივ, საკმარისია ხოლმე ერთი ინიექცია იმისათვის, რომ ჰორმონის დონემ აიწიოს ნორმალურ მაჩვენებლამდე და რამდენიმე კვირის განმავლობაში სტაბილურად შენარჩუნდეს. შემდეგ, როცა იგი ხელახლა ეცემა, ორგანიზმი გარკვეული დროის განმავლობაში ინარჩუნებს რეპროდუქციულ ფუნქციას. თუმცა უნდა ვიცოდეთ, რომ ტესტოსტერონის კონცენტრაციის ზრდა სისხლში საკმაოდ უსიამოვნო გვერდით ეფექტებს იწვევს – მატულობს არტერიული წნევა, იზრდება ერითროციტების რაოდენობა და სხვა.

აბები უფრო რბილი საშუალებაა: ისინი არ იწვევს ჰორმონული ფონის აფეთქებას, მაგრამ დროც მეტი სჭირდება შედეგის მისაღებად. მკურნალობის კურსი 6 კვირამდე გრძელდება.

საზღვარგარეთ წარმატებით იყენებენ სპეციალურ ტესტოსტერონიან წებოვან ფირფიტებს. ეს მეთოდი თითქოს ყველაზე მარტივი, მაგრამ ნაკლებეფექტურიცაა. მისი გამოყენება ხშირად იწვევს ალერგიულ რეაქციებს და ამასთან, სისხლში მოხვედრილი ჰორმონის მოცულობა საგრძნობლად მცირეა, აბებითა და ინიექციებით შეყვანილ დოზებთან შედარებით.

ვისთვის არ შეიძლება?

რა თქმა უნდა, ყველასთვის არ არის რეკომენდებული ანდროპაუზის მკურნალობა ზემოხსენებული მეთოდებით. ჩანაცვლებით თერაპიას სერიოზული წინააღმდეგჩვენებანი აქვს. პირველ რიგში, ესაა წინამდებარე ჯირკვლის კიბო, მკერდის ჯირკვლის კიბო (მამაკაცებში იგი იშვიათია), პროსტატის ადენომა, მოვლენები, რომელიც ორგანიზმში სითხის შეკავებას იწვევს ან ხელს უწყობს თრომბების წარმოქმნას.

ექსპერიმენტები, რა თქმა უნდა, დაუშვებელია, ამიტომ ჰორმონოთერაპიის კურსის დანიშვნამდე, აუცილებლად უნდა გაესინჯოთ ექიმს. საჭიროა, აიღოთ ანალიზები, განისაზღვროს ტესტოსტერონის დონე სისხლის პლაზმაში.

ყველა ორგანიზმი ინდივიდუალურია, ამიტომ ანდროპაუზის გამოვლინებანი სხვადასხვაგვარია. თუ ტესტოსტერონის ინიექციებით თქვენმა თანატოლმა – კოლეგამ თავი დააღწია მამაკაცურ პრობლემას, ნუ გამოჰკითხავთ მას რეცეპტს, უმჯობესია, წახვიდეთ ექიმთან და შეიტყოთ, მკურნალობის რომელი სქემაა თქვენთვის უკეთესი.

ანდროპაუზასთან წარმატებული ბრძოლის პირობა, კარგი ურولოგია. მაგრამ ექიმები ტყუილად როდი იმეორებენ, რომ საუკეთესო მკურნალობა – პროფილაქტიკაა. თუ თქვენ ჯერ დიდი დრო გაქვთ დარჩენილი კრიტიკულ ასაკამდე, სულაც არ იქნება ზედმეტი, რომ დროდადრო მიხვიდეთ კლინიკაში და გაიაროთ „ტექდათვალიერება“. მაშინ დიდი შანსი გექნებათ, რომ ასაკობრივი ცვლილებები ადვილად და უმტკივნეულად გადაიტანოთ.

■

კაცთა მოდგმა რადიაციამ წარმოშვა?



ბევრი მეცნიერი იმ აზრისკენ იხრება, რომ ადამიანი შექმნა არა შრომამ, ან კლიმატურმა ცვლილებებმა, რომელმაც ხეებიდან ჩამოსვლისკენ უბიძგა მაიმუნებს, ან კიდევ პრეადამიანური ტომების უსაზღვრო გამრავლებამ, Homo sapiens შესაძლოა, გენეტიკური მუტაციის შედეგად გაჩნდა, უმთავრესად კი — ე.წ. შემოქმედებითი გენის განვითარების წყალობით. ასეთ ვარაუდს გამოთქვამს სტენფორდის (აშშ) უნივერსიტეტის ანთროპოლოგი პროფესორი რიჩარდ კლეინი, რომელსაც მიაჩნია, რომ 50-100 ათასი წლის წინათ მომხდარი „კულტურული აფეთქება“ მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას.

სწორედ მაშინ, მკვეთრად შეიცვალა ჩვენი შორეული წინაპრების ქცევა, კერძოდ: მათ ხელი მიჰყვეს საკუთარი სხეულის მოხატვას, ისეთი ნივთებისა და გამოსახულებების შექმნას, რომელსაც ყოფითი, პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონდა. თუმცა, კონკრეტული გენი, რომელიც აბსტრაქტული აზროვნებისკენ ადამიანის მიდრეკილებას განსაზღვრავს, დღესაც არ არის აღმოჩენილი.

ამ ჰიპოთეზის მიმდევარ მეცნიერებს მიაჩნიათ: ვინაიდან ადამიანისა და შიმპანზეს გენომები 98,4%-ით ერთმანეთის იდენტურია, დასმულ კითხვაზე პასუხი დანარჩენ 1,6%-ში უნდა ვეძიოთ. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ერთ-ერთი ასეთი თავისებურება უკვე აღმოჩენილია: 2001 წელს, ოქსფორდის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტში დააფიქსირეს გენი — FOXP2, რომელიც ადამიანის სამეტყველო აპარატზე აგებს პასუხს. იგივე გენი აქვს მაიმუნსაც, მაგრამ ცხოველის „სამეტყველო კოდი“ საგრძნობლად განსხვავდება ადამიანის გენისაგან. და აქ, მეცნიერთა აზრით, საქმე გვაქვს მუტაციასთან, რომელიც მან განიცადა სავარაუდოდ, 120-200 ათასი წლის წინათ — ე.წ. „კულტურული რევოლუციის“ დამდეგს. ისმება კითხვა: რა იყო გენოტიპის შეცვლის მიზეზი?

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ამას საფუძვლი დაუდო ურანის საბადოებმა, რომელიც უხვადაა კაცობრიობის აკვნის რეგიონში: აფრიკის სამხრეთ ნაწილზე, დედამიწის ურანის საბადოების დაახლოებით 70% მოდის. ადამიანად მაიმუნის გადაქცევის პერიოდი ამ რეგიონში გეოლოგიური აქტივობით გამოირჩეოდა, რასაც შეიძლებოდა გამოეწვია მადნის გაშიშვლება და შესაბამისად, რადიაციის გაძლიერება...

ამ ვერსიის მოწინააღმდეგენი სვამენ კითხვას: რატომ იმოქმედა დადებითად რადიაციამ მხოლოდ და მხოლოდ მაიმუნის გონებრივ შესაძლებლობებზე და „უყურადღებოდ“ დატოვა სხვა ცოცხალი არსებები? „ურანული ვერსია“ ვერც იმას ხსნის, თუ რაღატომ გრძელდება ადამიანის გენოტიპის შემდგომი განვითარება...

კალიფორნიის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოავლინეს მუტაცია, რომლის შედეგადაც ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება ხდება: მათ, ვინც ასწლოვან ზღურბლს გადააბიჯა, ხუთჯერ უფრო ხშირად აქვთ ეს ე.წ. არაქრომოსომული გენი, ვიდრე დანარჩენ ადამიანებს. ამ მოვლენის მიზეზი — ისევე, როგორც Homo sapiens-ის გაჩენისა და საერთოდ, დედამიწაზე ცხოვრების წარმოშობისა — ჯერ კვლავ უცნობი რჩება... ■

ყოვლისმცოდნე ჯუ-ჯუს პოლიციას ვერ გაუმკლავდა

აფრიკაში საოცარმა ფენომენმა იჩინა თავი, რომელმაც ჩიხში მოაქცია მეცნიერებიცა და პოლიტიკოსებიც. სხვადასხვა რეგიონში მას სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ: აღმოსავლეთ აფრიკაში — ნანგად, დასავლეთში — ჯუ-ჯუდ, ზოგან კი — გრი-გრიდ. რას წარმოადგენს ეს მოვლენა — ჯადოქრობას, მაგიას? ამაზეც სხვადასხვა ადამიანს განსხვავებული აზრი აქვს.

ამ ცოტა ხნის წინ, ნიგერიაში გამოჩნდა ჯუ-ჯუ, რომელსაც ტუნდე ბაკარე ჰქვია და სნეულთა განკურნების გარდა, წინასწარმეტყველიცაა. გარშემომყოფებს არ ახსოვთ შემთხვევა, როდესაც ბაკარეს წინასწარმეტყველება არ ასრულებულა. თუმცა, ხელისუფლებას მაინც გაუჩნდა ეჭვი მის მიმართ, რადგან ბაკარეს ბევრი წინასწარმეტყველება სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს შეეხებოდა, მაგალითად, ჯუ-ჯუმ თქვა: მალე, ერთ მაღალჩინოსანს კორუფციაში ამხელენო და ცოტა ხანში, ერთ-ერთი ჩინოსანი ქრთამის აღების დროს დააპატიმრეს; მან ივარაუდა დედაქალაქ ლაგოსში მასობრივი დემონსტრაცია და პოლიციასთან შეტაკება, რაც ასევე ახდა; შემდეგ ჯუჯუმ, ეთნიკურ საფუძველზე შეტაკებები იწინასწარმეტყველა და არც ამჯერად შემცდარა. მაგრამ ხელისუფლებამ ბაკარე „საქმეების ჩაწყობაში“ დაადანაშაულა — შენი საიდუმლო აგენტები ნაწინასწარმეტყველები არეულობების პროვოცირებას ახდენენო — და დააპატიმრა. ტუნდე ბაკარემ ამას ახალი, განსხვავებული წინასწარმეტყველებით უპასუხა: ბუნებრივი მოვლენის მიზეზით, დიდ ქალაქში კატასტროფა მოხდება და ბევრი ადამიანი დაიღუპაო. რამდენიმე დღეში, იარაღის საწყობს მეხი დაეცა, აფეთქებისა და ხანძრის შედეგად 1000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. პოლიცია იძულებული გახდა, ყოვლისმცოდნე ჯუ-ჯუ გაეთავისუფლებინა. ■

გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნების გენერალური დირექტორი

- წვრილი ნაწლავების ანთება
- რომაულ მითოლოგ. — სატურნი, ბერძულში ...
- ქართული არყის მარკა
- სტილი ევროპულ ხელოვნებაში
- გემა ამბერცული გამსახულებით
- ქვეყანა დედაქალაქით ნაირობი
- სკანდალური რეპერი
- ფაიფურის ჩასაბერი საკრავი
- რამდენიმე ფურუნკულის შერწყმა
- შვედური კოსმეტიკური ფირმა
- „ფორმულა-I“-ის საჯინიბო
- „ბაიერის“ თურქი ნ/მცველი
- საგანგებო დავალება
- მცირე აზიის მოსახლე
- მაგარი ქანის ნატეხი
- ფალიაშვილის ოპერა
- მზის ამოსვლა
- XV-ს იტალიელი ფერმწერი
- ქართული იუმორისტული ჟურნალი
- მილანის საოპერო თეატრი „ლა-...“
- გერმანელი მწერალი
- მოძმე რესპუბლიკა სსრკის შემადგენლობ.
- საგამოცდო პერიოდი უმაღლ. სწავლებელში
- მსხვილი ნაწლავის ანთება
- ბრიჯ, ფანდი
- მუსიკოსის ქანქარიანი ხელსაწყო
- გვერდის გამყოფი სამკუთხედში
- წვრილი ჯაჭვი
- ოლოლი, ზარნაშო
- სარჩილავი ლითონი
- დრამატული ნაწარმოები სასაცილო სიუჟეტით
- ფრანგი იმპრესიონისტი
- პენალტი ჰოკეიში
- ხმის ჟღერადობის ელფერი
- ზღაპრული ცხენი
- ერთ-ერთი უზენაესი ღმერთი ინდუიზმში
- სასულე მუს. ინსტრუმენტის კლაპანი
- ქართული სამარკო ღვინო
- სამოთხის ბაღი
- კომპიუტ. მაკუშარუნელი სატელეფ. ხაზებთან
- კანონ ან ბაიდარი
- ჯსუს ქრისტის ფეხსაცმელი
- აიეტის ასული

შეადგინა რამაზ ალანიამ



კვირის (14 – 20 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV



საკუთარ თავზე მუშაობა არ გაწყენდათ. თქვენი ხასიათის ყველა თავისებურება თქვენს სასარგებლოდ როდი მეტყველებს. ეცადეთ, თავი შეიკავოთ ხელქვეითებისა და ოჯახის წევრებისადმი ნეგატიური ემოციების გამომჟღავნებისგან – ამით მხოლოდ მოიგებთ.

კრავი – 21/IV-21/V

მოთმინება თქვენთვის ღვთით ნაბოძები ნიჭია. ამის წყალობით, სერიოზულ შეცდომებს აარიდებთ თავს. იღბალიც თქვენს მხარეზე იქნება. ამ კვირაში განსაკუთრებულ წარმატებებს არ უნდა ელოდეთ, მაგრამ არც მარცხის სიმწარე შეგაწუხებთ. საგანგებო ყურადღება გამოიჩინეთ ნებისმიერი საბუთის ხელმოწერისას – ამაზე შეიძლება თქვენი მომავალი იყოს დამოკიდებული.

მარჩხები – 22/V-21/VI

ამ კვირაში ფორტუნა გაგიღიმებთ. თაყვანისმცემელთა ყურადღება მთლიანად თქვენკენ იქნება მოპყრობილი, რაც დიდ სიამოვნებას მოგგვრით. ძლიერი, შთამბეჭდავი გრძნობები და შენაძენი გელით.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

არავითარ შემთხვევაში არ გადაუხვიოთ დასახული გზიდან. თუ მოგეჩვენათ, რომ ჩიხში მოექეცით, ხელს ნუ ჩაიქნევთ – გამარჯვებამდე სულ ცოტა დაგრჩათ. თქვენი პარტნიორები, კოლეგები და უფროსობა კმაყოფილები არიან თქვენით, ახლობლები კი, გემადლიერებიან გულისხმიერებისთვის.

ლომი – 23/VII-23/VIII



ცოტაოდენი ამბიციურობა კი უნდა გამოამჟღავნოთ. ახლა თქვენთვის ხელსაყრელი დროა, შეიძლება ცოტა ხანს ორ სკამზე დაჯდეთ. ასეთი მდგომარეობა რამდენადმე საზიანო იქნება, თუმცა, შესაძლოა, სახელიც გაითქვათ თქვენს წრეში და მატერიალური შენაძენიც გქონდეთ. გაითვალისწინეთ: თქვენ ნიჭიერი და მომხიბლავი ადამიანი ბრძანდებით.

ქალწული – 24/VIII-23/IX

თუ გადაიღალეთ, ხანმოკლე ტაიმ-აუტი აიღეთ. ამ კვირაში ყველა საქმეს, დიდი ჯაფის გარეშე, წარმატებით გაართმევთ თავს. რაც შეეხება უქმეებს – საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ, ეს განსაკუთრებულ იმპულსს შესძენს თქვენს სამომავლო ურთიერთობებს. ოღონდ, არ დაწვრილმანდეთ და ნუ გაიხსენებთ ძველ წყენასა და გაუგებრობას.

სასწორი – 24/IX-23/X

ძალიან საპასუხისმგებლო კვირა გელით. დროა მემკვიდრეობისა და საკუთრების საკითხებს მიხედოთ. თუ შესაძლებელია, თავი აარიდეთ ნათესავებთან ანგარიშსწორებას. საქმეს ფილოსოფიურად მიუდექით. უქმეები აუცილებლად ქალაქგარეთ გაატარეთ.

დრიანკალი – 24/X-22/XI

ეცადეთ, არ გაირთულოთ ურთიერთობა კოლეგებთან. პარტნიორები თქვენს გამოცდას დააპირებენ, მაგრამ თქვენ ხომ კარგად იცით, რომ ყველა ღრიანკალს კლდესავით ხასიათი აქვს, ამიტომ ყველაფერს საუცხოოდ გაართმევთ თავს. უახლოეს დღეებში ახალი ნაცნობობა გელით, რომელიც თქვენს წინსვლას შეუწყობს ხელს.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ნუ მოერიდებით გრძნობების გამომჟღავნებას – გაახარეთ ახლობლები, მოეფერეთ მათ. ამავე დროს, სამსახურში სერიოზული გადაწყვეტილებების მისაღებადაც მზად იყავით: თქვენზე დიდ იმედებს ამყარებენ. თუ მოგეჩვენათ, რომ ახალი, დიდი სიყვარული გეწვიათ, ნუ აჩქარდებით – ეს მაინც, ჩვეულებრივი გატაცება უნდა იყოს.

თხის რქა – 22/XII-20/I

საშინაო საქმეები და საყოფაცხოვრებო პრობლემები ბევრ დროს წაგართმევთ. ეცადეთ, ყველაფერი ხარისხიანად შეასრულოთ, თორემ მთელი წელიწადი რაღაც-რაღაცების გადაკეთება მოგიწევთ. ახლობლები სათანადოდ შეაფასებენ თქვენს გულმოდგინებას და საქებარი სიტყვებით შეგამკობენ.

მერწყული – 21/I-19/II

ამ კვირაში მნიშვნელოვან წერილობით გზავნილს მიიღებთ. ეცადეთ, დოკუმენტი კარგად შეისწავლოთ. ყური მიუგდეთ კოლეგების შენიშვნებს, თორემ შეიძლება სიტუაციის შეფასებისას შეცდომა მოგივიდეთ. განსაკუთრებით სასიამოვნო დღე ამ კვირაში თქვენთვის შაბათია.

თევზები – 20/II-20/III

მეტისმეტად პრაგმატული ხართ. ცოტა მოეშვით და ეცადეთ სიამოვნება მიიღოთ. ამ კვირაში ენერგია მატერიალური პრობლემების გადაჭრისაკენ მიმართეთ. თუმცა იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ფულს მხოლოდ ბედნიერება არ მოაქვს. სიყვარული და ჰარმონია თქვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, რადგან ძალზედ მგრძნობიარე ადამიანი ხართ.

ადვილად ექცევით თუ არა სხვისი ზეგავლენის ქვეშ

ალბათ იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ ცხოვრებაში მთლიანად საკუთარ აზრებსა და ინტუიციას ენდობა და არასოდეს მოქცეულა სხვისი გავლენის ქვეშ. მაგრამ ყველაფერი ხომ ფარდობითია, ზოგი სხვის აზრს ნაკლებად ითვალისწინებს, ზოგი კი იმდენად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ, რომ საკუთარი შეხედულება აღარც კი რჩება. როგორი ხართ თქვენ? უმეტესად როგორ იღებთ გადაწყვეტილებებს — თავად თუ სხვისი კარნახით? ამის დასადგენად უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს და გამოიტანეთ დასკვნები.

1) როგორ მოიქცევით, თუ ქუჩაში მათხოვარი მოგიახლოვდებათ, თავის გასაჭირს გაგიზიარებთ და ფულს მოგთხოვთ?

ა) ეტყვით, რომ ვერ დაეხმარებით და სხვას მიმართოს;

ბ) თანაგრძნობას გამოიჩენთ და ფულს მისცემთ;

გ) დაუფიქრებლად დაეხმარებით მოზრდილი თანხით, რადგან ფიქრობთ: არავინ იცის, ვის რა მოელის მომავალში.

2) ადვილად ეგუებით უსიამოვნებას, თუ გრძნობთ, რომ სიტუაციაზე გავლენის მოხდენა თქვენს ძალებს აღემატება?

ა) არა, სანამ ყველა შესაძლო გამოსავალს არ მოსინჯავთ, ვერ მოისვენებთ;

ბ) როცა დარწმუნდებით, რომ მეტის გაკეთების უნარი არ შეგწევთ, დანებდებით;

გ) სხვებს გამოჰკითხავთ აზრს და როცა გეტყვიან, რომ მოქმედებას აზრი აღარ აქვს, მაშინ დანებდებით.

3) როგორ მოიქცევით, თუ მკაცრ დიეტაზე მყოფს, დაგპატიჟებენ წვეულებაზე, სადაც უამრავი ისეთი გემრიელი კერძი იქნება, რომლის გასინჯვისგან თავის შეკავება ძალიან გაგიჭირდებათ?

ა) არ წახვალთ, რადგან დიეტის დარღვევა არ გსურთ, იმის ყურება კი არ გსიამოვნებთ, თუ როგორ მიირთმევენ სხვები გემრიელ კერძებს;

ბ) წახვალთ და საკუთარ თავს პირობას მისცემთ, რომ დიეტას მხოლოდ ამ ერთხელ – გამონაკლისის სახით დაარღვევთ;

გ) წახვალთ, დიეტას დროებით დაივიწყებთ და კარგადაც მოილხენთ.

4) გჯერათ თუ არა ჰოროსკოპის?

ა) არა;

ბ) მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა წინასწარმეტყველება სასიკეთოა;

გ) თითოეულ დღეს ჰოროსკოპის მიხედვით გეგმავთ.

5) წარმოიდგინეთ, რომ ერთ დღეს, იმიჯის შეცვლა გადაწყვიტეთ და სამსახურში სრულიად განსხვავებულ სტილში გამოწყობილი წახვედით. პირველივე შემხვედრი თანამშრომელი კი შეშინებული გიყურებთ და გეკითხებათ, ცუდად ხომ არ ხართ? როგორი რეაქცია გექნებათ?

ა) მხრებს აიჩჩავთ და გაიფიქრებთ, რომ მას გემოვნება ღალატობს;

ბ) გააჩნია, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ამ თანამშრომლის აზრი;

გ) გუნება-განწყობა მაშინვე წაგიხდებათ და მეორე დღეს, ისევ ჩვეულ სტილს დაუბრუნდებით.

6) შეგიძლიათ თუ არა თქვენი ავტომანქანა, რომელიც ახლახან შეიძინეთ და ძალიან მოგწონთ, ორიოდე დღით ათხოვოთ მეგობარს?

ა) არავითარ შემთხვევაში;

ბ) არ გინდათ, მაგრამ მოგიწევთ, რადგან მეგობრობა თქვენთვის ბევრს ნიშნავს.

გ) საოცრად დაგწყდებათ გული, მაგრამ უარს მაინც ვერ ეტყვით.

7) შეგიძლიათ თუ არა თამამად თქვათ „არა“, თუ რაიმის გაკეთება არ გსურთ;

ა) თავისუფლად შეგიძლიათ;

ბ) გააჩნია, ვის ეხება ეს საქმე;

გ) უარის თქმა საერთოდ გიჭირთ ხოლმე.

დათვალეთ, პასუხების რომელი ჯგუფი სჭარბობს — ა), ბ) თუ გ) — და გაეცანით შედეგებს:

დაააჯამეთ ქულები

ა) ჯგუფი. თქვენით მანიპულირება ფაქტობრივად, შეუძლებელია. მშვენივრად იცით, თუ რა გსურთ და მას, ვინც თქვენსა და თქვენ მიერ დასახულ მიზანს შორის ჩადგება, კარგი არაფერი ელის. დამოუკიდებელი და ამავე დროს, ოდნავ ცინიკური ადამიანიც ხართ. ძნელი სათქმელია, უყვარხართ თუ არა გარშემომყოფებს, ალბათ ეს შიშნარევი სიყვარული უფროა.

ბ) ჯგუფი. დამოუკიდებელი და მიზანდასახული ადამიანი ხართ. უმეტესად ისე იქცევით, როგორც თავად მიგაჩნიათ სწორად, მაგრამ თუ ვინმე დაჟინებით გთხოვთ რაიმეს, უარის თქმა გიძნელდებათ. თუმცა, თუ ვინმეს მოქმედება თავხედობაში გადადის, მისთვის შესაფერისი ადგილის მიჩენაც არ გიჭირთ. ცხოვრებაში ტრადიციული ფასეულობების გჯერათ — სიყვარული, მეგობრობა და ურთიერთდახმარება თქვენთვის მნიშვნელოვანი ცნებებია. როცა ამ ცნებებით ხელმძღვანელობთ, მაშინ დათმობაზე წასვლაც შეგიძლიათ.

გ) ჯგუფი. ძალაუფლების მოყვარული ადამიანისთვის თქვენთან ურთიერთობა ნამდვილი მისწრეაა: თქვენით მანიპულირება ძალიან ადვილია. სხვათა შორის, თქვენც გიყვართ სხვის ხარჯზე საქმის კეთება და ცდილობთ, თავიდან აირიდოთ პასუხისმგებლობა, თუმცა იმას არ უკვირდებით, რომ თქვენ მიერ ჩადენილ ყველა საქციელზე პასუხისმგებლობა მაინც თქვენ დაგეკისრებათ და არავინ მიაქცევს ყურადღებას იმას, რომ სხვისი მითითებით მოქმედებდით... ისწავლეთ საჭიროების შემთხვევაში უარის თქმა; ეცადეთ, გაიტანოთ საკუთარი შეხედულებები, არ შეუშინდეთ სიძნელეებს და დაინახავთ, რომ ემოციებით დატვირთული, აქტიური ცხოვრება გაცილებით საინტერესოა, ვიდრე მუდამ სხვისი დახმარებით მოქმედება.

ჯაჭვით დაბმული ცოლი



ქართველები ამბობენ, ძალად დაბმული ძაღლიც არ მინდა ეზოშიო. მაგრამ როგორც ჩანს, ყველა ამ აზრისა როდია მსოფლიოში. ტეხასის შტატის ქალაქ სან-ანტონიოს პოლიციამ 41 წლის ჯერი უეინ ტომასონი მას შემდეგ დააპატიმრა, როცა აღმოჩნდა, რომ მას თავისი 45 წლის ცოლი – პატრისია ჯაჭვით ჰყავდა დაბმული. პოლიციამ ტომასონს ფიზიკურ ძალადობასა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთაში დასდო ბრალი.

როგორც გაირკვა, თხუთმეტწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, პატრისია სახლიდან წასვლით დამუქრებია ქმარს. ჯერის იგი ჯერ გალიაში ჩაუსვამს, შემდეგ კი კისერზე ათმეტრანი ჯაჭვი გამოუბამს. ეს ამბავი კი, სრულიად შემთხვევით გაირკვა; ერთ დღეს, როცა ცოლ-ქმარი ბავშვებს სკოლაში აცილებდა, პარმაღზე გამოსული, კისერზე ჯაჭვშებმული პატრისია მეზობელმა დაინახა და პოლიციაში დარეკა. ტომასონებთან მისულ პოლიციას პატრისია კვლავ პარმაღზე დახვდა, მის ქმარს კი მანქანის სავარძელზე ეძინა და ჯაჭვის მეორე ბოლო თავად ჰქონდა გამობმული. ■

მოზარდმა მანქანის მართვა კომპიუტერზე ისწავლა

13 წლის ჩინელი ბიჭუნას თავგადასავალი მას შემდეგ დაიწყო, რაც მან საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მისთვის სკოლაში სწავლა ყოვლად აუტანელი იყო. დილით, ვიდრე მამამისი სამსახურში წასასვლელად ემზადებოდა, ბიჭმა სეიფიდან 3.600 დოლარი ასწაპნა, ამას მანქანის გასაღებიც მიაყოლა და სამოგზაუროდაც მზად იყო. მომხდარით გაოგნებულმა მამამ, სასწრაფოდ პოლიციაში დარეკა. მისი შიში საფუძვლიანი გახლდათ, რადგან მისმა შვილმა მანქანის მართვა საერთოდ არ იცოდა. საგზაო პოლიციამ გატაცებული მანქანა ქალაქ იანგინიდან გასვლისას შენიშნა. პოლიციის მოთხოვნაზე – გაეჩერებინა მანქანა, ბიჭს არანაირი რეაქცია არ ჰქონია და დევნაც დაიწყო. ბიჭუნამ და პოლიციელებმა სრულიად მომქანცველი რბოლისას, მანქანებით 1000 კილომეტრი გაიარეს – რბოლისას მათ ჩინეთის ოთხი პროვინცია გადაკვეთეს. დევნა მხოლოდ მას შემდეგ დასრულდა, როცა ბიჭს მანქანაში ბენზინი გაუთავდა. პოლიციელების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ბიჭმა უთხრა, რომ მანქანის საჭეს პირველად მიუჯდა და მართვა მხოლოდ კომპიუტერული თამაშების მეშვეობით ჰქონდა ნასწავლი. ■

„მწვანეები“ პენტაგონისაგან მოითხოვენ, ეჰაყთან ომში ახ გამოიყენონ ცხოველები

აშშ-ის თავდაცვის მინისტრს, დონალდ რამსფელდს პროტესტის წერილი გაუგზავნა ამერიკულმა საზოგადოებამ – „ადამიანები ცხოველებთან ეთიკური დამოკიდებულებისათვის“. დიდი გავლენის მქონე ორგანიზაცია, მინისტრისაგან მოითხოვს, „გასცეს განკარგულება, რათა ერაყში საომარი მოქმედებებისას სამხედროებმა ცხოველები არ გამოიყენონ“. საზოგადოებას განსაკუთრებით აღელვებს დელფინების ბედი, რომლებიც ნაღმებისა და პოტენციური ტერორისტების აღმოჩენაში ეხმარებიან სამხედროებს. საქმე ის არის, რომ ცივ წყალს შეგუებული ატლანტიკური ოკეანის დელფინები, სპარსეთის ყურეში მათთვის მტრულ გარემოში ხვდებიან – უცნობ გარემოში მათ ორიენტირება და ზვიგენების მოგერიება უჭირთ. „ჩვენ მხარს ვუჭერთ აშშ-ის ჯარებს და ვფიქრობთ, რომ ისინი ამქვეყნად ყველაზე საუკეთესო დაცვას იმსახურებენ, – წერია მიმართვაში. – მაგრამ ამ მიზნით ცხოველების გამოყენება სისასტიკეა, მით უმეტეს, რომ ამან შესაძლოა, მათი სიკვდილი გამოიწვიოს“.

თავის მხრივ კი, სამხედრო ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დელფინები აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს ფასდაუდებელ სამსახურს უწევენ. კერძოდ, ტელეკომპანია „ფოქსის“ ცნობით, საომარი მოქმედებების ზონაში სულ ახლახან გამოჩენილმა დელფინებმა, საზღვაო ძალების მოსამსახურეებთან ერთად, უკვე 22 ნაღმის გაუვნებელყოფა შეძლეს. ■

ნასამ მარსის ზედაპირის ახალი ფოტოგრაფიები გამოაქვეყნა

გასულ კვირას, ამერიკულმა ნაციონალურმა აეროკოსმოსურმა ადმინისტრაციამ (ნასა) ინტერნეტის ქსელში პლანეტა მარსის 11 ათასი ახალი ფოტოსურათი გამოაქვეყნა. ეს ფოტოები პლანეტის ირგვლივ მოძრავი სადგურის – Mars Global Surveyor-იდანაა გადაღებული. ნასას წარმომადგენლის განცხადების თანახმად, ამჟამად ინტერნეტის ქსელში გამოქვეყნებული ფოტოსურათების საერთო რიცხვი 1238000-ია. Mars Global Surveyor-ი მარსის მახლობლად მდებარე ორბიტაზე ამერიკელებმა 1997 წელს გაუშვეს. ამ საფრენი აპარატის ბორტიდან მოპოვებული მონაცემების საფუძველზე, მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ უშუალოდ მარსის ზედაპირის ქვეშ, მცირე სიღრმეზე უნდა იყოს საკმაო რაოდენობის წყალი. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ექნება, როცა დედამიწიდან მარსზე სამეცნიერო ექსპედიციები გაიგზავნება. ■

ფოტოკუთხეები







განსხვავებული ჟურნალი

TV-პროგრამა
7.04-13.04 2003 წ.

ჩემპიონი

№14(27) ფასი 60 თ.

შვილების მკვლელმა მამამ თავი ჩამოიხრჩო

11

მერაბ სეფაშვილის ავტოავარიის დეტალები

48

პირველი ქართველი ულტრისტი ქალი

5

ყვირის ფოტო

დახურული თემა

რატომ ცემეს სოფო ჭყონიას მეგობარი მამაკაცი

„ეს ჩემი პირველი უსიამოვნება არ ბახლავთ!..“

თემურ ჭყონიას სასიძო არ მოსწონს